# თბილისელები®

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

www.tbiliselebi.ge

1,50 ლარი ...-16 აგვის... №32(763)



არც ის მიფიქრია, შეყვარებული ოჯახში მოვიდეს ჩემი ხელის სათხოვნელად – მე ამ საკითხში თავისუფალი ვარ

გვ. 10

როგორ დააღწია დედის სახელის გავლენას თავი ია ნინიძის შვილმა

როდის „ისროდა ქვებს“ ვერიკო ტურაშვილი და რატომ დაარქვა მან ყოფილი დედამთილის სახელი მეორე შვილს

იძიებს თუ არა გაუპატიურებული გოგო შურს – სათქმელი უკვე ნათქვამია

გვ. 55

მას ცოტა მოგვიანებით ვუთხარი ჩემი ფეხმძიმობის შესახებ, დაახლოებით 4 თვის რომ ვიყავი

გვ. 18

გახდა თუ არა გურანდა გაბუნიას სერიალის დატოვების მიზეზი თინა მახარაძესთან უთანხმოება და ვინ აღმოუჩინა ფინანსური დახმარება დათოსა და ნინას ოჯახს



რატომ იქნება სალომე ფაჟავა საქართველოში ერთადერთი ახალგაზრდა პენსიონერი და რატომ ცეკვავენ უცხოელი მსაჯები ხალიჩაზე მისი გამოსვლის დროს

გვ.62



თექვსმეტმა მილიონმა ადამიანმა ნახა ჩვენი ნომერი პირდაპირ ეთერში

გვ. 11

რა შემოთავაზება მიიღო მალხაზ ელიავამ პრინცესა სტეფანიასგან და როგორ იხსნება და იხურება მსოფლიოში ცნობილი შოუები მისი ნომრებით



გვ.54

როგორ მოხვდა ანა ტურაზაშვილი მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ჟურნალში 25 საუკეთესო ბალერინას შორის და როგორ გახდა ის მოსკოვის დიდი თეატრის ბალერინა



ჩემი მშობლებისთვის ეს, შეიძლება, სამწუხარო იყოს, მაგრამ გასაგებია. ხვდებიან, რომ ამის გამო შვილი არ უნდა მოკლა

გვ. 15

რისთვის გაშიშვლდა დომენიკ მანგო და რატომ არ გამოუვიდა მას საზოგადოების გალიზიანება

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

აგვისტოს
აქცია

EXPRESS
კრედიტი

# 700 ლარამდე

კრედიტის
გაცემის
საკომისიო: **0** ლარი

EXPRESS BANK მარტივია

www.ebank.ge
(0 32) 2 555 555

# რატომ მიაჩნია მერაბ კილაძეს გულჩვილობა ქირურგის აუცილებელ თვისებად და რაშია მისი საყოველთაო აღიარების საიდუმლო



**მერაბ კილაძე – ეს სახელი და გვარი ქართულ მედიცინაში უკვე ბრენდია. ქირურგი, რომელიც ამჟამად „კარაპს მედლაინის" სამედიცინო კლინიკაში მოღვაწეობს, ჩვენი მკითხველების გამოკითხვების ლიდერი და ფავორიტია; მეტიც, მუცლის ღრუს სხვადასხვა პათოლოგიის ქირურგიული ოპერაციების ჩასატარებლად მასთან მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოდიან. ბატონი მერაბ კილაძე პრაქტიკულად მთელ სამუშაო დღეს საოპერაციოში ატარებს, თუმცა ჩვენ მაინც მოვახერხეთ მასთან ბლიც-ინტერვიუს ჩაწერა.**

**მერაბ კილაძე – კლინიკა „კარაპს მედლაინის" ზოგადი და მინი ინვაზიური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი; საქართველოს მცირე ინვაზიურ ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი ქირურგი. მრავალი (30-ზე მეტი) საერთაშორისო კონფერენციისა და კონგრესის მონაწილე და მომხსენებელი; 1 მონოგრაფია-სახელმძღვანელოს, 107 სამეცნიერო ნაშრომის, 1 გამოგონების ავტორი და 2 საავტორო პატენტის მფლობელი; სტაჟირება და კვალიფიკაცია გაიარა ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიისა და საფრანგეთის წამყვან ქირურგიულ ცენტრებში; მრავალი საერთაშორისო პროფესიული და სამეცნიერო საზოგადოების ნამდვილი წევრი.**

**– ბატონო მერაბ, მსმენია, კარგ ქირურგს ოქროს ხელები აქვსო. თქვენ როგორ ფიქრობთ, საიდან იწყება ქირურგის წარმატება და რაზეა ეს დამოკიდებული?**

– სამი კომპონენტია: გონება, ხელი და გული. არ მინდა, მკრეხელობად ჩამეთვალოს, მაგრამ, პირჯვრის გადასახვის დროსაც ხომ ხელის სამი თითით ვეხებით შუბლსა და გულს, ანუ, ეს სამი კომპონენტი ქირურგიაშიც გადამწყვეტია. ქირურგს საქმე აქვს შეუფასებელ ღირებულებასთან – ადამიანის სიცოცხლესთან. უზენაესი გონი ამუშავებს ქირურგის გონებასაც და ხელსაც, გული კი ღვთისნიერი უნდა ჰქონდეს. არ ვეთანხმები, როდესაც ამბობენ, რომ ქირურგს ქვასავით გული უნდა ჰქონდესო. მე პირიქით ვფიქრობ – ქირურგი უნდა იყოს გულჩვილი, გულისხმიერი, გულთან ახლოს მიმტანი, რომელიც წრფელი გულით გაიზიარებს პაციენტის მდგომარეობას. გამოგიტყდებით, სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას, პირველ გვამთან როცა გვქონდა შეხება, ჯგუფიდან მხოლოდ მე გავხდი ცუდად და ნიშადურიც მომაშველეს, მერე კი უკვე შევეჩვიე. ქირურგობა მინდოდა და ამ ინციდენტის გამო ვფიქრობდი, გამოვდგებოდი თუ არა ქირურგიაში. დღესაც იმ აზრზე ვარ, რომ გულქვა ადამიანი კარგი ქირურგი ვერ გამოვა – გონებისა და ხელის გარდა, მას მგრძნობიარე გულიც უნდა ჰქონდეს.



**– ბატონო მერაბ, ქირურგობის მოტივაცია როდის გაგიჩნდათ?**

– ბავშვობიდან. ჩემი ოჯახის წევრები ამ დარგის წარმომადგენლები იყვნენ და, მინდა გითხრათ, რომ მერვე კლასიდანვე მქონდა ქირურგობის გამოკვეთილი სურვილი.



**– როგორ იწყება ქირურგ მერაბ კილაძის სამუშაო დღე: ჩაი, ყავა თუ ფოსტა?**

– ვერ გამოიცანით. პირველი, რასაც კაბინეტში შემოსვლისთანავე ვაკეთებ, ვირგებ პროფესიულ სამოსს და მივდივარ პალატებში უკვე ნაოპერაციები პაციენტების მოსანახულებლად. მერე ვიწყებ კონსულტაციებს, ამის შემდეგ ოპერაციების ჯერი დგება, ხოლო ავადმყოფთა კონსულტაციებს ოპერაციებს შორის პერიოდებშიც განვაგრძობ. შემდგომი ოპერაციებისთვის ვგეგმავ ყოველკვირეულ განრიგს. შუალედში ყავა ჩნდება ხოლმე. ხანდახან მთელი დღე ისე ვარ ჩართული, საღამოს უფრო მიწევს ყავის ან ჩაის დალევა.

**– ბატონო მერაბ, თითქმის ყველა ტიპისა და პათოლოგიის ოპერაციებს აკეთებთ, რაც მუცლის ღრუს უკავშირდება. თქვენს გრაფიკს გადავხედე და ვნახე, რომ ძალიან ბევრი პაციენტი გყავთ. როგორ მოვიდა ეს აღიარება?**

– მარტივი გზა არ ყოფილა – ქირურგიისადმი ბავშვობიდნავე გაჩენილი სიყვარული, პლუს თავდაუზოგავი შრომისმოყვარეობა წლების განმავლობაში. მე შემიძლია, 24 საათი ვიყო საოპერაციო ოთახში. ეს საქმე მიყვარს და არ მღლის. თუმცა, ყველაფერი ასე მარტივად რომ ჩანს, ეს წლების განმავლობაში შრომაში და ავადმყოფის საწოლთან გატარებული დღეებია, რასაც თან ახლავს მუდმივად განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი. ამ გადასახედიდან, ალბათ, ძალიან გამიჭირდებოდა ისევ იმ გზას შევდგომოდი, რომლითაც დღევანდლამდე მოვედი. ძალიან რომ არ მყვარებოდა ჩემი საქმე და პაციენტები, გამიჭირდებოდა ამ პროფესიაში წარმატების მიღწევა.

**ანა თაბაგარი**

## ფრანგული ვარიაციები

### თემაზე – „ჯერ თავო და თავო“

რაკი **საომარი ღრუბლები ევროპის თავზე მოქუფრდა;** მოქუფრდა, **ვინაიდან უკრაინა ზედ ცენტრალურ ევროპაშია** და **არა,** საქართველოს მსგავსად – **კავკასიაში,** საფრანგეთიც იძულებული შეიქნა, რომ **„მისტრალის“ საქმე, როგორც იქნა, გადაეწყვიტა.**

კერძოდ, „ბი ბი სის“ ცნობით, **რფ-მ და საფრანგეთმა შეთანხმებას მიაღწიეს,** რის მიხედვითაც, **ეს უკანასკნელი მოსკოვს „მისტრალის“ ტიპის ვერტმფრენმზიდებს აღარ გადასცემს,** სამაგიეროდ, **პარიზი რფ-ს სრულად აუნაზღაურებს გადახდილ თანხას.** შეგახსენებთ, რომ **ჩრდილოელს ევროპელისთვის წინასწარ 840 მილიონი ევრო ჰქონდა გადახდილი.**

და, ყოველი შემთხვევისთვის, იმასაც გავიხსენებ, რომ ამ **ორთა შორის 2011 წელს მოეწერა ხელი იმ შეთანხმებას,** რის მიხედვითაც, **პარიზი მოსკოვის ორ „მისტრალის“ ტიპის ვერტმფრენმზიდს გადასცემდა,** ესე იგი, **ეს სიამტკბილობა 2008 წლის შემდეგ შედგა,** ანუ **მას შემდეგ, რაც რფ-მ ამოგვნაყა,** ხოლო **საფრანგეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა კი,** როგორც კონფლიქტების მომგვარებელმა მშვიდობის მტრედმა, **იჩუმავლა** (და მერე რა, რომ მოსკოვს თვით იმ სარკოზი-მედვედევისად წოდებული შეთანხმება არც კი შეუსრულებია, ბ-ნმა სარკოზიმ ბიოგრაფია ხომ მაინც გაიმდიდრა?!).

ამჯერად **„მისტრალების“ არგადაცემის მიზეზად უკრაინის კონფლიქტი დასახელდა,** თუმცა, **ჩემი** (განვითარებადის სტატუსის მქონე ქვეყნის მოქალაქის) **გუმანი მკარნახობს, რომ უარის მიზეზი მარტივია:** ისევ **ჩვენ არ დაგვიმიზნოს „მისტრალის“ ლულებით** (ბუნებრივია, „ლულა“ პირობითადაა ნათქვამი).

ვინაიდან, როგორც ჩანს, **თვით ევროპის ტერიტორიაზეც აქტუალურია საყველპურო ჭეშმარიტება: „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „ცოლ-შვილში“, ცხადია, მცირე-მცირე ზომის განვითარებადი პარტნიორები იგულისხმებიან )“. –

## ანკარა-მოსკოვი-თეირანი

### ანუ ისევ სამნი

თუმცა დანარჩენი **მსოფლიო თითქმის შეეგუა ყირიმის რფ-ის მიერ მიტაცებას,** ამასობაში **ყირიმიდან განდევნილმა „ყირიმელი თათრების მსოფლიო კონგრესმა“ თავი ყირიმის სახანოს სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა.**

უკრაინის **„რადის“ ანკარაში მყოფმა დეპუტატმა მუსტაფა ჯემილევმა** და **მეჯლისის ახლანდელმა ხელმძღვანელმა რეფატ ჩუბაროვმა გაეროს მიმართეს,** იმიტომ რომ, მათი აზრით, **რუსეთის იმპერიამ ჯერ კიდევ 1783 წელს დაიწყო ოკუპირებული ყირიმის გენოციდი.**



ანკარის ტრიბუნიდან ბ-ნმა ჯემილევმა განაცხადა, რომ მოითხოვენ **სრულფასოვანი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ჩატარებას თვით 1783 წლიდან მოყოლებული დღემდე.**

მომყავს ციტატა გაეროსადმი მიმართვიდან: **„რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ, მოხდა ყირიმის სახანოს ლიკვიდაცია, რომელიც ყირიმელი თათრების სამშობლო იყო ათასი წლის განმავლობაში.“** ამჟამად ბ-ნი ჯემილევი უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს წარმომადგენელია ყირიმის მიმართულებით.

ფაქტია, რომ **ყირიმი მართლაც ყირიმელი თათრების** (უფრო ზუსტად, მონღოლების) **სამშობლოა** და, ისიც, რომ **თურქეთი და რუსეთი მის დასამორჩილებლად კარგა ხანს იბრძოდნენ** „ოქროს ურდოს“ დაშლის შემდეგ (თუმცა ყირიმის სახანო ოსმალეთის იმპერიის მოკავშირე გახლდათ). ზემოთქმული კი (**ბ-ნი ჯემილევის მიერ ამ განცხადების ანკარიდან გაკეთება) მიანიშნებს,** რომ **შავ ზღვაზე გავლენის გაფართოებისთვის თურქეთიც აქტიურობს,** ხოლო, თუ ამას ირანის შესაძლო გაძლიერებასაც დავუმატებთ, ამ **დე-ჟავუში საკითხავი აი, ისაა: როგორ გაგვიყოფენ?!**

## რომანტიკა სეპარატისტულად

### ანუ „სიყვარული დაფრინავს“

ის, რომ ჩვენს **ოს სეპარატისტებს პრ. პუტინი ისე ემშობლიურებათ, თვალში რომ ჩაუვარდეთ,** არათუ ხელს არ ამოისვამენ, **პრ.-მინისტრ მედვედევის დამატებით ჩაგდებას მოითხოვენ,** საყოველთაოდ ცნობილია.

თუმცა **აღმოჩნდა, რომ ამაზე უსაზღვრო სიყვარულიცაა შესაძლებელი ცოდვილი სეპარატისტული ცის ქვეშ.** სახელდობრ, **მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოს, ცხინვალში,** არც მეტი, არც ნაკლები, **ალინა კაბაევას სახელობის სპორტკომპლექსის მშენებლობა დასრულდება.** –



საქველმოქმედო ფონდ „სპორტი მშვიდობისთვის“ დამფუძნებელი ინალ ალბოროვი ამბობს, რომ **სპორტკომპლექსი** თვით **ალინა კაბაევას საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით შენდება** და მის **ფართო დარბაზებში სეპარატისტების მომავალი თაობა დაეუფლება მხატვრულ ტანვარჯიშს, ჭიდაობას, კრივს, ძიუდოს, ქორეოგრაფიასა და ცურვას,** რამეთუ **ექნება 9 დარბაზი და 3 საცურაო აუზი** და თვით **საერთაშორისო სტანდარტების დონისა.**

ჩვენ არ ვიცით, **რატომ მიეძალნენ ცურვას და მხატვრულ ტანვარჯიშს ეს ჩვენებური სეპარატისტები** (ან თუ დარჩა იქ ვინმე, ის 9 დაპირებული დარბაზი და 3 საცურაო აუზი რომ აავსოს), მაგრამ უკვე დანამდვილებითაა ცნობილი, რომ **დიდზე დიდი რომანტიკოსები ყოფილან:** თავიანთი **სიყვარულის სიყვარულსაც კი ეთაყვანებიან** ეგ **ბემურაზები, ეგენი.**


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ქეთი კაპანაძე, ეთო ხურციძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ალექს ხარიტონაშვილი

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52

სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# „მწვანეებით გამყარებული“

## დიდი კომბინატორის მოტივებზე

რაკი **დიადი აღმშენებლობა აწ უკვე ოდესის ოლქისა აქვს განზრახული**, ჩვენი **ნაპრეზიდენტალი მეტად ენერგიულადაა ჩართული ამ საქმეში**. ან კი როგორ არ იქნება, როდესაც **აშშ-ის სახდეპარტამენტმა ოდესის ოლქთან უკვე გააფორმა შეთანხმება**, რისი წყალობით-მიხედვითაც, **ოდესელ ჩინოვნიკთა მაღალ-მაღალ ხელფასებს თავად უზრუნველყოფენ**, რაც იმას ნიშნავს, რომ რეფორმების სიყვარულს ახლა უკვე „მწვანეებიც“ გაამყარებს, რადგან ვერც **მთლად ჯიბეგამოხეული ჩინოვნიკია** თურმე **სახელმწიფოებრივად მოაზროვნე**.



ხოლო, რაკი **გადამმოწმებელი არავინაა**, როგორც ჩანს, **ყოველ შემთხვევაში, ოდესის ოლქში**, გუბერნატორი **სააკაშვილი ოდესელებს არწმუნებს, რომ ჯანდაცვის სისტემა საქართველოში სწორედ მისი პრეზიდენტობის დროს შეიქმნა** და ამის შედეგად **ქართველი ექიმების ხელფასი, არც მეტი, არც ნაკლები, 5 000 აშშ დოლარიდან 15 000** ასევე **აშშ დოლარამდეა**. მეტიც, არც 6 000-კილომეტრიანი თავის მიერ დაგებული გზა დავიწყებია და **არც 4 აშენებული ახალი ქალაქი** (ეგ რომელიო, არ მკითხოთ, იმიტომ რომ, არაფერი ვუწყი).

მაინც მოვიხმობ ციტატას: **„მე ავაშენე ქვეყანა ნავთობისა და გაზის გარეშე, ისეთი ცათამბჯენები, რომლებიც მათ** (იგულისხმებიან რუსები) **არც დაესიზმრებოდათ.“**

ბუნებრივია, ყოფილ **მთავარსარდალს არ უხსნებია, რომ რაღაც-რაოცეები არც საქართველოს მოსახლეობას ესიზმრება** (კოდორ-ახალგორიანად) და **საქართველოს რუკაც ისე დაცოტავდა**, რომ **იქ ახლა ერთი – საერთაშორისო საზოგადოების და სამი – რუსეთის მიერ აღიარებული პრეზიდენტია.**

სავარაუდოდ, **ოდესელები მეტად შეაფრთიანა ამ შეგონებებმა** და, იქნებ, მეტად **პოეტური მოტივითაც**: **„ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა და** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში) **რეფორმების დღესასწაული.“** –

# „ჯანმრთელი“ ავადმყოფები

## ანუ გაკვირვებულის გამკვირვებლები

მართალია, თავად **ისეთი ამბავი გადაგვხდა, თითქოს რაღა გაგვაკვირვებდა**, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **საქართველოს პარლამენტის მიერ ბუსუსებიანი პრეზერვატივების ყოფნა-არყოფნაზე ცხოველი მსჯელობა მაქვს მხედველობაში**, მაგრამ აღმოჩნდა, რომ **არც გამკვირვებელზე გამკვირვებელი დაილევა**.



კერძოდ, შესაძლოა, **ჩვენს ოკუპანტ ქვეყანაში შეიზღუდოს უცხოეთში სახელმწიფო შესყიდვები პრეზერვატივების**, დეფიბრილატორების, სტომატოლოგიური ინსტრუმენტებისა და სხვა ათეულობით სამედიცინო დანიშნულების რამე-რუმისა.

ამის შესახებ ნათქვამია „მინპრომტორგის“ მიერ მომზადებულ პროექტში, **რისი მიზანიც, ოფიციალური ვერსიით, სამედიცინო ბაზარზე კონკურენციის გამწვავებაა** (თუმცა, თუ არჩევანი არ იქნა, კონკურენციას რა გაამძაფრებს?!).

პრეზერვატივების შემოტანის შეზღუდვა იქით იყოს და, აკრძალვა უცხოური წარმოების ისეთ პროდუქციას შეიძლება შეეხოს, როგორიცაა **რენტგენის აპარატები, სკანერები, სტერილიზატორები, გულის ხელოვნური სარქველები, ანტისეპტიკური და მადეზინფიცირებელი პრეპარატები**.

ამის ფონზე **ბაზშვურ ახირებად მოჩანს**, რომ მიმდინარე კვირას **ბელგოროდში რფ-ის პრ.-ის ბრძანებულების თანახმად, გაანადგურებენ შვიდ ტონა ყველს**, რომლებიც რუსმა მესაზღვრეებმა დააპატიმრეს, **როგორც გაურკვეველი წარმოშობის** და ეჭვით, **რომ ის უცხოურია**.

ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ **რფ-ში პროდუქციის არცთუ სიმრავლეა, იქნებ უკრაინული „გოლოდომორის“ განმეორებას აპირებენ უკეთესი შედეგის საჩვენებლად**, თან იმის **დასამტკიცებლადაც**, რომ, საბჭოთა ავადმყოფისა არ იყოს, **რუსი ავადმყოფიც ყველაზე ჯანმრთელია ავადმყოფთა შორის! და კიდევ უფრო აქტუალური ხდება კითხვა: ჩვენ რა გვეშველება, ჩვენ?!** –

# „ვისი სული გსურს“?

## სასჯელი

ჩვენს **ჩრდილოურ სამეზობლოს** ჩვენმა **ოკეანისგაღმელმა პარტნიორებმა კვლევა ჩაუტარეს**, რომლის მიზანიც იმის გარკვევა იყო, თუ **რა უნდა რუს საზოგადოებას**, სახელდობრ, **ინტერნეტმომსახურების მიმართულებით** (კვლევის შედეგად მომზადებულ დასკვნას კი ჰქვია: **„რა სურს საზოგადოებას: რუსეთის მოქალაქეთა სურვილი ინტერნეტის კონტროლისადმი“).**

ჰოდა, გაირკვა, რომ **რუსეთის მოსახლეობის 60 პროცენტი თანახმაა, აიკრძალოს ინტერნეტი,** თუ მისი არსებობა ხელს უშლის ქვეყნის ნაციონალურ ინტერესებს ან მისგან საფრთხეა მოსალოდნელი.



ამას გარდა, **რუსეთელთა ნახევარს მიაჩნია, რომ ინტერნეტში განთავსებული მასალების ცენზურა აუცილებელია**; **73 პროცენტი კი დარწმუნებულია**, რომ **არ ღირს სახელმწიფო მოხელეთა შესახებ უარყოფითი ინფორმაციის გამოქვეყნება.**

**42 პროცენტის აზრით, უცხოური სახელმწიფოები ინტერნეტს იყენებენ რუსეთის სახელმწიფოსა და მისი ინტერესების წინააღმდეგ.**

**მესამედი ფიქრობს, რომ ინტერნეტის გამოყენება ზრდის სუიციდის რისკს**, მეოთხედი კი ვარაუდობს, რომ **ინტერნეტი საფრთხეს უქმნის ოჯახურ ღირებულებებსა და პოლიტიკურ სტაბილურობას.**

რაც ყველაზე საინტერესოა, **ინტერნეტცენზურის მომხრეთა შორის, 57 პროცენტს არასდროს უსარგებლია ინტერნეტით**, ხოლო **43 პროცენტი მისი მუდმივი მომხმარებელია.**

კვლევაში უხვადაა სხვა „მარგალიტებიც,“ ოღონდ, საგანგაშო ისაა, რომ კვლევის ცდომილება მხოლოდ 3-4 პროცენტია და კიდევ უფრო საგანგაშო, რომ ჩვენ **ასეთებთან მეზობლობა გვაქვს მოსჯილი.** –

**გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

# რატომ გადაწყდა აფხაზეთში ჯარის შეყვანის თარიღად 14 აგვისტოს არჩევა, რატომ აჩქარებდა ედუარდ შევარდნაძე თენგიზ კიტოვანს და როგორ აასრულა ვლადისლავ არძინბამ მუქარა, რომ პირველად ქართველს ასროლინებდა

მართალია, აფხაზეთის კონფლიქტის დაწყების ოფიციალურ თარიღად, რაც, მოგვიანებით თითქმის წელიწადნახევრიან ომში გადაიზარდა, რის შედეგადაც ახლა უკვე რფ-ის მიერ აღიარებული დამოუკიდებელი აფხაზეთი მივიღეთ, 1992 წლის 14 აგვისტო სახელდება, თუმცა მოვლენების განვითარების საომარი ლოგიკა უფრო ადრე იკითხებოდა.

***ჩვენ არ შევჩერდებით აფხაზეთში მიმდინარე პროცესების სრულ ანალიზზე, რის გაკეთებაც ერთ საჟურნალე მასალაში შეუძლებელია, უბრალოდ მოვისმენთ იმდროინდელი ვითარების თვითმხილველებისა და მონაწილეების ნაამბობს, რომლებიც უშუალოდ ომის დაწყებამდე არსებულ ვითარებასა და ომის პირველ დღეებს შეეხება.***

## ომის პრელუდია

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრი **აკაკი გასვიანი** იხსენებს, რომ 14 აგვისტომდე სამჯერ მოხერხდა ომის თავიდან აცილება. „თავდაპირველად, კონფლიქტური ვითარება შეიქმნა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დროს, როდესაც გალში დაინიშნა პრეფექტი და დღის წესრიგში დადგა ოჩამჩირის პრეფექტის დანიშვნის საკითხი. ჩვენთან **მოვიდნენ აფხაზური დელეგაციის წარმომადგენლები და პირდაპირ განგვიცხადეს, რომ, თუკი ოჩამჩირეში მათ უკითხავად დაინიშნებოდა პრეფექტი, ისინი ომს დაიწყებდნენ.** მაშინვე ჩამოვედით თბილისში, შევხვდით პრეზიდენტ გამსახურდიას, გავაცანით რეალური სიტუაცია. სამწუხაროდ, **პრეზიდენტს ატყუებდნენ, თითქოს გვქონდა შეიარაღება და მზად ვიყავით დაპირისპირებისთვის**. მაგრამ, როდესაც დეტალურად მოვახსენეთ ყველაფერი, ვუთხარით, თუ რომელი რუსული სამხედრო ნაწილები უჭერდნენ მხარს აფხაზებს, როგორი შეიარაღება გააჩნდათ მათ, **ოჩამჩირის პრეფექტის დანიშვნის საკითხი მოიხსნა. ამის შემდეგ ეშერაში შევხვდით აფხაზებს და დაძაბულობაც განელდა.**

*მეორე შემთხვევა 1992 წლის აპრილში მოხდა,* ***როდესაც მდინარე ენგურს გელა ლანჩავას მეთაურობით, რამდენიმე ბატალიონი მოადგა.*** *ქართველი და აფხაზი დეპუტატებისგან შემდგარი დელეგაცია, მათ შორის იყო სერგეი ბაღაფშიც, შევხვდით ბატონ ლანჩავას, ავუხსენით, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათ შემოსვლას და უკან გავაბრუნეთ.“*

**საინტერესოა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალების შესვლას აფხაზეთის ქართველობა ითხოვდა.** 1992 წლის მაისში სოხუმის დეპოც კი გაიფიცა **ამ მოთხოვნით, თუმცა აკაკი გასვიანი იხსენებს, რომ მათთან მივიდა** აფხაზთა ჯგუფი და გაფიცვის შეწყვეტა სთხოვეს: წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სისხლიანი დაპირისპირება გარდაუვლად მიაჩნდათ.

თუმცა უკვე გამზადებული სცენარი არ ითვალისწინებდა ერთიან სივრცეში აფხაზებისა და ქართველების მშვიდობიან თანაცხოვრებას. იმას გარდა, რომ მთიელ ხალხთა კონფედერაციამ სოხუმი კონფედერაციის დედაქალაქად გამოაცხადა და თბილისი ჯეროვნად ვერ აკონტროლებდა აფხაზეთის ტერიტორიას, სადაც ძლიერი იყო პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეების გავლენა, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მასობრივად დაიწყო ქართველების თანამდებობებიდან გათავისუფლება, დაპირისპირების კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით.

**აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართველი დეპუტატები ირწმუნებიან, რომ არსებობს** აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის სტენოგრამა, როდესაც ვლადისლავ არძინბა დაუფარავად ამბობს: „გავაკეთებ ყველაფერს, რომ პირველად ქართველმა ისროლოს“.

არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა კონფლიქტის 1992 წლის ოქტომბრამდე დაწყებასაც, რადგან სწორედ ოქტომბერში იგეგმებოდა



თენგიზ სიგუა: „სქემა არძინბასთან შეთანხმებული იყო ტელეფონით, 14-ში მე ჩავფრინდი სოხუმში, არძინბა დამემალა. ჩვენ შეგვხვდნენ ბაღაფში და ანქვაბი. თქვეს, იცოდნენ, რომ შევარდნაძე ელაპარაკა არძინბას და ის თანახმა იყო

მთელ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები, რომ 1991 წლის 21 დეკემბრის გადატრიალების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული სამხედრო საბჭო მოგვიანებით სახელმწიფო საბჭოდ ქცეული, ლეგიტიმურ ორგანოს ჩაენაცვლებინა.

## ნებაყოფლობით – ხაფანგში

1992 წლის აგვისტოში ქვეყანას მართავდა არა ოთხეულისგან (შევარდნაძე, კიტოვანი, იოსელიანი, სიგუა) შემდგარი სამხედრო საბჭო, არამედ უკვე სახელმწიფო საბჭო, რომლის პრეზიდიუმსაც კვლავ ზემოხსენებული ოთხეული ამშვენებდა.

1992 წლის 11 აგვისტოს სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის დასაცავად ქართული საჯარისო ფორმირებები შევიდოდნენ **(დღემდე სწორედ რკინიგზის ძარცვის შედეგად მიყენებული 12 მილიარდი მანეთი ზარალია აღიარებული ჯარების შეყვანის მიზეზად). საგულისხმოა, რომ პრეზიდიუმის თითოეულ წევრს ჰქონდა ვეტოს უფლება, მაგრამ არც ერთ მათგანს ის არ გამოუყენებია. თუმცა თენგიზ სიგუა დღემდე ამტკიცებს, რომ ჯარების შეყვანის წინააღმდეგი იყო და ოპერაციაში მხოლოდ პოლიციას, შინაგან ჯარსა და რკინიგზის გასამხედროებულ დაცვას უნდა მიეღო მონაწილეობა, ოღონდ ვეტოსთვის არც მას მიუმართავს, მოტივით: „აზრი არ ჰქონდა“.**

**11 აგვისტოს სხდომის სტენოგრამაში, რომელიც ნათლად გამოხატავს ოთხეულის მთავარი ფიგურის პოზიციას, ვკითხულობთ:** „ედუარდ შევარდნაძე: **რაც უნდა მოხდეს, თბილისისა და სომხეთისკენ მიმავალი ტვირთები უნდა მივიღოთ შეუფერხებლად. ტვირთების უსაფრთხოებაზე, გატარებაზე მთლიანად იკისრებს პასუხისმგებლობას თავდაცვის სამინისტრო.**

**...საერთო ხელმძღვანელობა დაევალება გენერალურ შტაბს. ყველაფერი იქნება, როგორც უნდა იყოს სამხედრო უწყებაში: პროფესიულ დონეზე მომზადებული, დამუშავებული, შედგენილი გეგმები...** და რაც უფრო ადრე დავიწყებთ, მით უკეთესია. **ცოტა დრო დასჭირდებათ** სამხედროებს, **მაგრამ** გუშინ ვთხოვე, დაჩქარებულიყო ეს პროცესი. გადადება საქმის არ შეიძლება, არც სხვა გამოსავალი არის**. შეიძლება, ზოგიერთმა შემახსენოს, რაც ადრე მითქვამს: მაგრამ** ნაადრევია ისევ სირბილისა და გულმოწყალების გამოჩენა, მოსახლეობაში ასეთი განწყობა არ არის...

მე არ ვარ სასტიკი ზომების მომხრე, მაგრამ ახლა სისუსტე, შეიძლება, უფრო ძვირი დაგვიჯდეს მომავალში.“

ფაქტია, ლამის დიპლომატიის მამად აღიარებული ედუარდ შევარდნაძე „შეცდა“, იმაზე ძვირად, რაც 1992 წლის 14 აგვისტო დაუჯდა ქართულ სახელმწიფოს, ძნელად წარმოსადგენია რამის დაჯდომა.

## რატომ 14 აგვისტო?!

თენგიზ კიტოვანმა ოპერაციის მოსამზადებლად 10-დღიანი ვადა ითხოვა, **მაგრამ მას თითქოს ედუარდ შევარდნაძე აჩქარებდა.** თენიზ სიგუა: **„გენერალური შტაბის მიერ დამუშავებული გეგმის თანახმად, საქართველოს ყველა რაიონიდან უნდა ჩამოსულიყვნენ ჯარის სხვადასხვა ნაწილები თბილისში. აქ უნდა შემდგარიყო ერთიანი სამატარებლო სისტემა და ტექნიკა და ჯარი ერთობლივად უნდა გასულიყო აფხაზეთში რკინიგზით. მაგრამ,** ვინაიდან მოსამზადებლად გამოიყო არა ათი, არამედ, სამი დღე, ამის გაკეთება ვერ მოხერხდა. გვარდიის სხვადასხვა ნაწილის ხელმძღვანელები საქმის კურსშიც კი არ იყვნენ. ისინი თავიანთ ნაწილებს თბილისში ჩამოსაყვანად ამზადებდნენ და გზაში გაიგეს, რომ გეზი პირდაპირ დასავლეთისკენ უნდა აეღოთ. შეიქმნა ქაოსი და უკვე რთული იყო იმის გარკვევა, ვინ სად მიდიოდა და რისთვის. შეიარაღებული ნაწილების თბილისში ჩამოყვანის ერთიანი და მწყობრი სისტემა დაირღვა.“

არც ერთ სამხედრო მეთაურს არ ჰქონდა მოქმედების კონკრეტული გეგმა, სამხედრო ნაწილებსა და ხელმძღვანელობას კი – ერთმანეთთან დაკავშირების საშუალება, რომ შეთანხმებულად ემოქმედათ.

**რკინიგზის ნაცვლად, ქართული შეიარაღებული ნაწილები აფხაზეთის ტერიტორიაზე საავტომობილო მაგისტრალით შევიდნენ.**

ქართული მილიციის ნაწილს ჩასაფრებიდან აფხაზურმა მხარემ ოჩამჩირესთან ცეცხლი გაუხსნა, **რასაც** საპასუხო სროლა მოჰყვა, **დაიღუპა ოთხი ქართველი მილიციელი, რამდენიმე კი დაიჭრა.** ვლადისლავ არძინბამ რადიოთი მიმართა აფხაზ მოსახლეობას მოწოდებით: „ჩვენი სამშობლო საფრთხეშია, ქართველი ოკუპანტები შემოესივნენ ჩვენს ტერიტორიას".

თუმცა, სახელმწიფო საბჭოს წევრთა მტკიცებით, ვლადისლავ არძინბასთან შეთანხმებული იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული შეიარაღებული ნაწილების შესვლაც და გადაადგილების მარშრუტიც.

თენგიზ სიგუა: **„სქემა არძინბასთან შეთანხმებული იყო ტელეფონით,** 14-ში მე ჩავფრინდი სოხუმში, არძინბა დამემალა **და, როგორც მოგვიანებით გავიგეთ, სოხუმში, შუქურაზე დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ნაწილში იმყოფებოდა. ჩვენ შეგვხვდნენ მეორე, მესამე პირები და** ყველამ თქვა, იცოდნენ იმის შესახებ, რომ შევარდნაძე ელაპარაკა არძინბას და ის თანახმა იყო.

**დილამდე ვიმუშავეთ ამ დოკუმენტზე, ყველა საკითხი შევათანხმეთ. მე ვუთხარი მათ, რომ თბილისის მხრიდან მე მოვაწერდი ხელს, ხოლო სოხუმის მხრიდან კი, მათ უნდა მოეწერათ ხელი.** იქ იყვნენ ბაღაფში და ანქვაბი, მათ განაცხადეს, მათ უფლებამოსილება არ გააჩნდათ, ამიტომ აუცილებლად იპოვიდნენ არძინბას და ხელს მოაწერინებდნენ."

ვლადისლავ არძინბამ ხელი არ მოაწერა დოკუმენტს, პირველი ტყვიაც გავარდა და ომის ხორცსაკეპი მანქანაც ამოძრავდა ქართული საზარბაზნე ხორცის საფუძვლიანად გადასამუშავებლად.

### რუსული ხელგაშლილობა – მძიმე ტექნიკა საჩუქრად

გია ყარყარაშვილმა აფხაზეთში შესვლის შესახებ თავდაცვის მინისტრის მიერ ჩატარებულ თათბირზე შეიტყო**. ის** წინააღმდეგი იყო, **რადგან, მისი თქმით, ამოცანის შესასრულებლად ქართული შეიარაღებული ძალები მზად არ იყვნენ სათანადო მომზადების გარეშე. თუმცა** ოპერაციას 19 აგვისტოს შეუერთდა **თავისი შენაერთით – „თეთრი არწივის" ბატალიონით** და კელასურში დაბანაკდა.

**19 აგვისტოს თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი სოხუმში იმყოფებოდნენ.** თენგიზ სიგუა**: „ჯარი უკვე გასულია ქალაქიდან,** ეშერის სტრატეგიული სიმაღლეები ჩვენს ხელშია და ამ დროს ისმის სატელეფონო ზარი. შევარდნაძე **მე ან კიტოვანს კი არ მირეკავს, არამედ,** ყარყარაშვილს **და** ეუბნება — ჯარი უკან გადმოიყვანეო. **ხაზს ვუსვამ, ლაპარაკია გუმისთაზე გადასული ჯარის უკან დაბრუნებაზე. აი,** მაშინ მივხვდით, რომ ის ცუდ თამაშს თამაშობდა."

**ომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე საქართველოში დისლოცირებულმა ამიერკავკასიის ჯარების სარდლობამ საქართველოს საკმაო რაოდენობის მძიმე ტექნიკა (მათ შორის, 32 ტანკი) და შეიარაღება გადმოსცა.** თენგიზ კიტოვანი **იხსენებს, რომ** თავად ჩაფრინდა მოსკოვში და ხელიც უპრობლემოდ მოუწერეს ახალციხის დივიზიის გადმოცემის საბუთზე. **ახლა უკვე დღესავით ნათელია, რომ თუ საკმარისი რაოდენობის იარაღი არ იქნებოდა, ომის სცენარი სათანადო სიმძაფრით ვერ განხორციელდებოდა, თუმცა ოდნავ გონიერი ადამიანი ამ ლოგიკას მაშინაც იოლად ამოიკითხავდა.**

მით უფრო, რომ საქართველოში ამიერკავკასიის ოლქის სარდალმა გარკვევით თქვა: თქვენ გაქვთ საკმარისი შეიარაღება, რომ მოაგვაროთ საკუთარი პრობლემები.

თენგიზ კიტოვანი: **„ელცინს მოელაპარაკა გრაჩოვი და** სწორედ ელცინმა გასცა ამგვარი ბრძანება. საერთოდაც, ელცინის გარეშე არაფერი წყდებოდა."

ქართველებმა შეიარაღება სიხარულით გადმოიბარეს და მათ ნაწილს ეჭვიც არ აულიათ, რომ საბოლოოდ იქცნენ ქვეყნის დაშლის სისხლიანი სცენარის მარიონეტებად.

### უაკუმულატორო ტანკები

გუჯარ ყურაშვილი **(გენერალი): „ჩვენი ბრიგადა წვევამდელებით იყო დაკომპლექტებული, არც ერთი რეზერვისტი არ გვყავდა.** როდესაც აფხაზეთში შესვლის ბრძანება მივიღეთ, თავდაპირველად, სადღაც 700-800 კაცამდე წავედით**. ჯერ სამტრედიაში განვლაგდით. სწორედ მაშინ ჩამოვიდა ახალციხიდან ტანკებით დატვირთული ეშელონი. როდესაც ეშელონი ჩამოდგა, ამ დროს სამტრედიის სასტუმროში თათბირი ტარდებოდა, სადაც ითქვა, რომ ეს ტანკები ყველა დანაყოფისათვის უნდა გაენაწილებინათ.** ჩემმა ჯარისკაცებმა გადმოიტანეს ის ტანკები, გადმოიყვანეს ქალაქში და მოედანზე განალაგეს**. როდესაც გაანაწილეს,** ყველა ჩემს ჯარისკაცებთან მოდიოდა და ეხვეწებოდა, გვასწავლეთ, როგორ ავამუშავოთო**. სხვათა შორის,** არც ერთ ტანკს არ ჰქონდა აკუმულატორი. სიარული და სროლა შეიძლებოდა, მაგრამ შესაძლებლობების ნახევარი დაკარგული ჰქონდათ**. ჩვენმა ჯარისკაცებმა ისე ჩაიყვანეს კოლონა აფხაზეთში, რომ ერთი ტანკიც არ გადავარდნიათ, მაშინ როცა ბევრს გაუჩერდა, ზოგს გზიდან გადაუვარდა."**

### ერთგულების მტკიცებულება

**ფელიქს ტყებუჩავა ომის დროს აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორი იყო და მაშინაც დარწმუნებული გახლდათ, რომ აფხაზეთში ჯარების შეყვანის ნამდვილი მიზანი ის იყო, რითაც დასრულდა ეს ტრაგედია — ქართველების ეთნოწმენდა და ტერიტორიის გადაცემა რუსეთისთვის.** ფელიქს ტყებუჩავა**: „ბუნებრივია, იკითხავთ, რატომ იყო ამის გაკეთება აუცილებელი? იმიტომ, რომ შევარდნაძეს განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა საქართველოში, რათა რუსეთისგან უპირობო მხარდაჭერა მიეღო. ერთი სიტყვით, რათა შევარდნაძე ჩათვლილიყო რუსეთის გავლენის გარანტად საქართველოში, მას უნდა შეესრულებინა გარკვეული პირობები. რადგან შევარდნაძეს არ ენდობოდნენ რუსეთში და მათ ამის საფუძველიც ჰქონდათ. კერძოდ, როდესაც ის საქართველოში გამოგზავნეს, ელცინის ადმინისტრაცია და, მით უფრო, რუსი სამხედროები მიხვდნენ, რომ შევარდნაძემ დასავლეთს მიჰყიდა რუსეთის ინტერესები, თანაც, არცთუ უანგაროდ. აქედან გამომდინარე, ის, ფაქტობრივად, მტრად ჰყავდათ გამოცხადებული რუსებს. ხოლო ერთ-ერთი პირობა იმისათვის, რომ შევარდნაძეს დაესაბუთებინა თავისი აუცილებლობა და საკუთარი პერსონის სარგებლობა რუსეთისათვის საქართველოში იმ შემთხვევაში, თუკი დაამხობდნენ ეროვნულ მთავრობას და მას დასვამდნენ ხელისუფლების სათავეში, გახლდათ აფხაზეთის რუსეთისთვის გადაცემა."**

**ნინო ხაჩიძე**

## ექიმი გირჩევთ

კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო ეროვნული ცენტრი



ვახტანგ კვირკველია – ვირუსული ინფექციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

კითხვა: **სისხლის ანალიზის შედეგად გამომივლინდა ვენერიული დაავადების სიმპტომი: ჰერპესი I/II ტიპის IG (89.27). რაც წამლების მიღება დავიწყე, სიმპტომები უფრო გამირთულდა: მომემატა ქავილი, დამეწყო სითხის გამოსვლა (რაც აქამდე არ მქონდა). გთხოვთ, მიპასუხოთ: მართალია თუ არა, რომ სიმპტომების გამწვავება წამლების დაწყების შემდეგ, ნორმალური პროცესია? რამდენად სწორად არის ავექსონის ნემსი დანიშნული იმ სიმპტომებიდან გამომდინარე, რაც მე ამეღნიშნება?**

პასუხი: ის, რომ სისხლში აღმოჩდა ჰერპესის საწინააღმდეგო ანტისხეულები, არ ადასტურებს ფაქტს, რომ გამონაყარი აუცილებლად ჰერპესულია. რადგან ექიმმა დაგინიშნათ ანტიბიოტიკი – ანტივირუსული ეფექტი არ აქვს და ალბათ, საქმე გვაქვს ბაქტერიულ ინფექციასთან. ზოგადად, მკურნალობის დაწყებაზე გამწვავების რეაქცია მხოლოდ რამდენიმე დაავადებას აქვს. ჰერპესული ინფექცია ამ ჯგუფს არ მიეკუთნება.

კითხვა: **მამაკაცებში საზარდულის თიაქარი, როცა მამაკაცი ნაოპერაციევია, გავლენას თუ ახდენს განაყოფიერებაზე და შეიძლება თუ არა ამან უშვილობა გამოიწვიოს?**

პასუხი: საზარდულის თიაქარს არანაირი კავშირი არ აქვს მამაკაცის გენერაციულ ფუნქციასთან. შესაბამისად, ოპერაცია შვილოსნობაზე გავლენას არ ახდენს.

*შეკითხვებისთვის დარეკეთ: ტელ.: 599 58-44-01. ლუბლიანას №5 (ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს ტერიტორია).*

**რაკი რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს (გასაგები მიზეზების გამო), დიალოგის რეჟიმად კარასინი-აბაშიძის ფორმატი გამოიყენება. საზოგადოების ნაწილის აზრით, ეს ფორმატიც ზედმეტია და საერთოდაც უბრად უნდა ვიყოთ; მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ ეს ფორმატი უნდა გაფართოვდეს, განსაკუთრებით, გეოპოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, მათ შორის, საერთაშორისო ასპარეზზე ირანის გამოსვლის პერსპექტივის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა, საქართველოს დამატებით დატვირთვა შესძინოს. თუმცა ამ პროცესში რაღაც ფორმით რუსეთის ინტერესის დაცვაცაა გასათვალისწინებელი, რომ საქართველოს უსაფრთხოება მოექცეს როგორც დასავლეთის, ისე რუსეთის ინტერესის სფეროში. სანდრო თვალჭრელიძე რუსეთთან დიალოგის მომხრეა, თუ რა არგუმენტების გამო, ამას უშუალოდ მისგან შევიტყობთ.**

# რისი პოვნის იმედით აპირებს „როსნეფტი" აფხაზეთში ნავთობის საძიებო სამუშაოების დაწყებას და რა შემთხვევაში მოუწევს რუსეთს აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ჯარის შეშვება

**– თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთ-საქართველოს დიალოგის ფორმატი არ უნდა შემოიფარგლებოდეს კარასინ-აბაშიძის დონეზე. რატომ უნდა გაფართოვდეს ის და რამდენად პროდუქტიული და უსაფრთხო იქნება ჩვენთვის რუსეთთან პირისპირ, პარტნიორების გარეშე ლაპარაკი?**

– საერთოდ, ცუდი ლაპარაკი, როგორც წესი, კარგ ომს სჯობია, ამიტომ მე მეჩვენება, რომ ეს ლაპარაკი და მოვლენების ასეთი ლატენტური განვითარება უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ რუსეთში არ მოვა პუტინის შემცვლელი ადმინისტრაცია, რადგან რეალურ შედეგს ჩვენ პუტინის ადმინისტრაციის პირობებში ვერ მივაღწევთ: პუტინი არასდროს წაიღებს უკან თავის აღიარებას და ჩვენ არასდროს ვაღიარებთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს. ამდენად, მოლაპარაკება უნდა იყოს იმ დონეზე, რომ პროცესი არ გაჩერდეს და შესაძლებელია მრავალი ფორმატის მოლაპარაკებები: კულტურა, მეცნიერება, ვაჭრობა. ხომ ნახეთ, საუბარია, რომ ქართული პროდუქცია შეიძლება, არ შეუშვან რუსეთის ბაზარზე. ამდენად, მგონია, რაც შეიძლება, ღრმა უნდა იყოს დიალოგი სხვადასხვა დონეზე.

**– თქვენც თქვით ახლა, რომ რუსეთის სანიტარულმა სამსახურმა კვლავ დაიწუნა ქართული ღვინის ხარისხი, გასაგებია, ეს საბაბია და არც ახალი მეთოდია, ასე იქცევა რუსეთი მუდმივად. რუსეთი არის პარტნიორი, რომელიც ასრულებს თავის ვალდებულებებს, არის ის სანდო პარტნიორი?**

– რასაკვირველია, არ არის სანდო პარტნიორი, ადამიანი, რომელიც აწერს ხელს ხელშეკრულებას, ვგულისხმობ ელცინს და თავის თავზე იღებს მშვიდობის უზრუნველყოფას აფხაზეთში, მაგრამ იწყებს ომს, როგორ შეიძლება, იყოს სანდო პარტნიორი?! მაგრამ დღეს აღარ არის გასული საუკუნის 90-იანი წლები და საქართველოც ის ქვეყანა არ არის, როგორიც მაშინ იყო. ის უკვე შემდგარი სახელმწიფოა, მის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მილსადენები და არის საერთაშორისო ცივილიზაციის ფორპოსტი, ამიტომ რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებების ასეთი დარღვევები გამოიწვევს სანქციების გაღრმავებას და საბოლოოდ, რუსეთი მიაღწევს იმას, რომ დაიშლება, თუკი პუტინის პოლიტიკა გაგრძელდა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე რუსეთში ადმინისტრაცია შეიცვლება.

**– ამ იმედის საფუძველს რა გაძლევთ? პუტინის დამხობი ძალა ჯერ არ ჩანს და სახეც გადაპრიალებული აქვს, ანუ კარგად გრძნობს თავს.**

– მე მაინც მგონია, რომ პუტინი იზრუნებს თავისი მილიარდების შერჩენაზე. ამიტომ ის, ალბათ, ჭკვიანურად წავა პოლიტიკიდან.

**– არის მოსაზრება, რომ დასავლეთი და რუსეთი გარიგდნენ უკრაინის ბედზე და შესაძლოა, სამხრეთ კავკასიაზე და სანაცვლოდ მოსკოვი მხარს დაუჭერს დასავლეთს ირანთან მიმართებაში.**

– არ მგონია, იმიტომ რომ, ირანი რუსეთის ბუნებრივი მეტოქეა. ირანში ნავთობისა და გაზის მარაგი უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთში და როდესაც სანქციები მოეხსნება, ირანი მოითხოვს თავის ადგილს „ოპეკში" და ძალიან მალე ჩაანაცვლებს რუსულ ნავთობსა და გაზს. თუმცა მათ სჭირდებათ ინფრასტრუქტურის შექმნა, მილსადენების გაყვანა, გათხევადებული გაზის ტერმინალების აშენება, მაგრამ ეს გაკეთდება.

**– სანამ ეს გაკეთდება, მანამ რუსეთსაც აქვს ბერკეტები ხელის შესაშლელად. როდესაც თქვენ ამბობთ, რომ საქართველომ თუ დასავლეთმა რაღაც ლუკმა უნდა მისცეს რუსეთს, საქართველოს რის მიცემა შეუძლია, როდესაც თვითონაც ლუკმების იმედზეა?**

– საქართველომ შეიძლება, ბევრ რამეზე



**ყველაზე ცუდი ის არის, თუ არცერთი მილსადენი არ გავა და თუ ირანმა პირდაპირ თურქეთის გავლით გაიტანა თავისი ენერგომატარებლები, მაგრამ ირანი დაინტერესებულია არა მარტო სპარსეთის ყურით, არამედ შავი ზღვის აკვატორიითაც**

ელაპარაკოს, მათ შორის, ენერგიის გადაწოდების პროექტებზე, თუკი რუსეთს ამ პროექტებში ჩართვის სურვილი გაუჩნდება. რასაკვირველია, „სამხრეთი ნაკადი" განწირულია, ის მილსადენი არასდროს აშენდება, ისევე, როგორც არ აშენდება არც „ჩრდილოეთის ნაკადი". ამიტომ რუსეთს სხვა არაფერი დარჩენია იმ შესაძლებლობის გარდა, რომ მოელაპარაკოს საქართველოს მილსადენების გაყვანაზე საქართველოს ტერიტორიის გავლით.

**– მარშრუტი?**

– ერთადერთი მარშრუტია – აფხაზეთის გავლით, შემდეგ აქეთ და თურქეთისკენ.

**– თქვენ ვარაუდობთ, რომ ჩვენ ვიქნებით გამტარები ოთხივე მხრიდან: აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთისკენ და პირიქით და ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და პირიქით?**

– რუსეთი ცდილობს, ჩინეთისკენ გადაისროლოს თავისი ენერგონაკადები, მაგრამ არაფერი გამოსდის, საინვესტიციო ფული არ აქვთ, ხოლო ჩინეთი უარს ამბობს მილსადენების ინვესტირებაზე, თან, ჩინეთის ენერგეტიკის 80 პროცენტი ნახშირზეა დაფუძნებული და ენერგოპროექტებით ჩინეთი დაინტერესებული არ არის. რუსეთს სთავაზობს, გაიყვანე, მაგრამ შენი ფულით. ამის შესაძლებლობა კი რუსეთს არ აქვს. მეტიც, ნავთობსადენის მშენებლობა, რომელიც გაჰყავდა შორეულ აღმოსავლეთში, უფულობის გამო გააჩერა სკოვოროდინოში, აღმოსავლეთ ციმბირში და, დაახლოებით, 1 700-კილომეტრიანი მონაკვეთი კიდევ გასაყვანი აქვს. მას შეეძლო ამ მილსადენის გაყვანა, როდესაც ბარელი ნავთობი 140 დოლარი ღირდა, მაგრამ არა დღევანდელი ფასის პირობებში.

**– თუ რუსეთიდან მომავალი მილსადენი გაივლის საქართველოზე, მაშინ როგორია ირანული ენერგომატარებლების ტრანსპორტირების პერსპექტივა ჩვენს ტერიტორიაზე?**

– მე იმას ვამბობ, რომ რუსეთს სხვა ალტერნატივა არ აქვს გარდა ამ პროექტისა, სხვანაირად მას ირანი ჩაანაცვლებს.

**– რომელი პროექტია უფრო ხელსაყრელი ჩვენი უსაფრთხოებისთვის?**

– ორივე უნდა გავატაროთ და მედიატორები გავხდეთ მათ შორის.

**– ეს ორი, ერთმანეთის კონკურენტი, როგორ შეუთავსდება ერთმანეთს ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე? თეორიულად ამის წარმოდგენა იოლია, მაგრამ რეალურად?**

– რატომაც, არა?! ჩვენთან ღია სივრცეა, ვისაც უნდა ინვესტირება, ახორციელებს ინვესტიციას. ერთი მილსადენის გაყვანა სულაც არ ნიშნავს, რომ მეორის გაყვანა არ შეიძლება.

**– გარდა იმისა, რომ ეს საქართველოს ინტერესია, არ უნდა ემთხვეოდეს ჩვენი დასავლელი პარტნიორების ინტერესებს?**

– მე მეჩვენება, რომ ამის დალაგება შეიძლება და ჩვენი დასავლელი პარტნიორები დაინტერესებულები იქნებიან, მით უმეტეს, რომ ამ მოლაპარაკებების შემდეგ ჩვენ უნდა ავიღოთ ჩვენს თავზე საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე მილსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ამიტომ ჩვენი ჯარი შევა აფხაზეთში.

**– ეს რეალურად გეჩვენებათ თუ თეორიულად მსჯელობთ?**

– რეალურად მეჩვენება პოსტპუტინურ ეპოქაში. ეს მილსადენები ერთ და ორ წელიწადში არ აშენდება, ეს არის სამომავლო პროექტი და იმისთვის, რომ რუსეთმა შეინარჩუნოს თავისი სახელმწიფოებრიობა, მას მოუწევს დათმობაზე წასვლა.

**– ვარაუდობთ, რომ პოსტპუტინურ პერიოდში ვიღაც გადახედავს აღიარებას?**

– პუტინის შემდეგ პერიოდში, რასაკვირველია, ყველაფერს პუტინს დააბრალებენ.

**– რა საჭიროა მაშინ მოლაპარაკებები, თუ**

# რა ქონება აქვს ანა დოლიძეს და რა ოდენობის შემოსავალს იღებდა ის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშვნამდე

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძე 1979 წელსაა დაბადებული თბილისში. მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ უმაღლესი განათლება 2002 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მიუღია. 2004 წელს საერთაშორისო სამართალში სამართლის მაგისტრის წოდება მოუპოვებია ლეიდენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (ნიდერლანდები); 2013 წელს კი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გამხდარა (კორნელის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, აშშ).

ანა დოლიძის სამუშაო ბიოგრაფია 2000 წელს იწყება ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, სადაც ის 2011 წლის სექტემბრამდე იყო იურისტის თანაშემწე. 2001 წლის სექტემბრიდან 2002 წლის მაისამდე იყო საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის ტექნიკური დახმარებისა და დაფინანსების პროგრამის ასისტენტი, 2002-2003 წლებში – მოქალაქეთა ინტერესების დაცვის პროგრამის თანამშრომელი. 2004 წელს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე გახდა და ამ ფუნქციას 2006 წლამდე ასრულებდა. 2008 წლის აგვისტო-ოქტომბერში Stichting Russian Justice Initiative-ს კონსულტანტად მუშაობდა; 2008 წლის ნოემბრიდან 2009 წლის აგვისტომდე – ევროპისა და ცენტრალური აზიის პროგრამის (Human Rights Watch) მკვლევრად; 2010-2011 წლებში კი – ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის კონსულტანტად. 2015 წელს ის საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.



რაც შეეხება აკადემიურ გამოცდილებას: 2008 წლის აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით ბარდის კოლეჯში კითხულობდა ლექციებს; 2007-2008 წლებში ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მიწვეულ ლექტორად მუშაობდა; 2009-2012 წლებში მადრიდის უნივერსიტეტში კითხულობდა კურსს – კანონის უზენაესობა და დემოკრატიზაცია კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში; 2013-2015 წლებში კი დასავლეთ ონტარიოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორად მუშაობდა (კანადა).

რაკი ჩინოვნიკი სულ ახლახან გახდა, ქ-ნი დოლიძის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2015 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ და ოჯახის წევრებად მიუთითა: 2007 წელს ნიუ-იორკში დაბადებული შვილი, ანდრია და 1969 წელს დაბადებული მეუღლე ირაკლი კაკაბაძე.

ანა დოლიძის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა თბილისში, დიდ დიღომში (80 კვ. მ. ფართობის) და 2013 წლის ავტომანქანა „კი რიო" (რომელიც 2013 წელს შეუძენია 16 000 კანადურ დოლარად), ირაკლი კაკაბაძეს კი ეკუთვნის საცხოვრებელი ბინა თბილისში, კოსტავას ქუჩაზე (140 კვ. მ. ფართობის).

ანა დოლიძეს „საქართველოს ბანკში" გახსნილ ანაბარზე 40 000 აშშ დოლარი ერიცხება, კანადური ბანკის მიმდინარე ანგარიშზე – 2 500, ხოლო საკრედიტო ანგარიშებზე – 22 000 კანადური დოლარი.

2014 წლის განმავლობაში ანა დოლიძეს ლექციების წაკითხვამ 102 500 კანადური დოლარი მოუტანა, იარკლი კაკაბაძეს კი გაnდის ფონდში მუშაობამ (კოორდინაცია, ლექციების წაკითხვა) – 20 000 ლარი.

რაც შეეხება გასავლებს: ანა დოლიძეს გასულ წელს ბინის ქირავნობა 19 800 კანადური დოლარი დასჯდომია, ნივთების გადაზიდვა კი – 3 500 კანადური დოლარი, ხოლო შვილის მუსიკალური განათლება – 3 000 კანადური დოლარი.

**ნინო ხაჩიძე**

---

**ჩვენ ველოდებით პოსტპუტინურ პერიოდს?**

– არ შეიძლება ამ პროცესის შეჩერება, ჩვენ უნდა დავანახვოთ მსოფლიოს, რომ ყველასთან ლაპარაკისთვის ვართ მზად. სხვათა შორის, იმავეს ამბობს ამერიკის შეერთებული შტატები და ჩვენი დასავლელი მეგობრები, პოზიცია: ბუტე-ბუტე, გაგებუტე, აღარ გელაპარაკები, არ არის გამართლებული. მესმის, რომ ეს ძალიან რთულია და ამიტომ სახალხო დიპლომატიაა ასამუშავებელი. ბევრი არა, მაგრამ რუსეთში არიან ჯანსაღი ძალები, არიან ნორმალური მენტალიტეტის ადამიანები და მათთან მუშაობა აუცილებელია.

**– და ქართული დიპლომატიის პოტენციალი როგორია?**

– გასაძლიერებელია არადიპლომატიური რესურსებით, უბრალო ადამიანებით, მაგრამ ამას სჭირდება ძალიან კარგი გააზრება, კარგი სტრატეგიის შემუშავება და ადამიანების სნაიპერული სიზუსტით შერჩევა.

**– ამჩნევთ, რომ ხელისუფლება ამაზე მუშაობს?**

– სურვილს ვატყობ, მაგრამ ჯერჯერობით ქმედებები არ ჩანს.

**– უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო ევროპის რუსული გაზით მომარაგება არ შეფერხდება?**

– არავითარ შემთხვევაში, ეს იქნება ხარაკირი რუსეთისთვის, მაშინვე დაბლოკავენ მის ნავთობს, ანგარიშებს გაუყინავენ და ნუ გავიწყდებათ, რომ პუტინისა და სხვათა ანგარიშები სწორედ დასავლურ ბანკებშია.

**– მე მახსოვს, მთავარია, თვითონ პუტინს არ დაავიწყდეს. შევადაროთ რუსეთისა და ირანის გაზისა და ნავთობის მარაგი?**

– რუსეთი პირველ ადგილზე იყო საუკუნეების განმავლობაში, ახლა ირანმა გაასწრო. ირანი ამატებს და ამატებს თავის გაზის მარაგებს, ის ფლობს მსოფლიოში ნახშირწყალბადების ყველაზე მდიდარ შელფს სპარსეთის ყურეში, რომელთა ათვისება ნელ-ნელა დაიწყო. ასე რომ, ირანის მარაგი იწევს მაღლა, რუსეთისა კი მცირდება.

**– რუსეთის გაზმომარგების საქმე როგორაა?**

– რუსეთი მთლიანად არც არის გაზიფიცირებული, მისი მხოლოდ ერთი მესამედი; მთელი აღმოსავლეთ ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი, არაფერს ვამბობ ჩუკოტკაზე, კამჩატკასა და სახალინზე, არ არის გაზიფიცირებული.

**– მოვლენების განვითარების ყველაზე ცუდ შემთხვევაში რა ზარალი შეიძლება, მივიღოთ, რომ ორივე მარშრუტი აგვცდეს?**

– ყველაზე ცუდი ის არის, თუ არც ერთი მილსადენი არ გავა და ირანმა პირდაპირ თურქეთს გავლით გაიტანა თავისი ენერგომატარებლები, მაგრამ ირანი დაინტერესებულია არა მარტო სპარსეთის ყურეში, არამედ შავი ზღვის აკვატორიაში გასვლითაც. ამიტომ არ მგონია, რომ ეს მოლაპარაკებები ადვილად შეწყდეს, თან, ისინი მრავალი წელია, მიდის.

**– რუსეთს რა ალტერნატივა აქვს, თუ ჩვენზე არ გაივლის, რომ თურქეთში მოახვედროს თავისი ენერგომატარებლები?**

– ცდილობენ, გაატარონ შავი ზღვის ფსკერზე, მაგრამ, როგორც გითხარით, აქედან არაფერი გამოვა. ამდენად, სხვა ალტერნატივა არ აქვთ, აქვთ გათხევადებული გაზის ტერმინალების აშენების ალტერნატივა, მაგრამ სად ააშენებენ? შავ ზღვაში?! ეს დაკავშირებულია უზარმაზარ ინვესტიციებთან, მაგრამ რის შესაძლებლობა აქვს რუსეთს? უკვე გამოქვეყნდა მსოფლიო ბანკის მონაცემები და 2014 წელს 2013 წელთან შედარებით რუსეთის მთლიანი შიგა პროდუქტი 10-პროცენტითაა შემცირებული. ეს კატასტროფული მაჩვენებელია.

**– „როსნეფტმა" აფხაზეთში ნავთობის საძიებო სამუშაოების ჩატარების უფლება მოიპოვა. არის იქ რამე?**

– იქ ბევრი არაფერია, ყველაფერი ფოთის ტრავერსზეა. ჰგონიათ, რომ რაღაცას მონახავენ, მაგრამ რეალურად ვერაფერს, რადგან იქ არაფერი არ არის.

**– თუ ხელისუფლებამ მოლაპარაკებათა ფორმატი გააფართოვა რუსეთთან, ოპონენტები ხომ გამოიყენებენ ამას, როგორც ვითომდაც პოლიტიკური კურსის ცვლილებას?**

– ამიტომ ამისთვის პროფესიული პიარია საჭირო და არა ისეთი, როგორიც ჩვენს მთავრობას აქვს არჩეული. ეს უნდა გააკეთოს არა პრემიერ-მინისტრმა, არამედ – პიარის სპეციალისტმა.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

**მსახიობ ნინო ნინიძეზე, რომელიც, ცნობილი მსახიობის, ია ნინიძის ქალიშვილია, ბოლო დროს გავრცელდა ჭორი, თითქოს ის რუს რეჟისორზე გათხოვდა და შვილსაც ელოდება. თავად მსახიობი პირად თემებზე საუბარს ერიდება და დიდად არც სწყალობს ჟურნალისტებს. ამბობს, რომ არ უყვარს, როცა მასზე გადაუმოწმებელ ინფორმაციას ავრცელებენ ან არასწორად შიფრავენ მის საუბარს, რადგან, არასდროს მალავს საკუთარ ცხოვრებას და, თუ რამე სიახლე იქნება მის პირად თუ შემოქმედებით სფეროში, საზოგადოება ისედაც გაიგებს. ამის მიუხედავად, მსახიობი საკმაოდ თბილი და გულღია რესპონდენტი აღმოჩნდა. ნინოს ჩვენ მოსკოვში დავუკავშირდით და საკმაოდ გულახდილი ინტერვიუც ჩავწერეთ.**

# რატომ არ ოცნებობს ნინო ნინიძე თეთრ საქორწილო კაბაზე და რა ოცნება არ აუსრულა მან დედას

**ნონო ნინიძე:** დაბადებიდან იღბლიანი ვარ, მჯერა ჩემი შესაძლებლობების და ვცდილობ, არ დავზოგო ძალები, ბევრი ვიშრომო და მივაღწიო წარმატებებს. ყოველთვის მჯეროდა, რომ ყველაფერი გამომივიდოდა და ასეცაა. რასაკვირველია, სირთულეებიც მხვდება, მაგრამ, მათი გადალახვა ადვილად შემიძლია. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი დაუგეგმავად ხდება. მიმაჩნია, რომ სწორად ვცხოვრობ, ვცდილობ და გამომდის. არასდროს, არაფერი დამიგეგმავს – ეს არ მჩვევია. თუ შრომა გიყვარს, ყველაფერი გამოგივა.

**– ცნობილი ადამიანების შვილები ერთგვარად დაჩაგრულები არიან – ორმაგი შრომა უწევთ, რომ საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ ნებისმიერ სფეროში, რადგან მშობლის სახელის გავლენა მთელი ცხოვრება მიჰყვებათ, მათ ნიჭიერებასა და შესაძლებლობებს ფარავს. მეთანხმები?**

– მართალია, როცა ცნობილი მშობლის შვილი ხარ, ორმაგი შრომა გიწევს, რომ მისმა სახელმა არ გადაფაროს შენი შესაძლებლობები. როცა ინსტიტუტში ვაბარებდი ან გადასაღებ მოედანზე მივდიოდი, მეუბნებოდნენ, უი, შენ ია ნინიძის ქალიშვილი არ ხარო? ეს არ მსიამოვნებდა. მე ვარ ნინო და მიყვარს, როცა ჯერ მე მაფასებენ ჩემი ნიჭიერებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე და მერე უსვამენ ხაზს, რომ მე, მსახიობ ია ნინიძის შვილი ვარ. თუმცა, დღეს რუსეთში ჩემი სახელი დავიმკვიდრე და, როცა სინჯებზე მივდივარ, არავინ იცის, ვისი შვილი ვარ – არ მიყვარს ამის აფიშირება. მე მინდა, ჩემი ნიშა დავიკავო და ჩვენს დედაშვილობას ამასთან არანაირი კავშირი არ აქვს. კი ბატონო, დედა ჩემი საუკეთესო მეგობარია, მას არაფერს ვუმალავ და, ვიცი, ჩემი წარმატება ყველაზე მეტად მას ახარებს. სხვათა შორის, ახლახან დავასრულეთ რუსეთის პირველი არხისთვის სერიალის გადაღება. დედა ძალიან მგულშემატკივრობდა და ის სულ მალე გამოვა ტელეეკრანზე. ამ სერიალში მთავარი როლი მაქვს – გამომძიებლის საცოლე ვარ. ჩემი საქმროს, ქართველი გამომძიებლის როლს კი ქართველი მსახიობი – ზაზა ჭანტურია თამაშობს, რომელიც კიევში ცხოვრობს. ამ სერიალში იტალიური წყვილივით ვართ – ხან ვჩხუბობთ, ხან ვრიგდებით, ხან ვეჭვიანობთ, უყურადღებობასაც ვპატიობ და მაინც გვიყვარს ერთმანეთი. მოკლედ, სასაცილო საცოლე ვარ, ზაზა კი ძალიან ემოციური საქმროა ***(იცინის).***

**– ვიცი, არ გიყვარს პირად საკითხებზე საუბარი, მაგრამ, რადგან სიყვარულზე ჩამოვარდა საუბარი, გეტყვი: ჭორი გავრცელდა შენზე, რომ ცნობილი რუსი რეჟისორი კირილ პლეტნოვი და შენ დაოჯახდით და შვილსაც ელოდებით, მაგრამ ამას მალავთ.**

– პირადულ თემებზე მართლა არ მიყვარს საუბარი, თუმცა ეს ჭორი მეც გავიგე. ისე დამიწერეს – გათხოვდა და შვილს ელოდებაო, არც კი დამირეკეს, რომ გადაემოწმებინათ. მე დასამალი არაფერი მაქვს, ყველასთან სუფთა და გულღია ურთიერთობა მაქვს. მძულს ტყუილი და, მინდა, მართალი ვიყო ყველას წინაშე. თუმცა, რომ დაერეკათ და ეკითხათ, ორსულად თუ ხარო, მაინც არ ვუპასუხებდი. გეტყვით, რომ, დიახ, კირილი შეყვარებულია ჩემზე, ამას ვერ უარვყოფ, მაგრამ შვილს ჯერ ვერ ვხედავ ***(იცინის).***

**– ანუ, ურთიერთობის დაკანონებას ჯერ არ გეგმავთ?**

– მართლა არ ვიცი, რა იქნება ხვალ, მაგრამ დღეს ბედნიერი ვარ. თეთრ ლამაზ კაბაზე არასდროს მიოცნებია, არც ის მიფიქრია, შეყვარებული ოჯახში მოვიდეს ჩემი ხელის სათხოვნელად – მე ამ საკითხში თავისუფალი ვარ. კიდევ ვამბობ, მე დასამალი არაფერი მაქვს, დედაჩემთანაც გულახდილი ვარ და ჩემი ყოველი ნაბიჯი იცის. ისეთ რამეს არ გავაკეთებ და არც ვიკადრებ, რაც მას არ მოეწონება.



**მე სასაცილო საცოლე ვარ, ზაზა კი ძალიან ემოციური საქმრო**

## ისეთი მწარე ენა მაქვს...

**– როგორი დედაა ია და, თუ გინდა, რომ შენც ისეთი დედა იყო, როგორიც ის არის?**

– დედაჩემი ჩემი მეგობარი კი არა, დასავითაა, მანაც იცის ჩემზე ყველაფერი და მეც ვიცი. სხვათა შორის, დედაჩემის ოცნება იყო, მომღერალი გამოვსულიყავი და არა მსახიობი. კარგი სმენაც მაქვს, კარგადაც ვმღერი და სცენაზე, როლის თამაშის დროს, ეს ძალიან მეხმარება. ია ძალიან ობიექტურია და არასდროს მელაპარაკება მკაცრი დედასავით. დედობა ისეთი რამეა, არც კი ვიცი, მე როგორი დედა ვიქნები – მკაცრი თუ რბილი, თუმცა, მინდა, ჩემს ოჯახში დედაჩემივით ღია ურთიერთობები იყოს და არავის არაფერი ჰქონდეს დასამალი. როცა დედა კარგად არ იცნობს თავის შვილს და არ არის ურთიერთგაგება, შვილს ერიდება მშობელთან გულღია საუბარი და იქ ყოველთვის ჩნდება ბარიერი.

**– ამბობენ, ლამაზ ქალს გარეგნობის წყალობით უმართლებს, ადვილად გამოსდის საქმე და ადვილად აღწევს წარმატებებსო...**

– ამ აზრს ვერ დავეთანხმები, რადგან ჩემი გარეგნობა, ხანდახან ხელსაც მიშლის. მინდა, ჩემი ნიჭით, შესაძლებლობებით და უცხო გარეგნობით შემაფასონ და არა მხოლოდ სილამაზე დაინახონ ჩემში. ერთმა რეჟისორმა მითხრა სინჯებზე, როგორი ჭკვიანი თვალები და გამოხედვა გაქვსო. რასაკვირველია, მესიამოვნა, მაგრამ, ისეთი მწარე ენა მაქვს – „რა ლამაზი ხარ და იქნებ... – ამაზე საკადრის, „პაკა" პასუხს გავცემ ***(იცინის).***

**– ნინო, მოსკოვი ის ქალაქია, სადაც შენი ოცნებები ახდა?**

– რასაკვირველია, მოსკოვში ჩემი ოცნებები ახდა და ამას ვერ უარვყოფ. აქ ვმუშაობ, პროფესიონალურად ვიზრდები და მიხარია, რომ მოსწონთ ჩემი შესრულებული სახასიათო როლები. მინდა, ბოლომდე გამოვიყენო ჩემი ნიჭი და შესაძლებლობები, ოღონდ, არ ვარ კარიერისტი, ასე არ გეგონოთ. ვფიქრობ, როცა საყვარელ საქმეს აკეთებ და ის კარგად გამოგდის, პირად ცხოვრებაშიც გაგიმართლებს. მე ჩემი ქართველობით ვამაყობ და, დამიჯერეთ, ჩემი გენეტიკა და ტემპერამენტი რუსეთში კარგად ჭრის. რუსი გოგონას როლიც მითამაშია და ქართველისაც და მაყურებელს ორივე დადებითად მიუღია. შენი ქართველობის გამო რომ ვინმე გბლოკავდეს რუსეთში – ეს ტყუილია. ახლახან დავასრულეთ, ასევე, რუსეთის პირველი არხისთვის გადაღებები, სადაც მოთხრობილია ისტორია ქართველებზე და მე ქართველი გოგონას როლი მაქვს ამ ფილმში. რადგან ქართველი ვარ, ამიტომ ვინმე ცალი თვალით მიყურებდეს – ეს აბსურდია. პოლიტიკა არ ეხება კულტურას; არ აინტერესებთ, რა გქვია და რა გვარი ხარ, მთავარია, რას წარმოადგენ და როგორი ადამიანი ხარ.

**ნონა დათეშიძე**

**საცეკვაო პროექტი ARROW, რომელიც 4 ქართველი პროფესიონალი მოცეკვავით არის დაკომპლექტებული, თითქმის მთელ მსოფლიოში სარგებლობს განსაკუთრებული სიყვარულით, მოწონებითა და აღფრთოვანებით. ჯადოსნური ცეკვა, სცენაზე დანთებული ცეცხლი, საოცარი პლასტიკა და ისრის სისწრაფე (ამიტომაც შეერქვა პროექტს ARROW – „ისარი") – ასე ახასიათებენ ცნობილი შოუები, ცირკები, გამოცემები 4 ქართველი პროფესიონალი მოცეკვავის საქმიანობას მსოფლიოში ყველაზე წარმატებულ შოუებში, სატელევიზო პროექტებში, ცირკსა და სცენაზე. მალხაზ ელიავა ამ პროექტის ერთ-ერთი სულისჩამდგმელია, რომელიც 11-წლიანი განშორების შემდეგ საქართველოში რამდენიმე თვით დაბრუნდა.**

# რა შემოთავაზება მიიღო მალხაზ ელიავამ პრინცესა სტეფანიასგან და როგორ მონაწილეობს ის სამ ქართველ მოცეკვავესთან ერთად მსოფლიოს უდიდეს სცენებზე

**მალხაზ ელიავა**: გალში ვარ დაბადებული, დევნილობის შემდეგ წამოვედით თბილისში. აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლში ვცეკვავდი, შემდეგ – „სუხიშვილებში" და 2004 წელს წავედი უკრაინაში. იქ შევქმენი ბალეტი „ჯორჯია", რომელიც ქართველი სტუდენტებით დავაკომპლექტე. გარდა ამისა, კიევშია საქართველოს ასოციაცია და იქ ვასწავლიდი ცეკვას. საფრანგეთში, კერძოდ კირვილერში, არის მუსიკალური ცენტრი, ევროპაში პირველი კაბარე Royal Palace, რომელსაც მონაკოს პრინცესა სტეფანია პატრონობს. ჩვენ იმ პერიოდში უკრაინაში ცირკ „კაპზოვს" ვეხმარეობიდით, რადგან ქართულ ცეკვას როგორც აკრობატიკას ისე აღიქვამენ. ერთ-ერთი დიდი ცირკია. პრინცესა იქ არტისტების გასინჯვაზე ჩამოვიდა. პიერ მაიერი, Royal Palace-ს დირექტორიც პრინცესასთან ერთად იყო ჩამოსული. ნახეს ჩვენი ცეკვა, ძალიან მოეწონათ და მაშინვე დაგვიდეს კონტრაქტი. სამი ბიჭი ვცეკვავდით, ახლა ოთხნი ვართ და ვმოგზაურობთ სხვადასხვა ქვეყანაში, ვმონაწილეობთ შოუებში. ხალხმა „ისარი" შეგვარქვა – ისარივით სწრაფები ხართ, დაფრინავთო.

**– რა შემოგთავაზათ პრინცესა სტეფანიამ?**

– აღფრთოვანებული ვართ თქვენი ცეკვით, ასეთი არაფერი გვინახავს; თუ გაქვთ სურვილი, იქნებ ჩვენს შოუში წამობრძანდეთო. მეორე დღესვე გავემგზავრეთ. Royal Palace მსოფლიოში ცნობილი და წარმატებული მოცეკვავეებით, აკრობატებითა და მსახიობებით არის დაკომპლექტებული. ჩვენი ილეთები მათთვის ძალიან უცხო იყო და ჩვენც მოგვიწია მარტივი მოძრაობების შესწავლა, რომ მთლიანობაში „ჩავმჯდარიყავით." შოუ საათსა და 40 წუთს გრძელდებოდა და სამი ნომერი ჩვენი იყო, ქართული. თავიდან ყველანი ვხსნიდით, შემდეგ კი მოდიოდა ჩვენი ნომერი. შუალედშიც, სადაც ცოტა ჩავარდნასავით იყო, იქაც ქართული ნომერი აცოცხლდებდა და ბოლოს ისევ ქართული ცეკვით იხურებოდა შოუ. წარმოიდგინეთ, ფილარმონიაზე დიდი სცენა და სამ ბიჭს უნდა შეევსო. დეკორაცია საოცარია, ძალიან ძლიერი შოუა, მსოფლიოში ბევრი ცნობილი და წარმატებული შოუც კი ჩამორჩება. „სამეფო კარი" ჰქვია და, შესაბამისად, თავის სახელს ბოლომდე ამართლებს. რომ ჩავედით, შოკში ვიყავით – ესაა საოცარი ადგილი. მაყურებელიც მაღალი დონის არის; თავად პრინცესაც ესწრებოდა, სამეფო ოჯახი, პრინცი, ბევრ ცნობილი ადამიანი. ჩვენი გასვლა იყო და – მთელი დარბაზი ფეხზე იდგა; ყველა კითხულობდა: ვინ ვიყავით, საიდან ვიყავით... პრიმა ბალერინები ესწრებოდნენ და მერე გვეკითხებოდნენ: ჩვენ პუანტებზე ვდგავართ და, გასაგებია, მაგრამ თქვენ ცერებზე ამ ყველაფერს როგორ აკეთებთო. ერთი წელი ვიმუშავეთ მათთან და ახლაც ვაპირებთ თანამშრომლობას. ამის შემდეგ იყო, ასევე, დიდი კაბარე – Le Paradis des Sources, სადაც ასევე ძალიან საინტერესო იყო მუშაობა. პარიზში მიგვიწვიეს სატელევიზიო შოუში –



**გრიმი გვქონდა ვამპირის, თავისი კბილებით და თან ქართული ჩოხა. გვითხრეს: ძალიან გთხოვთ, შავი ჩოხა ჩაიცვით, თქვენ იმდენად ძლიერები ხართ, ვერავინ გეხებათ, ვამპირები თქვენ უნდა განდევნოთ. ჩვენით გაიხსნა შოუ და ჩვენით დაიხურა**

The Best, სადაც 2 წუთის განმავლობაში ვცეკვავდით და 16 მილიონმა ადამიანმა ნახა ჩვენი ნომერი პირდაპირ ეთერში. გარდა ამისა, საფრანგეთშია ყველაზე დიდი მოძრავი ცირკი MEDRANO, რომელსაც 50 ფილიალი აქვს და მთელ მსოფლიოშო მოძრაობს, 3 000-კაციანი შაპიტოა. ცირკის დირექტორმა შემოგვთავაზა თანამშრომლობა და სამი თვის განმავლობაში 75 ქალაქი მოვიარეთ. ჩვენი ნომრები იმდენად უცხო და საინტერესოა მათთვის, რომ, როდესაც სხვადასხვა შოუს, ცირკის ან კაბარეს დირექტორები მოდიან წარმოდგენაზე, ყველას სურს, თავისთან მიგვიწვიოს, კონტრაქტი დაგვიდოს – მოთხოვნა საკმაოდ დიდია. ახლა ციურიჰში მივემგზავრებით. „ოჰ ლალა" – ასე ჰქვია შოუს, ერთი სერიოზული შოუა. 45 დღე ვიმუშავებთ მათთან. ყოველ წელს ცვლიან მსახიობებს და მსოფლიოში უძლიერესი არტისტები, მოცეკვავები და ჩემპიონები მიდიან იქ სამუშაოდ. ამის შემდეგ პარიზის სტაციონარულ ცირკში Bouglione-ში მივდივართ სამუშაოდ. ერთ-ერთი უძლიერესი და ულამაზესი ცირკია, თეატრივით არის. წესით, საშობაოდ უნდა ვიმუშაოთ იქ.

**– როგორც ვიცი, Cirque Du Soleil-სთანაც თანამშრომლობდით.**

– Cirque Du Soleil რამდენიმე ცირკისგან შედგება და ერთ-ერთია The Vampire Circus, საიდანაც პანამაში ფესტივალზე მიგვიწვიეს. საინტერესო იყო. გავაკეთეთ ჩვენი ნომერი: გრიმი გვქონდა ვამპირის, თავისი კბილებით. გვითხრეს: ძალიან გთხოვთ, შავი ჩოხები ჩაიცვით; თქვენ იმდენად ძლიერები ხართ, ვერავინ გეხებათ და ვამპირები თქვენ უნდა განდევნოთო. ჩვენით გაიხსნა შოუ და ჩვენით დაიხურა. სხვათა შორის, მანამდე გვქონდა თურქეთიდან მოწვევა, ერთ-ერთი სერიალისთვის – „დირილიშ", რომელიც რეიტინგებში პირველ ადგილზეა. ქართველები ქორეოგრაფიის გასაკეთებლად მიგვიწვიეს. თურქ-სელჩუკებზეა სერიალი და, ქართველებმა ცხენზე ჯირითი და ხმლის ფლობა რომ იციით, ისე არავის შეუძლიაო. რამდენიმე დღე ვიყავით, ვიმუშავეთ მსახიობებთან. ისეთი სცენები დავდგით და ისეთ ტემპში, რომ, ბოლოს გვითხრეს: ეს შოუა, ჩვენ მშვიდი, წყნარი სცენები გვინდაო. ტუნისშიც, კართაგენში, მსოფლიოს ხალხთა ცეკვების ფესიტვალი იყო და იქაც ვიმუშავეთ; ლიონშიც გავაკეთეთ ცხენების ჯირითი – ასეთი სამუშაოებიც არის ხოლმე.

**– ცნობილ ადამიანებთან თუ გიმუშავიათ?**

– გოგოლ ბორდელოსთან ვიმუშავეთ. აქვს ასეთი თემა – Super Taranta, რომელზეც ცეკვა ავაწყვე. ბორდელომ თავის მუსიკაზე რომ ნახა ჩვენი ცეკვა, გაგიჟდა. მადონას შოუში მონაწილეობდა და ჩვენც შემოგვთავაზა მონაწილეობა, მაგრამ, უკვე მადონას ბალეტი ცეკვავდა, აღარ გამოდიოდა და ბოდიში მოგვიხადეს. მხოლოდ შოუს დავესწარით. ნიუიორკში გვქონდა კონცერტი და იქ გავიცანით ბრუს უილისი, რომელიც დაინტერესდა, ვინ ვიყავით, საიდან ვიყავით. ჩვენ ოთხს ამერიკაშიც ხშირად გვაქვს გასტროლები – ჩიკაგოში, ლას-ვეგასში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. როცა დრო გვაქვს და საინტერესო შემოთავაზებაა, მივდივართ და ვმუშაობთ. ასე მუშაობა ძალიან საინტერესოა.

**ნათია უტიაშვილი**


## სასწავლო ცენტრი „პროფესიონალი – 2010"

აცხადებს იმ აბიტურიენტების მიღებას 30-პროცენტიანი ფასდაკლებით, რომლებიც 2015 წლის ეროვნულ გამოცდებზე ჩაიჭრნენ. ჩვენი პროფესიონალი მასწავლებლები იღებენ ამ გამოწვევას – პასუხს აგებენ თქვენს სწორ და სათანადო მომზადებაზე, რათა შეუერთდეთ ჩვენთან მომზადებული წარმატებული აბიტურიენტების სიას, შეძლოთ 2016 წლის ეროვნულ გამოცდებზე მაღალი ქულების მიღება და გახდეთ სტუდენტები. ჩვენთან მომზადების შემთხვევაში, თქვენთვის გარანტირებულია სტუდენტობა. ჩვენი გამოცდილება და პროფესიონალიზმი თქვენი წარმატების საწინდარია.

**საბუთების მიღება დაიწყება 5 აგვისტოდან.**

**მისამართი: ვერა, ტატიშვილის ქუჩა №14 (ყოფილი ყაზბეგის ქუჩა); საბურთალო, იპოლიტე ხვიჩიას ქუჩა №4. (მეტრო „პოლიტექნიკურთან"). ტელეფონები: 230-71-13; 555 63-48-01.**

**მას შემდეგ, რაც ტარიელ ხეჩიკაშვილი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი გახდა, ასი დღე გავიდა. ეს პოსტი მისთვის დებიუტი იყო – მანამდე სახელმწიფო სამსახურში არ უმუშავია. მისი სახელი წლების განმავლობაში წარმატებულ ბიზნესთან იყო დაკავშირებული – „იბერია ბიზნეს ჯგუფის" პრეზიდენტი და, ასევე, საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს" მეპატრონეც გახლდათ, სადაც მან, როგორც თავად ამბობს, წლების წინანდელი ოცნება აისრულა. როგორ მოირგო ტარიელ ხეჩიკაშვილმა მინისტრის ამპლუა, როგორია მისი ცხოვრება კადრს მიღმა და რას ვერ ელევა ის წარსულიდან, ამას თავად ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ.**

# სად ეპარებოდა სპორტის მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი ბავშვობაში დედამისს და რატომ ეძახის ის სიდედრს „შაქარ დედას"

**– თქვენი გამინისტრება ორ მნიშვნელოვან ეპიზოდს დაემთხვა: ოლიმპიადასა და სუპერთასის ფინალური მატჩს. კი, ბატონო, ოლიმპიადა ჩავატარეთ, მაგრამ, ფეხბურთის ბილეთებზე რაც მოხდა, ამის შესახებ რას იტყვით? თქვენ რამდენი ცალი გერგოთ იმ ალიაქოთით გაყიდული ბილეთებიდან?**

– ჯერჯერობით არცერთი ბილეთი არ მაქვს, თუ არ ჩავთვლით მიშელ პლატინის ოფიციალურ მიწვევას; თუმცა, იმედს ვიტოვებ, რომ ფედერაცია დაპირებულ ბილეთებს გამოგვიგზავნის. ოლიმპიადა მართლაც კარგად ჩავატარეთ და ეს ყველა სტუმარმა აღნიშნა. ოლიმპიადისა და სუპერთასის თემა, ერთი შეხედვით, თვალშისაცემი იყო, თუმცა, ამასთან ერთად, საკმაოდ ბევრი სიღრმისეული პრობლემაა დაგროვილი სპორტულ საზოგადოებაში, რაზეც ზემოთ მოგახსენებთ. ვინც იცნობს ჩემს ბიოგრაფიას, ყველამ იცის, რომ ჩემთვის სიძნელეების გადალახვა პრობლემა არ არის – ასე მოვდიოდი ახალგაზრდული წლებიდან. იმდენი „ბრძოლა" მაქვს გადატანილი, იმუნიტეტიც კი გამომიმუშავდა. ასე რომ, სირთულეები არ მაშინებს – ყველაფერი, რაც არ გკლავს, გაძლიერებს.

**– სპორტს როგორ დაუკავშირეთ ცხოვრება?**

– როგორც ყველა ბიჭი, მეც ვგიჟდებოდი ფეხბურთზე. „ნახალოვკაში" ვარ გაზრდილი, სადაც სულ იყო და არის ფეხბურთის კულტი. ჩემს უბანში იყო სტადიონი. 3 წლის ვიყავი, როცა მამა გარდამეცვალა და, მე და ჩემი ტყუპისცალი ძმა, ავთანდილი, დედამ გაგვზარდა. დედას ძალიან უყვარდა ცეკვა და, 11 წლის ასაკში შემიყვანა ცეკვაზე. მე კი ცეკვაზე მიმავალი, შევიპარებოდი ხოლმე სტადიონზე და ჩუმად ვთამაშობდი ფეხბურთს. დედას რომ ეგონა, ქართულ ცეკვას მასწავლიდა, მე ფეხბურთში ვოსტატდებოდი *(იცინის).* მაშინ ქართულ ფეხბურთს სუპერვარსკვლავები ამშვენებდნენ და მათი თამაშის ყურება ერთ რამედ ღირდა. ცეკვით „მასკიროვკა" დიდხანს ვერ გაგრძელდა – დედას ისეთ პატივს ვცემდი, რომ მალე გამოვუტყდი, რაშიც იყო საქმე. დედაც მიხვდა, რომ ჩემი არჩევანი ფეხბურთისკენ იყო და გამომიყვანა ცეკვიდან. ფეხბურთს ვთამაშობდი მათთან ერთად, ვინც დღეს ჩვენი თაობის ცნობილი ფეხბურთელები არიან. ამას წინათ, კახა კალაძისა და ლევან კობიაშვილის გარემოცვაში მყოფმა, თავის მოწონება გადავწყვიტე, მაგრამ, უცებ გამახსენდა, ვის გვერდით ვიჯექი და ვიხუმრე: ესენი ფეხბურთს თამაშობდნენ, მეკი ვწვალობდი-მეთქი. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, მივხვდი, რისთვის შეიძლებოდა მიმეღწია ფეხბურთში და რეალურად გავთვალე ჩემი შესაძლებლობები, მით უმეტეს, რომ უკვე ოჯახის ტვირთიც დამაწვა და სხვა არჩევანი გავაკეთე. ფეხბურთის სიყვარული მაინც არ მტოვებდა და მაშინ ჩავიფიქრე, გამეკეთებონა კლუბი, სადაც ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს შეეძლებოდათ ფეხბურთის თამაში. თავის დროზე ასეთი ბავშვი ვიყავი მეც და, ზუსტად ვიცოდი, რას განიცდიდნენ ეს ბავშვები. წლების მერე, როცა მომეცა შესაძლებლობა, მართლაც გავაკეთე კლუბი – ეს იყო საბურთალოს პროექტი, სადაც ნიჭიერ ბავშვებს ჰქონდათ საშუალება, ეთამაშათ ფეხბურთი, სადაც, გადასახადის გადახდის ნაცვლად, პირიქით მათ ვუხდიდი ხელფასს.

**– ამბობენ, რომ საკმაოდ რთული გზა გაიარეთ. სად და როგორ გაიხსნა თქვენი შრომის წიგნაკი?**

– მე სულ ვცდილობ, ვიყო გულწრფელი – ამას არ ვღალატობ. ჩემი გზა რომ მოგიყვეთ, სენტიმენტალური საუბარი გამომივა, მაგრამ, მართლაც ასე იყო და რა ვქნა?! 18 წლის ვიყავი, როცა „ნახალოვკაში", ტრიკოტაჟის ქარხანაში დავიწყე მუშაობა. არ მეთაკილებოდა, თუმცა, ძალიან ძნელი იყო ახალგაზრდა ბიჭისთვის ისეთი მძიმე შრომა. ამიტომაც, კარგად ვიცი მუშის ფასი. ჩემს კომპანიაში სულ ეჭვიანობდნენ ხოლმე, რომ მუშა ყველაზე მეტად მყავდა დაფასებული. არასდროს მშინებია ცხოვრების თავიდან დაწყება. როცა არ ხარ მიჯაჭვული ქონებასა და კომფორტს, ძალიან ადვილია, უარი თქვა ბევრ რამეზე და დარჩე თავისუფალი. ადამიანს პრობლემები მაშინ ეწყება, როცა იმის მონა ხდება, რასაც ქმნის. როცა ჯარიდან ჩამოვედი, თბილისში უკვე კოოპერატივები იყო გახსნილი. მე შპს-ს გახსნა გადავწყვიტე. გამგეობაში რომ წავედი დასარეგისტრირებლად, გამგებელმა მითხრა: შვილო, დირექტორი რატომ არ მოვიდა, შენ რომ გამოგიშვაო. 20 წლის ვიყავი, როცა პირველი კომპანია დავაფუძნე ზესტაფონის ქუჩაზე, სადაც 18 კვადრატულ მეტრ ფართში გავიზარდე. ჯერ პირველი ჯიხური ჩავდგი, მერე პირველი მაღაზია გავაკეთე. ზოგს უხაროდა, ზოგს სწყინდა, ზოგს უკვირდა. აბსოლუტურად ნულიდან ვქმნიდი ყველაფერს. ბევრს არ სჯეროდა, რომ არ მყავდა მფარველი, რომელიც ბიზნესის წარმართვაში მეხმარებოდა. მე მქონდა ჩემი წარმატების წყარო – წესიერება, რომლის იმპულსს დედა მაძლევდა. იმის მიუხედავად, რომ გვიჭირდა, დედა მაინც გულგახსნილი და პატიოსანი იყო და ყველაზე მთავარს – სწორ ორიენტირს მაძლევდა.



ჩემი მეუღლე ბიზნესშიც ისეთივე საიმედო პარტნიორია, როგორც სახლში

**რაჭველი სიმამრი მყავს. მესამე შვილიშვილზე მიხვდა, რომ სიძე ვიყავი, მანამდე ხან ოჯახის ახლობელი ვეგონე, ხან-მეგობარი**

**– დღეს უკვე საკმაოდ დიდი ბიზნესის მფლობელი ხართ და ამ ქვეყნის შეძლებული ადამიანების სიის წევრი.**

– მე არ ვიცი, რომელ სიაში რომელ ადგილზე ვარ, ჩემი მთავარი ცენზი არის ჩემი ოჯახი. გულწრფელად გეტყვით, მატერიალური მდგომარეობა არაა ჩემთვის გადამწყვეტი. მე ვიცი ხალხი, ერთ დღეში დაუკარგავთ ყველაფერი და ამიტომაც ვიცი, არაა ეს მთავარი. სახელმწიფო სამსახურს ეს მინუსი აქვს – აქამდე არავის რომ არ ახსენდები და მერე უცებ ხვდები ყურადღების ცენტრში. ამ მხრივ მინისტრობას აქვს თავისი დისკომფორტები – ადრე ძალიან ემოციური ვიყავი, ახლა კი მიწევს, მოვთოკო ემოციები, რადგან თმენის ვალდებულება მაკისრია. უდროობის გამო ვეღარ ვიცლი ფეხბურთის სათამაშოდ, მაგრამ, სექტემბრიდან ეს ტრადიციაც უნდა აღვადგინო. მყავს ჩემი გუნდი, როგორც მოედანზე, ასევე საქმეში. მოშურნე და მტერი, ალბათ, მყავდა, მაგრამ, აქამდე ისე წყნარად მოვედი, ოჯახამდე ეს არ მისულა. ჩემი შვილები ისე გაიზარდნენ, მამაზე ცუდი არ გაუგიათ, მაგრამ, რაც მინისტრი გავხდი, იმდენი ჭორ-მართალი ითქვა და დაიწერა, ბავშვები გაოცებულები იყვნენ. ვილაცას გვარი არ მოეწონა და ჩემმა ვაჟკაცმა დაიჩივლა: მამა, ჩვენს გვარს რას ერჩიანო – ვერ გაიგო ბავშვმა, რა ხდებოდა ჩვენს თავს *(იცინის).*

**– კიდევ ერთი ნიშნით ხართ გამორჩეული: საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზეც კარგად გიზრუნიათ – 7 შვილის მამა ხართ და სახლში ერთი საფეხბურთო გუნდიც გყავთ, ფეხბურთის დიდ ქომაგს.**

– ეს მარტო ჩემი დამსახურება არ არის, უპირველეს ყოვლისა, ჩემს მეუღლეს მადლობა, რომ ჩვენ ასეთი ოჯახი შევქმენით. ჩემი მეუღლე წმიდა ნინოს ტაძარში გავიცანი. ის, თავისი სიკეთითა და პატიოსნებით, სულ სხვა განზომილებაშია. შვიდი შვილიდან ხუთი საკეისრო კვეთით გააჩინა. რომ არა ღვთის ნება, ვერ გადარჩებოდა. გმირი და თავდადებული დედაა და მთელი ცხოვრება მის ვალში ვიქნები ამ თავდადების გამო. პროფესიით პედაგოგია, მაგრამ, არ მუშაობს. ბავშვებს ზრდის – ესაა მისი მთავარი საქმე, თუმცა, ბევრ ბიზნესშია ჩემი პარტნიორი. საქმეშიც ისეთი საიმედო პარტნიორია, როგორც სახლში *(იცინის).* ჩვენი შვიდივე შვილი ტაძარში დადის, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ. უფროსი შვილი 19 წლისაა, უმცროსი, მარიამი – 1 წლის. ოთხი ბიჭი მყავს – დავითი, გიორგი, ცოტნე, იოანე. პირველ შვილს დედის სახელი – თამარი დავარქვი, მეორეს, სიდედრის პატივსაცემად – რუსუდანი. ისეთი სიდედრი მყავს, „შაქარ დედას" ვეძახი. სიდედრი მოხევე მყავს, სიმამრი – რაჭველი, ოღონდ, საუკეთესო რაჭველია – მესამე შვილიშვილზე მიხვდა, რომ სიძე ვიყავი,

# გახდი სტუდენტი ყოველგვარი გამოცდების გარეშე




## კავკასიის ევროპული უნივერსიტეტი
## გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

**აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლებას, როგორც დასწრებულ, ისე დაუსწრებელ სასწავლო კურსზე, შემდეგ ფაკულტეტებზე:**

1. იურიდიული;
2. ეკონომიკური;
3. ფინანსები;
4. მენეჯმენტი;
5. მარკეტინგი;
6. ბიზნესადმინისტრირება;
7. ჟურნალისტიკა;
8. ინფორმატიკა – პროგრამისტი;
9. საერთაშორისო ურთიერთობები;
10. ტურიზმი;
11. დიზაინი;
12. თარჯიმანი;
13. ეკოლოგია;
14. პოლიტოლოგია;
15. ბიოლოგიური;
16. ზოგადი მედიცინა;
17. ფარმაცია;
18. ფსიქოლოგია;
19. სტომატოლოგიური;
20. აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი;
21. პედაგოგიკა და მეთოდიკა;
22. უცხო ენა;
23. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;
24. სატრანსპორტო;
25. საინჟინრო;
26. ფინანსები და საბანკო საქმე.

***გაიცემა საერთაშორისო ხარისხის ბაკალავრის დიპლომი, რომელიც აღიარებულია 193 ქვეყანაში.***

ჩვენთან ჩარიცხულ ყველა სტუდენტს, პირველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, შეუძლია ყოველგვარი გამოცდების გარეშე, სწავლა გააგრძელოს საქართველოში აკრედიტებულ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

**ბიჭები გათავისუფლდებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან.**

შპს „კავკასიის ევროპული უნივერსიტეტი" არის უკრაინისა და სომხეთის ქვეყნებში აკრედიტებული უნივერსიტეტის ოფიციალური პარტნიორი და წარმომადგენელი საქართველოში.

**სწავლება მიმდინარეობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.**

სწავლის საფასური შეადგენს:

**სომხეთი**
დაუსწრებელი – 2 250 აშშ დოლარი
დასწრებული – 2 650 დოლარი

**უკრაინა**
დაუსწრებელი – 2 650 აშშ დოლარი
დასწრებული – 2 950 დოლარი

გადახდა შესაძლებელია ყოველთვიურად 200 აშშ დოლარიდან

**შესაძლებლობა გაქვთ, ისარგებლოთ სტუდენტური სესხით.**

სტუდენტთა რაოდენობა შეზღუდულია.

*მიმდინარეობს საბუთების მიღება შემდეგ მისამართებზე:*

ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №47 (ყოფილი პავლოვი), მე-4 სართული, ოთახი 420. მეტრო „დელისის" მოპირდაპირე მხარეს

ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი №17, მე-2 სართული

ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №95

ტელ.: 577-717-444; 596-50-40-50.

www.ceu.ge


მანამდე ხან ოჯახის ახლობელი ვეგონე, ხან – მეგობარი ***(იცინის).*** რაც მინისტრი გავხდი, ერთ-ერთმა შვილმა დაიჩივლა: მამას რა უცნაური სამუშაო აქვს – სახლში აღარაა, მარტო ტელევიზორში ვხედავთო. ვცდილობ, ვიყო კარგი მამა; გოგონების მესაიდუმლე ვარ, რაზეც დედა ჩივის ***(იცინის).*** ჩემი რეჟიმის მიუხედავად, შაბათ-კვირა ჩემს ოჯახს ეკუთვნის. გვაქვს ჩვენი ოჯახური ტრადიციები, რასაც არ ვარღვევთ – გვიყვარს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა, ლამაზ კუთხეში ყოფნა, ქართული ისტორია და ხელოვნება – ქართული სიმღერა და ცეკვა ჩვენი ერის დიდი მონაპოვარია. ისტორია ისე მიტაცებს, რომ დამცლოდა ან მატერიალური საშუალებები მქონოდა და ადრეული ასაკიდან არ ჩავბმულიყავი ცხოვრების ფერხულში, სხვა მიმართულებებით წავიდოდი. რაღაც პერიოდის შემდეგ, როცა მშვიდ ცხოვრებას დავუბრუნდები, ალბათ, იმ ჩემი ძველი გატაცებებისთვისაც მოვიცლი.

**– ასე მგონია, თქვენი ბიზნესიდან გამომდინარე, ავტომობილების დიდი ფანიც უნდა იყოთ.**

– ყველას ჰგონია, რომ ავტომობილების ფანი ვარ, მაგრამ, არ არის ასე და ეს არის პარადოქსი. მე ვიცი ბიზნესის მართვა, მაგრამ, ვერ ვიტყვი, რომ მანქანებში ძალიან კომპეტენტური ვარ. თურქეთში „ფორმულა 1-ზე" დამპატიჟეს და სპორტის ამ სახეობაში ისეთი პროფესიონალები ვნახე, ისე იციან მათ ავტომობილი, გამიკვირდა. მე ამ წლებში იმდენი ვისწავლე, რომ არ შევრცხვე, ანუ, რადიატორს მანქანის სალონში არ ვეძებ, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ავტომობილები ჩემი სისუსტეა ***(იცინის).***

**– ბატონო ტარიელ, დღეს, როგორც მითხრეს, თქვენი მინისტრობის მეასე დღეა. როგორ მოირგეთ მინისტრის ამპლუა?**

– ჩემი აზრით, ადამიანმა არცერთი თანამდებობა და ამპლუა არ უნდა მოირგოს. ჩემთვის ეს იყო ახალი გამოწვევა, პასუხისმგებლობა ქვეყნის, სპორტის წინაშე, რომელსაც ვერ გავექცეოდი. დიდი ხანია, სპორტში ვარ, ეს გარემო ჩემთვის უცხო არ ყოფილა. სხვა სამინისტროში რომ მომხდარიყო ჩემი წარდგენა, ალბათ, უფრო გამიჭირდებოდა, აქ კი მშობლიურ გარემოში მოვხვდი, რის გამოც განსაკუთრებული დისკომფორტები არ მქონია. არ მინდა, ხმამაღალ ნათქვამად გამომივიდეს, მაგრამ, იმდენად მიყვარს სპორტი, განსაკუთრებით კი – ფეხბურთი, რომ, ძალიან მინდა, ჩემი წვლილი შევიტანო მის განვითარებაში და ეს შანსი ახლა მომეცა. ბოლო პერიოდში ვიყავი ფეხბურთის განვითარების სამთავრობო კომისიის წევრი და, ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ ჩემზე შეჩერდა არჩევანი, ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელად. ჩინოვნიკურ სამსახურში ეს ჩემთვის დებიუტი იყო. სახელმწიფო სამსახურსა და ნებისმიერ სხვა სამსახურს შორის, რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავებული სპეციფიკა, მაგრამ, თუ არ დაკარგავ მთავარ ღირებულებებს, რაც ყველგან საერთოა, არსად გაგიჭირდება. გქონდეს თავისუფლების მაღალი ხარისხი, წესიერად და პატიოსნად ემსახურო შენს საქმეს, არ გერიდებოდეს, მიიღო კონსულტაცია იქ, სადაც ამის საჭიროებას ხედავ – ამ პრინციპებით ყველა სამსახურში მიაღწევ წარმატებას.

**– მინისტრისთვის თავისუფლების მაღალი ხარისხის შენარჩუნება იოლი საქმე არაა და ეს სპორტსაც ეხება, რომელსაც ჩვენთან, რატომღაც, საკმაოდ რთული კულისები აქვს.**

– შეიძლება, საერთოოდ არ იყო მაღალ პოზიციაზე და შინაგანად ვერ გრძნობდე თავისუფლებას – ამას არც თანამდებობა განსაზღვრავს, ვერც მინისტრობა დაგაკარგვინებს და ამის ფასად არაფერი არ ღირს. ახლა, რაც შეეხება სპორტის კულისებს: იმ დაპირისპირებების ფონზე, რაც არსებობდა სპორტულ საზოგადოებაში, ჩვენი პირველი ამოცანა იყო ამ ტემპერატურის დაბლა დაწევა. მე ვთქვი, ჩვენი ენერგია უნდა მოვახმაროთ არა დაპირისპირებას, არამედ, თანამშრომლობასა და კონკრეტული შედეგების დადებას. ამ ასი დღის განმავლობაში შევძელით, რომ დაძაბულობამ იკლო და გადავედით თანამშრომლობის რეჟიმში როგორც ოლიმპიურ კომიტეტთან, ასევე სპორტის საპარლამენტო კომიტეტთან. ჩვენს სპორტს რთული კულისები რომ აქვს, ბევრი მიზეზიდან გამომდინარეობს: წლების განმავლობაში პოლიტიკაც მეტი დოზით იყო გარეული სპორტში, ეს ყველამ კარგად იცის. დღეს მთავრობის ნებაა, რომ სპორტი თავისუფალი იყოს პოლიტიკისგან; რომ არა ეს გადაწყვეტილება, გამორიცხული იყო, ამ პოზიციაზე დავთანხმებულიყავი. სპორტს აქვს უნიკალური თვისება – გააერთიანოს ყველა, მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად და ჩვენ ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ. სახელმწიფოს მიერ უნდა ჩამოყალიბდეს სამართლიანი სისტემა, რომლის მიხედვითაც მოხდება როგორც მოქმედი სპორტსმენების, ასევე ვეტერანების დაფასების კრიტერიუმების განსაზღვრა. ეს სისტემა ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს და არა პირად სიმპათიებზე აგებული.

**თამუნა სამადაშვილი**

# რა ხელშეკრულებებს ადებინებს სახლში დაბრუნებულ ბიზნესმენ ქმარს ნინო წიკლაური და რატომ არის მის ცხოვრებაში სამი მნიშვნელოვანი მამაკაცი

*ნინო წიკლაური უკვე ექვსი წელია, რაც მოსკოვში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ამბობს, რომ ცხოვრებაში ნამდვილად გაუმართლა, რადგან ჰყავს ულამაზესი და უნიჭიერესი შვილი, უსაყვარლესი შვილიშვილი და ქმარი, რომელიც ყველა სურვილს უსრულებს. ნინო რუსულ შოუ-ბიზნესში საკმაოდ ცნობილი სახეა. მის ტექსტებზე შექმნილ სიმღერებს არაერთი პოპულარული მომღერალი ასრულებს დიდ სცენაზე. ახლა კი მისი შვილის პროდიუსერი გახდა და დედაშვილი რუსეთის დიდი სცენის დასაპყრობად ემზადება.*



**თუ ექვიანობას გამოვრიცხავთ, ალექსანდრეს ნამდვილი ქართველი მამაკაცის თვისებები აქვს, ტრადიციულია და ვხუმრობ ხოლმე, მე მგონი, ესაა ქართველი და მე რუსი-მეთქი**

**ნინო წიკლაური**: ძალიან ბედნიერი ვარ – გვერდით მყავს ქმარი, რომელსაც ძალიან უყვარს ქართველები და საქართველო. გარდა იმისა, რომ ძალიან ვუყვარვარ, მანებივრებს და ნამდვილი ჯენტლმენია. ის მაჩვენებს იმას, რაც მიკვირს დღეს ადამიანებში – სითბოს, სიყვარულს, თაყვანისცემას და ნამდვილ მამაკაცურ საქციელს. მთასავით მიდგას გვერდით, მორწმუნეა და ცდილობს, ყველა ჩემი სურვილი უთქმელად აასრულოს. ძალიან მანებივრებს და მისთვის: „არა, ვერ შევძლებ, ვერ გავაკეთებ“ – არ არსებობს. სხვათა შორის, თუ ექვიანობას გამოვრიცხავთ, ნამდვილი ქართველი მამაკაცის თვისებები აქვს. ტრადიციულია და ვხუმრობ ხოლმე, მე მგონი, ესაა ქართველი და მე რუსი-მეთქი *(იცინის).*

**– ქართული ენა არ ასწავლე შენს ქმარს?**

– ბევრი რუსი მეგობარი მეუბნება, ქართულად რამე გვასწავლეო. მაგალითად, გინება როგორ არის – მე შენი ასე და ისე... ან, მე შენ მიყვარხარ. ამას წინათ, ალექსანდრე მოვიდა და მეუბნება: ნინო იცი, რა მასწავლე ქართულად? ღვთისმშობლის ლოცვა და „მამაო ჩვენოო”. მართლა გავოგნდი *(იცინის).* თქვენ წარმოიდგინეთ, ზეპირად ისწავლა და ყოველ დილით კითხულობს. მგონი, გადმომყავს ნელ-ნელა ჩემს ყაიდაზე, მაგრამ აქცენტი ვერ შევუცვალე, ჯერ კიდევ რუსული აქვს *(იცინის).* ძალიან მორწმუნეა. შვიდ მონასტერს ეხმარება ფინანსურად, ძალიან კეთილი და ქველმოქმედია. მიუხედავად ამისა, ძალიან უყვარს გართობა, მოლხენა და კარაოკეშიც ხშირად დავდივართ. მართალია, თვითონ არ მღერის, მაგრამ მე რომ სცენაზე ვდგავარ, სიამოვნებით მიყურებს და მისმენს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დატვირთულია და დაღლილი მოდის სამსახურიდან, სასწაულად ამყოლია ასეთ რამეებში, მიგებს და იტანს ჩემს „კაპრიზებს”.



**არასდროს არაფერი მაკლდა: ყოველთვის მყავდა თაყვანისმცემლები, მქონდა რომანები, გატაცებები, ჩემი შრომით ვშოულობდი ფულს, მაგრამ თუ მკითხავთ ახლა: რომ გადახედო შენი ცხოვრების განვლილ გზას, რას შეცვლიდიო, ალბათ არაფერს**

როცა საქმე მე მეხება, მისთვის შეუძლებელი არაფერია.

**– რას წარმოადგენს შენი მეუღლე?**

– ალექსანდრე ბიზნესმენია. გარდა ნავთობ-

**(გაგრძელება 27-ე გვერდზე)**

# ვინ დაინტერესდა ქეთევან გორდეზიანის სიღნაღში გამოფენილი ნახატებით და რა სთხოვეს ახალგაზრდა ქართველ მხატვარს ირლანდიის დელეგაციის წევრებმა

*31 ივლისს სიღნაღის მუზეუმში ახალგაზრდა მხატვრის, ქეთევან გორდეზიანის გამოფენა დაიხურა, რომლის დათვალიერების შესაძლებლობაც, მსურველებს დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ჰქონდათ. გამოფენაზე წარმოდგენილი ნახატების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდშია შექმნილი. ქეთევანის პირველი პერსონალური გამოფენა წარმატებით დასრულდა.*



**ქეთევან გორდეზიანი**: საკმაოდ ადრეული ასაკიდან ვხატავ – 5 წლისას უკვე მქონდა გამოფენა ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეაში, ოღონდ, ეს იყო ჯგუფური გამოფენები. მოგვიანებით, სკოლის პარალელურად, ვსწავლობდი სამხატვრო სკოლაში, სადაც კონკურსით, შერჩევის გზით მოვხდი. სკოლის შემდეგ მივდიოდი ხატვის გაკვეთილებზე და დაახლოებით 8-9 საათამდე ვმეცადინეობდი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, უნდა ამერჩია, რა მიმართულებით დავამთავრებდი ამ სამხატვრო სკოლას და მე ავირჩიე გრაფიკა. სკოლის დამთავრებისთანავე ჩავაბარე სამხატვრო აკადემიაში, სადაც გამოცდაზე იმ წელს ყველაზე მაღალი შეფასება მე მქონდა – 97 ქულა მივიღე და მოვიპოვე როგორც სახელმწიფო გრანტი, ასევე კულტურის სამინისტროს დაფინანსებაც. მერე გამიმართლა და მოვხვდი ლონდონის ხელოვნების უნივერსიტეტში. სტუდენტური კონკურსი იყო, გავიმარჯვე, წავედი ლონდონში და იქ გავიარე კურსები ინტერიერის დიზაინის განხრით. არსებობს ასეთი საერთაშორისო სტუდენტური გაერთიანება AIESEC; იქ ასევე კონკურსის წესით, შერჩევის გზით მოვხვდი და გამიშვეს ლიტვაში, სადაც სხვადასხვა კოლეჯსა და უნივერსიტეტში ვატარებდი ტრენინგებს საქართველოს ტურიზმის, ისტორიის, კულტურის თემებზე; ასევე, სტუდენტებს ვაცნობდი მსოფლიო მხატვრობას, ქანდაკებასა და არქიტექტურას. დედაჩემი პროფესიით ხელოვნებათმცოდნეა, მისი ბიძა კი არის საკმაოდ ცნობილი მხატვარი – ჯიბსონ ხუნდაძე. სხვა ჩემს ოჯახში ხატვით არავინ არის დაკავებული. მე ვფიქრობ, უფრო დედის მხრიდან მოდის ეს ჩემი ხატვის ნიჭი.

**– ვისი შეფასებაა შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?**

– ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემი ოჯახის წევრების აზრი. სხვათა შორის, ძალიან მკაცრი შემფასებლები არიან.

**– ნახატების გაყიდვა გიჭირს?**

– რა თქმა უნდა. გამოფენის შემდეგ მაქვს ბევრი შემოთავაზება და სერიოზულად ვფიქრობ – ვცდილობ, გადავაბიჯო ამ ჩემს ეგოიზმს და დავთმო ნახატები. ისიც მაქვს გაცნობიერებული, რომ მხატვრისთვის თავისი ნამუშევრის გაყიდვა ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის კარგი საშუალებაა, ამიტომ, მომიწევს, შეველიო ჩემს ნახატებს.

**– ვიცი, რომ ძალიან ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა შენს ნამუშევრებს.**

– ძალიან ბევრმა დაათვალიერა და ბევრი კარგი შეფასებაც მივიღე, მათ შორის ისეთი პროფესიონალებისაგან, როგორიცაა მხატვარ-პროზაიკოსი რეზო ადამია. შთაბეჭდილებების წიგნში ძალიან ბევრი დადებითი შეფასება ჩამიწერეს, რამდენიმემ საკონტაქტო ტელეფონიც დამიტოვა – თუ გაყიდვას გადაწყვეტ, აუცილებლად შეგვეხმიანეო. ისე დაემთხვა, რომ ჩემი ნამუშევრების გამოფენის პირველ დღეს საქართველოს პარლამენტში სტუმრად იყო ჩამოსული დელეგაცია ირლანდიიდან, ისინიც მოვიდნენ მუზეუმის დასათვალიერებლად და ისე აღფრთოვანდნენ, მთხოვეს, იქნებ მომავალში ჩვენს ქვეყანაშიც მოაწყო გამოფენა, ჩვენ ვეძებთ ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვრებსო.

**– რა არის შენი სამომავლო გეგმები?**

– მომავალში აუცილებლად მინდა გამოფენის მოწყობა თბილისში. შეძლებისდაგვარად უკვე ვმუშაობ და, იმედი მაქვს, ამ მიზანს მალე განვახორციელებ.

**ნინო კანდელაკი**

**თბილისში გამართულ „ფეშენ-ვიქზე“ სტუმრის სტატუსით მყოფი დომენიკ მანგო გამორჩეული სამოსით წარდგა საზოგადოების წინაშე. მის ზედატანს, რომელიც მისივე დიზაინით იყო შექმნილი, ჰქონდა წარწერა – „ლილო“. ამ ფაქტმა არა მხოლოდ დამსწრეთა ყურადღება გამოიწვია, არამედ სოციალურ ქსელშიც აქტუალური განხილვის საგანი გახდა. რა იყო დომენიკ მანგოს მიზანი, რას ფიქრობს არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებზე და ვისი ჩაცმულობა მოსწონს ქართული ბომონდიდან, ამას თავად გიამბობთ.**

# რისთვის გაშიშვლდა დომენიკ მანგო და რატომ არ გამოუვიდა მას საზოგადოების გაღიზიანება

**დომენიკ მანგო**: ოფიციალურად, დიზაინერი არ ვარ. ვკერავ, მაგრამ ჩვენებებში მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებ. ასე თუ მოვიქცევი, გარკვეულ ჩარჩოებში მომიწევს ჩაჯდომა, რაც არ მომწონს. მინდა, ჩემს საქმეში თავისუფალი ვიყო. ჩემს სამოსს იარლიყიც არ აქვს. ვარჩევ ადამიანს და მივწერ, რომ მინდა, რაღაც შევუკერო. ამას აბსოლუტურად უფასოდ ვაკეთებ. უბრალოდ, მინდა, ჩემი შექმნილი სამოსი ეცვას. უკვე ძალიან დიდი ხანია, „ფეშენ-ვიქს“ სტუმრის სტატუსით ვესწრები, რადგან მინდა, ვნახო, ქართველი დიზაინერები რას კერავენ.

**– მაისურზე გაკეთებული წარწერით „ლილო,“ რისი თქმა გინდოდა?**

– ეს იყო ირონია. ჩემი სათქმელი ძალიან მარტივად დავაფიქსირე. მაისური, რომელიც მეცვა, იყო ძალიან უბრალო. ნაჭერი ლილოში შევიძინე. საერთოდ, მასალას ყველაფრისთვის იქ ვყიდულობ. სინამდვილეში, ის დიზაინერებიც ლილოში ყიდულობენ, უბრალოდ „ძერსკული“ გამოხდომები აქვთ და ამბობენ, რომ იტალიურია ან თურქული. ამ წარწერით მინდოდა მეთქვა, რომ არ არის აუცილებელი, მასალა იტალიური და ძალიან პრესტიჟული იყოს. უბრალოთიც შეიძლება, ლამაზი სამოსის შექმნა.

**– რა რეაქცია მოჰყვა ამ ყველაფერს?**

– ზოგი ბრაზს ვერ მალავდა, მოდიოდნენ და მეჩხუბებოდნენ. ზოგს ძალიან მოეწონა. ვიღაც-ვიღაცეებს ძალიან არ ესიამოვნათ. გაღიზიანდნენ, რადგან ჩემგან ამას არ ელოდნენ. რამდენიმესთან ვმეგობრობ კიდეც. ერთ ადამიანს პირდაპირ ვუთხარი – იდეა შენ გეკუთვნის-მეთქი, რადგან ის ყველაზე ხშირად ლაპარაკობდა ამ თემაზე.

**– ასე, ყურადღების მისაქცევად და პოპულარობის მოსაპოვებლად ხომ არ მოიქეცი?**

– არანაირად. პოპულარობის გამო, ბევრი რამ გამიკეთებია. ყველას გვაქვს ასაკი, როცა გვინდა, გვცნობდნენ. პოპულარობის მოსაპოვებლად, გავშიშვლდი და ფოტოები გადავიღე, რომელშიც ყველაფერი მიჩანდა. სტატიაში გამოყენებულია ლუსი კანას ფოტოები. ორი წლის წინ, მე და ერთი ქალი დავმეგობრდით, რომელსაც ახლად დაარსებული ფოტოსტუდია ჰქონდა. გადავწყვიტეთ, საქმე ერთად გვეკეთებინა. თუმცა, სტუდია არ იყო პოპულარული და პირველივე კვირაში გადავწყვიტე, გავშიშვლებულიყავი. ამას სერიოზული სკანდალიც მოჰყვა და პოპულარობაც.

**– როგორი რეაქცია მოჰყვა შენს გაშიშვლებას?**

– ისეთი ნეგატიური არა, როგორსაც ველოდი. ყველამ მითხრა, რა ლამაზიაო და გამოვშტერდი. ესთეტიკური ფოტოები იყო, მაგრამ ისეთი დეტალებიც ჰქონდა, რომელსაც ხალხი უნდა გაეღიზიანებინა, მაგრამ ასე არ მოხდა. ძალიან ვეცადე, თუმცა, სამწუხაროდ, არ გამოვიდა. გაშიშვლების შემდეგ, 17 მაისს აქციაზე გავედი. ყურსასმენები მეკეთა, ფოტოგრაფები მყავდა და ვკარნახობდი – სად, რა გადაეღოთ. ფაქტობრივად, წინ ვიდექი, მაგრამ რეაგირება არავის ჰქონია, რაზეც მართლა ნერვები მომეშალა.

**– რა რეაგირება გინდოდა, რომ ჰქონოდათ?**

– მინდოდა, მღვდლები გამომკიდებოდნენ



და ველანძღე. მე ვყოფილიყავი ის ერთ-ერთი გეი, რომელიც იქ იდგა.

**– რატომ გინდოდა ეს? აცხადებ, რომ გეი ხარ?**

– ეს ნამდვილად მინდოდა და ამიტომ ვიდექი წინ. რეალურად, მე გეი არ ვარ, მაგრამ იმ აქციაზე მინდოდა, ასე ეფიქრათ. იცი, რა მეცვა? „კლეჩატი საროჩკა“ და მოტკეცილი, გადახეული ჯინსები, რომელშიც მუხლი ამოგდებული მქონდა.

**– რატომ გინდოდა, გეი ჰგონებოდით?**

– ამით მინდოდა, სოლიდარობა გამომეცხადებინა. მესმის, რატომ მოხდა ასე და რატომ შეიკრიბა საქართველო თავისუფლებაზე და რუსთაველზე. ხალხი მანიპულირებული იყო. ასი ადამიანი რომ გამოვიდა, მათ მეგობრები გამოჰყვათ და ასე შეიკრიბნენ. იმ ხალხის 30 პროცენტი, დამიჯერე, ან ლესბი იყო ან გეი, მართლა. უბრალოდ, ერთი რომ იყვირებს, მეორესაც ჰგონია, რომ უნდა იყვიროს და ბოლოს ყველა ყვირის.

**მე ვარ პროდიუსერი. ვაფინანსებ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ იდეები და სჭირდებათ ფული მის განსახორციელებლად**

**– ზოგადად, როგორ ფიქრობ, ჩვენს საზოგადოებაში უჭირთ თქმა – „მე გეი ვარ?“**

– ჯერჯერობით უჭირთ, მაგრამ, საბედნეროდ, ქართველი ხალხი უკვე იმ დონემდეა განვითარებული, რომ ახერხებს ასეთ შემთხვევებში, ადეკვატურად მოიქცეს.

**– ისევ და ისევ რეალობიდან და მენტალობიდან გამომდინარე გეკითხები, შენ რომ გეი იყო, იტყოდი? ოჯახს თუ გაუწევდი ანგარიშს?**

– მე ვიტყოდი. მიუხედავად იმისა, რომ გეი არ ვარ, ჩემი ჩაცმულობის სტილი არ შეეფერება არც ბიჭს, არც ქართველს, არც ქართულ ტრადიციებს. წარმოიდგინე – ჩვენებაზე რომ კაბას ჩაიცვამ, რომელსაც ტყავი აქვს პამპერსივით ამოკრული. ჩემი მშობლებისთვის ეს, შეიძლება, სამწუხარო იყოს, მაგრამ გასაგებია. ხვდებიან, რომ ამის გამო შვილი არ უნდა მოკლა.

**– ქუჩაში თუ დადიხარ ასე ჩაცმული და როგორია ხალხის რეაქცია?**

– ცოტა ხნის წინ, ლესელიძეზე ამოვიარე მოსასხამით, რომელსაც უკან ძალიან დიდი შლეიფი აქვს. უცხოელ მეგობართან ერთად მოვდიოდი და თან, დიდი „ბატინკები“ მეცვა. ხალხი ჩერდებოდა და მაკვირდებოდნენ. რაც უფრო ხშირად მოვიქცევით ასე, უფრო მეტი ადამიანი შეეჩვევა ამ ყველაფერს.

**– უარყოფითი შეფასებები არის ხოლმე?**

– როგორ არა. ვიღაც ღიპიანი ტიპი გაჩერდება და შეგაგინებს, მაგრამ ის მთელი ცხოვრება ღიპიან ტიპად დარჩება.

**– პირად ცხოვრებაში რა ხდება, შეყვარებული თუ გყავს?**

– შეყვარებული არ მყავს. 22 წლის ვარ და მიმაჩნია, რომ ჯერ ადრეა. ერთი ოთხი წელი ჩემი შლეიფით უნდა ვიშრიალო. მერე მოვიხსნი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ თმაში ყვავილებს არ გავიკეთდებ. ჩემი აზრით, ადამიანი ისეთი არ უნდა მოკვდეს, როგორიც იბადება. სიახლეების გარეშე ცხოვრება საშინელება იქნება. გარდა ამისა, მე ვარ პროდიუსერი. ვაფინანსებ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ იდეები და სჭირდებათ ფული მის განსახორციელებლად.

**– შენ საიდან გაქვს ამდენი ფული, რომ ყველას აფინანსებ?**

– ჩემს საქმეს საკმაოდ დიდი შემოსავალი მოაქვს. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ ფული, მოსწონთ ჩემი დიზაინი და ჩემი კლიენტები არიან. ასეთი ძალიან ბევრია.

**– ქართველი ბომონდის ჩაცმულობაზე რას ფიქრობ?**

– ძალიან მომწონს მარკუს მეტრეველის სტილი, რომელსაც გიზი აცმევს. ასევე, მომწონს ანრი ჯოხაძის ჩაცმულობა. ქალბატონებიდან ნინო ჩხეიძე იცვამს გემოვნებიანად, მაგრამ პირს რომ გააღებს და „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდას“ მღერის, რაღა აზრი აქვს. ნანკა კალატოზიშვილის მინიმალისტური სტილიც ძალიან მომწონს.

**– შენი ცხოვრების მეორე მხარეზე – სოფელზე მომიყევი.**

– სოფელში ხშირად ჩავდივარ. იქ ბებია-ბაბუა და ბევრი ძმაკაცი მყავს. მათთან ერთად ვერთობი. ეს ჩემი მეორე ცხოვრებაა და როცა იქ ჩავდივარ, გვერდზე ვდებ ტანსაცმელს, რომელიც აქ მაცვია და ვიცვამ იმას, რაც იქ მაქვს დატოვებული. ზოგი სოფელში იზრდება და მერე, „მერსედესითა“ და „უწუპუწუ სახით“ ჩადის იქ. ასეთი რამეები მე არ მჭირს. პირიქით, იქ რომ ვარ, „კალოშებითაც“ დავდივარ და ძროხებსაც ვამშობიარებ *(იცინის)*.

**ქეთი კაპანაძე**

**დღეს მთელ მსოფლიოში და, ასევე, საქართველოში, განსაკუთრებით მომრავლდა სუიციდის ფაქტები. რას მიჰყავს ადამიანი ამ გადაწყვეტილებამდე, როგორია მის მიმართ ეკლესიის დამოკიდებულება და არის თუ არა სუიციდი გენეტიკური, ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რატომ უნდა გავამახვილოთ ყურადღება ჩვენი წინაპრების მიერ ჩადენილ ცოდვებზე და როგორ გამოვასწოროთ დაზიანებული გენეტიკა

– ეს არის საკითხი, რომელიც ყველას უნდა აწუხებდეს. ეს არის დარღვევა მეექვსე მცნებისა – „არა კაც კლა; „პროტესტი, ამბოხი ღმერთის წინააღმდეგ. ადამიანი, რომელიც ამას საღი გონებით სჩადის, ამბობს, რომ მას არ სჭირდება, არ უნდა ღმერთი, ის სიცოცხლე, რომელიც ღმერთმა მისცა. ასეთი ფაქტის დროს ეკლესია წესს არ უგებს თვითმკვლელს მანამდე, სანამ არ გაარკვევს, საღ ჭკუაზე იყო თუ არა ის ადამიანი. თუ საღ ჭკუაზე იყო, მაშინ არ უგებს ეკლესიას წესს, რადგან სულიწმიდის გმობა ადამიანს არც ამქვეყნად ეპატიება და არც იმქვეყნად. სამწუხაროდ, ხშირად ეს საშინელი სენი, დაავადება, ცოდვა, მემკვიდრეობითაც გადადის – ხშირად გვსმენია, რომ თვითმკვლელის მამას, ბაბუას ან ვინმე ახლობელსაც თვითმკვლელობით დაუმთავრებია ცხოვრება. ეს ისეთი თემაა, რომ ძალიან ფრთხილად, სათუთად უნდა მოვეკიდოთ.

**– თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი აუცილებლად გაიმეორებს წინაპრის ცოდვას, ანუ, მასავით დაასრულებს სიცოცხლეს.**

– ჩიხური მდგომარეობა არ არსებობს, სიკვდილიც კი, ღმერთმა თეთრ ფერებში ჩააყენა. გამოვიკვლიოთ, ჩვენს გვარში თუ ვინმე იყო ლოთი, მეძავი, თვითმკვლელი და, როგორც დავით მეფსალმუნე ამბობს: „უსჯულოებაი ჩემი მე ვუწყი და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის." ეკლესიაში რომ მოვდივარ, უნდა მახსოვდეს, რომ ჩემმა წინაპარმა თავი მოიკლა; ყურადღება იმაზე უნდა გავამახვილო, რომ ღმერთის სიყვარული და რწმენა არ დავკარგო; არ ჩავვარდე სასოწარკვეთილებაში, რომ იგივე არ დამემართოს. თუ ეს დამავიწყდება, შეიძლება, იგივე მდგომარეობაში აღმოვჩნდე. არავის ეგონოს, რომ ცოდვა ავტომატურად გადადის: პაპამ ტყემალი ჭამა და შვილიშვილს კბილები მოეჭრაო. ეს არასწორი სწავლებაა. უბრალოდ, სულ უნდა გვახსოვდეს, ჩვენი გენეტიკა რით არის დაზიანებული. ყოველი ჩვენი ცოდვა – ეს არის ინიექცია ჩვენს გენეტიკაში. ამით ჩემს გენეტიკას ვაზიანებ და, შედეგად, ზიანდება ჩემი შვილიშვილი, რომელიც მომავალში დაიბადება. ანუ, არ უნდა ვიყოთ უიმედო მდგომარეობაში, უბრალოდ, უნდა ვიცოდეთ, ჩვენი გენეტიკა რით არის დაზიანებული, უნდა გვახსოვდეს და ფხიზლად ვიყოთ. საშველი ყველაფერს აქვს, მთავარია, არ დავმალოთ. მოძღვარსაც ვუთხრათ: ჩემი წინაპარი ნარკომანი, ლოთი, მეძავი, თვითმკვლელი იყო და ამაზე გავამახვილოთ ყურადღება.

**– თანამედროვე ადამიანებს ხშირად გვიყვარს ფაქტის შეფასება: ამან თავი მოიკლა, ეს ასეთია, ის ისეთია, ადვილად ვლაპარაკობთ სხვის გადაწყვეტილებებზე.**

– არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკლესიური სწავლებით, სუიციდის დედა სასოწარკვეთილება, უიმედობა და დეპრესიაა. და როცა ადამიანს ღმერთი არ უნდა, ღმერთი მძლავრებითაც ვერ შეიყვანს მას სამოთხეში. ხშირად სასულიერო პირებიც სწორად ვერ ვაფასებთ ჩვენი მრევლის მდგომარეობას. როცა ვხედავთ, რომ ადამიანი არ არის ადეკვატური ჩვენთან საუბარში, მას თბილად უნდა დაველაპარაკოთ, დავუყვავოთ, ავუხსნათ, რომ უნდა მივიდეს ექიმთან, ფსიქიატრთან ან ფსიქოლოგთან. სამწუხაროდ, ბევრი გამოუცდელი მოძღვარი ამ დროს კონკრეტულ დიაგნოზსს სვამს: „შეპყრობილია, ეგზორციზმი სჭირდება, ეშმაკის გამოდევნა."



ეკლესიაში რომ მოვდივარ, უნდა მახსოვდეს, რომ ჩემმა წინაპარმა თავი მოიკლა. ყურადღება უნდა გავამახვილო, რომ ღმერთის სიყვარული, რწმენა არ დავკარგო, არ ჩავვარდე სასოწარკვეთილებაში და იგივე არ დამემართოს

რა თქმა უნდა, ასე ხელაღებით არაფრის გადაწყვეტა არ შეიძლება. ცხადია, მას დახმარება სჭირდება და ეს უნდა აღმოუჩინოს მოძღვარმაც და მშობელმაც. მაშინ, როდესაც ბავშვი, მოზარდი, ახალგაზრდა სასოწარკვეთილებაშია, რაღაც პრობლემები აქვს, მშობლებმა უნდა მიქციონ ყურადღება და კი არ ეჩხუბონ, ექიმთან უნდა წაიყვანონ. ჩვენ მხოლოდ შეფასება არ უნდა გვიყვარდეს, სწორად უნდა მივუდგეთ საკითხს. ამას სჭირდება სიბრძნე როგორც მშობლების, ასევე ნათესავებისა და მოძღვრების მხრიდან.

გამოკვლევებიდან ცნობილია, რომ ადამიანი დეპრესიაში მაშინ ვარდება, როდესაც არაფრის სჯერა; როცა ფიქრობს, რომ არავის სჭირდება. ამ დროს სწორად უნდა მივუდგეთ – ვუთხრათ: მე მჭირდები; მოდი, ერთად წავიდეთ ექიმთან, რადგან მეც ცუდად ვარ. ყველანაირად უნდა დავუდგეთ გვერდში. მაგრამ ჩვენ ძალიან ამპარტავნები ვართ და გვიჭირს თქმა, რომ ჩემს შვილს ფსიქიატრი სჭირდება, ან ჩემი შვილი ფსიქიატრთან დამყავს.

**თუ ეს დამავიწყდება, შეიძლება, იგივე მდგომარეობაში აღმოვჩნდე. არავის ეგონოს, რომ ცოდვა ავტომატურად გადადის: პაპამ ტყემალი ჭამა და შვილიშვილს კბილები მოეჭრაო. ეს არასწორი სწავლებაა**

**– და ეს ყველაფერი საიდან იღებს სათავეს?**

– იოანე სინელი ამბობს: ეშმაკი თავიდან გეუბნება, რომ ღმერთი მოწყალეა, ღმერთი სიყვარულია; როგორც გინდა, ისე იცხოვრე: დააშავე, იმრუშე – ღმერთი ხომ მოწყალეა, მიხვალ და გაპატიებს. როგორც კი კარგად ჩაეფლობი ჰედონისტურ, ამორალურ ცხოვრებაში, მოგინდება ეკლესიაში მისვლა, მარხვა, აღსარება, მაგრამ ამ დროს ეშმაკი გეუბნება: რად გინდა, შენ მაინც არაფერი გეშველება, როგორ უნდა მიხვიდე მოძღვართან, ეკლესიაში; ეს როგორ უნდა უთხრა მოძღვარს, არ გრცხვენია? ამის მერე ადამიანს ერთი გზა რჩება: თვითმკვლელობა. თუ გინდა, რომ შენი შვილი უგუნური, უზრდელი გაიზრდოს, მიეცი სრული თავისუფლება, არაფერი დაუშალო, შენიშვნა არ მისცე და მერე სადამდე მიხვალთ ამასაც ნახავთ. დღეს ბევრი ისეთი მაგალითია, რომ სასულიერო პირების შვილებიც კი ვარდებიან ამ მძიმე ცოდვაში, სასულიერო პირიც არ არის დაზღვეული, ზოგჯერ ჩვენც გვჭირდება ფსიქოლოგი და ფსიქიატრი. რადგან სასულიერო პირები ვართ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ განწმენდილები ვართ, წმიდანები. ხანდახან შეიძლება მოძღვარსაც გაუჩნდეს კითხვა: იქნებ, მეც მჭირდება ფსიქოლოგი ან ფსიქიატრი? ოღონდ, აქ საუბარია მართლმადიდებელ, ნორმალურ ექიმზე. არ არის აუცილებელი ყოველთვის წამლებით გაჭყიპო პაციენტი. კარგად უნდა დაუკვირდეს, ვის ესაუბრება: ეშმაკს, ეშმაკისგან დამონებულს თუ, უბრალოდ, პატარა პრობლემის მქონდე ადამიანს, რომ მერე დაეხმაროს და თუნდაც ცხოვრების რეჟიმით გამოასწოროს. საჭიროა დიალოგი, ისე, რომ არ დავაფრთხოთ – გამოვკითხოთ რაღაცეები, თუნდაც მისი ოჯახის წევრების ცხოვრებიდან, ისინი როგორ გარდაიცვალნენ. აღსარების ჩაბარებამდეც ჯობია, გავიცნოთ ადამიანი, რომ წარმოდგენა გვქონდეს, ვის ვესაუბრებთი, რა აწუხებს მას. რომ ვეუბნებით, ილოცეო; ილოცე კარგია, მაგრამ, არ იცის, როგორც ილოცოს და რა უნდა გააკეთოს ასეთ დროს. ჯობია, ჯერ იმის რწმენა გავუჩინოთ, რომ მისი დახმარება შეგვიძლია. ადამიანს ერთი დღე არ ულოცია, არაფერი იცის და მაშინვე ვეუბნებით: დილა-საღამოს ლოცვები წაიკითხე. ზიარების ლოცვების წაკითხვა შეიძლება მე გამიჭირდეს და, იმ ადამიანს ვავალდებულებ, რომელიც დღეს ვიღაცამ მუჯლუგუნით მოიყვანა ეკლესიაში და ვთხოვთ ამ ყველაფრის გაკეთებას. სიჩქარე არაფერში ვარგა, მით უმეტეს – ეკლესიურ ცხოვრებაში.

**– სად უნდა გადიოდეს ადამიანის თავისუფლების ზღვარი?**

– ყველა ადამიანს ღმერთმა მისცა სინდისი და ნამუსი. შეიძლება, ღმერთი და ეკლესია არ გწამდეს, მაგრამ, რაღაცაზე ხომ წითლდები, რაღაცაზე ხომ ნერვიულობ, ხომ გეუბნება შინაგანი „მე" – ეს არ გააკეთოო? მაგრამ მერე, როცა ამას, ანუ შენს შინაგან „მეს" გადააბიჯებ, ეს თავისუფლება კი არ არის, ეშმაკის მსახურებაში გადადიხარ. ეშმაკის მონობა ცოტა ხნით არის სასიამოვნო, ის დიდი ხნით არ მოგცემს სიამოვნების საშუალებას. როდესაც დადგება აპოკალიფსი, პირდაპირ წერია: ადამიანი კოდირებას გაიკეთებს, სულს მიჰყიდის ეშმაკს და მათი სიხარული მალე დამთავრდება, რადგან მიწა ნაყოფს აღარ გამოსცემს. ანტიქრისტე მათ არ გაახარებს და ძალიან მალე დამთავრდება ასეთი ადამიანების სიხარული.

**ნათია უტიაშვილი**

# პოჩაევოს ღვთისმშობლის ხატი

პოჩაევოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი რუსეთში, ვოლინის ეპარქიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის, პოჩაევოს ლავრაშია დაბრძანებული. სასწაულმოქმედმა ხატმა თავისი სახელი დაბა პოჩაევოდან მიიღო. დაბასთან არის დაკავშირებული პოჩაევოდ წოდებული მთის სახელიც, რომელზეც ხსენებული ლავრაა აშენებული. ამ მთაზე ბუნებრივი მღვიმეც არსებობს, რომელმაც ასევე გაუთქვა სახელი ამ მთას. ძველ დროში მასში ორი ბერი დამკვიდრდა. ბერები განუწყვეტელი ლოცვით ღვაწლს ეწეოდნენ და უფლის წყალობაც უხვად გარდამოედინებოდა მათზე. ერთხელ, ღამით ერთ-ერთი მოსაგრე მთის მწვერვალზე ავიდა, რათა იქ, ჩვეულებისამებრ, უფლის სადიდებელი ლოცვა აღევლინა. ბერს ლოცვის ჟამს, მოულოდნელად, ცეცხლოვან სვეტში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ქალწული გამოეცხადა, რომელიც მწვერვალზე მდებარე ლოდზე იდგა. შემკრთალი ბერი დაუყოვნებლივ მღვიმეში დაბრუნდა და თანამოსაგრეს ყოველივე წვრილად აუწყა. მამები ლოცვითა და გალობით კვლავ მთის თხემისკენ გაემართნენ და ღვთიური ნეტარებით აღვსილნი ისევ ზეციური სასწაულის შემსწრენი გახდნენ. იმავე დროს, სასწაულის მხილველი შეიქნა ერთი მწყემსი, რომელიც ყმებთან ერთად მთის ძირას პირუტყვს აძოვებდა. მწყემსმებმა მთაზე აღმართული მანათობელი სვეტის ხილვისას უმალ მწვერვალს მიაშურეს და იქ მყოფი ბერები იხილეს, რომლებიც მარადქალწულ მარიამს მხურვალედ განადიდებდნენ. ნიშნად თავისი გამოცხადებისა და წყალობისა, ზეციურ დედოფალს სასწაულის ადგილას მდებარე ლოდზე, რომელზეც ის იდგა, მარჯვენა ტერფის ჩაღრმავებული კვალი დაეტოვებინა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მხურვალე სხეულს ლოდი ცვილივით ჩაედნო, ხოლო ღვთაებრივი ნატერფალი კამკამა, წმიდა წყლით გავსებული იყო. ამ სასწაულის შემდეგ პოჩაევოს მთას ურიცხვი მომლოცველი მოაწყდა. მიუხედავად იმისა, რომ მომლოცველები მკურნებელ წყალს იქვეც უხმად იმხევდნენ და ჭურჭლებითაც ეზიდებოდნენ, მარადქალწული მარიამის ნატერფალში ჩამდგარ ღვთაებრივ წყალს არაფერი აკლდებოდა. ის მუდამ ერთ დონეზე კამკამებდა. პოჩაევოს მთაზე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულებრივი გამოცხადება და ლოდზე მისი ნატერფალის აღბეჭდვა დაახლოებით 1340 წელს მოხდა. ამ დღის შემდეგ პოჩაევოს მთა უფლის დიდების სამკვიდროდ, ხოლო მარადქალწული მარიამის წმიდა ნატერფალი – უდიდეს სასწაულთა დაულეველ წყაროდ გადაიქცა.

1595 წელს კონსტანტინეპოლის მიტროპოლიტმა ნეოფიტემ რუსეთში იმოგზაურა. მას მეგზურობასა და მასპინძლობას რუსი მემამულე – ქალბატონი ანა გოისკი უწევდა. მიტროპოლიტმა ანას მის მიერ გამოჩენილი კეთილი მასპინძლობისთვის კონსტანტინეპოლიდან წამოსვენებული ღვთისმშობლის ხატი უძღვნა. სიწმიდე ანა გოისკისთან თავდაპირველად დაფარულად ჰგიებდა, მაგრამ მალე ხატის მიერ დიდი სასწაულები აღესრულა. ანა გოისკის ღვთაებრივი ნათლით შემოსილი ზეციური დედოფალი გამოეცხადა, რის შემდეგაც, სასწაულით შეძრულმა ქალმა ხატის წინ ჩაუქრობელი კანდელი აღაგზნო და ყოვლადწმიდა მარიამს მხურვალე ლოცვა-ვედრებას აღუვლენდა. მალე ხატი ახალი სასწაულით გაბრწყინდა. ანა გოისკის ჰყავდა დაბადებიდან ბრმა ძმა – ფილიპე კოზინსკი, რომელიც სასწაულმოქმედი ხატის წინაშე მხურვალე ცრემლებითა და ვედრებით დაემხო და კურნება ითხოვა. სნეულთა მკურნალმა და შეჭირვებულთა მეოხმა ღვთისმშობელმა ქალწულმა ბრმის ვედრება მსწრაფლ შეისმინა და ფილიპეს მაშინვე თვალი აეხილა. ასეთი სასწაულებრივი ძალმოსილების მქონე ხატის სახლში დაბრძანება ანა გოისკის ძლიერ შეეშინდა, ამიტომ მან 1597 წელს მრავალრიცხოვან მორწმუნეებთან ერთად, წმიდა ქალწულის ხატი დიდი პატივითა და ლოცვა-გალობით პოჩაევოს სავანეში გადაასვენა და მთის მღვიმეში მოსაგრე ბერებს სამუდამო მფლობელობაში გადასცა. მალე მთაზე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი აღიმართა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რატომ ითვლება აზარტული თამაშები ცოდვად?**

**პასუხი:** აზარტული თამაშები საკმაოდ მძიმე ცოდვაა, რადგან მის გზაზე შემდგარი ადამიანი კარგავს უმთავრეს საუნჯეს – ნების თავისუფლებას და აზარტის ვნებას ემონება. როგორც წესი, აზარტული თამაშების შემდეგ მოგებული რჩება მხოლოდ ბოროტი ძალა, რომელიც ადამიანს სულიერად და მატერიალურად ფიტავს.

**კითხვა: რომელი ლოცვების წაკითხვა შეგვიძლია დამჯდარ მდგომარეობაში?**

**პასუხი:** დამჯდარმა შეგიძლიათ წაიკითხოთ ფსალმუნები.



**კითხვა: მიცვალებულს ზოგი მესამე, ზოგი კი მეხუთე-მეშვიდე დღეს კრძალავს. არსებობს თუ არა ამ მიმართულებით რაიმე კანონი?**

**პასუხი:** როგორც წესი, ქრისტიანები მესამე დღეს კრძალავდნენ თავიანთ მიცვალებულებს. მიცვალებულის უფრო გვიან დაკრძალვა საერო ტრადიციაა, რაც ბევრ უხერხულობას ქმნის. დაკრძალვის დიდი ხნით გადავადება სულიერად ფიტავს ჭირისუფალს. მთავარი ამ დროს მიცვალებულის სულისთვის ზრუნვაა და დროის გახანგრძლივებით შეიძლება, სწორედ ეს დააკლდეს გარდაცვლილს.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ცხოველს დავარქვათ ადამიანის სახელი?**

**პასუხი:** ცხოველებისთვის ადამიანის სახელის დარქმევა არ შეიძლება, რადგან სახელთა უმრავლესობა წმიდანებს უკავშირდება და ეს დაუშვებელია. შეეცადეთ, აუხსნათ ეს ყველას, ვინც თავის ძაღლს ან სხვა ცხოველს ადამიანის სახელით მიმართავს.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## მამა გაბრიელს იხსენებენ...

„მე და მამა გაბრიელი (ურგებაძე) ტაძრიდან გამოვედით. ბერმა პირჯვარი გამოისახა და ტაძარს რამდენიმე მეტრით დავშორდით. უცებ შემოტრიალდა და ტაძრის მხარეს დაიწყო ნერწყვა. შემდეგ რესტორანს ჩავუარეთ. მან პირჯვარი გამოისახა. ამას ხშირად აკეთებდა, მაგრამ მე ვერ ვხვდებოდი, რატომ. მაინც ვერ მოვისვენე და ვკითხე:

– მამაო გაბრიელ, გთხოვთ, განმიმარტოთ, რატომ იქცევით ასე – ტაძარს რომ მიუახლოვდებით, ნერწყვავთ, რესტორანს ჩაუვლით და – პირჯვარს გამოისახავთ და ლოცულობთ?

– რადგან გულით მეკითხები, გეტყვი, თუმცა ეს ჩემი საქმეა. აგიხსნი... ეკლესიის გარშემო სამ წრეზე ეშმაკები დგანან და არ უნდათ, ადამიანები შიგ შევიდნენ. ტაძრიდან რომ გამოვდივარ, ვხედავ მათ და ვნერწყვავ. რესტორანთან რომ ჩავივლი, ვხედავ, როგორ ტირიან წმიდა ანგელოზები, ადამიანები რომ ლრეობენ. მეც წმიდა ანგელოზებთან ერთად ვლოცულობ – ლრეობას თავი დაანებონ და ტაძარში წავიდნენ. ტაძარი ხომ ცას განასახიერებს. მე ტაძარს გავუარო და შიგ არ შევიდე?! გვერდით თუ ჩაუვლი ეკლესიას და პირჯვარს გამოისახავ, ნიშნავს, უფალს მიესალმო: გაგიმარჯოს, ღმერთოო, – და გზა განაგრძო. ეშმაკებს კი უხარიათ, ტაძარს გვერდს რომ აუვლიან. ამიტომ ეს რკალი უნდა გაარღვიო. ტაძრის კარამდე მაინც მიდი და იქ გამოისახე პირჯვარი. თუ შესვლის დრო არ გაქვს, უფალს პატიება სთხოვე“.

***

„გაბრიელ ბერს არა მხოლოდ ადამიანები, ცხოველებიც ებრალებოდა. როდესაც ზამთარში ყინვები იწყებოდა, ცხოველებსა და ჩიტებზეც ზრუნავდა და აპურებდა. ერთხელ, წირვიდან გამოსულებმა ძაღლს ქვა ესროლეს. გაბრიელ ბერი შეწუხდა და დანანებით თქვა:

– უმჯობესი იყო, წირვაზე არ ყოფილიყვნენ!

მის სენაკთან ხშირად მიდიოდა პატარა, ჭრელი, უპატრონო ძაღლი. ბერი ისეთი სიყვარულით ეფერებოდა ცხოველს, რომ სხვაშიც დიდ სიყვარულს აღძრავდა. საჭმელს უყრიდა და თან ამბობდა:

– ნახე, ნახე, საწყალი, ცოდოა, მშიერია.

ძაღლიც, მის დანახვაზე ათამაშდებოდა, შემდეგ ჩერდებოდა და საათობით მშვიდად შეჰყურებდა.

ერთმა მორწმუნემ შიშით უთხრა:

– მამაო, გაბრიელ, ჭამის დროს რომ ეფერებით, არ გიკბინოთ.

გაბრიელ ბერს გაეღიმა:

– ცხოველი გრძნობს ადამიანში ბოროტებას, ეს აღიზიანებს და ამიტომაც ესხმის თავს.

იმ მორწმუნემ, მეორედ რომ ჩავიდა ბერთან სტუმრად, ძაღლიც მოიკითხა.

– მოკლეს, – ნაღვლიანად უპასუხა მან და ამ სიტყვებში იყო უკიდურესი სევდა და დარდი, – არა უწყიან, დაო, რას სჩადიან. ძაღლმა გამიგო და ადამიანმა – ვერა.

ამ ამბავმა მორწმუნეზე ისე იმოქმედა, ერთი კვირა განუწყვეტლივ ტიროდა. აქედან მოყოლებული არ შეეძლო, გულგრილად ჩაევლო მაწანწალა, უსუსური ძაღლებისთვის.

მამა გაბრიელი ყველაფერს, ღვთისგან შექმნილს, სასოებით უფრთხილდებოდა. ბალახსაც კი დიდი სიყვარულით ეფერებოდა. თუ ვინმე უმიზნოდ, გასართობად გასრესდა თუნდაც ერთ ღერს, მკაცრად გააფრთხილებდა:

– მაგ ბალახს შენ მიეცი სიცოცხლე? შეგიძლია, შექმნა იგი? თუ არ გჭირდება, ღვთის ბოძებულს რად აფუჭებ?“

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

**„ჩემი ცოლის დაქალების“ მეშვიდე სეზონის გადაღებები დასრულდა. სულ მალე მაყურებელი საყვარელ პერსონაჟებს შემოდგომამდე დაემშვიდობება. ეს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სეზონი იყო თავისი მრავალფეროვნებით, ახალი და საინტერესო გმირებით, უამრავი აქტუალური პრობლემით და, შესაბამისად, მაღალი რეიტინგით. სერიალის გარშემო არსებული უამრავი კითხვით მის პროდიუსერს, ირაკლი საღინაძეს მივმართეთ.**

# გახდა თუ არა გურანდა გაბუნიას სერიალის დატოვების მიზეზი თინა მახარაძესთან უთანხმოება და ვინ აღმოუჩინა ფინანსური დახმარება დათოსა და ნინას ოჯახს

**ირაკლი საღინაძე:** მომდევნო სეზონი სექტემბრის ბოლოს დაიწყება, თუმცა ჯერჯერობით არაფერი მოგვიფიქრებია. ეს სეზონი ძალიან გრძელი იყო – 72 სერიისგან შედგებოდა, რაც თითქმის სამ სეზონს უდრის. მომდევნო სერიების მოსაფიქრებლად ცოტა ხანს დასვენება გვჭირდება. ტვინი თუ არ გამორთე და დაასვენე, ობიექტურად ვერ შეაფასებ, რა გჭირდება მომავლისთვის, რაზე უნდა დასვა აქცენტები და რა თემები უნდა წამოწიო წინ. ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცი, რომ ძველი და მაყურებლისთვის უკვე საყვარელი ძირითადი პერსონაჟები სერიალში ისევ იქნებიან, თუმცა, განახლებული ამბებით.

**– რამდენიმე პერსონაჟი გამოგაკლდათ. მათ შორის – გურანდა გაბუნია, რომელმაც წასვლის მიზეზად სერიალში თინა მახარაძის ბილწსიტყვაობის გამო წარმოშობილი უთანხმოება დაასახელა.**

– არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა, ყველას თავისი ხედვა აქვს. წარმოქმნილი სიტუაცია მან ასე აღიქვა, თუმცა ჩვენ განსხვავებულად ვფიქრობთ. ამ სერიალში ყველაფერს თავისი დატვირთვა აქვს. რატომ არ არიან სერიალში ბაბულიკები? რატომ არ არის გურანდა გაბუნია?.. აქ შემთხვევით არაფერი ხდება. ყველა მოქმედება გარკვეულ მესიჯს შეიცავს. ჩავთვალეთ, რომ ბაბულიკები უნდა გამქრალიყვნენ და ამით გვინდოდა გვეთქვა, რომ ეს კასტა და მსოფლმხედველობა არაა სიცოცხლისუნარიანი; ასევე, აუცილებლად უნდა გამქრალიყო გურანდა გაბუნიას პერსონაჟი, რადგან ის წარსულია და აუცილებლად უნდა წავიდეს. გურანდა გაბუნია, ზოგადად, მძიმე ხასიათის ადამიანია. მას აქვს თავის პრეტენზიები, თუმცა, ჩვენ ვახერხებდით, რომ ნორმალური კომუნიკაცია გვქონოდა და არანაირი პრობლემა არ ყოფილა. რა თქმა უნდა, მას სჭირდებოდა სპეციფიკური დამოკიდებულება, მაგრამ წასვლის მიზეზი ეს არ ყოფილა. უბრალოდ, ჩავთვალეთ, რომ მისი გმირი ამოიწურა და სეზონის დასაწყისისთვის გვჭირდებოდა „მყვირალა“ ამბავი, რომელიც ინტონაციას მისცემდა სერიალის კონცეპტუალურ ნაწილს. ამ მიზნით შეიქმნა მისი გაქრობის ცოტა კომიკური სცენა. ამ შემთხვევაში პიროვნული ურთიერთობები საინტერესო არაა, პროდუქტი ამის მიღმა არსებობს. მას ჩვენი გადაწყვეტილება გავაცანით, ძალიან ნორმალურად ვისაუბრეთ და კონფლიქტის მსგავსი არაფერი ყოფილა. თუმცა, მას ნამდვილად არ მოსწონდა, რომ სერიალში იყო ბილწი სიტყვები, რაშიც არ ვეთანხმები. მე მომწონს არა ბილწი სიტყვები, არამედ, რეალობის ასახვა, რომელიც საჭიროებს ბილწ სიტყვებს.



ერთი ემიგრანტის ოჯახმა დათოს და ნინას 200 დოლარი გამოუგზავნა საჩუქრად

**– როგორც ვიცი, რევაზ ნასიძეც (გიო) აღარ იქნება სერიალში.**

– ნასიძემ ტელეკომპანია GDS-სთან გააფორმა კონტრაქტი. არ გამოვრიცხავ, რომ, შეიძლება, რაღაც მომენტში დაბრუნდეს, მაგრამ ახლა კონკრეტულ პროექტშია დაკავებული, სადაც ძალიან დიდი დრო ეხარჯება და ამიტომ შევთანხმდით, რომ ამ ეტაპზე სერიალში აღარ იქნება. თან, მისი მსოფლმხედველობა, სიმართლე გითხრა, ცოტათი სცდება ჩვენსას. მისი პოლიტიკური გემოვნებისთვის GDS-ში უფრო ორგანული და კომფორტული გარემოა, ვიდრე „რუსთავი 2-ში“. თუმცა, მისი აქ მუშაობით მე კმაყოფილი ვიყავი.

**– უამრავ ახალ გმირს შორის დუდუ ყველაზე გმორჩეული იყო. როგორ შეიქმნა ეს პერსონაჟი?**

– დუდუ პირველად წინა სეზონზე გამოჩნდა ტელეფონზე საუბრისას. თავიდან ამ როლზე სხვა მსახიობი იყო, მაგრამ მასთან კომუნიკაცია ვერ ავაწყვეთ და ამიტომ ჩავანაცვლეთ. ვიგრძენით, რომ ამ პერსონაჟს დიდი პერსპექტივა ჰქონდა. მისი მისტიკურობა საშუალებას გვაძლევდა, მასზე გარკვეული მოცემულობები დაგვეშენებინა, ისეთი, რომელიც ჩვენი საზოგადოების სხვა სივრცეში დანახვის საშუალებას მოგვცემდა. საბოლოო ჯამში, დუდუს, როგორც მოვლენის, მაყურებლის თვალით ყურება და დუდუს თვალით დანახული მისი გარემო საინტერესო გამოვიდა. მიუხედავად ამ გმირის ყოვლისშემძლეობისა და კომიკურობისა, თავიდანვე ვფიქრობდით, რომ მას კარგი დრამატული რესურსი ჰქონდა. ეს ცოტა საზოგადოების დაცინვაც იყო: ჩვენთან ხომ, ადამიანების დიდი ნაწილი, საკუთარი სიზარმაციდან გამომდინარე, ყოველთვის ოცნებობს იმ მოურავზე, რომელიც ყველაფერს მოუგვარებს და საქმეს მათ ნაცვლად გააკეთებს. დუდუ ქართული საზოგადოების ამ სენზე შექმნილი სატირაა. ადამიანი ჯერ გმირი გახდა და შემდეგ უცებ მისი ტრაგედია მოხდა. მაყურებელმა მისი დრამა ღრმად დაინახა – მიხვდნენ, რომ „დუდუობა“ მისთვის მოწოდება და სიამოვნება კი არა, ტვირთი იყო. ისიც ჩვეულებრივი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც პასუხიმგებლობები თავის თავზე აიღო, მაგრამ ამის გამო ბედნიერი არაა. პირიქით, უბედურია. ცხოვრებაშიც ასე ხდება: არც ისაა ბედნიერი, ვინც სხვას გადააბარებს საკუთარ პასუხისმგებლობას და, არც ის, ვინც მათ გადმოიბარებს. მაგალითად, „ქართული ოცნების,” როგორც პოლიტიკური ძალის წარმატება, სწორედ ამ ქართულ სენს მოჰყვა: ადამიანებმა იფიქრეს, რომ ვიღაც მილიარდერი მათ მაგივრად შეწვავდა კარტოფილს, მოასხამდა ტყემალს და დაურიგებდა მოსახლეობას. ამიტომ გააკეთეს არჩევანი, რომელიც, ჩემი აზრით, საშინლად სულელურია. ამ გადაწყვეტილების შედეგებს მომავალში კიდევ მოვიმკით და ხალხი მიხვდება, რომ ეს შეცდომა იყო. დუდუ საზოგადოების პრობლემაა და არა საშველი. ის შეიძლება იყოს კარგი მენეჯერი რაღაც ორგანიზაციაში, მაგრამ არ შეიძლება იყოს ოცნების ობიექტი, მამაკაცის ეტალონი ან ბედნიერების წყარო. „დუდუებს“ ბედნიერება არ მოაქვთ, ისინი მხოლოდ უბედურებასა და პრობლემებს იწვევენ. ეს ძალიან სენსიტიური თემაა და მას შესაბამისი გააზრებაც მოჰყვა. ამიტომაც ჰქონდა ამ სერიებს ძალიან მაღალი რეიტინგი. დუდუს თემას ამ სეზონზე წერტილი დაესვა. მომდევნო სეზონზე ის ან იქნებ, ან – არა. მისი ტრაგედია შედგა და მეტი აღარცაა საჭირო. სათქმელი უკვე ნათქვამია და, იძიებს თუ არა გაუპატიურებული გოგო შურს, საინტერესო მხოლოდ ვენესუელურ და თურქულ ბანძ სერიალებშია, სადაც აქცენტი შურისძიებაზეა. ჩვენთან აქცენტი მოცემულობის სატირულ კრიტიკაზეა და არა მაყურებლისთვის გამოსავლის რეცეპტის მიცემაზე.

**– სატირა იყო ასევე „აპოგეაც”.**

– ჩვენს ქვეყანაში „აპოგეა” მოვლენაა, რადგან მილიონი „აპოგეა” გვყავს.

**– უკმაყოფილება არ გამოუხატავთ „აპოგეებს“?**

– რა თქმა უნდა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში – „ვაიმე, რა საყვარლობაო,” – ამბობდნენ „აპოგეები“ აპოგეაზე. ძალიან ბევრი განაწყენდა და ეჭვი კიდევ ბევრზე მაქვს, მაგრამ, ამას ღიად ვერ გამოხატავენ, რადგან კიდევ უფრო გაიმარგინალებენ თავს. ასეთ დროს ჩვენთან დაჯახება არ ღირს *(იცინის)*.

**– მაყურებლისგან ყველაზე ხშირად როგორ დამოკიდებულებას გრძნობთ?**

– ნებისმიერ ნაბიჯს უამრავი შეფასება მოჰყვება ხოლმე; მათ შორის ბევრი სულელურია, ბევრიც – ჭკვიანური, თუმცა, ძირითადად, მაყურებლისთვის პერსონაჟების გარეალურებაა დამახასიათებელი. მაგალითად, უცხოეთიდან ერთი ემიგრანტის ოჯახმა დათოს და ნინას 200 დოლარი გამოუგზავნა საჩუქრად. ამის გამოხატულება იყო ასევე აქცია, რომელიც ნათიას სტომატოლოგიური კლინიკის წინ მოაწყვეს მისი და დათოს ურთიერთობის გასაპროტესტებლად. გარდა ამისა, ხშირად გვსაყვედურობენ – რატომ არ არის სერიალში ბედნიერი ოჯახებიო. ჩვენი გმირები ხანდახან ბედნიერები არიან, მაგრამ ეს ვერ იქნება მუდმივი მდგომარეობა, რადგან ბედნიერება არაა საინტერესო საყურებელი და არც რეალობაა ასეთი. ერთი ოჯახი ან ადგილი მითხარით, სადაც პრობლემა არ არის, მაგრამ ეს უბედურებას სულაც არ ნიშნავს. ბევრი უკმაყოფილების მიუხედავად, შესაძლოა, ადამიანი ბედნიერებას განიცდიდეს. ბედნიერება საკუთარ თავთან თანხმობაა და ჩვენი სერიალის მთავარი მესიჯიც ისაა, რომ ადამიანები თავს იტყუებენ. ჩვენი პერსონაჟების პრობლემებიც სწორედ აქედან მოდის – მათ არ იციან, რომ მათი პრობლემების სათავე მათშივეა და არა გარეთ.

**ქეთი კაპანაძე**

**ყველა ოცნებობს იმაზე, თუ როგორ მიაღწიოს წარმატებას და ფიქრობს, რა გააკეთოს იმისთვის, რომ ფული იშოვოს, შეიქმნას ოჯახური იდილია, გახდეს საქმეში სასურველი კომპანიონი და ასე შემდეგ. როგორც პარაფსიქოლოგ-ეზოთერიკოსი, ქალბატონი ლილი ამბობს, ამ ყველაფრის მიღწევა არც ისე რთულია, თუ ადამიანი გონების მობილიზებას მოახერხებს, ქვეცნობიერს „ჩართავს" და აზრსა და ფიქრს სწორ მიმართულებას მისცემს.**

# არის თუ არა ადამიანის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მისი ენერგეტიკული ველის მდგომარეობა და რატომ არ უნდა დავაბრალოთ უბედურება, უფულობა თუ წარუმატებლობა უიღბლობას

**ლილი**: ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, საკუთარ თავს დაეხმაროს, გახდეს წარმატებული, სასურველი და ფულიანი. ასე რომ, გირჩევთ, იფიქროთ საკუთარ კეთილდღეობაზე და ნურასდროს იტყვით უარს იმაზე, რისი მიღწევაც ნამდვილად შეგიძლიათ.

**– ამისთვის მხოლოდ ფიქრი რომ არ კმარა და იღბალიც საჭიროა?**

– დიახ, ბევრი ამბობს, უიღბლო ვარ, ალბათ, ვერასდროს ავაწყობ ცხოვრებას და ვერ მივაღწევ წარმატებებსო. წუწუნს ჯობია, იმოქმედოთ და უქმად, მხარ-თეძოზე წამოწოლილმა არ დაკარგოთ ის დღე, რომელსაც თქვენთვის ბედნიერების მოტანა შეუძლია. წარუმატებელი და უიღბლო ადამიანი დედამიწის ზურგზე არ არსებობს. არსებობენ წუწუნა და უსაქმური ადამიანები, წარმატებას თავადვე რომ ბლოკავენ. ზოგს უკვირს და ფიქრობს, რატომ უმართლებთ სხვებს მეტად, რატომ არიან ისინი ჩვენზე წარმატებულები, რატომ გვეცარება ხელიო. წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ადამიანის ენერგეტიკული ველის მდგომარეობაა; ასევე, ხშირად იძენს წყევლის ძალას უნებურად წამოსროლილი სიტყვაც. მოკლედ, არსებობს დეტალები, რომლებიც უნდა გახსოვდეთ. ბევრს უკვირს, რატომ არ მიმართლებს კაზინოში, ბიზნესში, ფულში, პარტნიორშიო და, საერთოდ არ ესმის, რა კავშირშია ადამიანის ენერგეტიკული ველის მდგომარეობასთან წარუმატებლობა.

**– მე მაინც მგონია, ადამიანის უიღბლობა ზეციური ძალების სასჯელია და ეს სულაც არ არის ჩვენი მიზეზი.**

– გეთანხმებით, ნაწილობრვ ასეა. ადამიანის უიღბლობა ზეციური ძალების სასჯელია, შემთხვევითობა კი სხვა არაფერია, თუ არა ჯერ კიდევ ამოუცნობი კანონზომიერება. აქედან გამომდინარე, თავს დატეხილი უბედურება, უფულობა თუ წარუმატებლობა უიღბლობას კი არ უნდა დავაბრალოთ, არამედ, ამისი სათავე საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. მაგალითად, როცა ერთი ადამიანი უმოწყალოდ წყევლის მეორეს ან აგინებს გამიზნულად, ჩათვალეთ, რომ ის ამით საკუთარ ენერგეტიკულ ველს აზიანებს. ეს კი აუცილებლად გამოიწვევს წარუმატებლობას პირად ცხოვრებასა თუ კარიერაში. როცა ვინმეს მიმართ ზიზღს გამოხატავთ, წყევლით და აგინებთ, სამყაროში უარყოფით იმპულსებს უშვებთ და ის იმპულსები ბუმერანგივით უკან გიბრუნდებათ. ეს იგივეა, სამყაროს საკუთარი ბედი დააწყევლინოთ.

**– ანუ, გინებით ვიწყევლით თავს და ვბლოკავთ წარმატებასა და იღბალს?**

– სწორად მიმიხვდით. გინებით აბინძურებთ საკუთარი მომავლის ენერგეტიკულ კოდს და გაუცნობიერებლად ბლოკავთ წარმატებისა და მოგების შანსებს. ზოგადად, ყველა ისე ცხოვრობს, როგორც იმსახურებს. აბა, დააკვირდით – აზარტული თამაშის დროს რაც მეტს იგინება ადამიანი, მით უფრო აგებს, ხოლო, ვინც ჩუმად ზის, ის მეტად იღბლიანია. წარუმატებლობა აზარტული თამაშების დროს – სამყაროს პასუხია ადამიანის საქციელზე. არსებობს გარკვეული პერიოდები, როცა საშიშია საკუთარ ბედზე საუბარი, წყევლა თუ გინება, რადგან ეს ყველაფერი უკანვე გვიბრუნდება ელვის სისწრაფით. ერთმა უცაბედად გაელვებულმა და გაუაზრებელმა ფიქრმაც კი, შესაძლოა, რადიკალურად შეცვალოს მთელი თქვენი ცხოვრება. სწორედ ამიტომაა საჭირო სიფრთხილე, კონტროლი და წინდახედულება თითოეული სიტყვის წარმოთქმისას, რომ აღარაფერი ვთქვათ, გაცნობიერებულ საქციელზე. დაფიქრდით, რადგან დღევანდელი საქციელით ჩვენსავე მომავალ ბედს განვსაზღვრავთ. გაბრაზებულ გულზე ერთმა ცუდმა გაფიქრებამაც კი, შესაძლოა, გენური პროგრამა შეცვალოს და ბედში ნეგატიური ცვლილებები შეიტანოს. ცხოვრებაში უბრალოდ არაფერი ხდება. ნებისმიერი ადამიანი უნდა იმახსოვრებდეს იმ დღესა და რიცხვს, როცა რამე ნეგატიური მოხდა მის ცხოვრებაში და გაიაზროს, როგორ განწყობაზე იყო იმ კონკრეტულ დღეს: ხომ არ უსურვა სხვას ცუდი; ხომ არ დაიწუწუნა ბედზე; გაბრაზებულმა ხომ არ იგინა და ასე შემდეგ. ზოგადად, თუ გადავხედავთ განვლილ ცხოვრებას, დროსა და სივრცეში შეინიშნება ჩვენი არსებობის თანდაყოლილი შეზღუდვები და მას უნდა დავემორჩილოთ.



**ერთმა უცაბედად გაელვებულმა და გაუაზრებელმა ფიქრმა, შესაძლოა, რადიკალურად შეცვალოს მთელი თქვენი ცხოვრება. სწორედ ამიტომაა საჭირო სიფრთხილე, კონტროლი და წინდახედულება თითოეული სიტყვის წარმოთქმისას**

**– ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რას გულისხმობთ დროსა და სივრცეში, ან, თუნდაც, ცხოვრებისეულ შეზღუდვებში?**

– მაგალითად, თუ ხვდებით, რომ ორშაბათობით ან შაბათობით, 2, 9 ან 21 რიცხვში საქმე კარგად არ გამოგდით, გიწევთ ჩხუბი, იქმნება პრობლემები და ასე შემდეგ, ესე იგი, ამ დღეებსა და რიცხვებში განსაკუთრებულად უნდა დააკვირდეთ საკუთარ საქციელსა და სიტყვებს. ყველას აქვს თავისი თარსი, ნეგატიური რიცხვი, დღე და ამ დღეებსა და რიცხვებს უნდა მოერიდოთ. ამ დროს მეტად უნდა აკონტროლოთ ემოცია და ქცევა. ახლა მეტყვით, ეს რა შუაშია, უბრალოდ, ვიღაცას არ უმართლებს ცხოვრებაში, ბედი არ სწყალობსო. ამაშიც გარკვეული კანონზომიერება დევს. ისე კი, ყველას შეგვიძლია, ცხოვრებაში წარმატებას მივაღწიოთ და ამაში საკუთარი თავის გარდა, ვერავინ დაგვეხმარება. ამისთვის კი მთავარია, თქვენს საუბარს ძლიერი ენერგეტიკული ფონი შეუქმნათ. კერძოდ, თუ ადამიანი ემოციის გარეშე საუბრობს, მის სიტყვებს არანაირი ენერგეტიკული ძალა არ აქვს. რაც მეტია ემოციური ფონი, ენერგეტიკულად მით უფრო ძლიერია თქვენი ნათქვამი სიტყვა და მას გარშემო მყოფების მოზიდვა, დაჯერება და დაფიქრება შეუძლია. ანუ, ამ დროს ადვილად ზემოქმედებთ ადამიანებზე. ჩვენი წარმატების მთავარი საფუძველი – კარგად გააზრებული მანერებია. რასაკვირველია, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებაც შველის, მაგრამ, თუ მხოლოდ ამაზე იფიქრე და თქვი, მე ქუდბედიანი დავიბადე და ყველაფერი თავისით მოვაო, ისე დაგენგრევა ცხოვრება, აზრზეც ვერ მოხვალ. ცხოვრებაში მეტად გიმართლებს, თუ ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული, მაგრამ, ამასთან ერთად, შრომაც გიყვარს და დახვეწილი მანერებიც გაქვს – ამ შემთხვევაში, შენი ცხოვრება და წარმატება ზენიტშია. ემოციური საუბრით კი ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს. თუ თქვენი საუბარი ემოციური და დამაჯერებელი არ არის, ამით ვერ მოხიბლავთ გარშემო მყოფებს, ვერც აიყოლიებთ და ვერც კეთილად განაწყობთ თქვენ მიმართ. ასე რომ, დაუკვირდით საკუთარ მანერებს, საუბრის ტემბრს და ბუნებრივად მიიზიდეთ საზოგადოების ნდობა, პატივისცემა და სიყვარული.

**ნონა დათეშიძე**

# რა ემართება სუსტ მამაკაცს ქორწინებაში და რა არ უნდა მოუთმინოს მას ცოლმა



**თუ ქალები იშვიათად არიან ბედნიერები ქორწინებაში, ეს ისევ ქალის ბრალია, – ამტკიცებს ზოგიერთი ფსიქოლოგი და ამას მამაკაცის აღზრდაში დაშვებულ შეცდომებს უკავშირებს, რომელიც დიდწილად დედის ბრალია. სამწუხაროდ, ოჯახში გოგონებს უფრო ასწავლიან და ჩასჩიჩინებენ მომავალი ქმრის მორჩილებას, ვიდრე ბიჭებს. შედეგად, ვიღებთ ქორწინებას, სადაც ქმარს თავი მბრძანებელი, ყველაფრის ბატონ-პატრონი ჰგონია და სულაც არ დაგიდევთ, რომ რეალურად, საკმაოდ სუსტია. არათუ სიტუაციის ფლობა არ შეუძლია, გადაწყვეტილებებსაც ვერ იღებს. ამ ყველაფრის კომპენსირებას კი მიუღებელი, უპატიებელი მეთოდებით ცდილობს.**

**სოფიკო** *(34 წლის):* მთელი ჩემი ქორწინება კომპრომისია. ოღონდ კომპრომისი ჩემი მხრიდან. ჩვენი ერთად ყოფნის პირველივე დღიდან მიწევდა ქმრის სისუსტეებთან შერიგება-შეგუება... სამწუხაროდ, ამაში ექსტრაორდინარულს და უჩვეულოს ვერაფერს ვხედავდი. ცოლის მოვალეობა და პასუხისმგებლობაც არ მქონდა სწორად წარმოდგენილი. ჩემი ქმარი სარგებლობდა ამით და ისე მჩაგრავდა, აზრზეც ვერ მოვდიოდი. რეალურად, ძალიან სუსტი პიროვნებაა. თავი მოაქვს „ძლიერი სქესის" ბრწყინვალე წარმომადგენლად, მაგრამ არაფერს წარმოადგენს. ამას ქორწინებიდან ექვსი წლის მერე მივხვდი – წუწუნა, კაპრიზული, ეგოისტი და თავის თავზე ორიენტირებულია. გამაოგნებელი ამბავია, რომ აქამდე ამას ვერ ვხედავდი. გათხოვების პირველივე წუთებიდან არსებობს ცნება – „ჩემი"! არც „ჩვენი"... არის მხოლოდ „მისი"!

**– რას ითხოვს, რაშია ჭირვეული?**

– ღმერთო ჩემო, ყველაფერში, აბსოლუტურად ყველაფერში. წუწუნებს და ჭირვეულობს. მე მომხედეთ, მე მინდა, მე მშია, მე მწყურია... ჯერ მე ვარ და მერე ყველაფერი დანარჩენი... ექვსი წელია, მარტო მისთვის ვცხოვრობ და ამას ისე იფერებდა, თითქოს ეკუთვნოდა და ნორმაა, რომ ცოლმა მხოლოდ ქმრისთვის იარსებოს.

**– მხოლოდ ქმრისთვის არსებობა რას ნიშნავს?**

– რომ დამიძახებს, რასაც უნდა ვაკეთებდე, ყველაფერი უნდა მივატოვო და მისკენ გავქანდე. მაგრამ, როცა არ ვჭირდები, არ უნდა შევაწუხო – თითქოს არც ვარსებობ. გიკვირთ? გაინტერესებთ, როდის არ ვჭირდები? როცა სხვა ქალებს ეპრანჭება და ცდილობს, თავი დევგმირად, სუპერმამაკაცად მოაჩვენოს. აქამდე ბრმა ვიყავი, ამას რომ ვერ ვამჩნევდი, ან ვამჩნევდი და ვუთმენდი. არა რა, ჭკვიანმა ცოლმა ქმარს არაფერი არ უნდა მოუთმინოს. არ უნდა გქონდეს მცდარი წარმოდგენა ცოლქმრულ მოვალეობებზე. ჩემი ქმარი კი ძალიან სუსტი კაცია. ძლიერ კაცს ქალისთვის არაფრის დამტკიცება არ სჭირდება, ისედაც ყველაფერი დამტკიცებული აქვს. ჩემს ქმარს ეგოისტობა და მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი ბავშვის დაბადებამაც ვერ მოაშლევინა. მე ვერ ვიტყვი, რომ შვილი არ უყვარს, მაგრამ ჯერ თვითონაა პრიორიტეტული. საკმარისია, რამე მოუნდეს, საერთოდ ფეხებზე ჰკიდია, რა საჭიროება არსებობს იმ მომენტისთვის ოჯახში. ჩემ მიმართაც ზუსტად ასეთი დამოკიდებულება აქვს.

**– რას გულისხმობთ?**

– იმას, რომ, როცა ვჭირდები, მარტო მაშინ ზრუნავს ჩემზე. ისე, დამოუკიდებელი და თავისუფალია – როგორც უნდა, ისე განკარგავს თავისუფალ დროს. შეუძლია, მეგობრებთან გაერთოს, ვიღაც-ვიღაცეებთან იფლირტაოს... თან, მეუბნება, ამაში საშიში არაფერია შენთვის. შორს არ შევტოპავ, სიტუაციას ვაკონტროლებო. მითხარით, როგორ ვიყო მშვიდად? ფაქტობრივად, ასაფეთქებლად გამზადებული ბომბის გვერდით ვცხოვრობ. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი განცდა მაქვს. თანაც, მედალს ხომ მეორე მხარეც აქვს – მე ქალი ვარ და წესით, მე უნდა ვიყო ჭირვეული და კაპრიზული. მე უნდა ვითხოვდე კუთვნილ ყურადღებას, რომელსაც მოკლებული ვარ. ავად ვიყავი, ბავშვსაც ყელის სტკიოდა... რა გააკეთა? უი, ავად ხარო – ვითომ შეწუხდა და „უიქ-ენდებზე" მშობლებთან წავიდა აგარაკზე. სიმწრისგან ლამის ვიტირე, ისე ძალიან გავბრაზდი. ვიფიქრე, ამას არ ვაპატიებ და ძალიან ვეჩხუბები-მეთქი. გგონიათ, ნერვი მაინც აუტოკდა ან სინდისმა შეაწუხა? პირიქით, გაუკვირდა – რა პრეტენზიები გაქვს. წამლები გქონდა, ექიმის ტელეფონის ნომერი იცი, მე რაში გჭირდებოდიო.

> **მე მეტი უნდა ვიზრუნო მასზე, მეტი მოვუთმინო და რთულ მომენტებში მისი იმედიც არ უნდა მქონდეს? ნეტა, ყველა ქმარი ასეთია?**

თვითონ, როცა შეუძლოდაა, წინ და უკან დამარბენინებს, ნაირ-ნაირებს ითხოვს და მისი მაჯა უნდა მეჭიროს ხელში. სამსახურშიც კი არ უნდა წავიდე. ყველაზე საშინელი მისი ზარი იყო, აგარაკიდან რომ დამირეკა, თითქოს ჩემი ამბავი აინტერესებდა და ადარდებდა. აბა, როგორ ხარო? მე ისე კარგად ვერთობი, არაჩვეულებრივად... მწვადები შევწვით და ნავით მდინარეზეც გავისეირნე... ძალიან კარგი ამინდიაო... – ეს იყო ბოლო წვეთი ჩემს მოთმინების ფიალაში და როცა ჩამოვიდა, ვუთხარი, მე შენნაირი ქმარი არ მჭირდება-მეთქი. გაუკვირდა – რა სისულელეს ამბობ, რა უაზრო ჭირვეულობაა, ძალიან კარგი ქმარი ვარ. ჯერ არ მიღალატია შენთვის. მერე რა, რომ ავად ხარ, გვერდით რატომ უნდა გეჯდეო. ვერ გავაგებინე, რომ ორმოცი მქონდა სიცხე და წყლის მომწოდებელიც არ მყავდა. გამაგიჟა. ისე ცუდად როგორ იყავი, რომ სამზარეულოშიც ვერ გახვედიო. ვიტირე. უარესად გადაირია. არც მე მინდა ისეთი ცოლი, ყველაფერზე რომ კრუსუნებს და ტირისო. რა გამოდის, მე გაცილებით მეტად უნდა ვიზრუნო მასზე, გაცილებით მეტი მოვუთმინო და რთულ სიტუაციებში მისი იმედიც არ უნდა მქონდეს? ეს ხომ უსამართლობაა. ყველა ქმარი ასეთია თუ მარტო მე შემხვდა ამისთანა.

**– საერთოდ არ ზრუნავს თქვენზე?**

– მუშაობს და ხელფასი მოაქვს სახლში, რომლის რაღაც ნაწილი ისევ მის სიამოვნებას ხმარდება. ამას ეძახის ზრუნვას. მე ასე არ ვფიქრობ. სუსტი მამაკაცია – პიროვნულ სისუსტეს ვგულისხმობ და ქორწინებაში ეგოისტად იქცა. აი, ეს დაემართა.

**– სანამ დაქორწინდებოდით, მაშინ როგორი იყო?**

– ჩვეულებრივი. განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი გულისთვის ტყავში ძვრებოდა. ვხვდებოდით ერთმანეთს და მომეწონა. მშვიდი იყო, გაწონასწორებული, სტაბილური. ვიფიქრე, რომ კარგი ქმარი იქნებოდა. ზოგჯერ მაინც რომ ვგრძნობდე გვერდით მის ძლიერ ხელს, კიდევ არ ამოვიღებდი ხმას. დარწმუნებული ვარ, რამე სერიოზული პრობლემა რომ შემხვდეს, ცხოვრებაში მის იმედად ვერ ვიქნები.

**– იქნებ ჯობდეს, მშვიდად დაელაპარაკოთ?**

– ვერ იგებს და როგორ ველაპარაკო? მას რომ ჰკითხო, კარგი ქმარია და მე ვარ ჭირვეული, აუტანელი ცოლი... რატომ არ ესმის მას ჩემი? რატომ ვერ ხვდება, რომ მეც მჭირდება ყურადღება... რატომ უნდა მეშინოდეს ავად გახდომის?! იცით, ზოგჯერ როგორ მჭირდება ძლიერი მხარი, რომ მივეყრდნო... გული მტკივა, რომ ჩემი ქმრისგან ამას ვერ ვეღირსები. გადავწყვიტე, აღარ მოვუთმინო და აღარ გავანებივრო პატარა ბავშვივით. იქნებ მიხვდეს და ცოტა აზრზე მოვიდეს. თან მეშინია, იმ კომფორტს რომ ველარ მიიღებს, რასაც ჩემგან შეჩვეულია, სხვაგან არ წავიდეს.

**– სხვაგან, ანუ სხვა ქალთან?**

– დიახ. ისეთი ეგოისტია, არ გაუჭირდება. კი ვამბობ, რომ ასეთი ქმარი არ მჭირდება-მეთქი, მაგრამ რეალურად, ოჯახის დანგრევა არ მინდა. არ არის ეს ადვილი. იქნებ, გონს მოეგოს და მიხვდეს, რა ფუნქციები აკისრია ქმარს ოჯახში და რა პასუხისმგებლობა აქვს ცოლის მიმართ.

**დალი მიქელაძე**

## ცოლით უნდა იამაყო

ნებისმიერი ქალისთვის აუცილებელია, საკუთარი თავის რწმენა ჰქონდეს და ეს რწმენა წლების მატებასთან ერთად, გაძლიეროს. გვერდით მდგომი მამაკაცი კი ამაში უნდა ეხმარებოდეს. მამაკაცი ხშირად საერთოდ ვერ აცნობიერებს საკუთარ მისიას ქალის ცხოვრებაში. მათ არც ის იციან, რა დახმარების გაწევა შეუძლიათ საყვარელი ქალბატონისთვის.

ყველა ქალს აქვს შინაგანი ძალა და რესურსი, მაგრამ უმრავლესობას სჭირდება სიყვარული, რომ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რეალიზაცია მოახდინოს... ქალმა თავის სიცოცხლეში უნდა გააცნობიეროს, რომ ვიღაცისთვის ძალიან საყვარელი და საჭიროა.

ქალი ზოგჯერ უნდა იყოს სუსტი და იგრძნოს, რომ გვერდით საყრდენი ჰყავს. ალბათ, ძალიან ბევრი ქალია მოკლებული ამ ყველაფერს და შესაბამისად, სულ უფრო ცოტანი დარჩნენ ისეთები, ვისაც ყოველდღიურობა ბედნიერებას ანიჭებს.

მამაკაცს უნდა, რომ ცოლი მისით ამაყობდეს, მიიღოს და უყვარდეს ისეთი, როგორიც არის რეალურად, მაგრამ სანაცვლოდ, იგივეს გაღება არ უნდა. გაუგებარი და მიუღებელი ეგოიზმია. გაუგებარია ისიც, რატომ არ უხარია ბევრ ქმარს ცოლის წარმატება და საერთოდ არ იმჩნევს ამას, იმის მაგივრად, რომ წარმატებაში ხელი შეუწყოს. ძალიან ცუდია, რომ კაცებს ავიწყდებათ მთავარი – ბედნიერი ქალი სხვასაც ბედნიერებას ანიჭებს. მით უფრო იმ მამაკაცს, რომელიც უყვარს და გვერდით ჰყავს.

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ძალიან მინდა, ჩემი და ჩემი ქმრის ურთიერთობა განვაახლო. მართალია, ჩემს მეუღლეს რომანტიზმის ნატამალი არ გააჩნია და იცინის, როცა მე ვამბობ – კარგი იქნებოდა, სანთლების შუქზე გვევახშმა-მეთქი... მაგრამ, ყოველდღიურობა ისეთი ერთფეროვანია, რალაც ახალი მინდა. როგორ მოვიქცე? რამე მირჩიეთ.**

**გამოხმაურება:** ჩამოყალიბდით, რა უფრო გინდათ – თქვენი ფანტაზიები და სურვილები განახორციელოთ, თუ ქმარს აამოთ. თუ რომანტიკა არ უნდა, რატომ უნდა დააძალოთ? ჯობია, რაღაც ისეთი მოიფიქროთ, რაც ორივეს მოგეწონებათ. რაღაც თანხვედრას აუცილებლად იპოვით. მით უმეტეს, როცა მიზანი გაქვთ, ასიამოვნოთ საყვარელ მამაკაცს, საკუთარ გართობასა და სიამოვნებაზე ნაკლებად უნდა იფიქროთ. იყავით უფრო ყურადღებიანი მეუღლის მიმართ და ადვილად მიხვდებით, რა გაუხარდება. რა განუახლებს თქვენ მიმართ გრძნობასა და ვნებას.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაქიძე**

## დაინახე პიროვნება...

კაცი, რომელსაც არ უნდა, საკუთარ მეუღლეში უპირველესად პიროვნება დაინახოს, შეუმდგარი, საკუთარ შესაძლებლობებში დაურწმუნებელი, უპრინციპო და სუსტი ადამიანია. ტყუილად ჰგონია ზოგიერთ მამაკაცს, რომ რადგან კაცად დაიბადა, ის უკვე ლიდერია. სულაც არ არის ასე. მამაკაცი ძლიერია მხოლოდ მაშინ, როცა გვერდით მყოფი ქალის ღირსებების დანახვა და აღიარება შეუძლია. თუ კაცი ამას ვერ ახერხებს, ვერც თვად შედგება, როგორც პიროვნება. მხოლოდ დიდსულოვან, შემდგარ, ჭეშმარიტად დიდბუნებოვან კაცს აქვს უნარი – აღფრთოვანდეს საყვარელი ქალის წარმატებით. მიიღოს ის ისეთი, როგორიც არის და არ განიხილავდეს მას, როგორც შინამოსამსახურეს; ოჯახისა და ქმრის მომვლელ არსებას, რომელსაც საკუთარი სურვილები, მიზნები და ოცნებები არ უნდა ჰქონდეს.

ხელმოცარული მამაკაცი ვერ დაინახავს ცოლში პიროვნებას და ის ყოველთვის ხელმოცარულად დარჩება... ჰოდა, თუ ქალს გაუჩნდება შეკითხვა – მჭირდება კი ასეთი ქმარი საერთოდ?! – ეს აბსოლუტურად ლოგიკური იქნება.

რატომ ვერ ხედავს კაცი ქალში პიროვნებას – იქნებ ეს ქალის ბრალიც არის? დიახ, ქალს უნდა ჰქონდეს ამბიცია, აღიარონ მისი შესაძლებლობები, მისი პიროვნება... თუ წლების მატებასთან ერთად, მას ამის ამბიცია არ გაუჩნდება, მაშინ ის საკუთარ თავს დააზარალებს. არათუ ქმარი, შვილებიც კი არ დაინახავენ მასში პიროვნებას, არ აღიარებენ და არ დააფასებენ. ანუ, რა გამოდის? – უპირველესად, ქალმა თავად უნდა დაინახოს საკუთარ თავში პიროვნება და წინ წამოწიოს ის.

## უნდა, რომ დამშვიდდეს

მამაკაცის გაგება რთული არ არის. ისინი, ძირითადად, ერთ თარგზე არიან გამოჭრილები და ერთმანეთს ჰგვანან... თუ ქალებს ემოციების გამოხატვა გვახასიათებს და ეს ჩვენთვის ნორმალურია, ჩუმად ჯდომა კაცების უმრავლესობისთვის ნორმაა. თუ მთელი საღამო არ გელაპარაკებათ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ აღარ უყვარხართ... ყველაზე გონივრული იქნება, თუკი საკუთარ თავში „ჩაძირულსა“ და „ჩაღრმავებულს“ გაერიდებით. აცალეთ, იფიქროს, რაღაც-რაღაცეები გააანალიზოს და დამშვიდდეს. კაცებს არ შეუძლიათ, ერთდროულად რამდენიმე თემაზე ფიქრი. ეს მათთვის წარმოუდგენლად რთულია. როცა ტელევიზორს უყურებს ან რამეს კითხულობს, მასთან საუბარს აზრი არ აქვს. თქვენი სიტყვები კი ესმის, მაგრამ შინაარსს ვერ ხვდება. შესაბამისად, პასუხსაც ვერ გაგცემთ. ემოციური წონასწორობა როგორმე თქვენ უნდა აღადგინოთ. ბალანსი თქვენი დასაცავია. თუკი კაცმა რაღაცაზე ინერვიულა და უნდა, რომ დამშვიდდეს, რატომ უნდა შეუშალოთ ხელი?! დატოვეთ საკუთარ თავთან მარტო და გაეცალეთ. მთავარია, თქვენმა პარტნიორმა გაიგოს, რომ მას შეუძლია, განმარტოება და თქვენ ამას გაიგებთ. ბუნებრივია, ზოგჯერ დამშვიდება თქვენც დაგჭირდებათ. ამაში არაფერია გასაოცარი ან არაბუნებრივი... მაგრამ, იმოქმედეთ დიპლომატიურად – არ დაანახვოთ მას, რომ ემოციების მოთოკვა გიჭირთ. თუმცა, თუკი მიხვდება, რომ თქვენც გაქვთ პირადი სივრცე, ხართ დამოუკიდებელი და ძლიერი – თქვენს ურთიერთობას ეს მხოლოდ წაადგება.

## არ ვარ ლამაზი!

რა ხდება მაშინ, როცა ქალს საკუთარი თავი არც ლამაზად მიაჩნია და არც წარმატებულად?! ის ცდილობს, საერთოდ არ ილაპარაკოს ამაზე. „იკეტება“ და ნერვიულობს. შედეგად – უკეთეს შემთხვევაში, უსიხარულო ყოფა, უარესში – დეპრესია და მარტოსულობა.

ქალი კმაყოფილი უნდა იყოს თავისი გარეგნობით, სხვანაირად მას ძალიან გაუჭირდება. სხვათა შორის, არც ისე ლამაზად მიაჩნია თავი ბევრ საკმაოდ მიმზიდველ, ეფექტურ ქალბატონს. ამას თავისი მიზეზები აქვს და ფესვები შესაძლოა, ადრეული ბავშვობიდან მოდის. ზოგჯერ დედები ძალიან აშავებენ, როცა ქალიშვილებს ბევრს არ ეფერებიან, ბევრ თბილ სიტყვას არეუბნებიან და საკუთარი თავის რწმენას არ უნერგავენ. ამის ნაცვლად, გამუდმებით ჩასჩიჩინებენ მორიდებული და თავდადაჭერილი იყავიო. ეს თითქოსდა უწყინარი ფრაზებია, მაგრამ ხშირად ქალის მთელ დარჩენილ ცხოვრებას ასვამს დაღს. ქალი არათუ მიიჩნევს, რომ ლამაზი არ არის და კაცის ყურადღებას ვერ მიიპყრობს, ურთიერთობებიც ძალიან უჭირს.

დაივიწყეთ სიტყვები – არ ვარ ლამაზი! არ ვარ მომხიბვლელი, არ მოვეწონები მამაკაცებს და აჯობებს, არც ვცადო... პირიქით, მარტო იმაზე იფიქრეთ, რომ ძალიან მომხიბვლელი ხართ. საქმე მარტივად არ არის. დიდი დრო და მოთმინება დაგჭირდებათ, რომ საკუთარი თავის რწმენა დაიბრუნოთ...

არ ვარ ლამაზი! – ასეც რომ იყოს... მამაკაცებს ხომ განსხვავებული გემოვნება აქვთ. რა იცით, ვისთვის აღმოჩნდებით ყველაზე, ყველაზე ლამაზი.



გვერდი მოამზადა **ნინო წულუკიძე**

# რა ოინი უყო გიზო ნიშნიანიძემ სოფელში შემოპარულ ჯაშუშს და სად შეუქმნა მას დისკომფორტი ხელ-ფეხმა

*„მე თავს ბედნიერად არ ვთვლი, ბავშვობით კაცობა თუ გაგახარებინეთ, ამ დროს გაფლანგულად არ ვთვლი, კარგი დრო თუ გაგატარებინეთ. რის ანცობა კაცო, სანთლით გლოცე, ამით რაღაც შვება თუკი ჰპოვე, ამ ცდას გაცდენილად არ ვთვლი – გულის გასაღები თუ გიპოვე, თუკი პირში სული მოგიბრუნე, თუკი თვალში სხივი ჩაგიყენე, თუკი სიბერიდან მოგაბრუნე და დღესასწაული გაგითენე... რაღას მერჩი ძმაო, გიდგას გვრედში შენი ბიჭობა და სიჭაბუკე _ ის ბაჯაღლო გედოს ოქრო-მკერდში _ ისევ იბიჭე და იჭაბუკე!“ _ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, მკითხველისთვის, ვის დღიურებს გადავშლით დღეს – დიახ, ეს გიზო ნიშნიანიძეა თავისი „პაემანით ვერაზე”. მისთვის მხოლოდ უნდა გესმინათ, მისი დღიურები მხოლოდ უნდა წაიკითხოთ და თქვენ მასთან ერთად იმოგზაურებთ 70-80 წლების თბილისში*



## „ეს რა საინტერესო ტირილი გცოდნიათ, კაცო, მეგრელებს...“

„ამას წინათ სამეგრელოში გახლდით ტირილში... ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა რაიონის პირობაზე ერთობ „სუბორდინაციულ“ ბებიასთან, რომელიც, ასაკის მიუხედავად, გულამოსკვნილებს უნდა გვეტირა. ცრემლის სასესხებლად მეზობლებში გადასვლა არ დასჭირვებიათ. იტირებ, აბა, რას იზამ, როცა მიცვალებულის ჭირისუფლის ხელში ხარ და, თუ შენი ნებით არ იტირე, მერე შეუძლია, ყოფა გიტიროს... აწ განსვენებულის ერთ-ერთი და არც ისე თითით საჩვენებელი შვილიშვილი ძმაკაც თბილისელ ბიჭებს, ამ თავისთავად ორიგინალურ ეთნოგრაფიულ სპექტაკლში ერთობ რთული როლის შესრულებას გვაკისრებდა – არ გაგვწყრომოდა ღმერთი, არ გაგვეცინა და, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, თავი შეგვეკავებინა ყოველგვარი შაყირისგან. მეტის მოთხოვნა ჩვენგან მაშინ მართლაც შეუძლებელი იყო, რადგან სიყმაწვილე ყველაფერს ვარდისფერი სათვალით უყურებს და, იმხანად, სარი რომ გეკრათ თვალში, ცრემლი არ წამოგვივიდოდა. სულ არ მეპიტნავებოდა, მაგრამ, ვიდექი საქელეხო სეფის ქინძ-ომბალ-პიტნის საკაიფო სურნელში, ვგრძნობდი, როგორ გვითვალთვალებდნენ და, არ ვიცოდი, ან ხელი სად წამეღო, ან ფეხი... ბოლოს გადავწყვიტე ერთიორი თბილი სიტყვა მეც მეთქვა და გამოველაპარაკე ერთ ვიღაც ჩვენსავით შორებელს, მაგრამ გაცილებით აქტიურ გულაშემატკივარს – იქაურ შუახნის კაცს, ცხვირი იმ სიგრძეზე რომ ჰქონდა ჩამოშვებული, რამსიგრძე წყალობასაც ელოდა ზემდგომი ჭირისუფლისგან, – ეს რა საინტერესო ტირილი გცოდნიათ, კაცო, მეგრელებს... მან ერთი კი გადმომხედა ცერად, მაგრამ ჩემს გულწრფელობაში ეჭვი რომ ვერ შეიტანა, მთლად ამოუჯდა გული და ტირილ-სლოკინით მითხრა: თქვენ კიდო ტექსტი არ გესმისთ, ტექსტი, თორემ... – და თავი მხარზე დამამხო. აქედან დასკვნა: ესე იგი, ტექსტს დიდი მნიშვნელობა აქვს. ის დღე იყო და ის დღე, იმ დღიდან ვიწამე ეს, მაგრამ... ისიც ხომ ნაღდია, რომ გაგონილს ნანახი სჯობს...



## ჯაშუში

წუხელ სოფლის თავზე მტრის სამხედრო თვითმფრინავებმა გადაიფრინეს, დილით კი დაირხა ხმა, რომ გერმანელებმა დესანტი გადმოსხეს. სოფელს რას გამოაპარებ... ვზივარ ბაბუაჩემის, ისიდორე ნიშნიანიძის ხნის ბებერი მუხის ძირას, გადაღმა წყაროსთან... უცბად ზურგსუკან ვგრძნობ ვიღაცის სუნთქვას... გამაცივა... მხარზე მძიმე ხელი შემეხო და უფრო გამოვცოცხლდი – ჩემ წინ ვებერთელა ზუგჩანთამოკიდებული გადამთიელი იდგა და მიღიმოდა. მან, ალბათ, ჩათვალა, რომ მნახა ერთი გაუთლელი მიამიტი სოფლელი ბიჭი, რომელსაც წვრილ-წვრილად დააფქვევინებდა ყველაფერს. მამა უცხონდა, ვითომ კინოში არ მენახა „შპიონი“. ცაგერის გზა მკითხა... ჯარისკაცები თუ არიან სოფელშიო (ვითომ თავის ნაწილს ეძებდა). ცოტა რომ მოვითქვი სული და მდგომარეობა ვიყნოსე, თავში ფიქრების კორიანტელი დამიტრიალდა – როგრ მოვიქცე? ვის არ უოცნებია გმირობაზე, მით უფრო – ბავშვობაში?.. მე კი აი, აგერ, ვიდექი ახლა და დამტვრეულად მერუსულებოდა კაცი, რომელიც ბაიბურშიც არ იყო, რომ ჩემი სახით დაუძინებელ მტერთან ჰქონდა საქმე... ნამდვილი შპიონი! კინოში ნანახი და წიგნში წაკითხული კი არა, ნაღდი!.. მე მას ისე ავურიე გზა და კვალი, ცაგერის მაგივრად, სოფლის ცენტრის – ფრიალოულასაკენ გავუყენე გზას, თვითონ კი სხვა გზით მოვუარე და ჩავასწარი. სოფლსაბჭოში, ილბალზე, ახალჩამოყალიბებული სახალხო ბატალიონის შეკრება იყო და სწორედ წუხანდელი დესანტის დაჭერის ოპერატიულ გეგმას ადგენდნენ.

– ფაშისტი მოდის, ფაშისტი!.. – შევძარი ქვეყანა. ძლივს მომასულიერეს. მთელი სოფელი ფეხზე დადგა... მაშინვე გავძვერ-გამოვძვერი ხალხში და იმ კაცის ცხვირწინ ალმოვჩნდი. მიხვდა ყველაფერს და თვალები ორლულიანი თოფივით ისე მომიშვირა, იქვე დამმარხა...



„1942 წლის აგვისტოს თვეში ტყიბულის რაიონის ციხეა-ბობოთის სას. საბჭოში შემავალ სოფელ ნაძვაში საზაფხულო არდადაგებზე ჩამოსული იყო მოწინავე პიონერი გიზო დომენტის ძე ნიშნიანიძე. იმ დროს, როდესაც ის მიდიოდა სახლისაკენ, სოფლის მაღაზიასთან, გზაზე შეხვდა უცნობი საეჭვო პიროვნება, რომელიც მან გადმოსხმულ დესანტად იცნო და ამის შესახებ დროზე მისცა ცხნობა სას. საბჭოს. გ. ნიშნიანიძის მითითების საფუძველზე ც/ბობოთის სასოფლო საბჭოს მიეცა საშუალება, დროზე შეეპყრო ჯაშუში და დროზე წარედგინა სათანადო ორგანოებში. ამ ნორჩი საბჭოთა პიონერის პატრიოტულმა გრძნობამ დიდი როლი ითამაშა დესანტის დაკავებაში...“

ახლა არ იკითხავთ, რაში დამჭირდა ეს ცნობა? კომკავშირში მიღების დროს რაიკომში ვიღაცამ თავი ვერ შეიკავა – მაგან ჯერ თავის ყოფაქცევას მიხედოსო. მაშინ, მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, ყოფაქცევაში „კარგი“ რატომ ითვლებოდა „ცუდად“ და, საერთოდ, რას მიწუნებდნენ. ახლა კი ისიც გავიგე, რომ ადამიანის ავ-კარგში მთლად კარგად ვერც მაშინდელი კომკავშირლები ერკვეოდნენ. ჰოდა, არც ვაციე, არც ვაცხელე და ეს ცნობა შუბლზე ავაკარი იმათ, ვინც ადამიანებს მხოლოდ ცნობებით ცნობენ... ჩვენი სკოლის კომკავშირის კომიტეტის ჩემსავით გაწბილებულმა მდივანმა, ლამის ოლეგ კოშევოის გმირობის ტონში წაიკითხა ეს ქაღალდი და, უნდა გენახათ, რა ტაშის გრიალში მიმიღეს. 46 წლის შემდეგ, რესპუბლიკის სამხედრო კომისარმა, გენერალმა ლევან შარაშენიძემ, 60 წლის ასაკში, საზეიმოდ გადმომცა მედალი „კავკასიის დაცვისათვის“, რომელიც 14 წლის გიზო ნიშნიანიძემ დაიმსახურა... უცნაური დრო იყო, უნახავს ნახავდი და გაუგონარს გაიგონებდი. ამ ტირილ-ტირილში სიცილ-სიცილიც ისმოდა...

## დედამიწა მრგვალია

ერთ მოხალისედ წასულს, პირველ დღეს რომ დაუნახავს, თვითმფრინავები ყუმბარებს ყრიან და იწვის იქაურობა, აუხედია ცაში და ყვირილი დაუწყია: რას შობი, კაცო, სად ისვრი ამ ბომბებს... აქ ხალხია, ბატონო, აქ, შეიძლება, კაციც მოკვდესო... ბევრს ნუ ლაპარაკობ, შენც ისროლეო, – უთხრეს. მე მოხალისე ვარ, მინდა ვისვრი, მინდა არაო, – უუკადრისებია ბრძანება და უკან დაუპირებია ხოხვით წასვლა. სად მიდიხარ? – უკითხავთ. დედამიწა მრგვალია, „კრუგს“ დავარტყამ და ზურგიდან მოვუვლი მტერსო. არ გასვლია ეშმაკობა. ახლა ერთი ღრმა ორმო ამოურჩევია და იქიდან ყვირის: სანიტარ, სანიტარ!.. რა მოგივიდა, კაცო, დაჭრილი ხარ? – მოვარდა მედძმა. დაჭრილი არ ვარ, მაგრამ, რომ დავიჭრა, მერე სად გეძებო შენ, დაჯექი აგერ, თუ კაცი ხარო...

## შინამრეწველური საპონი და ვერის აბანოში ჩაფუფქული პოლიციელი

...რასაც ახლა მოგახსენებთ, ეს განსასჯელი უფროა, ვიდრე დასასჯელი, რადგან, არაშრომით შემოსავალს ვერ დავარქმევთ... მაშინ ჩვეულებრივმა ვერელმა ბიჭმა ლუკმაპურის საშოვნელად კუსტარულ შინამრეწველობასაც კი მიჰყო ხელი. ასე გაჩნდა თბილისში ფირმები: „ზურაბ ლეჟავა“, „გოგი გელოვანი და კომპანია – „ოქროსდეზებიანი მამალი“, „ჭაბუა ამირეჯიბი“, „დოდო აბაშიძე“, ამხანაგობა „ოქ-

# მაღალი ხარისხი, საიმედოობა, მისაღები ფასები – ეს GERMANY CLINIC-ის პრიორიტეტებია

გერმანული კლინიკის შექმნის მიზანია პაციენტებისთვის უახლესი აპ-


GERMANY CLINIC

არატურის გამოყენებით, სრულყოფილი გამოკვლევების მაღალპროფესიული და კომპლექსური მკურნალობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კლინიკაში ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები:

1) ოფთალმოლოგია, 2) სტომატოლოგია, 3) გინეკოლოგია, 4) ექოსკოპია, 5) ლაბორატორია.

ოფთალმოლოგიაში გამოკვლევები უახლესი აპარატურით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ტარდება. გამოკვლევებს ატარებენ უცხოეთიდან მოწვეული


ECOSCOPY - GYNECOLOGY

ექიმები, გერმანული კლინიკის დამფუძნებელ პროფესორ ბატონ **რამაზან აქთაშის** ხელმძღვანელობით.

კლინიკაში ტარდება შემდეგი სახის ოფთალმოლოგიური ოპერაციები: კატარაქტის, გლაუკომის, სიელმის, ბადურის ჩამოშლის


OPHTALMOLOGY

კატარაქტის ოპერაცია
გლაუკომა
სიელმის ოპერაცია
ბადურის ჩამოშლა

(ვიტრექტომია) დროს.

სტომატოლოგიურ განყოფილებაში ყველა პაციენტისთვის სტომატოლოგიური კონსულტაცია უფასოა. ტარდება თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული მკურნალობა. იმპლანტაცია ხდება გერმანული იმპლანტის გამოყენებით, რომელსაც ატარებს ყბა-სახის ქირურგი, პროფესორი **მამუკა გოგიბერიძე**.

გინეკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელია პროფესორი **ელგუჯა ჭაბაშვილი**. გინეკოლ-

**გერმანულ კლინიკაში საზაფხულო ფასდაკლებებია. ასევე, აქციის ფარგლებში უფასოა სტომატოლოგიური კონსულტაცია**

ოგიურ განყოფილებაში ქალბატონებს შეუძლიათ, შეარჩიონ სასურველი და მათთვის უსაფრთხო კონტრაცეფციის მეთოდი. ჩვენი პრიორიტეტია, მოვიპოვოთ პაციენტის ნდობა და ვცდილობთ, რთული პასუხი გავცეთ ყველა კითხვას მისი დაავადების შესახებ.


STOMATOLOGY

თერაპია
ქირურგია
ორთოპედია
იმპლანტი
რენტგენი

**მის.: გორგასლის №51; ტელეფონები: 275-34-34, 577 43-75-48.**

როს ქოშები"... ამ უსაპნობის დროს, თაიროვის, ალიხანოვის, ტოლეს სააქციო საზოგადოების საპნის სახარში ქარხნის ძველი რიხით, თბილისში გაჩნდა „უმაღლესი ხარისხის" საპონი „ოქროს დეზებიანი მამლის" იარლიყით, მაგრამ, კაციშვილმა და, მათ შორის თვით მისმა მომჩიფირთებელმა ბიჭებმაც კარგად არ იცოდნენ ამ კუსტარული ნაწარმის შემადგენლობა. რისი ეთერ-ზეთები, რისი ეთილის სპირტი (სად იყო ამისთვის გასაფუჭებელი სპირტი), რისი ლაქტონები, ალდეჰიდები და ექსრაქტი?... მაგრამ, ხომ ფაქტია ის ფაქტი, რომ საპონი საპნობდა, ქაფდებოდა... ირეცხებოდა მანამ, სანამ ეს „საქმე" ერთი უბედური, თუმცა, რა იცი, იქნებ, ბედნიერი შემთხვევის გამო არ გასკდა... ფირმას, ვერის უბანში ერთადერთი მექრთამე მილიციელი იყო და, სწორედ ის დაეცა. რა ვქნა ახლა მე, დავუსტვინო, შეგიყაროთ ქვეყანა თუ გავჩუმდეო... გაჩუმება არჩია. კონფისკაცია უყო მთელ ამ შინამრეწველურ საპონს და იმავე დღეს ცოლ-შვილი ვერის აბანოში გააქანა. სწორედ აქ დატრიალდა ცოდვა-მადლი. საუბედუროდ, „ოქროს მამალი" სარეცხის საპონი იყო და არა ტანის დასაბანი... თანაც, ამ უკანასკნელ პარტიაში ბიჭებს ქლორი მეტი მოსვლოდათ და მექრთამე მილიციელი, თავის ოჯახიანად, დანაშაულზე წასწრებულივით, ადგილზე დაიწვა, ანუ, დაიფუფქა, რა...

### დოდო აბაშიძისა და ჭაბუა ამირეჯიბის ნათალი ხის ქოშები თბილისელ გოგოებს

...თბილისელი ბიჭები გენიალური გამომგონებლები არიან. ოღონდ მიუშვი საქმეზე და ქვიდან წვენს ადენენ – დოდო აბაშიძე იქნევდა ნაჯახს სქელტარიანს, ჭაბუა ამირეჯიბი ქოშებს უთლიდა თბილისელ მადონებს. მოკლედ, ადელხანოვის ფეხსაცმელების ფაბრიკა მიმიქარავს, აქ ისეთი ხის ქოშები ითლებოდა, თუმცა ვერის ჰერკულესი ვერ ხმარობდა დანას, რაღაცას უშნოდ ჩორკნიდა და არც კი წითლდებოდა. კინაღამ გაკოტრდა ასე მთელი ფირმა... როდემდე ეთმინა და ჭაბუამ ერთხელ ჰკადრა: სულ გავბანკროტდებით, დოდო, ხომ აზრზე ხარ?.. ეს ოჩოფეხები ლამაზმანთა ფეხებს სულ დააკოჭლებს და, ძმაო, თუ ჯანზე ხარ, დღეიდან შენ მარტო შეშა დაჩეხე!"...

**ეკა პატარაია**



## რა უნდა ჭამოთ საუზმეზე და როგორ უნდა კვებოთ თავის კანი

კარგია, თუ დილით ბრინჯის ფაფას მიირთმევთ, რადგან ის მდიდარია სახამებლით, რომელიც ორგანიზმს ეხმარება საკვების უკეთ გადამუშავებაში. მას აქვს თვისება, გამოიმუშაოს სეროტონინი, რომელიც აუმჯობესებს განწყობას. რასაც, ასევე, ხელს უწყობს ბანანი, პური, მაკარონი, თბილი რძე და ასე შემდეგ. თუ ამ პროდუქტებს ერთ ფინჯან ყავასაც მიაყოლებთ, თავს უფრო მხნედ იგრძნობთ.

ფიზიკური აქტივობა და სპორტი ენერგიის გამოცლასა და დაღლას იწვევს, მაგრამ ძილს მაინც არ მოგგვრით. დაძინებამდე სამი საათით ადრე უარი თქვით ყველანაირ ვარჯიშზე; ასევე, ეცადეთ, ყოველდღე ერთსა და იმავე დროს დაწვეთ დასაძინებლად და ძილის წინ არ იფიქროთ საქმეებზე.

საღამოს საათებში ნუ შეჭამთ შემწვარ ხორცს, სოსისსა და შებოლილ პროდუქტებს, რადგან ეს საკვები კუჭ-ნაწლავის გადატვირთვას იწვევს და ღამით მშვიდი და ნორმალური ძილის საშუალებას არ მოგცემთ. ძილის წინ ნურც შოკოლადს, ყავას, ჩაისა და ტკბილ გაზიან სასმელს მიირთმევთ, რადგან ეს პროდუქტები ორგანიზმის აგზნებას იწვევს.

ასევე, ყოველდღიურ რაციონში აუცილებლად ჩართეთ სტაფილო, კეფირი, ხაჭო და კომბოსტოს მწნილი, რათა თმა და კანი იდეალურ მდგომარეობაში გქონდეთ.

თმა კანის ზედაპირზე ამოსული ღეროსა და ფოლიკულში განლაგებული ძირისგან შედგება. თმის ბოლქვში მოთავსებული ნერვული ბოჭკოები და სისხლძარღვები მას გამრავლებისთვის აუცილებელი მკვებავი ნივთიერებებით ამარაგებს. ერთი თვის განმავლობაში თავზე თმა დაახლოებით ერთი სანტიმეტრით იზრდება, თმის სიცოცხლის ხანგრძლივობა კი შეზღუდულია – გარკვეული დროის შემდეგ „ძველი" ღერები ცვივა და მათ ადგილს ახალი იკავებს. თმის ძლიერი ცვენა ორგანიზმის ავადმყოფურ მდგომარეობაზე მიუთითებს, რაც კომპლექსურ მკურნალობას საჭიროებს.

ნაადრევი გამელოტების დროს სასარგებლოა, საკვებ რაციონში ქაცვის ნაყოფი ჩართოთ, სვათ სვიის გირჩების ნაყენი და მათი ნახარშით დაიბანოთ თავი.

თმის მდგომარეობა დამოკიდებულია როგორც მემკვიდრეობაზე, ასევე, გარეგან ზემოქმედებასა და ადამიანის საერთო მდგომარეობაზე. ამიტომ, გარდა იმისა, რომ თმას უნდა მოუაროთ, ჯანსაღი წესით უნდა იცხოვროთ და სწორად იკვებოთ. თქვენს რაციონში უნდა შედიოდეს ორგანიზმისთვის საჭირო ყველა აუცილებელი მკვებავი ნივთიერება. დიდი მნიშვნელობა აქვს ხორცს, თევზს, რძის პროდუქტებსა და პარკოსნებში შემავალ ცილებს; ასევე, აუცილებელია ნაღების კარაქი და მცენარეული ზეთი.

მარცვლეულის კერძები ხელს უწყობს კერატინის წარმოქმნას. თმამ აუცილებელი ვიტამინებისა და მინერალური მარილების საკმარისი რაოდენობა რომ მიიღოს, ორგანიზმს ბოსტნეული და ხილი ესაჭიროება. ასევე, აუცილებელია მინერალური წყალი, მწვანე ჩაი და წვენების ხშირად დალევა.

რეგულარული ვარჯიში კი სისხლის მომარაგებას აუმჯობესებს, რაც თმის ძირებში ჟანგბადისა და მკვებავი ნივთიერებების გადასვლას უზრუნველყოფს. თქვენს რაციონში აუცილებლად უნდა იყოს: სტაფილო, კეფირი, ხაჭო, ვაშლი, კომბოსტოს მწნილი. თმას არ უყვარს ბევრი ტკბილი და გაზიანი სასმელი.

## ფეხმძიმობა და მშობიარობა კიბოს დაავადების განვითარების რისკს ამცირებს, უნაყოფობა კი – პირიქით

ბოლო დროს საკმაოდ იმატა ქალებში საკვერცხეებისა და სარძევე ჯირკვლების კიბოთი დაავადების რიცხვმა. როგორც მეცნიერები და მედიკოსები ამბობენ, ფეხმძიმობა და მშობიარობა ამ დაავადების განვითარების რისკს საგრძნობლად ამცირებს, უნაყოფობა კი – პირიქით. ჰორმონული პრეპარატები, რომლებიც ოვულაციას ასტიმულირებს, დაავადების განვითარების რისკს კიდევ უფრო უწყობს ხელს. საკვერცხის კიბოს განვითარების მაპროვოცირებელ ფაქტორად ზოგიერთი ვირუსიც მოიაზრება. იმისთვის, რომ შეამციროთ რისკი, აუცილებელია მშობიარობა, მემკვიდრული განწყობის ცოდნა და გინეკოლოგის ხშირი მეთვალყურეობა.

თუ ქალი ხშირად განიცდის მუცლის არეში დისკომფორტს, აღენიშნება მენსტრუალური ციკლის დარღვევა, მუცლის ხშირი შებერვა, სიმძიმის შეგრძნება და ნაწლავების მოქმედების დარღვევა, აუცილებლად უნდა გაესინჯოს გინეკოლოგს, რათა გამოირიცხოს დაავადების რისკი. საკვერცხის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ამ ეტაპზე დაავადება, ფაქტობრივად, უსიმპტომოდ მიმდინარეობს, მკურნალობა კი დაავადების სტადიაზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება სარძევე ჯირკვლის კიბოს, ამ რისკის ჯგუფში ის ქალები შედიან, ვინც შვილი გვიან ასაკში გააჩინა და, ასევე, ისინი, ვინც ჩვილს ბუნებრივად არ კვებავდა. გარდა ამისა, სარძევე ჯირკვლის დაავადების მიზეზი ხშირად არის მემკვიდრეობითი მიდრეკილება, კვება და ცხოვრების სტილი; ასევე, ალკოჰოლი და თამბაქო. სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების ხშირი და მთავარი მიზეზი კი არის აბორტი და დაბინძურებული ეკოლოგიური გარემო. პრევენციისთვის საჭიროა, წელიწადში ერთხელ მაინც მიაკითხოთ მამოლოგს და ჩაიტაროთ ჯირკვლის ულტრაბგერითი კვლევა.

თუ ქალმა მკერდის ნებისმიერ ადგილას ან იღლიის ფოსოში გამკვრივებული უბანი აღმოაჩინა; თუ ძუძუსთავმა ან მკერდმა შეიცვალა ფორმა ან აღინიშნება გამონადენი, აუცილებლად გაიკეთეთ სარძევე ჯირკვლის კიბოს ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, რადგან დროულად გამოვლენილი დაავადება მკურნალობას ექვემდებარება. რისკის ჯგუფებში კი ძირითადად ის ქალები შედიან, რომელთა წინაპრებსაც ონკოლოგიური დაავადებები ჰქონდათ; ასევე, ვისაც აქვთ ქრონიკული ანთებითი პროცესები, ენდომეტრიოზი ან დაავადებები, რომლებიც არ ემორჩილება ან რთულად ექვემდებარება ჰორმონულ თერაპიას.

## დილა საუკეთესო დროა ნივთიერებათა ცვლის გასააქტიურებლად, ამიტომ აუცილებლად ისაუზმეთ

აქტიური გამოფხიზლება დილითაა საჭირო. გამოღვიძებიდან არაუგვიანეს ერთი საათის შემდეგ ისაუზმეთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მადა არ გაქვთ. უმჯობესია, დილით შვრიის ფაფა, რძე და ერთი ცალი ბანანი ან ერთი ცალი მოხარშული კვერცხი მიირთვათ.

გაღვიძებიდან 5-10 წუთის შემდეგ ათჯერ მაინც ჩაბუქნეთ – ასე თქვენს ორგანიზმს არა მარტო გამოაფხიზლებთ, არამედ, ნივთიერებათა ცვლის პროცესებსაც დაარეგულირებთ.

თუ ორგანიზმს პერიოდულად არ წმენდთ ტოქსინებისა და წიდებისგან, ამით საფრთხეს უქმნით ჯანმრთელობას.

დაგროვილი ტოქსინებისა და წიდებისგან ორგანიზმის გაწმენდის ბევრი ხალხური საშუალება არსებობს:

* ყოველ საღამოს, ძილის წინ, ერთი თვის განმავლობაში, 1 სადილის კოვზ მოხარშულ და გატარებულ ხორბალს დაასხით 1 ჭიქა კეფირი და მიირთვით.

* ერთი კვირის განმავლობაში დაიცავით შემდეგი სახის დიეტა: მიირთვით მხოლოდ წყალზე დამზადებული, უცხიმო, ბოსტნეულის მსუბუქი სუპები, ხილი, წვენები, ბალახების ჩაი და გაზგასული მინერალური წყლები.

* კვირაში ორჯერ ორგანიზმს მოუწყვეთ განტვირთვის დღე და მიირთვით მხოლოდ ბოსტნეულის წვენები.

## რა შემთხვევაში ხდება მზეზე დიდხანს წოლა ინფარქტის მიზეზი და რატომ არის ზაფხულში დეპრესიის დამარცხება ადვილი

მზე ყველა სახის გამოსხივების წყაროა. ხილული სინათლე ელექტრომაგნიტური გამოსხივების მხოლოდ ერთ-ერთი სახეა. ელექტრომაგნიტურია, ასევე, რადიოტალღები, ინფრაწითელი, ულტრაიისფერი და რენტგენული გამოსხივება. მზისგან მოდის ისეთი ნაწილაკების ნაკადები, როგორებიცაა ნეიტრონები, ასევე, მზის ქარი ანუ დამუხტული წყალბადის ატომის ბირთვებისა და ელექტრონების ნაკადი. მზის აქტიურობით გამოწვეული

მაგნიტური ქარიშხლების პერიოდში ადამიანის ორგანიზმში, სისხლში ადრენალინის გამოტყორცნის პროცესი იმატებს. ის შედარებით ნელა და წყვეტილად მოედინება, გული კი საგრძნობლად იტვირთება, რაც, შესაძლოა, გახდეს ჰიპერტონიული კრიზის, ინფარქტის ან ინსულტის მიზეზი. ამიტომ, მნიშვნელოვანია ამინდის გათვალისწინება და საჭირო ზომების მიღება. მცირე დოზით მზის ულტრაიისფერი გამოსხივება ადამიანისთვის საზიანო არ არის, მაგრამ ოზონური შრის დარღვევა დამატებით ყურადღებასა და კანის დაცვას მოითხოვს. მაგალითად, ქერათმიანებს, ჟღალთმიანებსა და ჭორფლიანებს ნაზი და თეთრი კანი აქვთ. ვისაც ტანზე ბევრი მუქი ფერის ხალი აქვს, უმჯობესია, თუ საერთოდ არ გაირუჯება.

ზეაქტიური ადამიანებიც კი, ზაფხულის პერიოდში ითენთებიან, მუდმივად ძილის შეგრძნება და აპათია აწუხებთ, სწრაფად იღლებიან. ყოველივე ეს კი ორგანიზმში ჰორმონ სეროტონინის ნაკლებობის გამო ხდება, რომლის გამოსამუშავებლად აუცილებელია სწორი დღის რეჟიმი, მზის სინათლე და ჯანსაღი ცხოვრების წესი. ორგანიზმი ამ მდგომარეობის კომპენსაციას ცდილობს და დიდი რაოდენობით წვავს კალორიებს, ამის გამო, ხშირად გინდებათ ტკბილეული, ეს კი, თავის მხრივ, გასუქებას იწვევს.

ზაფხულის დეპრესიის დასაძლევად მნიშვნელოვანია ძილის სწორი რეჟიმი: დასაძინებლად ერთსა და იმავე დროს დაწექით. თუ გარკვეული მიზეზების გამო უძილობა გაწუხებთ, ძილის წინ თბილი აბაზანა მიიღეთ. მნიშვნელოვანია ძილის წინ სუფთა ჰაერზე სეირნობა, ფიზიკური ვარჯიში კი სხეულის წონის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ.

ეცადეთ, დიდი რაოდენობით ჭამოთ ხილბოსტნეული, ერიდეთ მძიმე და კალორიულ კერძებს. ერთადერთი გამონაკლისი ამ დროს არის შოკოლადი, რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას და საგრძნობლად აუმჯობესებს გუნება-განწყობას. ეცადეთ, ხშირად გამონახოთ დრო დასვენებისა და ისეთ ხალხთან ურთიერთობისთვის, ვისთანაც თავს კარგად გრძნობთ – ეს დეპრესიის დაძლევაში დაგეხმარებათ.

ასევე, ზაფხულში აუცილებელია ორგანიზმის ვიტამინებით მომარაგება, ამისთვის კი სეზონური ახალი ხილი და მისგან გამოწურული წვენები ნამდვილად მისწრებაა. წვენმა რომ თავისი უნიკალური და სასარგებლო თვისებები შეინარჩუნოს, აუცილებელია, მათი მომზადების წესები დაიცვათ. სასურველია, ხილი და ბოსტნეული გახეხოთ პლასტმასის სახეხზე, რადგან რკინასთან შეხება ანადგურებს ვიტამინების ნაწილს; ფერმენტები, ვიტამინები და არომატული ნივთიერებები აგრეთვე სწრაფად ნადგურდება ჰაერზე ჟანგბადის ზემოქმედების შედეგად. ამიტომ, წვენი უშუალოდ მიღების წინ უნდა მოამზადოთ და დალიოთ ნელ-ნელა, თან ცოტა ხნით გაიჩერეთ პირის ღრუში, რათა ნერწყვს შეერიოს – ეს ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ მის მთლიანად შეწოვას. არ არის საჭირო იმ ხილისა თუ ბოსტნეულის გათლა, რომლისგანაც წვენის გამოწურვას აპირებთ, რადგან ვიტამინების უმეტესობა სწორედ კანქვეშაა დაგროვილი.

# ექიმის რჩევები

**კითხვა**: **ვარ ქალიშვილი. ჩემს მეგობარ გოგონას რომელთან ერთადაც ვცხოვრობ ბინაში, აღმოაჩნდა საშვილოსნოს ყელის პაპილომა ვირუსი და დისპლაზია. ვიცი, რომ ეს საყოფაცხოვრებო გზითაც გადადის. როგორ გავიგო, გადამედო თუ არა პაპილომა ვირუსი და მაქვს თუ არა მეც დისპლაზია?**

**პასუხი**: პაპილომა ვირუსი სქესობრივი გზით გადამდები ვირუსია. თუ ქალს არ ჰქონია სქესობრივი ურთიერთობა, მას არ უნდა ჰქონდეს ეს ვირუსი. მაგრამ, ამერიკელმა ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ქალიშვილებში, რომლებსაც არავისთან არ ჰქონიათ ინტიმური ურთიერთობა, დაინფიცირებულები იყვნენ ვირუსით ტაქტილური კონტაქტის შედეგად, ანუ, პარტნიორები ეხებიან ერთმანეთის გენიტალიებს. ჩვენი რჩევაა, ჩააბაროთ ანალიზები და დაადგინოთ, გაქვთ თუ არა ვირუსი, რათა დროულად მოხდეს სათანადო მკურნალობა. რაც შეეხება დისპლაზიას, მისი დიაგნოსტირება ხდება პაპ-ტესტით.

**კითხვა**: **როდესაც ინტენსიურად, დღის განმავლობაში ვსვამ წყალს, ხშირად მინდება შარდის ბუშტის დაცლა. ნორმალურია თუ არა ყოველ 10 წუთში მოშარდვის სურვილი? ამის გამო წყლის დალევა აღარ მინდა (უფრო მეტად მაშინ ხდება ასე, როცა, მაგალითად, ნახევარი საათის განმავლობაში დავლევ 1 ლიტრ წყალს)**

**პასუხი**: წესით, რაც მეტ სითხეს იღებთ, მით მეტს გამოყოფთ.

**კითხვა**: **მყავს 11 წლის შვილი. გთხოვთ, მიპასუხოთ, როგორ შევუვსო კალციუმის ნაკლებობა ორგანიზმში ბუნებრივი გზით?**

**პასუხი**: ბავშვმა აუცილებლად რეგულარულად უნდა მიიღოს რძე და რძის პროდუქტები.

**კითხვა**: **მაქვს ოვარიკოცელე. მაინტერესებს, უშლის თუ არა ეს ხელს დაფეხმძიმებას; დაფეხმძიმების შემთხვევაში, ახდენს თუ არა გავლენას ნაყოფის განვითარებაზე და ექვემდებარება თუ არა მედიკამენტოზურ მკურნალობას?**

**პასუხი**: ვარიკო-ოვარიკოცელე – ეს არის ორივე საკვერცხის ვენების ვარიკოზული გაგანიერება, რაც, შესაძლოა, ახლდეს შარდსასქესო სისტემის დაავადებებს და შეიძლება გამოიწვიოს საკვერცხეების დისფუნქცია: ამ დროს აღარ მწიფდება ფოლიკული, ადგილი აქვს დეგენერაციულ-დისტროფიულ ცვლილებებს საკვერცხეში, რაც ვლინდება ფსიქომოტორული და სქესობრივი დარღვევებით.

**კითხვა**: **მაინტერესებს, რატომ მისკდება თითების ბალიშები? ვიცი, რომ ეს ბევრს ემართება, გამომწვევ მიზეზს კი ვერ მივაგენი.**

**პასუხი**: უნდა მიმართოთ დერმატოლოგს. გამოსარიცხია კანის სოკოვანი დაავადება, ეგზემა, გარემოს ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა, ვიტამინების უკმარისობა და ასე შემდეგ.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## თუ სახსრების დაავადება გაწუხებთ, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება კვებას და არეგულირეთ წონა

საკმაოდ ხშირია სახსრებთან დაკავშირებული პრობლემები. ამ დროს საჭიროა დროული მკურნალობა, რათა აღდგეს დაზიანებული სახსრების ნორმალური ფუნქციონირება. სახსრების ართრიტს ან რევმატიზმს ძირითადად იწვევს სასუნთქი გზებით ორგანიზმში მოხვედრილი სტრეპტოკოკები. ხშირად სახსრები აწუხებს მათ, ვისაც ნივთიერებათა ცვლა აქვთ დარღვეული. როცა ირღვევა შარდმჟავის ცვლის პროცესი, ეს ნივთიერება გროვდება ორგანიზმში და ილექება სახსრებში, რაც მათ დაზიანებას იწვევს.

თუ სახსრების დაავადება გაწუხებთ, აუცილებლად უნდა მიაქციოთ ყურადღება კვებას: არ შეზღუდოთ ცილის შემცველი პროდუქტების მიღება და პერიოდულად გაიკეთეთ ანალიზი შარდმჟავის რაოდენობის გამოსაკვლევად. სამწუხაროდ, ასაკის მატებასთან ერთად, მრუდდება სახსრები და ასაკში შესვლისთანავე, ადამიანთა უმეტესობა სახსრების ტკივილს უჩივის.



ზედმეტი წონა კი დამღუპველია მენჯ-ბარძაყისა და მუხლების სახსრებისთვის. ამიტომ, გირჩევთ, შეინარჩუნოთ ნორმალური წონა და, კვებასთან ერთად, მეტი ყურადღება მიაქციოთ ვარჯიშს. ყოველდღიური ვარჯიში ამაგრებს და მოქნილობას მატებს სახსრებს. ასევე, კარგია მასაჟი, ფიზიოპროცედურები და ვიტამინოთერაპია.

**გვერდები მოამზადა**
**წონა დათეშიძემ**

# რა უამბო სტალინმა მოლოტოვს გრიგორი რასპუტინის მკვლელობის შესახებ



1939 წლის 17 სექტემბერს წითელი არმია დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში შევიდა, ხოლო 28 სექტემბერს, საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის კიდევ ერთ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომელშიც ამ ორ ქვეყანას შორის მყარი საზღვრები დაფიქსირდა. ბრიტანეთის პრესამ დიდი ხმაური ატეხა და ოფიციალური ნოტა გამოუგზავნა სტალინს, სადაც ისინი სუვერენული ტერიტორიების ოკუპაციასა და ჰიტლერთან კავშირს გმობდნენ. „ბრიტანული პოლიტიკის ფიასკომ პრემიერი ჩემბერლენი წყობიდან გამოიყვანა და ასეთ ნოტათა შინაარსიც აქედან მომდინარეობს," – ირონიულად შენიშნავდა სტალინი მოლოტოვთან საუბრისას, მორიგი დიპლომატიური პროტესტის გაცნობის შემდეგ, – „კარგია, რომ ჩერჩილი არაა ბრიტანეთის ხელმძღვანელი. ეს მისია დღესდღეობით ჩემბერლენს აკისრია. თუმცა, ეს ფუფუნება დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს და ჩერჩილი სულ მალე შეცვლის კიდეც მას (როგორც ყოველთვის, დიდი ბელადის პროგნოზი გამართლდა და შემდეგი წლის მაისში ჩერჩილმა პრემიერის სავარძელში მოიკალათა). ბრიტანელი ლომი მელიის პოლიტიკის განხორციელებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ!" – ამბობდა იმავე საუბარში სტალინი და ასეთ შედარებას აკეთებდა, – „პირველი მსოფლიო ომის დროს მათ (ბრიტანეთმა) მოახერხეს რუსეთის გახრწნილ დიდგვაროვანთა და ოპოზიციის ნაწილის გაბრიყვება. მათ, თავიანთი ჯაშუშების მეშვეობით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალება მოუსპეს ნიკოლოზ მეორეს, რომელსაც გერმანიასთან ომის შეწყვეტა სურდა და სისხლისღვრა გააგრძელებინეს. საამისოდ, გრიშკა რასპუტინის მკვლელობა ჩაიდინეს, რომელიც ბრიტანელი ჯაშუშის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა".

სტალინმა მოლოტოვს დაწვრილებით უამბო 1916 წელს პეტერბურგში, იუსუპოვის სასახლეში მომხდარი მკვლელობის ისტორია, რომელიც ასე დააბოლოვა: „რასპუტინი მეფე-დედოფალს ომის შეწყვეტას მოუწოდებდა და, სავარაუდოდ, ეს ასეც მოხდებოდა, რადგან მას უდიდესი გავლენა ჰქონდა მათზე, მაგრამ ბრიტანელებმა შეთქმულები წააქეზეს და რასპუტინი მოაკვლევინეს. ომი გაგრძელდა, ნიკოლოზი დაემხო და საბოლოოდ, ჩვენ მოგვიწია ომიდან გამოსვლა".

სტალინი, რომლის თვალწინაც გაიარა რუსეთის ისტორიის ერთ-ერთმა ყველაზე ბობოქარმა ეპოქამ, სხვებზე უკეთ იყო ჩახედული ყველა ნიუანსში და, რა თქმა უნდა, თავის გაბრიყვებასა და ისტორიის განმეორების საშუალებას, არ დაუშვებდა. „გერმანიასთან კავშირი რომ დროებითია, ეს, რა თქმა უნდა, ჩვენმა ბრიტანელმა „მეგობრებმაც" კარგად უწყიან," – ამბობდა სტალინი სექტემბრის ბოლოს პოლიტბიუროს წევრთა ვიწრო წრეში, – „მაგრამ სწორედ ეს, ანუ ჩვენი სწორი პოლიტიკური სვლები აცეცხლებს მათ და ყველა ღონეს ხმარობენ ჩვენს გადასაბირებლად". დაძაბული საერთაშორისო ვითარებისა და ფორსირებული სამხედრო გადაიარაღების მიუხედავად, ქვეყნის შიდა ცხოვრება ჩვეულ, მშვიდ, საქმიან რიტმში მიედინებოდა. სტალინმა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე შეამზადა ხალხი დიადი განსაცდელისთვის, რადგან ბრწყინვალედ უწყოდა, რა ელოდა წინ ჩვენს სამშობლოს. ამიტომაც იყო, რომ ასეთ დაძაბულ სიტუაციაში გახლდათ მობილიზებული, ხოლო ევროპის უმეტეს სახელმწიფოში ხალხი უკიდურესად დაბნეული და დათრგუნული იყო. სხვათა შორის, მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ერთსულოვნად და ცალსახად, აღტაცებით აღნიშნავდნენ საბჭოთა ადამიანების სიძლიერეს, რაც კერძო საუბრებში იკვეთებოდა. ბრიტანელი სამხედრო ატაშე, კოენი საბჭოთა გენერლებთან შეხვედრისას ამბობდა: „ბატონებო, თქვენ ისეთი მასალა (გულისხმობდა ჯარისკაცებს, ცოცხალ ძალას) გაქვთ ხელთ, რომ მხოლოდ სამხედრო საქმე უნდა შეასწავლოთ. სხვა ყველაფერი დანარჩენი – სიმამაცე, პატრიოტიზმი, ერთგულება და ასე შემდეგ, მათ ბავშვობიდან აქვთ შესისხლხორცებული. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თქვენ დიდი სტალინი მიგიძღვით წინ". ამით კი, კოენი არ მარტო საკუთარ აზრს გამოხატავდა, ბრიტანული მთავრობის ჩვენდამი დამოკიდებულებასაც ახმოვანებდა. პოლიტიკაში რომ მუდმივი მეგობრები არ არსებობენ, ეს, რა თქმა უნდა, სტალინმა შესანიშნავად უწყოდა და ამ პრინციპს არასდროს ღალატობდა, მით უმეტეს, ჩვენდამი იდეოლოგიურად საპირისპიროდ განწყობილი ქვეყნების მიმართ. თუმცა, ყოველთვის ზომიერებას იცავდა და ყველა საკითხს ცივი გულითა და ცხელი გონებით უდგებოდა. „რა ჰიტლერი, რა ჩემბერლენი და რა სხვა, ნებისმიერი ქვეყნის ბურჟუა მეთაური, ყველა ერთია ჩვენთან პრინციპულ მიმართებაში, – ამბობდა სტალინი, – „მთავარი ის კი არაა, თუ ვინ რამდენს ან როგორ ილაყბებს სხვაზე, არამედ ის, ვის რამდენი ტანკის, თვითმფრინავის, გემისა და ზარბაზნის გამოყვანა შეუძლია ბრძოლის ველზე. ფრანგები ბევრს ლაყბობენ და არაფერი შეუძლიათ, ინგლისელებიც ბევრს ლაპარაკობენ და რაღაც შეუძლიათ, გერმანელები კიდეც ლაყბობენ და კიდეც შეუძლიათ, ხოლო ჩვენ ლაყბობა არ გვჩვევია, საკმაოდ ბევრი შეგვიძლია და უფრო მეტი უნდა შევძლოთ". ასეთ ფორმულირებას უფარდებდა დიდი ბელადი იმდროინდელი წამყვანი ევროპული სახელმწიფოების შესაძლებლობებს და ეს შეფასებები მოკლედ, მაგრამ ძალიან ზუსტად ასახავდა ძალთა განლაგებებს იმ პერიოდისთვის. საგულისხმო ფაქტია, რომ რაც უფრო ახლოვდებოდა დიდი ომი, ბერიას გავლენა დღითი დღე მატულობდა და პირდაპირპროპორციულად იზრდებოდა მისი უწყების როლი მსოფლიო პოლიტიკაში. თუნდაც ის, რომ გერმანიის სამხედრო მანქანამ, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1938 წელს იყო განწყობილი და პირი სხვა მიმართულებით იბრუნა, იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოთა უშიშროების ახალი ხელმძღვანელი ეფექტურად მუშაობდა, ზუსტად ასრულებდა დიდი ბელადის მითითებებს. ახლა უკვე დიდ საიდუმლოს აღარ წარმოადგენს და თამამად შემიძლია გავამჟღავნო, რომ მთელი საბჭოთა საგარეო პოლიტიკის 9 პროცენტი, 30-იანი წლების მიწურულში, ანუ დიდი ომის წინ, მთლიანად ბერიას უწყების ეფექტურობაზე იყო დამოკიდებული... და ეს მას შემდეგ, რაც დიდი წმენდა ჩატარდა სამხედრო დიპლომატიურ, ეკონომიკურ სფეროებში და ამ სტრუქტურაში მყარად დამკვიდრდა უშიშროობება, მათი ეფექტურობა ერთი-ორად გაიზარდა და ეს ყველაფერი მყარი კონტროლის საფუძველზე განხორციელდა.

**დე გოლი უკიდურესად შეშფოთდა, აეროპორტში დაეწია ქირვეულ საბჭოთა მინისტრს და, მთელი რიგი დიპლომატიური რევერანსების შემდეგ, უკან დააბრუნა**

ერთხელ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიაჩესლავ მოლოტოვი პარიზში, შარლ დე გოლის მიწვევით, სამხედრო აღლუმზე დასასწრებად ჩავიდა. სრულიად შემთხვევით, ისე მოხდა, რომ მოლოტოვი მეორე რიგის სტუმრებს შორის მოექცა და მოწინავე ქვეყნების წარმომდაგენლებთან ვერ მოხვდა, ანუ სხვა ტრიბუნაზე აღმოჩნდა. მან არც აცია, არც აცხელა, დემონსტრაციულად მიატოვა აღლუმი და საბჭოთა საელჩოში დაბრუნდა, იქიდან კი მოსკოვში გამგზავრებას გეგმავდა. არადა, დე გოლთან ჰქონდა დანიშნული შეხვედრა, სადაც მნიშვნელოვან საკითხებზე უნდა ესაუბრათ. მოკლედ, შეიქმნა ძალზე უხერხული სიტუაცია. დე გოლი უკიდურესად შეშფოთდა, აეროპორტში დაეწია ქირვეულ საბჭოთა მინისტრს და მთელი რიგი დიპლომატიური რევერანსების შემდეგ, უკან დააბრუნა. როდესაც ეს ყოველივე სტალინს აუწყეს, მან სიამოვნებისგან ღრმა ნაფაზი დაარტყა ჩიბუხიდან და მოლოტოვი შეაქო: „პოლიტიკური ღირსება, შეხამებული ჩვენს სამხედრო-ეკონომიკურ ძლიერებასთან, ის მძლავრი ბერკეტია, რომელიც მოწინავე, ზესახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნებაში შეგვიწყობს ხელს მსოფლიო მასშტაბით", – ამბობდა სტალინი, ხოლო ყოველივეს ლავრენტი ბერიას უწყება ძალზე ოსტატურად ასხამდა ხორცს. რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილი არც ჩვენი მოქიშპე გერმანული, ბრიტანული და ფრანგული დაზვერვა გახლდათ. გარდა ამისა, ძალებს იკრებდა შეერთებული შტატების ანალოგიური სტრუქტურებიც. თუმცა, საბოლოოდ, მაინც ჩვენმა ძალისხმევამ გადაწონა ყველაფერი და ბრიტანელების მიერ წამოწყებული სარისკო თამაში მათივე წინააღმდეგ მივმართეთ. სტალინი დიდად აფასებდა ბერიას ამ ღვაწლს და გაწეული სამსახურისთვის წლის ბოლოს ლენინის ორდენით დააჯილდოვა. ერთი სიტყვით, მეორე მსოფლიო ომი ოთხი თვის დაწყებული იყო, ჰიტლერი დიდი ძალისხმევის გარეშე წარმატებას წარმატებაზე აღწევდა და, მართალია, გერმანია ჯერ კიდევ არ აპირებდა საბჭოთა კავშირში შემოჭრას, მაგრამ ომი ყოველდღიურად გვიახლოვდებოდა. სტალინი ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ღირსეულად დახვედროდა მომავალ აგრესორს.

**გიორგი ლაშაური**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

## ბითარიშვილი – ბიტარიშვილი

**ბითარიშვილი** და **ბიტარიშვილი** ერთი და იგივე გვარია. უბრალოდ, რუსული გავლენით, ასო თ შეცვლილია ტ-თი.

ამ გვარების ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ბითა**.

არსებობს მოსაზრება, რომ ამ გვარის წარმომადგენლები ოსები არიან. ოსური გვარების გაქართულების ბევრი მაგალითი გვაქვს, თუმცა, ოსები უფრო ბიტაროვს ატარებენ.

ამავე ფუძით ნაწარმოები გვარებია: **ბითარაშვილი** და **ბიტარაშვილი.**

საქართველოში 78 **ბითარიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 48, გორში – 20, თერჯოლაში – 10.

190 **ბიტარაშვილი**: დუშეთში – 61, გურჯაანში – 38, მცხეთაში – 34. არიან სხვაგანაც.

170 **ბიტარიშვილი**: თბილისში – 69, გარდაბანში – 26, კასპში – 24. არიან სხვაგანაც.

20 **ბითარაშვილი**: გორში – 6, თბილისში – 5, ყვარელში – 4. არიან სხვაგანაც.

## ყავრიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ყავრი**. გადმოცემის მიხედვით, ის წინაპართა საქმიანობის საფუძველზე შექმნილი გვარია, კერძოდ, წინაპრები ყავრის გადამხდელები იყვნენ.

1876 წელს სოფელ გოლთეთში მოიხსენიება **ანდრია ყავრიშვილი.**

საქართველოში 75 **ყავრიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 44, საგარეჯოში – 27, რუსთავში – 4.

## ამურველაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ამურველა**.

მათი თავდაპირველი გვარი **ამრუმელაშვილი** ყოფილა.

1871 წლის აღწერით, მარაბდაში მოიხსენიება გოსტაბაშვილის ყმა – **ოქრუა ამურველაშვილი.**

**ამურველაშვილები** დიდ ენაგეთში სოფელ ერწოდან გადასულან.

საქართველოში 100 **ამურველაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 49, თეთრი წყაროში – 41,




გურჯაანში – 6. არიან სხვაგანაც.

## ჯანგებაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯანგება**.

სიტყვა ჯანგება ნიშნავდა ჯანიანს, ძალით მომგებს.

1721 წელს ღოუბანში მოიხსენიება იესა სოლოღაშვილის ყმა, ზურაბა **ჯანგებაშვილი**.

საქართველოში 96 **ჯანგებაშვილი** ცხოვრობს: თეთრი წყაროში – 70, თბილისში – 25, კასპში – 1.

## მურადაშვილი

**მურადაშვილი** ქართული გვარ-სახელია. ამ გვარის ერთ ნაწილს, არსებული გაუგებრობის გამო, საორჭოფოდ გაუხადეს საქმე: ისინი ჯერ სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას აზიარეს, შემდეგ კი ერთ-ერთ ეკლესიაში სომეხი ტერტერა გამოჩნდა და სულით ხორცამდე ქართველი მურადაშვილები სომხებად ჩაწერა. ეს ფაქტი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გახდა ცნობილი, როცა მათ პასპორტების აღება დასჭირდათ.

**მურადაშვილის** ფუძეა საკუთარი სახელი **მურადა**. ეს სახელი ჩვენს წინაპრებს არაბებისგან უსესხებიათ. **მურადი** არაბულად სასურველს ნიშნავს. ეს სახელი მეთოთხმეტე საუკუნიდან გვხვდება, ხოლო გვარი **მურადაშვილი** – მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში იყო ფართოდ გავრცელებული და ის არაერთ ისტორიულ დოკუმენტშია დაფიქსირებული.

1823 წელს ერთი **მურადაშვილი** ასე მოიხსენიება: „გაბო **მურადაშვილი** მეუღლითა და შვილებით ცხოვრობდა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ბორბალოში“.

გვარი **მურადაშვილი** არის, ასევე, **მურაჩატაშვილების** განაყოფი გვარი.

მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, სობისაში მცხოვრებ გიგლა მურადაშვილს, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა.

ამავე ძირისაა გვარი **მურადელი**.

საქართველოში 1 238 **მურადაშვილი** ცხოვრობს: გორში – 705, თბილისში – 399, ასპინძაში – 134.

74 **მურადელი**: გორში – 29, თბილისში – 18, ბორჯომში – 10. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# რა ხელშეკრულებებს ადებინებს სახლში დაბრუნებულ ბიზნესმენ ქმარს ნინო წიკლაური და რატომ არის მის ცხოვრებაში სამი მნიშვნელოვანი მამაკაცი

(მე-14 გვერდიდან)

ბიზნესისა, აქვს კიდევ ბიზნესები, თუმცა, მე მის საქმიანობაში დიდად არ ვარ ჩახედული. ხშირად უწევს ქალაქიდან საქმეებზე წასვლა. დიდხანს რომ არ არის სახლში, დაბრუნების შემდეგ, ხელშეკრულებას ვადებინებ: „ერთი კვირა არ გავალ სახლიდან არც მე და არც შენ!..“ და ხელს აწერს ***(იცინის).*** ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა, მაგრამ მოსკოვში დიდი ბედნიერება ვიპოვე. ეს ჩემი უსაყვარლესი ქალაქია და ამიტომ, არასდროს მაწუხებს სამშობლოს ნოსტალგია. რასაკვირველია, ყველა ოცნება არ ამხდენია, მაგრამ ყველაფერი წინაა. მჯერა, უფლის დახმარებით, ყველა ოცნებას ავიხდენ. მთავარია, არარეალურზე მეოცნებე არ ვარ და ფრთების ამოსვლას არ ველი ***(იცინის).*** იღბლიანი ვარ, რომ მყავს საოცარი შვილი – სალი ხმალაძე და უსაყვარლესი შვილიშვილი – გიორგი, რომელიც ბებიას ცოცხალი თავით არ მეძახის. ნინო, ნინოს – დამძახის ***(იცინის).*** არადა, მინდა, დამიძახოს. არ მაფერებინებს, დიდი კაცივით სერიოზულია. მაღაზიაში რომ შევდივარ და ვეკითხები: ბებო, რა გიყიდო-მეთქი, გაოგნებულები მიყურებენ. თქვენ ბებია ხართო ***(იცინის)?*** შემდგარი ოჯახი, მოსიყვარულე ქმარი, შვილი და შვილიშვილი – ყველა ქალისთვის დიდი ბედნეირებაა. სულ ვამბობ, ჩემს ცხოვრებაში სამი მამაკაცია – ქმარი, გიორგი და ირაკლი, ჩემი დიშვილი, რომელიც ჩემი გაზრდილია.

**– თუმცა, ამ ბედნიერებამდე გრძელი გზა გაიარე...**

– არასდროს არაფერი მაკლდა. ყოველთვის მყავდა თაყვანისმცემლები, მქონდა რომანები, გატაცებები, ჩემი შრომით ვშოულობდი ფულს... მაგრამ რომ მკითხოთ, ახლა რომ გადახედო შენი ცხოვრების განვლილ გზას, რას შეცვლიდიო, ალბათ, არაფერს. ცუდი იყო თუ კარგი, ესაა ჩემი ცხოვრება. ასე უნდა გამევლო და ამ ბედნიერებამდე მოვსულიყავი. რასაკვირველია, ქალი რომ ბედნიერი იყოს, გვერდით სჭირდება ძლიერი მამაკაცი, მაგრამ ბევრ გოგონას ვიცნობ, ვისაც საერთოდ არ ჰყავს გვერდით ქმარი, მაგრამ არის ძლიერი, წარმატებული და თქვენ წარმოიდგინეთ, ბედნიერიც. გასათხოვარიც ვიყავი, ქმარს გაცილებულიც და გათხოვილიც ვარ, მაგრამ ვცდილობდი და ვცდილობ, ჩემი საქმე ვაკეთო და ვიყო წარმატებული. გაჭირვებაც მინახავს, მაგრამ ჩემით დავმდგარვარ ფეხზე. დღეს კი, წარმატებული ვარ იმიტომ, რომ ბედნიერი ვარ. ჩემთვის წარმატება ბედნიერებასთან ასოცირდება. მეხერხება დროის გადანაწილება და მიუხედავად დატვირთული დღის რეჟიმისა, საყვარელი ადამიანებისთვის დროის გამონახვას ვახერხებ. თუმცა ერთი წესი მაქვს – შაბათ-კვირას ტელეფონს ვთიშავ.

**– როგორც გავიგე, მოსკოვში საპროდიუსერო ცენტრი გახსენი და ახლა, დაკავებული ხარ იმით, რომ შენს ქალიშვილს სასიმღერო კარიერა აუწყო.**

– დიახ, გავხსენი საპროდიუსერო ცენტრი და სალის ვუხსნი თავის ჩამწერ სტუდიას, სადაც ის იმუშავებს. ბავშვობიდან დამყავდა ვოკალზე. აბსოლუტური სმენა აქვს, კარგად მღერის, კარგი გარეგნობა აქვს, მოცეკვავეა – ანუ, ყველა მონაცემი აქვს, იდგეს სცენაზე. რუსულ შოუ-ბიზნესში აპირებს სერიოზული ნაბიჯების გადადგმას და ამისთვის თავს არ ზოგავს. ამ სფეროში კარგად ერკვევა და იცის, როგორ მიაღწიოს წამრმატებებს. მე უბრალოდ ვეხმარები, მისი პროდიუსერი ვარ. ჰყავს უძლიერესი ვოკალის პედაგოგი. ერთ-ერთ საპროდიუსერო ცენტრთან გავაფორმეთ კონტრაქტი, რომელშიც მე ვთანამშრომლობ. ჩემი ყოფილი ქმრისგან, გიგა კვენეტაძისგან შევიძინეთ სიმღერა, მეორე სიმღერა კი – ვიქტორ დრობიშისგან. ჩაფიქრებული გვაქვს ცნობილ რუს მომღერლებთან დუეტებიც, მაგრამ თავიდან სოლო კარიერით ვიწყებთ. ერთი სიმღერა უკვე ჩავწერეთ და ახლა მეორეზე ვმუშაობთ. შეხვედრა გვქონდა ავტორ-შემსრულებელ, მუსიკოს იგორ კრუტოისთან. მოგვცა დარიგებები და გვითხრა, სალი წარმატებებს აუცილებლად მიაღწევს, ლამაზი, ჭკვიანი, მოქნილი და მუსიკალური გოგოა, რაც შოუ-ბიზნესისთვის აუცილებელიაო. ცნობილმა კლიპმეიკერმა კონსტანტინ ჩერეპკოვმა გადაუღო კლიპი, რომლის პრეზენტაციაც, სულ მალე მოსკოვში შედგება, შემდეგ კი ტელევიზიებშიც გავა. მეც მის იმიჯზე, პორტფოლიოზე და ენის დახვეწაზე ვმუშაობ. ყოველთვის გიჟი დედა ვიყავი, ერთი შვილი მყავდა და მისთვის ვცხოვრობდი. ახლაც მისით ვარ დაკავებული და ვიცი, იმედებს გამიმართლებს.

**ნონა დათეშიძე**

# როგორ გახდა გლანდების ოპერაცია 3 წლის გოგონას გარდაცვალების მიზეზი

***21 მაისს 3 წლის ლილე მხეიძე გლანდების ოპერაციის შემდგომი გართულების შედეგად გარდაიცვალა. ბავშვს ოპერაცია 15 აპრილს ბორჯომის „ჯეო-ჰოსპიტალსის“ კლინიკაში ჩაუტარდა. მშობლები ფიქრობენ, რომ სავალალო შედეგი ბორჯომის კლინიკის ექიმების დაუდევრობამ და გულგრილობამ გამოიწვია. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს ძიება.***

**ანა მხეიძე** *(ლილე მხეიძის დედა):* ექიმმა გვითხრა, რომ ბავშვს სასწრაფოდ სჭირდებოდა გლანდების ოპერაცია, თუმცა მერე გამომძიებლისთვის უთქვამს, ხუთი წლის რომ გახდებოდა, მერეც შეიძლებოდა ამის გაკეთებაო. წინასწარ ჩაუტარეს ანალიზები, გვითხრეს, ყველაფერი წესრიგში აქვს და ხვალ საოპერაციოდ მოიყვანეთო. როგორც დაბარებულები ვიყავით, 10-ის ნახევრისთვის მივედით საავადმყოფოში, თუმცა, ოპერაცია საღამოს 6 საათზე გაუკეთეს. ოპერაციის გაკეთებას თბილისში ან რუსთავში ვაპირებდით, მაგრამ ქირურგი დავით მამისაშვილი აქაც თბილისიდან ჰყავდათ მოწვეული და ამიტომ ვენდეთ. ანესთეზიოლოგი თემურ ლომსაძე იყო.

**– ოპერაციის დაგვიანების მიზეზი რა გახდა?**

– მანამდე ჯერ ექთნის შვილს და მერე ექიმის შვილიშვილს გაუკეთეს ოპერაცია. ლილე კარგად იყო, არ ტიროდა და ამიტომ გადაწყვიტეს, მისთვის გვიან გაეკეთებინათ. უკვე შეგვყავს, მაგრამ, აი, ეს ბავშვი ტირის და, მოდი, ჯერ ამას შევიყვანთო, – მითხრეს.



**– ოპერაციამ როგორ ჩაიარა?**

– ოპერაცია დიდხანს გაგრძელდა. საოპერაციოდან გამოსულმა ექიმმა გვითხრა, ოპერაციამ გართულებებით ჩაიარა, პოლიპებზე შეხორცებები იყო და სისხლდენა ჰქონდაო. საერთოდ, დღეს ტამპონი აღარ იდგმება, მაგრამ, რადგან ბავშვს სისხლდენა ჰქონდა, ჩავუდგით, ხვალ დილით კი ამოვუღებთ. ახლა გამოფხიზლდება და პალატაში გადმოიყვანენო. ნახევარ საათზე მეტი გავიდა. ამდენი ხნის შემდეგ უფროსი ექთანი გამოვიდა და ხელში აყვანილი ბავშვი გამოიყვანა. სხვა ყველა საწოლით გამოჰყავდათ და ამიტომ ვკითხე – ბავშვი ასე რატომ მოგყავთ-მეთქი. მიპასუხა: ისეთი ცელქი შვილი გყავთ, რომ კინაღამ საწოლიდან გადმოგვივარდაო. პალატაში შემოიყვანა და გვითხრა, გვერდულად უნდა იწვესო. ამიტომ უკნიდან ბალიში ამოვუდეთ, რომ არ გადმობრუნებულიყო. ბავშვის სუნთქვა რომ მოვისმინე, პანიკური კივილი და ტირილი ამიტყდა. პალატიდან გამომაგდეს – ცოცხალ ბავშვს რატომ დასტირიხარო. ანესთეზიოლოგმა თქვა: გამაყუჩებლები აქვს გაკეთებული და ცოტა ხანს ეძინებაო. მერე ექიმმა გვითხრა, ასეთი სუნთქვა ტამპონის ბრალია და, დილით რომ ამოვუღებთ, ესეც გაუვლისო. დაახლოებით სამი საათი გავიდა, მაგრამ ბავშვი არ გამოფხიზლებულა და არც რაიმე სახის რეაქცია ჰქონია – არც შარდზე გასულა და არც ამოუხველებია. თურმე, ამ დროს უნდა ამოაღებინოს და შედედებული სისხლი ამოიღოს, მაგრამ, რადგან ბავშვი გათიშული იყო, სისხლი ეყლაპებოდა და ესეც არავის შეუმოწმებია. 9 საათისთვის მეუღლემ ექიმი შემოიყვანა, თუმცა, ახალი არაფერი უთქვამს. მოგვიანებით, ანესთეზიოლოგს შევჩივლე, რატომ არ იღვიძებს-მეთქი და – რა გინდა ახლა, გავაღვიძო და სხვა ბავშვივით იკივლოს და ხალხი შეაწუხოსო? მაშინ, იყოს, თუ პრობლემა არ შეექმნება-მეთქი, ვუპასუხე. დილამდე ეძინებაო, – მითხრა და გავიდა. ასეთ მგომარეობაში რომ ვუყურებდით ბავშვს, ვნერვიულობდით. მეუღლემ ექთანს სთხოვა, ექიმი შემოსულიყო და კიდევ ენახა. არავინ რომ არ შემოვიდა, ჩემი მეუღლე მივიდა იმ ექთანთან, მას ეძინა. მაშინ ჩემმა ქმარმა გადაწყვიტა, ბავშვისთვის ვიდეო გადაეღო – იქნებ დერეფანში მაინც დავიჭირო ექიმი და ვანახოო. ექიმი პალატაში შემოჰყვა, ბავშვის მდგომარეობა ნახა და წასვლას აპირებდა, მაგრამ შეყოვნდა, თითქოს რაღაც აბრკოლებდა – მგონი, რაღაც იეჭვა, თუმცა არაფერი მოუმოქმედებია. გვითხრა, ანესთეზიოლოგს გამოვუშვებო, მაგრამ ჩვენთან არცერთი აღარ შემოსულა. დაახლოებით, 3-ის ნახევრისთვის ბავშვს სიცხემ აუწია და სასწრაფოდ ექთანთან გავიქეცი. მან ბავშვი ვერ გამოაფხიზლა და ექიმის მოსაყვანად გაიქცა. ანესთეზიოლოგი შემოვიდა – არ გამოფხიზლებულაო? არა-მეთქი. ბავშვს შეხედა და იყვირა: ამას ჟანგბადი რატომ არ უდგასო? როგორც ჩემი მეუღლე ამბობს, ექთანმა უთხრა, ჟანგბადი აღარ გვაქვსო. ანესთეზიოლოგმა ეგრეთ წოდებული, „ყბების ამოწევა“ გაუკეთა, რომელიც ძალიან მტკივნეული პროცედურაა და, არ არსებობს, ადამიანი არ გამოაფხიზლოს. ბავშვმა ამოისუნთქა, ჩაისუნთქა და გაჩერდა; მეორედ გაუკეთა, მესამედ და – ბავშვმა სუნთქვა შეწყვიტა. უცებ ბავშვი „დააგდო“ და იყვირა – ჩქარა, რეანიმაციაშიო. ჩვენი პალატიდან რეანიმაციამდე ბავშვი არ სუნთქავდა. მოგვიანებით გვითხრეს, რომ „ყბების ამოწევამ“ გაუჩერა ბავშვს გული და კლინკური სიკვდილი გამოიწვია, თუმცა ექიმი თვითონ არ ადასტურებს, რომ ეს გაუკეთა. რომ ეკითხებიან, რამ გამოიწვია ეს მდგომარეობაო. პასუხობს: არ ვიცი, შოკში ვარო. იქ მყოფი ადამიანები აუცილებლად დაადასტურებენ, რომ მან ეს ნამდვილად გააკეთა. რეანიმაციაში შევყევი, უკანასკნელი სიტყვებით იგინებოდა, აქაურობა გაათავისუფლეთო. პატარა ოთახი იყო, იქ მყოფები გარეთ გამოიყვანეს, ბავშვი შეიყვანეს და ჟანგბადის აპარატი დაუდგეს. იმის თავიც კი არ ჰქონდათ, რომ მე რეანიმაციიდან გამოვეშვი. იქ ვიყავი და ყველაფერს ვუყურებდი. დავით მამისაშვილი (ქირურგი) გააღვიძეს და მან თქვა: ბიჭო, ბავშვს ფილტვები სისხლით აქვს სავსე. ეტყობა, ბევრი სისხლი ყლაპა და ლარინგოსპაზმი მოუვიდაო. რეკავდა, რეანიმობილი უნდა გამოვიძახოთ და თბილისში გადავიყვანოთ, რაგდან სერიოზული მდგომარეობაა და ჩვენ შესაბამისი აპარატურა არ გვაქვსო. თუმცა, გვითხრა, რომ, ყველაზე მძიმე, რაც შეიძლებოდა, ამას მოჰყოლოდა, პნევმონია იყო. უცებ ტელეფონი მომაწოდა – სამინისტროდან არ გვიგზავნიან რეანიმობილს და, მოდი, თავი შეაცოდეო. დაველაპარაკე და, ათ წუთში გამოვუშვებთო. მანამდე კი დიდხანს გვატყუებდა ექიმი – რეანიმობილი გამოვიძახე და მოდისო. ბორჯომში ვინც კი ექიმია, ყველა გამოიძახეს და „ფორმა 100” დაწერეს, რომელშიც, როგორც შემდეგ სხვა ექიმებმა გვითხრეს, ბავშვის რეალურ მდგომარეობასთან აბსოლუტურად შეუსაბამო ინფორმაცია ეწერა – სად ჰქონდა ამ ხალხს იმის თავი, რომ ბავშვს კლავდნენ და ასეთ სისულელეებს წერდნენო?! იმის მიხედვით, ბავშვი ისეთ მგომარეობაში იყო, რომ მეორე დღეს ფეხზე უნდა დამდგარიყო. აღმოჩნდა, რომ ექიმი (ლომსაძე) რეანიმობილის მძღოლს იცნობდა და დაელაპარაკა. მძღოლმა ჰკითხა: ბიჭო, ხომ არ გიჩივლებენო? ექიმმა ხელი აიქნია – არ არიან ესენი მჩივლებლებიო. არ ელოდა, რომ გვერდით ვედექი და მესმოდა. იმ წუთში არც მიმიქცევია ყურადღება, პირიქით, მადლობები ვუხადე – ჩემი შვილის სიცოცხლის გადასარჩენად მთელი ღამე იბრძოდით-მეთქი და, რას ამბობ, მეტის გაკეთებაც შემეძლოო. 10 საათისთვის ბავშვი ჟვანიას კლინიკაში შეიყვანეს. დილით ექიმმა გვითხრა სუნთქვის აპარატზე გვყავს და საღამოს მოვხსნითო. ორმაგი პნევმონია აქვს, ანტიბიოტიკები დავუნიშნეთ და, თუ მეტი გართულება არ გამოჩნდება, საღამოს კარგად იქნებაო. სისხლიც დაბინძურებული აქვს და, თუ საჭირო გახდა, გადავუსხამთო. საღამოს დაგვიბარეს: ძალიან გთხოვთ, გვითხარით, იქ რა მოხდა. იმ მდგომარეობიდან, რაც „ფორმა 100-შია” აღწერილი, ამ მდგომარეობამდე, რომელშიც ახლა ბავშვი იმყოფება, არ შეიძლება, ადამიანი აღმოჩნდესო. როცა მდგომარეობიდან უნდა გამოსულიყო, იმ დროს გენერალიზებული გულყრა ანუ კრუნჩხვა დაემართა. ნარკოზი ისეთი დოზებით აქვს მიცემული, რომ დიდი ხნის განმავლობაში ბავშვს ხელი ვერ მოვკიდეთო. კრუნჩხვები ტვინიდან იყო გამოწვეული. უკვე ტვინის შეშუპება – ჰიპოქსია იყო განვითარებული, რაც, როგორც ექიმებმა გვითხრეს, ორ-სამ საათში არ ხდება, ეს პროცესი 15-16 საათის დაწყებული უნდა ყოფილიყო – ოპერაციის დროს, ან მალევე. მონაცემები გერმანიაშიც გავგზავნეთ და იქაც იგივე დაგვიდასტურეს. გარდა ამისა, არ ვიცით, საიდან გაჩნდა ანამნეზის საბუთი, რომელშიც პაციენტის მიერ გადატანილი დაავადებების შესახებ წერია. ის ჩვენ არ შეგვივსია, არც არაფერი მოუთხოვიათ მსგავსი. თვითონ ვუთხარით, ბავშვი ალერგიულია და სინჯებს ხომ გაუკეთებენო? დაწყნადი, ყველანაირ სინჯს გავუკეთებთო. მერე გავიგე, რომ სინამდვილეში ეს სინჯები ორისამი დღით ადრე კეთდება. ერთი თვე და ექვსი დღე გავატარეთ ჟვანიას კლინიკაში და ბავშვის მდგომარეობა ოდნავაც არ გაუმჯობესებულა, 21 მაისს კი გარდაიცვალა.

**ბიჭო, ხომ არ გიჩივლებენო? ექიმმა ხელი აიქნია – არ არიან ესენი მჩივლებლებიო**

**– ექსპერტიზის პასუხებს როდისთვის ელოდებით?**

– ექსპერტიზის დასკვნამ 16 აგვისტომდე გადაიწია. ამბობენ, ახალი მასალები დაგვემატაო. ის ექიმი დღემდე განაგრძობს საქმიანობას. არც მოწმეები დაუკითხავთ და არც კამერები ამოუღიათ, რომელშიც ჩანს, რომ ბავშვი რეანიმაციაში არ შეუყვანიათ, ანუ, არ გამოუფხიზლებიათ. არც ოპერაციის კადრები ამოუღიათ. რომ ვიკითხე, რეანიმაციაში რატომ არ ჰყავდათ ბავშვი გამოსაფხიზლებლად-მეთქი – ადგილები არ ჰქონდათო. პალატაც, რომელშიდაც დააწვინეს, დიდების იყო. პაციენტები იყვნენ და უამრავი მნახველი შემოდიოდა და გადიოდა. ბავშვი 3 წლის და 6 თვის იყო და პრაქტიკულად არაფერი აწუხებდა. ერთადერთი, წლის განმავლობაში რამდენჯერმე ცივდებოდა ხოლმე და ამიტომაც მივაკითხეთ ექიმს, სხვა ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. მოწყენილიც კი არასდროს ყოფილა. იმ დღეს საავადმყოფოშიც ძალიან მხიარულობდა და ლექსებს ამბობდა”...

***ამ საკითხთან დაკავშირებით, ბუნებრივია, „ჯეო-ჰოსპიტალსის“ ბორჯომის კლინიკას მივმართეთ, სადაც ლილე მხეიძეს ოპერაცია გაუკეთდა, მაგრამ, როგორც კლინიკის იურისტმა განგვიმარტა, მათ პაციენტზე ინფორმაციის მოწოდება, კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ მისი თანხმობით ან კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება, ჩვენი შემთხვევა კი ასეთი არაა. ჩვენს კითხვებზე პასუხის გაცემა არც ანესთეზიოლოგ-***

**ცხელ დღეებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კვებას, სწორად შევარჩიოთ რაციონი და ორგანიზმი, ბუნებრივი ვიტამინებით მოვამარაგოთ. ამ პერიოდში ყველა ცდილობს, წონა შეინარჩუნოს, თან ზაფხულში მადაც ითრგუნება, თავს სუსტად და შრომისუუნაროდ ვგრძნობთ. სასიცოცხლო ძალების დაქვეითება ჩვენს ჯანმრთელობაზე ცუდად აისახება. როგორც ექიმი-დიეტოლოგი ქალბატონი ნატა გაგუა გვირჩევს, სწორედ ახლა უნდა მოვამზადოთ ორგანიზმი ზამთრისთვის და მივაწოდოთ ყველა ის ბუნებრივი ვიტამინი და მიკროელემენტი, რაც ცივ სეზონზე აუცილებლად დასჭირდება.**

# არის თუ არა ჭარბი ოფლის გამოყოფის მიზეზი არასწორი კვება და რატომ უნდა ჭამოთ ხშირად სტაფილო ზაფხულში

**ნატა გაგუა**: თუ გინდა, ჯანმრთელი იყო და შენი ორგანიზმიც დიდხანს გემსახუროს, მაშინ სწორად უნდა მართო. იმიტომ, არ უნდა იკვებო ნაკლები რაოდენობის საკვებით, რომ მხოლოდ ვიზუალურად გამოიყურებოდე კარგად. ჯობია, მეტი ყურადღება სრულფასოვან, ჯანსაღ საკვებს დაუთმო და ჯანმრთელობაც დიდხანს შეინარჩუნო. ზამთარში ადამიანის ორგანიზმი ითრგუნება, შენელებულია ნივთიერებათა ცვლის პროცესი. ამიტომ, მას სასიცოცხლო ძალები დაქვეითებული აქვს. სწორედ ახლა უნდა მოვამზადოთ ჩვენი ორგანიზმი ზამთრისთვის და მივაწოდოთ მას ყველა ის ბუნებრივი ვიტამინი და მიკროელემენტი, რაც ცივ სეზონზე აუცილებლად დასჭირდება.

**– იმისთვის, რომ ორგანიზმი საჭირო, სასიცოცხლო ძალებით მოვამარაგოთ, როგორ უნდა გადავაწყოთ სეზონურად კვების რაციონი?**

– ჩვენ, ამ სეზონზე ბუნებრივი საკვები უნდა მივიღოთ, რასაც ვერ შევჭამთ ზამთრის ცივ დღეებში. წელიწადის ყველა დროს არის ის სეზონური ხილ-ბოსტნეული, რომელიც ყველა ჯანმრთელმა ადამიანმა უნდა მიიღოს. ზაფხულშივე უნდა ვიზრუნოთ იმუნური სისტემის გაძლიერებაზე. უნდა მივირთვათ ქლიავი, ჟოლო, მარწყვი, ალუბალი და სხვადასხვა ბოსტნეული. ზამთარში ის უნდა ჩანაცვლდეს ციტრუსებით, რადგან მათში შემავალი C ვიტამინი იმუნური სისტემისთვის აუცილებელი პროდუქტია. შემოდგომის ბოლოდან მთელი ზამთრის განმავლობაში უნდა ჭამოთ ფორთოხალი, კივი, ფეიხოა, ვაშლი, გრეიფრუტი – არაჩვეულებრივად არეგულირებს და აძლიერებს იმუნურ სისტემას. ბევრი ზამთრისთვის ზაფხულის ხილს იმარაგებს კომპოტის, მურაბის ან ჯემის სახით. თითქმის არანაირი კვებითი ღირებულება არ აქვს ზამთრის პერიოდში ამგვარად შენახულ ხილს. ორგანიზმს ასეთი პროდუქტებით ჯანსაღად ვერ გამოკვებავთ. აუცილებელია, ამ პერიოდში სეზონური ხილ-ბოსტნეულის ცოცხალი სახით მიღება და ხორბლის ან ჰერკულესის წყალზე მომზადებული ფაფის ჭამა. კარგია ნატურალური, ახალგამოწურული წვენების დალევა, თუ არ გაქვთ შაქრიანი დიაბეტი ან სხვა ქრონიკული დაავადება, რომლის დროსაც წვენების მიღება არ არის რეკომენდებული. სასურველია ნატურალური და არა გენმოდიფიცირებული საკვების შერჩევა, ცოცხალი ხილისა და ბოსტნეულის ხილფაფების ჭამა. ზაფხულში კვების თავისებურებას განაპირობებს მაღალი ტემპერატურა და მზის აქტიური გამოსხივება, რაც ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესთა მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს. ზაფხულში კვების ხასიათი მისი ორგანიზმის შესაძლებლობებს უნდა შეესატყვისებოდეს. ზაფხულობით უმეტესად სწორედ ცხოველური ცილების მიღებაზე ამბობენ უარს. ეს შეცდომაა, ცილების მოთხოვნილება სეზონურად არ იცვლება. ზაფხულში ცილების მთავარი წყაროა რძის ნაწარმი: მაწონი, კეფირი, იოგურტი, ხაჭო, ასევე - კვერცხი, მოხარშული ხორცი და ყველი.



**იმისთვის, რომ ფერმკრთალ კანს მსუბუქი რუჯის შეფერილობა მისცეთ, ერთი თვის განმავლობაში, კვირაში 2-3-ჯერ გაიკეთეთ გახეხილი სტაფილოს 20-30-წუთიანი ნიღაბი და დალიეთ ახალგამოწურული 100 მილილიტრი წვენი 1 ჩაის კოვზ არაჟანთან ერთად**

**– გამიგია, რომ არსებობს პროდუქტები, რომელიც ოფლის ჭარბად გამოყოფას უწყობს ხელს. ამაზე რას იტყვით?**

– ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო ორგანიზმი დიდი რაოდენობით ვიტამინებს ხარჯავს. რეგულარული ოფლიანობა „აკარგვინებს“ გარკვეულ ნივთიერებებს. გაძლიერებული ოფლდენის დროს ორგანიზმიდან ასევე იკარგება მინერალური მარილები, მიკროელემენტები. ამიტომ ორიენტაცია ახალ ხილსა თუ კენკრაზე უნდა ავიღოთ. დღის განმავლობაში უნდა მიიღოთ უმი ან მსუბუქად დამუშავებული ვიტამინიზებული პროდუქტები - მცენარეული ზეთით შეკაზმული სალათები. ზაფხულში საუზმეზე მიირთვით ხაჭო და ხილი ან ჰერკულესის ფაფა ყველით. სადილზე კი, ბოსტნეულის სალათა და რძის ნაწარმი ან კვერცხი; ვახშამზე – ხორცის ან თევზის მცირე ულუფა უცხიმოდ შემწვარი ან მოხარშული და ბოსტნეული გრილზე ან ბოსტნეულის საზაფხულო წვნიანი. ოფლის გამოყოფას ხელს უწყობს ჟოლო, ოფლის შეკავებას – კალციუმით მდიდარი პროდუქტები. სიცხეში ოფლის გამოყოფის გაძლიერებასთან ერთად, ორგანიზმიდან დიდი რაოდენობით სითხე იკარგება. ზაფხულის სიცხეს ადვილად გადაგატანინებთ მწვანე ჩაი, ხილისა და კენკრის უშაქრო კომპოტები, წვენები. პაპანაქება სიცხეში წყურვილს კარგად დაგიოკებთ სუსტად გაზირებული მინერალური წყალი. დილიდან დაიწყეთ წყლის მიღება, შუადღისას, სიცხის პიკზე შეზღუდეთ ანუ ერთბაშად დიდი რაოდენობით სითხეს ნუ მიიღებთ. საღამოს კი, როცა აგრილდება, შეგიძლიათ ისევ შეუზღუდავად დალიოთ. იმ სეზონზე, რომლის განმავლობაშიც უამრავი ახალი, ვიტამინებით სავსე ბოსტნეულია, არ შეიძლება მხოლოდ ხორცის, კვერცხის და ყველის ჭამა.

**– რამდენად შეესაბამება სიმართლეს ის აზრი, რომ სტაფილოს ჭამა გარუჯვის დროს, კანს განსაკუთრებულად ჯანსაღ ფერს აძლევს?**

– სტაფილო B, C, K და PP ვიტამინების, ასევე, მინერალური მარილების, კალიუმის, რკინის, იოდის, სპილენძის, ფრუქტოზისა და კაროტინის შემცველობის წყალობით, მნიშვნელოვანი ბოსტნეულია. ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას ბეტა-კაროტინი გარდაიქმნება A ვიტამინად, რომელიც ძალზე სასარგებლოა. ეს უძლიერესი ანტიოქსიდანტი იცავს ორგანიზმს გადაღლისა და დაბერებისგან. სტაფილო ძალიან კარგია მათთვის, ვისაც კანის სიმშრალე, ფრჩხილების მტვრევა და თმის ცვენა აწუხებს. სტაფილო წმენდს სისხლს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, რითაც ამცირებს გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკს. სტაფილოსა და ლიმონის წვენის ნარევი ამაღლებს მამაკაცის პოტენციას, ხელს უწყობს სპერმატოზოიდების გამომუშავებას, აუმჯობესებს მათ აქტივობას და გამანაყოფიერებელ ფუნქციას.

სტაფილოს ახალგამოწურული წვენი, განსაკუთრებით სასარგებლოა ახლომხედველობის, კონიუნქტივიტის, თვალების გადაღლილობის დროს. აუცილებლად მიირთვით სტაფილო, თუ კომპიუტერთან დიდხანს მუშაობა გიწევთ. სტაფილოს წვენი, ვიტამინების ეს უმდიდრესი წყარო, რეკომენდებულია აგრეთვე, ცისტიტის, შეკრულობისა და შარდკენჭოვანი დაავადებების დროს. მას რთავენ რაციონში მიოკარდიუმის ინფარქტის შემდეგ კუჭისა და ნაწლავების მუშაობის სტიმულაციის მიზნით, ორგანიზმიდან ტოქსიკური ნივთიერებების გამოსადევნად და სისხლში ქოლესტერინის დონის შესამცირებლად.

იმისთვის, რომ ფერმკრთალ კანს მსუბუქი რუჯის შეფერილობა მისცეთ, ერთი თვის განმავლობაში კვირაში 2-3-ჯერ გაიკეთეთ გახეხილი სტაფილოს 20-30-წუთიანი ნიღაბი და დალიეთ ახალგამოწურული 100 მილილიტრი წვენი 1 ჩაის კოვზ არაჟანთან ერთად.

**ნონა დათეშიძე**

---

***მა თემურ ლომსაძემ მოისურვა. გივი ჟვანიას სახელობის კლინიკაში კი განგვიმარტეს, რომ ლილე მხეიძე იქ სამბალიანი კომით შეიყვანეს.***

**ლია ძიძიგური** ***(გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის გენერალური დირექტორი):*** ბავშვი ჩვენთან სამბალიანი კომით შემოვიდა. ტვინის შეშუპება ჰქონდა, რომელიც გაღრმავდა და ვერ მოიხსნა, რადგან ღრმა ჰიპოქსია (ჟანგბადის მიუწოდებლობა) იყო დაწყებული. მისი გარდაცვალების მიზეზი ტვინის შეშუპება იყო. ეს იყო გლანდების ოპერაციის შემდგომი გართულება. ჰიპოქსია რამ გამოიწვია, ვერ გეტყვით, ეს „ფორმა 100-ში“ არ წერია და მე იქ არ ვყოფილვარ. დეტალებს ექსპერტიზა და გამოძიება დაადგენს.

***ლილე მხეიძის გარდაცვალების საქმეს ჯანმრთელობის სამინისტროს დაქვემდებარებული პროფესიული განვითარების საბჭო სწავლობს.***

**ნინო ხუციშვილი** ***(რეგულირების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი):*** ლილე მხეიძის საქმე ჩვენთან განიხილება. ამ დროისთვის საქმის ადგილზე შესწავლა დასრულებული გვაქვს. სამედიცინო დოკუმენტაცია გადაგზავნილია სარეცენზიოდ შესაბამისი დარგის ექიმსპეციალისტებთან. როცა სარეცენზიო დასკვნას მივიღებთ, ის გაანალიზდება და საკითხის შესწავლაც დასრულდება. ეს დასკვნა რამდენიმე დარგის ექიმ-პეციალისტმა უნდა დადოს. ამასთანავე, ჩატარებულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და, კარგი იქნებოდა, მისი დასკვნაც გვქონდეს. ამის თაობაზე მოთხოვნა გაგზავნილი გვაქვს და, შეიძლება, მოგვაწოდონ. წინასწარი ვარაუდით, ამ პროცედურებს მინიმუმ ერთი თვე მაინც დასჭირდება.

**ქეთი მოდებაძე**

## ორშაბათი 10 აგვისტო

08.00 ან/ფ "ანიმალია" 09.00 "ეს საქართველოა" 09.30 "სადილის დრო" 10.00 ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 13.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 14.30 "საუკუნის პორტრეტები" 15.00 ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" 16.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 17.30 მხ/ფ. "**ბოროტების ქსელი**" (ტ.ჰენკსი) 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 ქართ ტ/ფ "ქვევრი" 21.00 მხ/ფ. "**გია ყანჩელი**" 22.00 "არენა" 23.30 მხ/ფ. "**სამხრეთული ამბები**" 02.00 დ/ფ "ქალაქები".

08.00 სერ. "**მერლინი**" " 8 სერ. 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "**კარმა**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10, ქრონიკა 11.20 სერ. "**ბოშა ქალი**" 12.30 სტუმრად იუმორინასთან 13.30 ერთხელ საქართველოში 14.40, 15.55 სერ. "**ორი ბედი**" 17.35 სერ."**სიცოცხლის საფასური**" 18.45, 19.03 სერ. "**გზაჯვარედინი**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2**" 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 მხ/ფ "**ნოკაუტი**" (მ. დაგლასი) 01.20 მხ/ფ "**ოლიმპოს დაცემა**" (დ. მაკდერმოტი) 03.15 სერ. "**კამორას კლანი**".

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 08.00 მხ/ფ. 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 სერ. "**განშორების სევდიანი ფერი**" 16.55 სერ. "**მოჯადოებულები**" 18.55 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 22.00 "კომედის კონცერტი" 23.30 სერ. "**გრიმი**" 1ს 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია-"საქართველოს ეკლესიის საზღვრები" 06.35 პატერიკი 3 "ცხოვრების ძიებისა და სიკეთის შესახებ" 06.45 ქართული ალბომი "მარიკა და გიგა ლორთქიფანიძეები წინაპრებზე" 07.10 დოკ. ფ. "ოვალური ბურთი" 07.45 თვენი-"წმ. მეფე სოლომონ II სამშობლოსათვის თავდადებული" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 მულტ.ფილმი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება "უტყვი სულით შეპყრობილის განკურნება" 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**გიორგობის თვე**" 13.30 საქართველოს დაცული ტერიტორიები-ვაშლოვანის დაცული ტერიტორია 14.00 დოკ. ფ. "ბარტ ვულფი" 14.30 ქრისტიანული სწავლება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.35 ბავშვები მუზეუმში 15.50 სპექტაკლი "მტრედის მოტანილი ბარათები" I ნაწ. 17.30 დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" 18.05 მულტ. ფილმი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**ბოდიში თქვენ გელით სიკვდილი**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 პატერიკი "ოთხი კიდობნის შესახებ" 21.35 ღვთის სახლი "ფუძნარის ტაძარი" 21.50 ჩვენი ამბავი "ევდოშვილი" 22.00 სიახლენი 22.25 დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-ხობი 23.00 საღამოს ლოცვა 23.30 ერთსულოვანი ოჯახი "ჭკუასელები" 00.25 ტალანტები და თაყვანისმცენლები-ალექსანდრე ბასილაია.

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00, "მაესტროს ახალი ამბები" 07.30 ანიმაცია "**ყოჩაღი ბიჭები**" 08.30 **სერიალი** "**კარმა**" 10.00 **სერიალი** "**ქუზეი და გუნეი**" 12.30 **სერიალი** "**უშენოდ ვერ ვსუნთქავ**" 13.35 **სერიალი** "**დაკარგული დრო** 15.35 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 16.00 **სერიალი** "**მფარველი ანგელოზი**" 18.30 დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" 19.00 **სერიალი** "**თქვი, რომ ბედნიერი ხარ**" 20.05 **სერიალი** "**შავი ფული და სიყვარული**" 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი** "**ბელადის ვაჟი**" 23.00 **სერიალი** "**ქურთ სეიტი და შურა**" 00.30 **სერიალი** "**კარმა**" 02.00 **სერიალი** "**ქუზეი და გუნეი**"..

## სამშაბათი 11 აგვისტო

08.00 ან/ფ "ანიმალია" 09.00 "ეს საქართველოა" 09.30 "სადილის დრო" 10.00 ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 13.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 14.30 "საუკუნის პორტრეტები" 15.00 დ/ფ "ჩაცმის თავისუფლება" 16.30 "ქართ. დოკუმენტალისტიკა" 17.30 მხ/ფ. "**მტირალა**" (ჯ.დეპი) 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" 21.30 "ქართ. დოკუმენტალისტიკა" 22.30 **ფეხბურთი**. უეფას სუპერთასი: **ბარსელონა – სევილია** 01.00 მხ/ფ. "**ალბერტ ნობსი**" (გ.ქლოუზი).

08.00 სერ. "**მერლინი**" 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "**კარმა**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.15, ქრონიკა 11.20 სერ. "**ბოშა ქალი**" 12.30 შალვა რამიშვილის შოუ 13.30 ერთხელ საქართველოში 14.40, 15.55 სერ. "**ორი ბედი**" 17.35 სერ. "**სიცოცხლის საფასური**" 18.45, 19.03 სერ. "**გზაჯვარედინი**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2**" 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 მხ/ფ "**გრეისი**" (დ.მალრუნი) 01.25 მხ/ფ "**წლის საუკეთესო მასწავლებელი**" 03.10 სერ. "**კამორას კლანი**" 04.10 მხ/ფ "**ნოკაუტი**".

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 08.00 მხ/ფ. 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 სერ. "**განშორების სევდიანი ფერი**" 16.55 სერ. "**მოჯადოებულები**" 18.55 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თომა 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**" I ნაწ 07.25 დოკ. ფ. 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 მულტ.ფილმი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი "ოთხი კიდობნის შესახებ" 10.40 დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-ხობი 11.00 თაობა ზეტი 11.30 ჩვენი ამბავი "ევდოშვილი" 11.40 ღვთის სახლი "ქურმუხის ტაძარი" 12.10 მხ/ფ "**ბოდიში თქვენ გელით სიკვდილი**" 13.30 საქართველოს დაცული ტერიტორიები-ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი 14.00 დოკ. ფილმი "ბარტ ვულფი" 14.30 ქრისტიანული სწავლება 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 ტალანტები და თაყვანისმცენლები-ალექსანდრე ბასილაია 16.20 დოკ. ფ. 17.00 მგზავრები წუთისოფლისა-ახალქა. და კუმურ. ეპარქია სოფ. ხოსპიო 18.10 მულტ. ფილმი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ხმები-თეატრალები 20.00 ღია აუდიტორია-"ნიკოლოზ ახალკაცი" 1 ნაწ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი გად. "დაკარგული ტერიტორიები-ბეჟან ხორავა 22.00 სიახლენი 22.20 ჩვენი საგანძური "ოქონის ვედრების სპილოს ძვლის ხატი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ერთსულოვანი ოჯახი "ლაშხები" 23.30 დოკ. ფ. ხომლი-ფშავ-ხევსურეთი III ნაწ 00.30 ერთსულოვნების სალონი "იოლია თუ არა ცხონება".

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00, "მაესტროს ახალი ამბები" 07.30 ანიმაცია "**ყოჩაღი ბიჭები**" 08.30 **სერიალი** "**კარმა**" 10.00 **სერიალი** "**ქუზეი და გუნეი**" 12.30 **სერიალი** "**უშენოდ ვერ ვსუნთქავ**" 13.35 **სერიალი** "**დაკარგული დრო** 15.35 გადაცემა "თქვენი გადახდილია" 16.00 **სერიალი** "**მფარველი ანგელოზი**" 18.30 დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" 19.00 **სერიალი** "**თქვი, რომ ბედნიერი ხარ**" 20.05 **სერიალი** "**შავი ფული და სიყვარული**" 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი** "**ბელადის ვაჟი**" 23.00 **სერიალი** "**ქურთ სეიტი და შურა**" 00.30 **სერიალი** "**კარმა**" 02.00 **სერიალი** "**ქუზეი და გუნეი**".

გაგრძელება 35-ე გვერდზე

## კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**10 – 16 აგვისტო**

*დარბაზი 1*

14.00, 17.00, 19.50, 22.40 - **„შეუსრულებელი მისია 5: განდევნილთა ტომი"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.*

*დარბაზი 2*

14.10 - **„შემთხვევითი პაემნები"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;*

17.50, 20.00, 22.10 - **„ოცნებების სასაფლაო"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ.*

*დარბაზი 3*

12.10 - **„თავდაყირა"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ;*

14.30 - **„ტერმინატორი: გენეზისი"** 3D; *ხანგრძლივობა: 2 სთ;*

17.15 - **„პიქსელები"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წთ;*

19.40 - **„ანთ-მენი"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წთ;*

22.20 - **„ქალალდის ქალაქები"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წთ.*

*დარბაზი 4*

11.50 - **„შეუსრულებელი მისია 5: განდევნილთა ტომი"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ;*

14.40 - **„პიქსელები"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ;*

17.05, 22.30 - **„ანთ-მენი"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ;*

20.00 - **„ქალალდის ქალაქები"**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ.*

*დარბაზი 5*

12.00, 14.20, 16.40, 19.30, 22.15 - **„მინიონები"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი"
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დარბაზი 1*

13.00, 16.30, 19.40, 22.20 - **„შეუსრულებელი მისია 5: განდევნილთა ტომი"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.*

*დარბაზი 2*

12.00, 17.00 - **„მინიონები"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*

14.15 - **„ტერმინატორი: გენეზისი"** 3D; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

20.00, 22.40 - **„ცაცია"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 05წთ.*

*დარბაზი 3*

11.50 - **„პიქსელები"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ;*

14.35, 22.30 - **„მინიონები"** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*

17.00 - **„ცაცია"**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 05წთ;*

19.40 - **„შეუსრულებელი მისია 5: განდევნილთა ტომი"** (ინგლისურად); *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ხორცი ბოსტნეულით










**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ღორის ხორცი, 5 ცალი სტაფილო, ერთი მუჭა მწვანე ბარდა, 1 ჭიქა ტომატი, 4 სადილის კოვზი ზეთისხილის ზეთი, 1/2 კონა ოხრახუში, 1 გრამი როზმარინი (ამის გარეშეც შეიძლება), 1 გრამი ხმელი სუნელი, 1 ჩაის კოვზი მარილი, შავი პილპილი, 3 კბილი ნიორი, 1 კონა მწვანე ხახვი.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით საშუალო ზომის კუბიკებად. უყავით მარილი, პილპილი და ხელით ასრისეთ. დაუმატეთ სუნელები და 1 სადილის კოვზი ზეთი. გააჩერეთ 5-10 წუთი. დანარჩენი ზეთი გააცხელეთ ტაფაზე და მოხრაკეთ ხორცი – საშუალო ცეცხლზე აჯობებს, რომ კარგად დაიბრაწოს. ნიორი, ხახვი და სტაფილო დაჭერით თხელ რგოლებად. მოაყარეთ ხორცს. ტაფას დაახურეთ თავსახური და შუშეთ 10-15 წუთის განმავლობაში. დაასხით ტომატი, უმჯობესია, ეს პომიდვრის ახლად გამოწურული წვენი იყოს. განაგრძეთ შუშვა. როცა ხორცი მზად იქნება, მოაყარეთ ბარდა, წვრილად დაჭრილი მწვანილი და თუ საჭიროა, სულ ცოტა მარილი. ძალიან გემრიელი კერძია, არომატული სოუსით.

# სალათა ქათმის ფილეთი











**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი ქათმის ფილე, 1 ცალი კიტრი, 3-4 ცალი პომიდორი, 1/2 თავი თეთრი ხახვი (ან წითელი).

**მარინადი ქათმისთვის:** 1 სადილის კოვზი თაფლი (თხელი), 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 2-3 სადილის კოვზი ზეთი, 1 ჩაის კოვზი მდოგვი, მარილი, სურნელოვანი პილპილი.

**მარინადი ბოსტნეულისთვის:** მარილი, დაფქვილი მიხაკი, პილპილი, 1 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 2 სადილის კოვზი ზეთი,1 კონა ოხრახუში, 1 სადილის კოვზი ძმარი, 2 კბილი ნიორი.

**მომზადების წესი:** მოამზადეთ პროდუქტი. ქათმის ფილე დაჭერით კუბიკებად. მოაყარეთ ცოტა მარილი. მარინადის ყველა ინგრედიენტი ერთმანეთში შეურიეთ. მარილი აღარ დაუმატოთ და დაასხით ქათამს. მოაყარეთ სურნელოვანი პილპილი. გააჩერეთ 30 წუთი. კიტრი დაჭერით თხელ ფირფიტებად და პომიდორიც ასევე, ხახვი დაჭერით ნახევარ რგოლებად. კიტრი, ხახვი და პომიდორი მოათავსეთ თავდახურულ ჭურჭელში და მოაყარეთ ცოტა მარილი.

**მოამზადეთ მარინადი ბოსტნეულისთვის:** შეურიეთ ერთმანეთს სოიის სოუსი, ძმარი, ზეთი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში, ნიორი, 1/2 ჩაის კოვზი პილპილი (უმჯობესია პილპილის მიქსი), მიხაკი. ეს მარინადი მოასხით ბოსტნეულს. აურიეთ. გადაიტანეთ თავდახურულ ჭურჭელში და გააჩერეთ 1 საათი.

ტაფა გააცხელეთ. მოათავსეთ ქათმის ფილე თავისი მარინადითურთ და მოშუშეთ. თან ურიეთ, სანამ სითხე დაშრობას არ დაიწყებს, თუმცა, ბოლომდე არ ამოაშროთ. ამოიღეთ თეფშზე. ბოსტნეულს გადაუწურეთ მარინადი, მაგრამ არ გადააქციოთ, ძალიან გემრიელია. ბოსტნეული მოათავსეთ ჯამში და მოაყარეთ მოშუშული ხორცი. აურიეთ. ძალიან პიკანტური გემო აქვს.

# მარტივი, მსუბუქი ტორტი







**ცომის ინგრედიენტები:** 5 კვერცხი, 1 ჭიქა ფქვილი, 1 ჭიქა შაქარი, 1 შეკვრა გამაფხვიერებელი.

**№1 კრემი:** 150 გრამი 15-პროცენტიანი არაჟანი, 0,5 ჭიქა შაქარი.

**№2 კრემი:** 1 შეკვრა კარაქი, 1 ქილა შესქელებული რძე.

**მოსართავად** – 200 გრამი რაჰათ-ლუქუმი, მარილიანი ჩხირები ან ქოქოსის ფხვნილი.

**მომზადების წესი:** ჯერ მოვამზადოთ ბისკვიტი. გათქვიფეთ კვერცხები შაქართან ერთად. იქამდე თქვიფეთ, სანამ მასა მოცულობაში ორჯერ არ გაიზრდება. შეურიეთ ფქვილი და გამაფხვიერებელი. კოვზით კარგად აურიეთ და ჩაასხით ფორმაში. გამოაცხვეთ 170 გრადუსზე 25 წუთის განმავლობაში. შეიძლება, ცოტა მეტი დროც დასჭირდეს.

**მოამზადეთ კრემი:** ჯერ არაჟანი და შაქარი გათქვიფეთ ძალიან კარგად და მოათავსეთ მაცივარში.

**მეორე კრემი:** ამ კრემს ტორტის ზედაპირსა და გვერდებზე წაუსვამთ. ათქვიფეთ შესქელებული რძე და კარაქი ძალიან კარგად, მიქსერით. ბისკვიტი რომ გაცივდება, გადაჭერით ჰორიზონტალურად, სამ ნაწილად. ძაფით ამას სწრაფად მოახერხებთ, ან დიდი, ბასრი დანით. შეუდექით ტორტის აწყობას. შუაში ტორტს წაუსვით არაჟნის კრემი. ზედაპირსა და გვერდებზე – მეორე კრემი.

გვერდები მორთეთ ქოქოსის ფხვნილით ან შოკოლადიანი ორცხობილა-ჩხირებით, ზემოდან მოაწყვეთ რაჰათ-ლუქუმი. გააცივეთ და მიირთვით. თუ გსურთ, თქვენს ტორტს სადღესასწაულო იერი მიეცეს, შემოავლეთ ფერადი ლენტი და გაკვანძეთ ბაფთით.

# ქათმის ბარკლები ალუბლის მარინადში





**საჭირო ინგრედიენტები:** 250 მილილიტრი ალუბლის წვენი, 500 გრამი ქათმის ბარკლები, ყველანაირი ხმელი სუნელი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ალუბლიდან გამოწურეთ წვენი. ქათმის ბარკლები მოათავსეთ ღრმა ჯამში, მოაყარეთ მარილი და სუნელები. მოასხით ალუბლის წვენი. მოათავსეთ მაცივარში. მთელი ღამე თუ დატოვებთ, უკეთესი იქნება.

შემდეგ დააწყვეთ გამოსაცხობ ტაფაზე და 200 გრადუსზე გაცხელებულ ღუმელში მოათავსეთ 30-35 წუთით. სუფრასთან მიიტანეთ ცხელი.



# სახელდახელო პიცა ირინა ონაშვილისგან



*რომ გითხრათ, სანაქებო კულინარი ვარ-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. არ მიყვარს სამზარეულოში ტრიალი და შესაბამისად, იშვიათად ვამზადებ კერძებს. თუმცა, საბას, ჩემს შვილს, სულ ვუმზადებ სადილს და საუზმეს. თავად, არ ვარ ჭამის მხრივ პრეტენზიული და ყველანაირი კერძი მიყვარს. განსაკუთრებით კი, იაპონური სამზარეულო. დღეს შემოგთავაზებთ, უმარტივესი „პიცის" რეცეპტს, რომელსაც ცომი არ სჭირდება და ამ სეზონზე, საკმაოდ მარტივი მოსამზადებელია.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი „პასტა" მაკარონი, 150 გრამი სოკო, 1 ცალი ტკბილი წიწაკა, 150 გრამი პრასი, 100 გრამი ბეკონი, 150 მილილიტრი რძე, 2 ცალი კვერცხი, 3 ღერო ახალი ან ხმელი ბეგქონდარა, ცოტაოდენი ზეთი, მარილი და ახალდაფქული პილპილი, გემოვნებით.

**მომზადების წესი:** „პასტა" მდუღარე მარილიან წყალში მოხარშეთ და გადაწურეთ. სოკოები შუა-შუა, წიწაკა კი კუბებად დაჭერით. პრასი სქელ რგოლებად უნდა დაჭრათ. ბეკონის ნაჭრები შუაზე გაჭერით და გახურებულ ტაფაზე მსუბუქად შებრაწეთ. შემდეგ ამოიღეთ და დასაწრეტად ქაღალდის ხელსახოცზე დააწყვეთ. დაჭრილი ბოსტნეული და სოკო ზეთში მოშუშეთ, მოაყარეთ მარილი და პილპილი. კვერცხი და რძე ათქვიფეთ, დაამატეთ მარილი და პილპილი. დაუმატეთ წვრილად დაკეპილი ან დაფქული ბეგქონდარა. „პასტა" ბოსტნეულთან ერთად მოათავსეთ ტაფაზე. ზემოდან დაასხით რძისა და კვერცხის ნარევი და 12-15 წუთით, საშუალო ცეცხლზე, თავდახურული გააჩერეთ, სანამ არ მომზადდება.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# გამომცხვარი კარტოფილი კრევეტებით

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი დიდი კარტოფილი, 1 ბოლოკი, 1 კონა კამა, 250 გრამი ხაჭო, 100 მილილიტრი არაჟანი, 150 გრამი მოხარშული კრევეტები, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კარტოფილი ცხელი წყლით კარგად გარეცხეთ, გაამშრალეთ, გაახვიეთ ფოლგაში და გახურებულ ღუმელში გამოაცხვეთ, შემდეგ გამოიღეთ და ღრმად ჩასერეთ. ბოლოკი თხლად დაჭერით. ხაჭო და არაჟანი ერთმანეთში აურიეთ, დაუმატეთ კამა, მარილი და პილპილი. ეს სოუსი გაჭრილ კარტოფილში „ჩააფინეთ" და მოაყარეთ კრევეტები.



# სალათა ნიგვზით



**საჭირო ინგრედიენტები:** 150 გრამი სალათის ფოთლები, 2 თავი ხახვი, 2 სადილის კოვზი ნიგოზი, 2 სადილის კოვზი თეთრი ღვინის ძმარი, 6 სადილის კოვზი ნიგვზის ზეთი, 2 სადილის კოვზი ნეიტრალური არომატის მქონე რომელიმე ზეთი – ზეითუნის, სიმინდის, მზესუმზირის, მწიკვი შაქარი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სალათის ფოთლები გარეცხეთ და შეაშრეთ. ხახვი გაფცქვენით და თხელ ნაჭრებად დაჭერით. ნიგოზი მოხალეთ და მსხვილად დაკეპეთ. ძმარი, მარილი და პილპილი ერთმანეთში აურიეთ და დაუმატეთ ნიგვზის ზეთი. ტაფაზე გააცხელეთ ზეითუნის, სიმინდის ან მზესუმზირის ზეთი, 2 წუთის განმავლობაში დაბალ ცეცხლზე შუშეთ ხახვი და მოაყარეთ მწიკვი შაქარი. სალათის ფოთლები ხელით მსხვილად დააქუცმაცეთ, ყველა ინგრედიენტი ერთმანეთში აურიეთ და მომზადებისთანავე მიირთვით.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები







## „კლაჩის" ახალი სიცოცხლე

თუ სახლში ძველი „კლაჩი" გაქვთ, ნუ იჩქარებთ მის გადაგდებას. მისი განახლება და გალამაზება ძალიან ადვილად შეიძლება. ჯერ კარგად დააკვირდით სურათებს. დაგჭირდებათ აბრეშუმის ქსოვილი, მაქმანი, ხავერდის ლენტი, ბროში... შეგიძლიათ, რამდენიმე ფერის ქსოვილი გამოიყენოთ. ჯერ გააკეთეთ მაქმანი. მოკეცეთ ქსოვილი და ძაფით აასხით ნაოჭი. როცა მაქმანები მზად იქნება, დააკერეთ „კლაჩს" გასახსნელი მხარის ზედაპირზე. ნაკერები კი ხავერდის ლენტის ქვეშ მოაქციეთ. შეუკეცეთ ნაპირები და შემოკერეთ. სულ ბოლოს, ლენტზე დაამაგრეთ ბროში. ასეთი „კლაჩით" ნებისმიერ ადგილას მოიწონებთ თავს.




## ქვედაბოლო პლაჟისთვის

ძალიან ლამაზი ქვედაბოლო აღმოჩნდება თქვენს გარდერობში, თუკი ერთი ძველი ქვედაბოლო გაქვთ და არ დაგეზარებათ მისი განახლება-გალამაზება.

შეიძინეთ ლამაზი და სხვადასხვანაირი ლენტები – თვლებით, მაქმანებით, ნაქარგებით. მერე კი მარტივად, ერთმანეთის ქვემოთ დააკერეთ ქვედაბოლოს ისე, როგორც სურათებზეა ნაჩვენები.






30-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 12 აგვისტო

**08.00** ან/ფ "ანიმალია" **09.00** "ეს საქართველოა" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **13.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **16.30** "ქართ. დოკუმენტალისტიკა" **17.30** მხ/ფ. "**კონკორდი 79**" (ა.დელონი) **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **21.30** მხ/ფ. "**ელისაბედი**" (კ.ბლანშეტი) **23.30** მხ/ფ. "**მიწისქვრა**" (ა.გარდნერი) **01.30** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი".

**08.00** სერ. "**მერლინი**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**კარმა**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10,** ქრონიკა **11.20** სერ. "**ბოშა ქალი**" **12.30** სტუმრად იუმორინასთან **13.30** ერთხელ საქართველოში **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**სიცოცხლის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**გზაჯვარედინი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი** **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2**" **23.00** ერთხელ საქართველოში **23.30** მხ/ფ "**თითქმის გათხოვილი**" (ჯ.პ.კენედი) **01.20** მხ/ფ "**ბრეისი**" (დ.მალრუნი) **02.55** სერ. "**დედამიწის ბურჯები**" 1 სერ. **03.55** მხ/ფ "**წლის საუკეთესო მასწავლებელი**".

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **08.00** მხ/ფ. **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** სერ. "**განშორების სევდიანი ფერი**" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** ქ.მხ/ფ "**ბრძელი, ნათელი დღეები**" **23.30** დოკ.ფილმი "UKRAINE-THE UNSEEN ATTACKS" **00.00** სერ. "**ბრიმი**" მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.10** თვენი **07.30** ჩვენი ფონდი "ოსთა მიგრაცია შიდა ქართლის მთიანეთში". გვანცელაძე **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** მულტ.ფილმი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება "ხატმებრძოლეობა და ქრისტიანული ხელოვნება" **11.15** ბავშვები მუზეუმში **11.35** დოკ. ფ. ხომლი-ფშავ-ხევსურეთი III ნაწ **12.10** ღია აუდიტორია-"ნიკოლოზ ახალკაცი" 1 ნაწ **13.00** ისტორიის გაკვეთილი გად. "დაკარგული ტერიტორიები-ბეჟან ხორავა **13.30** საქართველოს დაცული ტერიტორიები-ეროვნული პარკის ცხოველთა სამყარო **14.00** დოკ. ფ. "ბარტ ვულფი" **14.30** ქრისტიანული სწავლება **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** კონცერტი **16.20** დოკ.ფილ. **16.50** კვირიაკე **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო "ჯვრისა და ხატის კურთხევა" **18.10** მულტ. ფილმი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**განგაში**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია "ქართველთა ეთნოგენეზისის შესახებ" **21.35** ეპოქის სახელები "იური ანუა" I ნაწ **22.25** ქართული ალბომი "ჯანდიერები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "ფეტვიაშვილი" **23.35** დოკ. ფ. ხომლი-ფშავ-ხევსურეთი IV ნაწ **00.30** დოკ. ფ.

**7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00,** "მაესტროს ახალი ამბები" **07.30** ანიმაცია "**ყოჩაღი ბიჭები**" **08.30** **სერიალი "კარმა"** **10.00** **სერიალი "ქუჩები და გუნები"** **12.30** **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** **13.35** **სერიალი "დაკარგული დრო** **15.35** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.00** **სერიალი "მფარველი ანგელოზი"** **18.30** დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00** **სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.05** **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00** **სერიალი "ბელადის ვაჟი"** **23.00** **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** **00.30** **სერიალი "კარმა"** **02.00** **სერიალი "ქუჩები და გუნები"**.

## ხუთშაბათი 13 აგვისტო

**08.00** ან/ფ "ანიმალია" **09.00** "ეს საქართველოა" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **13.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **16.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **16.55** **ფეხბურთი**. საქართველოს 2015-16 წლების ჩემპიონატის პირველი მატჩი **19.10** "ქართ. დოკუმენტალისტიკა" **20.30** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **21.30** მხ/ფ. "**ელისაბედი: ოქროს ხანა**" (ჯ.რაში ) **23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ. "**გიგანტური**" **02.30** დ/ფ "ოდისეები".

**08.00** სერ. "**მერლინი**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**კარმა**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.15,** ქრონიკა **11.20** სერ. "**ბოშა ქალი**" **12.30** შალვა რამიშვილის შოუ **13.30** ერთხელ საქართველოში **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ."**სიცოცხლის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**გზაჯვარედინი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2**" **23.00** ერთხელ საქართველოში **23.30** მხ/ფ "**ამანდას ქიებაში**" (ბ.სნოუ) **01.25** მხ/ფ "**თითქმის გათხოვილი**" (ჯ.პ.კენედი) **02.55** სერ. "**დედამიწის ბურჯები**" 2 სერ. **03.55** მხ/ფ "**სანელებლების პრინცესა**".

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **08.00** მხ/ფ. **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** სერ. "**განშორების სევდიანი ფერი**" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** მარაო **23.30** ქალთა სახეები **00.00** სერ. "**ბრიმი**" **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ისტორიის გაკვეთილი "აჭარა" (ბათუმის ისტორია)-თამაზ ფუტკარაძე **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" **07.05** ქართული ალბომი "ჯანდიერები" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** მულტ.ფილმი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი "იოლია თუ არა ცხოვრება" **11.30** ეპოქის სახელები "იური ანუა" I ნაწ **12.10** მხ/ფ "**განგაში**" **13.15** ღვთის სახლი "პერეთი" II ნაწ **13.30** საქართველოს დაცული ტერიტორიები-ეროვნული პარკის მცენარეები **14.00** დოკ. ფილმი "ბარტ ვულფი" **14.30** ქრისტიანული სწავლება **15.05** ივერიის ეკლესია "საქართველო მოციქულთაეპოქაში" **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** საყმაწვილო ენციკლოპედია **16.10** კონცერტი **16.35** იელოველთა სექტის სწავლების შეცდომები--დეკანოზი ზურაბ მჭედლიშვილი **16.55** სალვთისმეტყველო საუბრები **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** მულტ. ფილმი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები "ვახტანგ კახიძე" **20.05** მოკ/ფ "**ბურთი და მოედანი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ცხინვალის რეგიონის წერილობითი ძეგლები-გ. ოთხმეზური **22.25** კარაბადინი "შოთა მირაშვილი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "დემეტრაშვილები" **23.35** დოკ. ფ. ხომლი-ძამას ხეობა I ნაწ **00.30** დოკ. ფ.

**7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00,** "მაესტროს ახალი ამბები" **07.30** ანიმაცია "**ყოჩაღი ბიჭები**" **08.30** **სერიალი "კარმა"** **10.00** **სერიალი "ქუჩები და გუნები"** **12.30** **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** **13.35** **სერიალი "დაკარგული დრო** **15.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.00** **სერიალი "მფარველი ანგელოზი"** **18.30** დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00** **სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.05** **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00** **სერიალი "ბელადის ვაჟი"** **23.00** **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** **00.30** **სერიალი "კარმა"** **02.00** **სერიალი "ქუჩები და გუნები"**.

## პარასკევი 14 აგვისტო

**08.00** ან/ფ "ანიმალია" **09.00** "ეს საქართველოა" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **13.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **16.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.20** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **17.50** **კალათბურთი**. თბილისის მერიის თასი: **საქართველო – ესტონეთი** **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **22.00** მხ/ფ. "**ბრიჯიტ ჯონსის დღიური**" (რ.ზელვეგერი) **23.40** მხ/ფ. "**აგნოზია**" (ე.ნორეგა) **01.30** დ/ფ "ალის პირისპირ".

**08.00** სერ. "**მერლინი**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**კარმა**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.25,** ქრონიკა **11.20** სერ. "**ბოშა ქალი**" **12.30** სტუმრად იუმორინასთან **13.30** ერთხელ საქართველოში **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ."**სიცოცხლის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**გზაჯვარედინი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2**" **23.00** ერთხელ საქართველოში **23.30** მხ/ფ "**კოლუმბიანა**" (ზ.მოლა) **01.35** მხ/ფ "**სხვისი ქორწილი**" (დ.რიჩარდსი) **03.00** სერ. "**დედამიწის ბურჯები**" 3 სერ **04.00** მხ/ფ "**ამანდას ქიებაში**" (ბ.სნოუ).

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **08.00** მხ/ფ. **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** სერ. "**განშორების სევდიანი ფერი**" **15.40** სერ. "ლამაზი სიზმარი" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ.

**"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** იღბლიანი ბორბალი **00.00** ქალთა სახეები **00.30** სერ. **"გრიმი"** **01.30** კარდაშიანები **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დოკ. ფილ. ხომლი-ძამას ხეობა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** მულტ.ფილმი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ. ფ. **11.25** კარაბადინი "შოთა მირაშვილი" **12.10** პორტრეტები "ვახტანგ კახიძე" **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** საქართველოს დაცული ტერიტორიები-თუშეთის დაცული ტერიტორია **14.00** დოკ. ფ. "დები ტრევისის საოცარი სახლი" **14.30** ქრისტიანული სწავლება **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** საყმაწვილო ენციკლოპედი **16.30** კონცერტი **17.30** მიწათმოქმედი "მეფუტკრე კვაშტადან" (რ. შალიბაშვილი) **18.10** მულტ. ფილმი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები-ხარატული **20.00** თაობა ზეტი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.15** დროის ჩანაწერები "ილიაობა"-თანამდევი სული ი.ჭავჭავაძე **22.00** სიახლენი **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ზურტაკეტი **3**–რაც მტერმა ვერ დააქცია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "ფხოველი" **23.35** დოკ. ფ. ხომლი-ძამას ხეობა II ნაწ **00.35** დოკ. ფ.

**7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00,** "მაესტროს ახალი ამბები" **07.30** ანიმაცია **"ყოჩაღი ბიჭები"** 08.30 **სერიალი "კარმა"** 10.00 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 12.30 **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** 13.35 **სერიალი "დაკარგული დრო** 15.35 გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.00** **სერიალი "მფარველი ანგელოზი"** **18.30** დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00** **სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"**20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" **22.00** **სერიალი "ბელადის ვაჟი"** 23.00 **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** 00.30 **სერიალი "კარმა"** 02.00 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"**.

## შ ა ბ ა თ ი 15 ა გ ვ ი ს ტ ო

**08.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **09.00** ან/ფ "დესპეროს თავგადასავალი" **10.00** მხ/ფ. **"რთული ბავშვი"** **11.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" – მატარებელი **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" –"არტ ხელოვნება" **14.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **15.00, 20.30** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **16.30** "გურმანია" – კახეთი **17.00** კონცერტი: "თელავის ფესტივალი" – ელისო ვირსალაძე **17.50** **კალათბურთი**. თბილისის მერიის თასი: **საქართველო – ლატვია** **19.40** ქართ. ტ/ფ. **"ქორწილი"** **21.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" – ელდარ შენგელაია **22.30** მხ/ფ. **"ბრიჯიტ ჯონსის დღიური-გონიერების ზღვარი"** (რ.ზელვეგერი) **00.20** მხ/ფ. **"ჰავანა"** (დრამა. რეჟ: ს. პოლაკი/რ. რედფორდი).

**08.00** სერ. **"მერლინი"** **09.00** მხ/ფ "ოსი და ტედი" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40,** ქრონიკა **11.20** "ორი ვარსკვლავი - 2" **13.30** ერთხელ საქართველოში **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ.**"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"გზაჯვარედინი"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2"** **23.00** ერთხელ საქართველოში **23.30** მხ/ფ **"მოკალი და დამარხე"** (რ. ლიოტა) **01.10** მხ/ფ **"კოლუმბიანა"** **02.55** სერ. **"დედამიწის ბურჯები"** **4** სერ. **03.45** მხ/ფ **"სხვისი ქორწილი"**.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "" **10.30** მახე **11.00** ექიმები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** სერ. **"ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები"1**ს **1 13.30** კომედი ქიდს **14.30** სიცილის ზონა **15.30** კომედი კონცერტი **17.00** ევროტური **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** დოკ.ფ "ჩემი ცოლის დაქალები" (ახალი) **23.00** გააცინე და მოიგე **00.00** ქალთა სახეები **00.30** სერ.**"გრიმი"** **01.30** კარდაშიანები **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ღვთის სახლი წმ.გიორგის მოღნისის ტაძარი **06.40** ეპოქის სახელები "იური ანუა" I ნაწ **07.20** მოგზაურობა სამშობლოში "ზურტაკეტი **3**–რაც მტერმა ვერ დააქცია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.35** სიახლენი **10.35** დოკ. ფილ. ხომლი-ძამას ხეობა II ნაწ **10.50** კვირიაკე **11.00** ჩვენი ამბავი **12** "ევდოშვილი" **12.10** მხ/ფ **"ბავშვი სასეირნოდ მიდის"** **13.25** ქართული ხმები-ხარატული **14.00** ღია აუდიტორია-"ნიკოლოზ ახალკაცი" **1** ნაწ **14.45** საკვირაო სახარების განმარტება "იგავი მოწყალე მეფესა და უმოწყალო მსახურზე" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ.ფილმი **15.40** თაობა ზეტი **16.40** კონცერტი **17.20** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.10** დოკ.ფ. **18.35** საქართველოს სამართლის ისტორია **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" **19.35** ქართული ალბომი " ჯანდიერები" **20.00** ქრისტიანული ხელოვნება "კედლის მხატვრობის რესტავრაცია საქართველოში" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების სალონი "ასურელი მამების ღვაწლი" **22.20** შუადღის სტუმარი "მამა იაკობ ჩიჩილიძე - სექტები" III ნაწ **22.50** საკვირაო სახარების განმარტება "იგავი მოწყალე მეფესა და უმოწყალო მსახურზე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფ. **00.05** დროის ჩანაწერები "ილიაობა"-თანამდევი სული ი.ჭავჭავაძე **01.45** მხ/ფ **"20000ლიე წყალქვეშ "** I ნაწ.

**7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00, 01.30** "მაესტროს ახალი ამბები" **07.30** ანიმაცია **"ყოჩაღი ბიჭები"** 08.30 **სერიალი "კარმა"** 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** **სერიალი "რვაფეხა"** **12.30** **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **15.35** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.00** **სერიალი "მფარველი ანგელოზი"** **18.30** დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00, 20.05** **სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 21.30 **სერიალი "ბელადის ვაჟი"** 22.30 **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** 23.30 მხ. ფ **"იპ მანი-1"** 02.00 **სერიალი "რვაფეხა"**.

## კ ვ ი რ ა 16 ა გ ვ ი ს ტ ო

**08.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **09.00** ან/ფ "მეკობრეები" რომლებიც არაფერს არ აკეთებენ" **10.00** მხ/ფ. **"ძიძა მაკფი"** **11.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ქართ, მხ/ფ. **"ჭირვეული მეზობლები"** **14.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **15.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **16.30** "გურმანია" **17.00** "ვაშინგტონი დღეს" **17.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **18.00** მხ/ფ. **"შვებულება"** (კ.უინსლეტი) **20.30** ქართ. ტ/ფ **"ბზიანეთი"** **20.50** **კალათბურთი**. თბილისის მერიის თასი: **საქართველო – იტალია** **22.40** კონცერტი: "ქართული საგალობელი" **00.00** მხ/ფ. **"ბორცვებისა და ველების ქვეყანა"** (ვ.ჰარელსონი) **02.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა".

**08.00** სერ. **"მერლინი"** **08.50** ქ.მხ/ფ **"აბეზარა"** **10.10** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10, 02.10** ქრონიკა **11.20** "ორი ვარსკვლავი - 2" **13.30** ერთხელ საქართველოში **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **20.00** იუმორინა **22.00** სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2"** **23.00** ერთხელ **23.30** მხ/ფ **"გატაცებული"** (ჯ.ლუკასი) **01.15** მხ/ფ **"მცირე განათლება"** (ე.ლონგორია **02.50** სერ. **"დედამიწის ბურჯები"** **5** სერ **03.40** მხ/ფ **"მოკალი და დამარხე"** (რ.ლიოტა).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია **09.30** ქ.მხ/ფ. **11.00** გააცინე **12.00, 15.00, 18.00** კურიერი **12.30** სერ. **"ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები"1**ს **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** მხ/ფილმი "RV" **17.00** ევროტური **18.30** ეკი ვოკი **19.00** ქ.მხ/ფ **"გრძელი, ნათელი დღეები"** **22.00** ექიმები **23.00** ქალთა სახეები **23.30** სერ. **"გრიმი"** **00.30** კარდაშიანები **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** მუს.პაუზა **06.20** ისტორიის გაკვეთილი "სომხეთ საქართველოს ომი-პაატა გიგაური" **06.50** დოკ. ფილ. ხომლი-ფშავ-ხევსურეთი IV ნაწ **07.30** მულტ.ფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება "იგავი მოწყალე მეფესა და უმოწყალო მსახურზე" **08.40** ღვთის სახლი "ლექართისა და ყუმის მონასტრები" **10.10** სიახლენი **10.25** ივერიის ეკლესია "მოციქულთა ქადაგებიდან წმინდა ნინომდე" **10.40** შუადღის სტუმარი **11.30** ქართული ალბომი "ჯანდიერები" **12.15** მხ/ფ **"ლესი"** **13.30** ქრისტიანული ხელოვნება "კედლის მხატვრობის რესტავრაცია საქართველოში" **14.15** დოკ. ფ. **14.45** საკვირაო სახარების განმარტება "იგავი მოწყალე მეფესა და უმოწყალო მსახურზე" **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.20** მულტ.ფილმი ქართული **15.40** მუს.პაუზა **15.55** ერთსულოვნების სალონი "მართლმადიდებლობა თანამედროვე მსოფლიოში" **16.45** დოკ. ფ. **17.40** ბავშვები მუზეუმში **18.30** დროის ჩანაწერები "ილიაობა"-თანამდევი სული ი.ჭავჭავაძე **19.30** მხ/ფ **"იავნანა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება "იგავი მოწყალე მეფესა და უმოწყალო მსახურზე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.05** საქართველოს სამართლის ისტორია **23.15** სალვთისმეტყველო საუბრები **00.05** პატრიარქის ქადაგება **00.30** პორტრეტები "ვახტანგ კახიძე" **01.20** მხ/ფ **"20000ლიე წყალქვეშ "** II ნაწ.

**7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 23.30, 02.30** "მაესტროს ახალი ამბები" **07.30** ანიმაცია **"ყოჩაღი ბიჭები"** **08.30** **სერიალი "კარმა"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** **სერიალი "რვაფეხა"** **12.30** **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **15.30** გადაცემა "ქალაქი და ადამიანი" **16.00** **სერიალი "მფარველი ანგელოზი"** **18.30** დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00, 20.05** **სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"**21.00 "მაესტროს ცხრიანი" **21.30** **სერიალი "ბელადის ვაჟი"** **22.30** **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** **00.00** **სერიალი "რვაფეხა"** **01.00** **სერიალი "კარმა"** **03.00** დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე".

# როგორ დავაღწიოთ თავი ზედმეტი წონის პრობლემებს ასტროლოგიურად სწორად შერჩეული საკვებით



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

თუ დიეტოლოგების მიერ რეკომენდებულმა დიეტებმა შედეგი ვერ გამოიღო, გირჩევთ, კვებისას ასტროლოგიური რჩევები გაითვალისწინოთ – ასე უმოკლეს დროში მიაღწევთ შედეგს, ანუ ზედმეტ წონას ადვილად მოიშორებთ.

ყველა ჩვენგანის სასიცოცხლო პოტენციალი და ორგანიზმის მდგომარეობა ინდივიდუალურია და ის კოსმოსთანაა კავშირში. ამიტომ, აუცილებელია, ადამიანი კოსმოსთან ჰარმონიაში იმყოფებოდეს და ზუსტად ფლობდეს იმ ინფორმაციას, თუ რომელი პროდუქტის მიღება მისთვის სასარგებლო.

ზოდიაქოს თითოეული ნიშნით დაბადებული ადამიანისთვის არსებობს ასტროლოგიური პროდუქტების სია, რომელიც მათთვის განსაკუთრებით სასარგებლო და მარგებელია. თუ ამ პროდუქტების სია გეცოდინებათ, სწორად კვებასაც შეძლებთ, ამით კი ზედმეტი წონის პრობლემებსაც დააღწევთ თავს და ჯანმრთელობასაც შეინარჩუნებთ.

ვერძის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანი, იმპულსური ხასიათის გამო, როცა გემრიელ საკვებს ხედავს, არ ფიქრობს შედეგზე. თქვენთვის სასარგებლოა საათობრივი დიეტის დაცვა, ამისთვის კი ფსიქოლოგიურად უნდა მოემზადოთ. შეეცადეთ, წინასწარ კარგად მოიფიქროთ, რა სახის დიეტის დაცვას შეძლებთ და არ გაგიჭირდებათ. ბევრი იმოძრავეთ და სუფთა ჰაერზე იარეთ ფეხით. გამოიმუშავეთ გახდომის საკუთარი გეგმა, რომელშიც აბსოლუტურად დარწმუნებული იქნებით. მოერიდეთ ფუნთუშების, ბრინჯის, ყველის, ბანანის, ქიშმიშის, ცხიმიანი ხორცისა და ტკბილეულის ჭამას. მიირთვით ნუში, თევზი, მოხარშული მჭლე საქონლის ხორცი და ხშირად სვით გაზგასული მინერალური წყალი.

კუროს ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანი გურმანია. თუ კარგად არ გამოიკვება, უჭირს სამუშაოს შესრულება და გონების მართვა. მაგრამ ხშირად ისე იკვებება, რომ ზომას აჭარბებს, რაც მისი ზედმეტი წონის მიზეზი ხდება. გირჩევთ, მოერიდოთ საკუთარ ჯანმრთელობაზე ექსპერიმენტების ჩატარებას. იკვებეთ ზომიერად. ხშირად მიირთვით ჭარხალი, სტაფილო, კარტოფილი, ყვავილოვანი კომბოსტო, კომში, ატამი, ქლიავი. რაციონში შეიტანეთ უცხიმო რძის ნაწარმი და ნატურალური, უშაქრო ხილის წვენები – ეს ზედმეტი წონისგან დაგიცავთ და მეტ ენერგიას შეგმატებთ.

ტყუპებს არ უყვართ ერთფეროვანი საკვები. ცდილობენ, ყველაფერი გასინჯონ, რაც წინ უდევთ, ეს კი ყოველდღიურად მიღებული ზედმეტი კალორიები და, შესაბამისად, წონაში მომატების მიზეზია. აკონტროლეთ მადა. მიიღეთ ნაკლებკალორიული საკვები – ხილი, ბოსტნეული, იოგურტი, მოხარშული თევზი. მოერიდეთ ბევრ პურს. კვირაში ერთხელ მოიწყვეთ განტვირთვის დღე, მიირთვით ბევრი ხილი და სვით გაზგასული მინერალური წყალი.

კირჩხიბებს არასდროს უჭირთ საკუთარი წონის კონტროლი, მთავარია, მოინდომონ და ფორმაში ადვილად ჩადგებიან. ნუ მიიღებთ საკვებს, როცა ემოციურად გადაღლილი ხართ, თორემ, ზომას ვერ გააკონტროლებთ და ზედმეტი საკვებით ზედმეტ კალორიებს დაიგროვებთ. ჭამეთ ბევრი სალათა, მოხარშული თევზი, ხორციანი წვნიანები და ფხალეული – ეს უფრო სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისთვის, ვიდრე შემწვარი ხორცი და ცხიმიანი საკვები.

ლომის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანი საკვებთან მიმართებაში თავს ზედმეტის უფლებას აძლევს. საჭიროა, წონას თვალყური ადევნოთ. კარგია, თუ მენიუში ხშირად ჩართავთ ოხრახუშს, ზეთისხილს, ნუშს, ხილსა და ფხალეულს. ხშირად არ ჭამოთ მსუყე საკვები და დაიცავით კვების საათები. რაციონიდან საერთოდ გამორიცხეთ მწარე და ცხარე საკვები, ცხიმიანი კერძები და ალკოჰოლიანი სასმელები. კვირაში ერთხელ მოიწყვეთ განტვირთვის დღე – ეს თქვენს ორგანიზმს წიდებისგან გაწმენდს და, ასევე, ზედმეტ წონას მოგაშორებთ.

ქალწულებმა იფიქრეთ იმაზე, რომ დიეტა სწორი კვებაა და ეს აუცილებლად გჭირდებათ. საჭმლის მომნელებელი სისტემა სუსტი გაქვთ და, თუ სწორად არ იკვებეთ, ეს თქვენს ჯანმრთელობაზე ნეგატიურად აისახება. ერიდეთ ნახევარფაბრიკატებს და ჯანსაღი პროდუქტებით მოამარაგეთ ორგანიზმი. ეცადეთ, ყველაფერი ნატურალური მიირთვათ და ხშირად ჩართეთ საკვებ რაციონში ფაფები და ბურღულეული. მოერიდეთ ცხოველური წარმოშობის ცხიმებს, შებოლილ პროდუქტებსა და ტკბილეულს.

სასწორებმა, მერყევი ხასიათის გამო, არ არის გამორიცხული, დაარღვიოთ კვების რეჟიმი და წონაში მომატებაც ამან გამოიწვიოს. აუცილებელია, გონივრულად გადაანაწილოთ საუზმის, სადილისა და ვახშმის დრო. შეავსეთ ორგანიზმი საჭირო ვიტამინებით და ყოველდღიურად ივარჯიშეთ. იკვებეთ ზღვის პროდუქტებით და ხშირად სვით ბალახეული ნაყენები.

მორიელის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები ძლიერი ბუნებითა და პრინციპულობით გამოირჩევიან, ამიტომ, არ უნდა გაუჭირდეთ დიეტის დაცვა. თუ მოინდომებთ, ადვილად შეძლებთ მადის კონტროლს და დაიკლებთ წონაში. ხშირად მიირთვით თევზი, უმი ბოსტნეული, ზეთისხილი და საქონლის ღვიძლი. ასევე, სასარგებლოა დღეში ერთი ჭიქა ნატურალური წითელი ღვინო.

მშვილდოსნის ნიშნით დაბადებული ადამიანი მოძრავი და შრომისმოყვარეა. ამიტომ, ხშირად ვერ იცლის დიეტის დასაცავად. მართალია ეს მის წონაზე ნაკლებად აისახება, მაგრამ მაინც საჭიროა დროდადრო საკვები რაციონის გადახედვა და მასში კორექტივების შეტანა. ჭამეთ დიდი რაოდენობით ხბოს ღვიძლი, უმი კომბოსტო, ბოლოკი, ვაშლი. მინიმუმამდე დაიყვანეთ მარილისა და შაქრის მოხმარება.

თხის რქებისთვის უმოძრაო წესით ცხოვრება, სასურველი წონის შენარჩუნების მთავარი მტერია. ეცადეთ, ყოველდღიურად ივარჯიშოთ და სათანადო ყურადღება დაუთმოთ კვებას. ნუ მიიღებთ საკვებს საღამოს 7 საათის შემდეგ. ჭამეთ მოხარშული მჭლე ხორცი, ახალი ბოსტნეული, სეზონური ხილი, კენკროვანები. მიიღეთ პოლივიტამინები და გაზგასული მინერალური წყალი.

მერწყულის ნიშნით დაბადებულ ადამიანს გემრიელი საკვები უყვარს, რაც მის წონაზეც ხშირად აისახება. თუმცა, თუ შეძლო და მადა მოთოკა, არც სასურველი წონის შენარჩუნება უჭირს. გირჩევთ, ნაკლებად მიიღოთ ტკბილეული, ღვეზელები, ფუნთუშები, გაზიანი სასმელი. ხშირად მიირთვით რძის ნაწარმი, რათა ორგანიზმი არ გამოიფიტოს. შაქარი შეცვალეთ თაფლით. მოერიდეთ ზედმეტად მარილიან კერძებს. ბევრი ისეირნეთ ფეხით სუფთა ჰაერზე – ასე, სასიცოცხლო პოტენციალსაც აიმაღლებთ და წონაშიც დაიკლებთ.

თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანებს არ ჰყოფნით ნებისყოფა, დაიცვან სწორი კვების რეჟიმი და თავს უფლებას აძლევენ, გემრიელად დანაყრდნენ. ამის გამო, ადვილად ახერხებენ ზედმეტი წონის აკრეფას, დაკლება კი უჭირთ. გირჩევთ, თავად დაფიქრდეთ და მიხვდეთ, რომელი საკვები გიქმნით წონის პრობლემებს და რის ჭამას უნდა მოერიდოთ. კარგია, თუ კვირაში ერთ დღეს მოხარშული ბრინჯის დიეტას დაიცავთ. ასევე, სასარგებლოა თევზი, ისპანახი, მწვანილეულობა და სეზონური ხილი.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1998 წლის 22 აპრილს, დღის 2 საათზე. რა არის ჩემი კარმული მისია და რომელი პროფესიები იქნება ჩემთვის წარმატებული?**

**პასუხი**: თქვენი კარმული მისიაა, იყოთ უფრო აქტიური და ენერგიული, გამოავლინოთ დადებითი თვისებები. ასევე, იყოთ ინიციატივიანი, შეძლოთ ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებების წარმოჩენა. დაეყრდენით ცოდნის ბაზას, კეთილშობილებას, კომუნიკაბელურობას, ოპტიმიზმს. იმავდროულად, იმოქმედეთ უშიშრად, გამოავლინეთ შესაძლებლობები, გქონდეთ საკუთარი თავის იმედი. ასევე, იყავით მომთმენი, მიზანსწრაფული, ნებისყოფიანი, ფულის ყაირათიანად მხარჯველი. დაეყრდენით ინტუიციას და დაიცავით თქვენი საიდუმლო. ამ თვისებების გამოვლენა თქვენს წარმატებას შეუწყობს ხელს. ასევე, უცხოეთი თქვენი კარმული მისიაა და რაღაც პერიოდი იქ ცხოვრება კარგი იქნება თქვენი მომავლისთვის. პროფესიებიდან კი კარგია და წარმატებების მომტანი: სპორტი, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო სფერო, მედიცინის ყველა დარგი ფარმაცევტიკის გამოკლებით, არატრადიციული მედიცინა, სამართალდამცავი ორგანოები, საგამომძიებლო საქმიანობა, მაკონტროლებელი ორგანოები, საგადასახადო სფერო, პედაგოგიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია.

## ვერძი

შინაგანი ძალისხმევითა და გამჭრიახობით მნიშვნელოვანი საქმეების დასრულებას შეძლებთ. იყავით ორიგინალური. მოერიდეთ ოჯახის წევრებთან კამათს და რემონტის დაწყებას. რომანტიკული ურთიერთობების შთაბეჭდილებების ქვეშ დიდხანს დარჩებით. დაისვენეთ, აღიდგინეთ ძალები და კარგად გაიაზრეთ თქვენი წარსულიცა და მომავალიც.

## კურო

კარგია შემოქმედებითი მუშაობა. ასევე, ახალი საქმის დაწყება, კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა. მაგრამ, არ მოწყდეთ რეალობას. საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობა და მათზე ზრუნვა, თქვენვე გაგახარებთ. მოერიდეთ უცნობ ადამიანებთან კონტაქტს.

## ტყუპები

გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოულოდნელი ცვლილებები თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპის მაუწყებელია. მოერიდეთ დიდ ხარჯებს და ეკონომიურად ხარჯეთ ფული. ორაზროვან სიტუაციებში წადით დათმობაზე. მოიპოვეთ საყვარელი ადამიანის მეტი პატივისცემა. კარგია მოგზაურობა.

## კირჩხიბი

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია, ცვლილებები და ზოგიერთ ჩვევაზე უარის თქმა. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, რემონტის დაწყება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ცოტა დაიძაბება, თუმცა ეს თქვენი სიჯიუტის ბრალია. კარგია ამ პერიოდში მოგზაურობა.

## ლომი

თავს ენერგიულად იგრძნობთ და არაერთი საქმის დასრულებას შეძლებთ. კარგია იდეების განხორციელება და საკუთარი ნიჭის დემონსტრირება. გადაადგილებები, მოგზაურობა, შეხვედრები და მოლაპარაკებები თავდაჯერებულს გაგხდით. გაიზრდება სიყვარულში მეტი რომანტიკის მოთხოვნილება, თუმცა ამისთვის დრო არ დაგრჩებათ.

## ქალწული

პროფესიული საქმიანობა ან ახალი სამსახურის ძიება, ბევრ დროს წაგართმევთ. არ არის გამორიცხული, გარკვეული უნარების არცოდნამ კარიერაში პრობლემები შეგიქმნათ. მოერიდეთ კოლეგებთან სიჯიუტისა და პრინციპულობის გამოხატვას. საცხოვრებელი გარემოს გამოცვლა გაგახალისებთ. საყვარელ ადამიანთან კი ურთიერთობა გამოსწორდება.

## სასწორი

პროფესიულ საკითხებში გაგიჭირდებათ გარკვევა და მოვალეობის შესრულება. არ არის გამორიცხული, ზოგ სამუშაოზე უარიც თქვათ. არ ვარგა ახალი საქმის დაწყება და ცხოვრების სტილის შეცვლა. ჯობია, მომავალ გეგმებს კარგად ჩაუღრმავდეთ და ისე იმოქმედოთ. კარგია გადაადგილებები, შეხვედრები და მოგზაურობა. საყვარელ ადამიანთან გაუგებრობები კი, დროულად მოაგვარეთ.

## მორიელი

მიუხედავად კარგი გუნება-განწყობისა, გაგიჭირდებათ შეხვედრების ჩატარება, დანაპირების შესრულება და კოლეგების გაგება. არ არის გამორიცხული, ამან კონფლიქტურ სიტუაციამდეც მიგიყვანოთ. ჯობია, დასვენება ოჯახის წევრებთან, საყვარელ ადამიანთან ან მეგობრებთან ერთად დაგეგმოთ.

## მშვილდოსანი

მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით ბევრი საქმის მოგვარებას შეძლებთ. ამით თქვენი ავტორიტეტიც ამაღლდება. ეცადეთ, შეინარჩუნოთ სიდინჯე და მოვლენების ცივად განსჯის უნარი. პირად ურთიერთობებში კი, შეიტანეთ სიახლე. გააკონტროლეთ ემოციები და ნუ იქნებით იმპულსური.

## თხის რქა

მოსალოდნელია ცვლილებები თქვენს ხედვებში, ეს უფრო მეტად წარმოაჩენს თქვენს ნიჭს და შემოქმედებით უნარს. ურთიერთობებში იღბალი გაგიღიმებთ და გაგიადვილდებათ საქმეებში წარმატებების მიღწევა. მეგობრები კი ყველაფერში მხარში დაგიდგებიან. ხშირად განმარტოვდით ბუნებაში საყვარელ ადამიანთან ერთად.

## მერწყული

მოიმატებს ოპტიმიზმი, გაუმჯობესდება თქვენი განწყობა და გარშემო მყოფები გამოიჩენენ მეტ კეთილგანწყობას თქვენდამი. მოერიდეთ რისკს, ავანტიურებსა და გარემოებებით სპეკულირებას. კარგია რემონტის დაწყება. სასიყვარულო ურთიერთობა კი უფრო ემოციური და ღრმა გახდება. კარგია მოგზაურობა.

## თევზები

თქვენი ოპტიმიზმითა და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით, გარშემო მყოფებს მიიზიდავთ. გაიზრდება თქვენი შემოსავალიც და საპირისპირო სქესის დაინტერესებაც. მოგინდებათ ღრმა სასიყვარულო განცდების შეგრძნება, მაგრამ არ გირჩევთ რადიკალური და დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმას. ნუ ენდობით უცხოებს და მოერიდეთ შორეულ მოგზაურობას.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 14 აგვისტო, 14 : 52 სთ.**

### ორშაბათი

იმოქმედეთ კოლეგებთან შეთანხმებულად და პარტნიორებთან ერთად. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სამსახურის გამოცვლა. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, კრემისფერი, ცისფერი, იასამნისფერი, მწვანე, თეთრი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ჰელიოტროპი, ლაბრადორი, ამაზონიტი, ზურმუხტი, აქატი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია კონტაქტები, მოლაპარაკებები, სავაჭრო გარიგებები, ტექნიკის შეძენა, საბანკო ოპერაციები. სუსტდება ბრონქები, ფილტვები, კუჭი, მკერდი.

***პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

აუცილებლად გჯეროდეთ წარმატების და თქვენ მაქსიმუმს შეძლებთ. გამოამჟღავნეთ შრომისუნარიანობა და მოთმინება. არ გირჩევთ საბანკო-საფინანსო ოპერაციების ჩატარებას. ატარეთ მწვანე, ვარდისფერი, ვერცხლისფერი, იისფერი, ცისფერი ან თეთრი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მარგალიტი, ყვითელი იასპი, ოპალი, აქატი ან მალაქიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. ნუ იფიქრებთ ცუდზე და იყავით ოპტიმისტი. კარგია ვარჯიში, საოჯახო-ნათესაური ურთიერთობები, დიეტის დაწყება. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ოთხშაბათი

მოიმატებს მოტყუების ალბათობა. აკონტროლეთ ემოციები, აზრები და ნუ იქნებით ეჭვიანი. ნუ გასცემთ დაპირებებს. მოერიდეთ სახლის მშენებლობის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. ატარეთ იისფერი, თეთრი, მწვანე, ვერცხლისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, ამეთვისტო, მარჯანი, ოპალი ან მწვანე იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია საყოფაცხოვრებო საქმიანობა, საყიდლების გაკეთება, ვაჭრობა, მცენარეების დარგვა-გადარგვა. მაღალია ფინანსური შეცდომების დაშვების ალბათობა. ამიტომ, იყავით ყურადღებით. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგად გადაამოწმეთ თქვენამდე მოსული ინფორმაცია. მოსალოდნელია, უეცარი წარმატება, ახალი საქმის დაწყება, რეფორმების გატარება. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, პრეტენზიების გამოხატვას და ადგილსამყოფლის შეცვლას. კარგია გართობა. სუსტდება გულ-სისხლძარღვოვანი სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

დღეს ახლმთვარეობაა – შეინიშნება კოსმიური ენერგიების ნაკლებობა, რაც მეტად განაპირობებს: ტრავმების, ავარიების, შეცდომების დაშვების, დეპრესიის გამოვლენის, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობას. იყავით ფრთხილი და წინდახედული. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ხელშეკრულების დადებას, ახალი საქმის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სასიყვარულო შეხვედრებს. ატარეთ წითელი, ოქროსფერი, ლურჯი, ნარინჯისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ზურმუხტი, ტოპაზი ან ქარვა. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია გართობა, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება გულ-სისხლძარღვოვანი სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია გართობა, თმის შეჭრა, საყიდლების გაკეთება, იურიდიული საქმიანობა, სასიყვარულო კონტაქტები. ატარეთ წითელი, ყვითელი, შინდისფერი, იისფერი, ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი ან მთის ბროლი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას, მცენარეების დარგვა-გადარგვას. კარგია მშენებლობის დაწყება, გავლენიან ხალხთან ურთიერთობა. სუსტდება გულ-სისხლძარღვოვანი სისტემა, ხერხემალი, ნაწლავთა სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### კვირა

კარგია დალაგება-დასუფთავება, ვაჭრობა, მიწათმოქმედება, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. ეცადეთ, არ განმარტოვდეთ. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, ონიქსი, მალაქიტი ან აქატი. ნუ მიქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კონტაქტები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ნუ ჩაერევით სხვების საქმეებში მათი თხოვნის გარეშე. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემები, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***



# ცოლის შურისძიება

## მინიონ ებერჰარტი

ინსპექტორები მარკუსი და ფულერი ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ სასტუმროში დილის თერთმეტი საათისთვის გამოიძახეს და ახლა გვამს ათვალიერებდნენ. მისტერ დრაპერს დიდი, სამზარეულოს დანა შიგ გულში ჰქონდა ჩარჭობილი... საწოლში იწვა და თეთრეულზე სისხლი, პრაქტიკულად, არ იყო, თუ არ ჩავთვლით, მისტერ დრაპერის პიჟამას.

– ჰო, ეს, იცი, რას ნიშნავს? – უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა ფულერმა, – რომ ეს ტიპი მძინარე მოკლეს. არც განძრეულა, ისე დააკრეს საწოლზე ჰერბარიუმის პეპელასავით. ვნახოთ, რას იტყვის სამედიცინო ექსპერტი.

ექსპერტმა დაახლოებით იგივე თქვა და დაამატა, რომ მკვლელობა ათის ნახევრიდან ათამდე მოხდა. მსხვერპლს, სავარაუდოდ, ღრმად ეძინა.

ფულერმა სასტუმროს ნომერი ყურადღებით დაათვალიერა და მარკუსს მიუბრუნდა.

– ჩავიდეთ ქვემოთ, სასტუმროს ადმინისტრაციაში მოახლე და მენეჯერი გველოდებიან. მგონი, სწორედ მოახლემ ნახა გვამი პირველად. საინტერესოა, სად არის მისის დრაპერი?

– მისის დრაპერი? – გაიოცა მარკუსმა.

– ჰო. ყოველ შემთხვევაში, მისის დრაპერი თუ არა, ქალი, რომელიც ამ ნომერში მოკლულთან ერთად ცხოვრობდა, – ფულერმა ტუალეტის მაგიდაზე მიუთითა, სადაც ბლომად ეწყო კოსმეტიკა და ქალის აქსესუარები.

მისტერ ჰარლანდი ინსპექტორებს კაბინეტში ელოდა. ის მარტო იყო და ეტყობოდა, რომ ძალიან ნერვიულობდა.

– ჩვენი სასტუმროს პრესტიჟზე ძალიან უარყოფითად იმოქმედებს, არ მინდა, გახმაურდეს...

– მისტერ დრაპერი თქვენი მუდმივი მობინადრე იყო თუ მხოლოდ სტუმარი?

– მუდმივი მობინადრე გახლდათ... დიახ, შეიძლება, ასეც ითქვას. ჩვენ კომფორტი გვაქვს და ნორმალური ფასები. ხელსაყრელი პირობებია ისეთი კაცისთვის, როგორიც მისტერ დრაპერი იყო.

– ეგ რას ნიშნავს?

– მისტერ დრაპერს ბევრი მტერი ჰყავდა. არ იყო დადებითი თვისებების ადამიანი. კონფლიქტს ყველასთან ახერხებდა, რასაც მის მეუღლეზე ვერ ვიტყვით.

– აჰა, სწორედ მისის დრაპერზე მინდოდა, მეკითხა... ხომ ვერ მეტყვით, სად შეიძლება იყოს ეს ქალბატონი და იცის თუ არა, რომ ქმარი მოუკლეს.

– რა თქმა უნდა, იცის. ის სასტუმროში გახლდათ, როცა ეს ამბავი მოხდა. დოლი დრაპერი მისის კენვუდთან იყო სტუმრად, ერთი სართულით ქვემოთ და ახლაც იქ არის. ვეტყვი და ჩაგაცილებენ კენვუდებთან...

– გმადლობ. მას აუცილებლად ვნახავ. ახლა კი, თუ შეიძლება, იმ მოსამსახურეს დაუძახეთ, რომელმაც გვამი პირველმა ნახა.

– დიახ, რა თქმა უნდა. მისის გრინი ახლავე მოვა.

მისის გრინი საშუალო ასაკის, ჩვეულებრივი გარეგნობის ქალი აღმოჩნდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, მისი ტყუილიც რომ დაიჯერება.

– მისის გრინ, როგორ აღმოჩნდით მისტერ დრაპერის ოთახში?

– პირსახოცები მივიტანე გამოსაცვლელად. დილით მისის დრაპერმა დამირეკა. ცხრა საათი იქნებოდა. მითხრა, მისტერ დრაპერს სძინავს. მე მისის კენვუდთან ჩავდივარ სასაუზმოდ, შეგიძლია, მოხვიდე და სააბაზანოში პირსახოცები გამოცვალოო.

– მაშინვე მიხვედით? ან, საერთოდ, ყოველთვის მაშინ ცვლით პირსახოცებს, როცა ნომერში მობინადრეს სძინავს? ამ სასტუმროში ასეთი წესია?

– არა, რა თქმა უნდა. ნომრებს მაშინ ვალაგებთ, როცა მობინადრეები იქ არ არიან. მაგრამ, მარტო პირსახოცები უნდა შემეცვალა. თან, მისის დრაპერმა მითხრა, რომ მისი მძინარე ქმარი არ შემეწუხებინა, რადგან თავი სტკიოდა და ცოლმა ტკივილგამაყუჩებელთან ერთად, ძილის წამალიც მისცა...

– პირსახოცები შეცვალეთ?

– არ მახსოვს, სერ... მართლა არ მახსოვს. ძალიან შევშინდი, როცა მისტერ დრაპერის სხეულში ჩარჭობილი დანა დავინახე.

– კარგი. დროებით არსად წახვიდეთ. რამდენიმე შეკითხვა შეიძლება, კიდევ მქონდეს თქვენთან.

სანამ მისის დრაპერთან ჩავიდოდნენ, ფულერმა მარკუსთან თავისი ვარაუდები გამოთქვა.

– თუ დრაპერის ცოლი ახალგაზრდა და ლამაზი აღმოჩნდება, თან, თუ მისტერ დრაპერმა ქონება მემკვიდრეობით ცოლს დაუტოვა ან სიცოცხლე ჰქონდა სოლიდურ თანხად დაზღვეული, მაშინ, მის ქვრივთან სერიოზული საუბარი გვექნება... – თავი გადააქნია ფულერმა.

– შენ ფიქრობ, რომ ცოლმა მოკლა? – ეჭვით შეხედა მარკუსმა.

– ჯერჯერობით ასე ჩანს. მკვლელი საძინებელში დაუბრკოლებლად, კარიდან შევიდა და სავარაუდოდ, უკანაც იმავე გზით გამოვიდა. ფანჯრები მჭიდროდ იყო დაგმანული და ნომერს აივანიც კი არ აქვს, რადგან ძალიან მაღალი სართულია. ესე იგი, მკვლელს გასაღები ჰქონდა. აქ ორი ვარიანტია: ცოლი ან სასტუმროს თანამშრომელი, რომელსაც ჩვეულებრივ, ყველა ნომრის გასაღები აქვს ხოლმე. მაგრამ, მოტივი მჭირდება.

– მოტივი?

– ჰო, მოტივი, რომელიც შესაძლოა, ცოლს უფრო ჰქონოდა. მოსამსახურეს რატომ უნდა მოეკლა?

– მართალი ხარ. მოსამსახურეს მოტივი არა აქვს. ვნახოთ, ცოლი რას გვეტყვის, – ამოიოხრა ფულერმა.

დოლი დრაპერი, მართლაც, გასაოცარი სილამაზის აღმოჩნდა, სრულიად ნორჩი და მომხიბვლელი. განსაკუთრებული მწუხარება არ ეტყობოდა. კითხვებზე მშვიდად და უემოციოდ პასუხობდა.

– დიახ, ჩემს ქმარს აუტანელი ხასიათი ჰქონდა. ადამიანებთან მუდმივ კონფლიქტში იყო... ვიღაც-ვიღაცეებთან... ვის შეეძლო მოეკლა? – მისის დრაპერმა მხრები აიჩეჩა, – რა გითხრათ, ნებისმიერ მათგანს. ყავის დალევას მე და ჩემი მეგობარი, მისის კენვუდი თავიდან ჩემთან ვაპირებდით, მაგრამ ერნესტს ძალიან სტკიოდა თავი. წამლები მივეცი და წავედი. ზოგადადაც, ჩემს ქმარს თითქმის შუადღემდე ეძინა ხოლმე და ეს არავის უკვირდა.

ფულერი ქვრივის დაკითხვას მორჩა და გარეთ გამოვიდა. მარკუსი უკან მიჰყვა.

– აბა, რას იტყვი?

– ეს ქალი მკვლელს არ ჰგავს. შეხედე მის სათუთ და მოვლილ ხელებს? დარწმუნებული ვარ, სამზარეულოს დანა ხელში არასოდეს სჭერია. ნომერი კიდევ ერთხელ უნდა დავათვალიეროთ, – გადაჭრით თქვა ფულერმა და იმ ნომერში დაბრუნდა, სადაც მკვლელობა მოხდა. ერთი საათი მაინც დადიოდა ოთახიდან ოთახში, შევიდა-გამოვიდა... იატაკიც მოათვალიერა და სააბაზანოშიც შევიდა.

– პირსახოცები გამოცვლილი არ არის! – თქვა მოზეიმე ხმით, – მარკუს, იატაკზე პირსახოცებიც არ ყრია.

– ეგ რა შუაშია?

– იმ შუაშია, რომ წარმოსახვა უნდა მოიშველიო. წარმოიდგინე, ოთახში შემოდის უბრალო ქალი, ხელებზე სუფთა პირსახოცების დასტა უჭირავს და უცებ ხედავს გულში დანაჩარჭობილ მკვდარს. რა მოსდის? – შეშინებული პირსახოცებს ყვირილით ყრის იატაკზე და გარბის. სულ მინიმუმ, უცივდება მაინც. თანაც, თავად თქვა, ძალიან შემეშინდაო. ახლა კი გადი დერეფანში და ნომერში შემოდი. მიდი, მიდი, გააკეთე, რასაც გეუბნები. ინსპექტორმა მარკუსმა მხრები აიჩეჩა, დერეფანში გავიდა და მალევე შემობრუნდა. ფულერი მაშინვე დაეტაკა, – მითხარი, საძინებელში რამე დაინახე?

– არა. რა უნდა დამენახა, როცა ჰოლიდან საძინებელი ოთახის კარიც კი არ ჩანს.

– ხედავ? ამაშია საქმე. მოახლეს არ შეეძლო შემოსვლისთანავე დაენახა მიცვალებული, თუ სპეციალურად არ შევიდოდა საძინებელში. ხვდები? მისის გრინმა იცრუა. რატომ უნდა შესულიყო საძინებელში, სადაც, იცოდა, რომ ადამიანს ეძინა? მხოლოდ ერთი მიზეზით – მის მოსაკლავად. მკვლელი მოახლეა!

– კი, მაგრამ მოტივი?

– ორი-სამი დღე მომეცი და მაგასაც გეტყვი.

ფულერი სამი დღე სადღაც გაუჩინარდა. მერე კი მისის გრინის დაპატიმრების ნებართვა ითხოვა.

– არ იტყვი, სად იყავი? – ველარ მოითმინა მარკუსმა.

– მიჩიგანში, ჩემო მეგობარო, მიჩიგანში, – მოზეიმე ხმით შესძახა ფულერმა, – ახლა მოტივი მაქვს. მისის გრინი ხუთი წლის წინ მისის დრაპერი იყო.

– რა? ამაში დარწმუნებული ხარ?

– ასი პროცენტით. სახეზეა მიტოვებული ცოლის შურისძიება. ბევრი ვიწვალე, მაგამ ამად ღირდა. ჭკვიანი ყოფილა. ყველაფერი ისე მოაწყო, რომ მკვლელობა მეორე ცოლს დაბრალებოდა.

– ეტყობა, ძალიან გაბრაზა დრაპერმა.

– ჰო... ალბათ, მშრალზე დატოვა, – გაიცინა ფულერმა და ამოიოხრა, – სიმართლე გითხრა, ცოტა მეცოდება კიდეც.

თარგმნა
ნინო წულუკიძე

# ღალატი სიყვარულისთვის

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №27-31(762)**

მოულოდნელი, დაუგეგმავი შვებულება დასრულდა... უკვე თვითმფრინავში, სავარძლის რბილ საზურგეს მიყრდნობილი და თვალდახუჭული ანა იხსენებდა თორმეტი დღის განმავლობაში მომხდარს და კმაყოფილს ეღიმებოდა... ლაშა შეუდარებელი იყო, გამაოგნებლად ყურადღებიანი, თბილი, მზრუნველი და მიხვედრილი... ჰო, ძალიან მიხვედრილი. არავითარი ძალდატანება, ყველაფერი ანას სურვილით მოხდა და არც ნანობდა. დარწმუნებული იყო, რომ თბილისში დაბრუნებული კაცი გულსა და ხელს შესთავაზებდა.



***

გახარებულმა სოფომ ქმარს ორივე ხელი შემოხვია და აღტაცებით დაუკოცნა ორივე ლოყა.

– კარგი ახლა, ნუ დამახრჩობ, – შეიფერა ნიკამ, – იმედი მაქვს, გულს აღარ შემიჭამ და დამშვიდდები. ჭკვიანურად, ფრთხილად ატარე. ნაკლები იფიქრე იმაზე, სად ვარ და რას ვაკეთებ და ყურადღება გზისკენ მიმართე.

– მე კარგი მძღოლი ვარ – თავი გამოიდო სოფომ, – და, ასეთი ლაპარაკი არაფერში მჭირდება. ისე გამოდის, თითქოს ქრთამს მაძლევ, რომ კუდში აღარ გდიო. თუმცა, როდის დაგდევდი, ვერ გამიგია.

– სოფო, თავიდან იწყებ? – წარბი შეიკრა ნიკამ, – მოკლედ, შენ მაინც არ მოიშლი შენსას. ქალო, სულ ცოტა თავისუფლება მჭირდება, სულ ცოტა – ჩემი პირადი სივრცე... ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ გიღალატებ? რა არის ამაში გაუგებარი?

– სწორედაც რომ გაუგებარია, თანაც, ძალიან გაუგებარი. მეც რომ მოვითხოვო პირადი სივრცე?

– რა? – ნიკა შეცბა.

– ჰო, – სოფო დოინჯმომარჯვებული მიაჩერდა ქმარს, – რა გაიოცე? იქნებ მეც მჭირდება სულ ცოტა თავისუფალი სივრცე? – გამოაჯავრა და ქმრის გაოგნებული სახის შემხედვარეს გაეცინა, – აჰა! არ გესიამოვნა?

– აუ, სოფო, შენ არ ხარ ადეკვატური. რა სისულელეებს ლაპარაკობ, ხვდები მაინც? ან, რატომ მეჯიბრები, რას მოგცემს ეს? სკანდალი და ჩხუბი გინდა?

– არა, ჩხუბი შენ გინდა, სპეციალურად იქცევი ასე. რისი მიღწევა გინდა? ხომ იცი, არ მივეკუთვნები ისეთი ქალების კატეგორიას, ქმრების ცანცარს მშვიდად რომ უყურებენ. რომ დამირეკე და მითხარი, შენთვის მანქანის ყიდვა გადავწყვიტეო, მეგონა, რაღაცას მიხვდი...

– მივხვდი, სოფო... მივხვდი, რომ შენ გადაადგილებას საკუთარი საშუალება გჭირდება და მანქანაც გიყიდე. მეტი რაღა ვქნა, არ ვიცი.

– იცი! – ფეხები დააბაკუნა სოფომ და გაჭირვეულდა.

– ვაიმე, ეს ქალი გამაგიჟებს. პატარა ბავშვივით აუზროდ და არაფრის გამო რატომ იმწარებ ცხოვრებას და მეც მიმწარებ?

– არაფრის გამო, ხომ? – ამოიოხრა სოფომ.

– რა თქმა უნდა. რამეს გიშავებდე მაინც, ამის დედა ვატირე! – იყვირა ნიკამ.

– ნუ მიყვირი... სულაც აღარ მიხარია ეს მანქანა! – შეუტია ცოლმა.

გაცეცხლებულმა ნიკამ მანქანის ბორბალს გამეტებით მიარტყა ფეხი და შეიგინა.

– იშვიათი ნიჭი გაქვს, ყველაფერი გააფუჭო. მოკლედ, აი, გასაღები. მე წავედი, დღეს გვიან დავბრუნდები.

სოფოს გასაღებისთვის არც შეუხედავს. ცრემლიანი თვალები ხელისგულებით მოიწმინდა და ქმარს მართლაც პატარა ბავშვივით შესტირა.

– ნუ იქცევი რა, ასე... არ წახვიდე...

– სამსახურში მივდივარ. არ წავიდე? კარგი, არ წავალ, ოღონდ, მერე პრეტენზიები არ იყოს. სოფო, მართლა სულ ტყუილად ეჭვიანობ, გეფიცები.

– ჩემი თავი დაიფიცე...

– შენ თავს გეფიცები, – ნიკამ ცოლს თმა მოუჩეჩა და ლოყაზე აკოცა, – ხომ ვიცი, ერთი სული გაქვს, შენს დაქალებს მანქანას როდის აჩვენებ. გაიქეცი. მე საქმე მაქვს და, როგორც კი მოვრჩები, ეგრევე წამოვალ. შაბათ-კვირას კი სადმე გავიდეთ და ბავშვიც წავიყვანოთ.

– ქალაქგარეთ რამე აუზიანი სასტუმრო რომ დავჯავშნო?

– კარგი აზრია, მიდი, – ნიკამ ცოლს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. სოფომ ცოტა ხანს უყურა მიმავალს, მერე თვითონაც მანქანის საჭეს მიუჯდა და ქმარს აედევნა.

***

ანამ რამდენჯერმე აიღო ხელში მობილური ტელეფონი, მაგრამ დარეკვა ვერ გადაწყვიტა და უკანვე დადო... არ იმჩნევდა, მაგრამ ძალიან ნერვიულობდა, თითებიც კი უკანკალებდა მოლოდინისა და მღელვარებისგან... ლაშა არ ჩანდა. არც დაურეკავს და არც მოუკითხავს იმის მერე, რაც აეროპორტიდან სახლში მიიყვანა, მგზნებარე კოცნით დაემშვიდობა და წავიდა... ანას ნერვებს უშლიდა გაურკვევლობა. ფიქრების კონცენტრაციას ვერ ახერხებდა და კიდევ უფრო მწარდებოდა. საკუთარ თავზეც მოსდიოდა ბრაზი, მის ნებას რატომ დავმორჩილდიო... თან, გამამართლებელ მოტივებს ეძებდა – გარემო, ბუნებრივი სურვილი საყვარელ ადამიანთან ყოფნისა... ჰო, ლაშა უყვარდა, ამის არაღიარება საკუთარი თავის მოტყუება იქნებოდა... შეეცადა, ისევ საქმეზე ეფიქრა და ისევ ჩაესმოდა მისი ალერსით გაჟღენთილი, რბილი, შემპარავი ხმა და ცხელი ხელების შეხებასაც გრძნობდა სხეულზე... როგორ უნდოდა, ძალიან გაბრაზებულიყო მასზე. დაერეკა და ყველაფერი ეთქვა, რასაც ფიქრობდა... მაგრამ ერთბაშად გონება გაუნათდა – შეიძლება ლაშას რაღაც პრობლემა ჰქონდა. ჰო, ნამდვილად ასე იყო... ანას შერცხვა – როგორი ეგოისტი ვარო. მობილურს ხელი სტაცა და დაურეკა. ზარი დიდხანს გადიოდა და არავინ პასუხობდა. უფრო აფორიაქდა... კიდევ დარეკა, მერე კიდევ... თითქმის დარწმუნდა, რომ ლაშას რაღაც საშინელება სჭირდა. მობილური დივანზე მოისროლა და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. ახლაღა აღმოაჩინა, რომ ლაშასი მარტო მობილურის ნომერი და გვარი იცოდა, მეტი არაფერი. არც ის – სად მუშაობდა, არც ის – სად ცხოვრობდა... მის ერთ მეგობარსაც კი არ იცნობდა... აწკრიალებულ მობილურს ერთი ნახტომით მივარდა და შვებით ამოისუნთქა, როცა ნომერი იცნო...

– მირეკავდი? – ისე კითხა ლაშამ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, – მოგენატრე?

მისი ხმის ტემბრზე ანა მიხვდა, კაცს არაფერი სჭირდა საგანგაშო და ისევ მოერია ბრაზი.

– მეგონა, რაღაც დაგემართა, შენ კი თურმე კარგად ხარ, მშვენივრადაც კი.

– ჰო, კარგად ვარ, ცუდად რატომ უნდა ვიყო? – გულწრფელად გაიოცა ლაშამ.

ანა გამწარდა.

– ჰო?! ერთხელაც არ დაგირეკავს, არც მოსულხარ.

– საქმეები მქონდა, საყვარელო... შენ რატომ არ დამირეკე?

– იმიტომ, რომ ველოდებოდი, შენ როდის დამირეკავდი.

– ანა, საყვარელო, პატარები ხომ არ ვართ, დამალობანას რომ მეთამაშები? გინდოდა ჩემი ნახვა? – დაგერეკა და მივიდოდი.

– ესე იგი, შენ ჩემი ნახვა არ გინდოდა. მე კი მეგონა... მეგონა, რომ ეგვიპტის მერე ჩვენს ურთიერთობაში რაღაც შეიცვალა.

– რა თქმა უნდა, შეიცვალა – ურთიერთობის ახალ და ძალიან საინტერესო ეტაპზე გადავედით. ამიტომ, თამამად შეგიძლია, როცა კი მოგენატრები, მობილური აიღო და დამირეკო.

ანას აღშფოთებისგან სუნთქვა შეეკრა:

– ლაშა, ეს რას ნიშნავს?

– ხომ გითხარი, რასაც ნიშნავს. ვერ ვხვდები, რას მეკითხები.

– შევხვდეთ, – გადაჭრით მიუგო ანამ.

– საღამოს მოვალ შენთან.

– არა, ჩემთან ვერ მოხვალ, ყოველ შემთხვევაში, ჯერ, – მრავალმნიშვნელოვნად განუმარტა ანამ და გაჩუმდა, იმის მოლოდინით, რომ კაცი რაღაცას მიხვდებოდა.

– არ არის პრობლემა. სადაც მეტყვი, იქ მოვალ და ძალიან ბევრს მოგეფერები...

– სალაპარაკო მაქვს.

– ჰო, – გაიცინა ლაშამ, – მაგის გარეშე როგორ იქნება. არც ეგ არის პრობლემა, ვილაპარაკოთ, რამდენიც გინდა და რაზეც გინდა.

ანამ ამოიოხრა. შინაგანმა ხმამ უკარნახა, რომ ლაშასთან საკმაოდ მძიმე საუბარი ელოდა.

***

ირინკამ გაჩერებაც არ აცალა მანქანას, კარი გამოაღო და მაშინვე შიგ ჩახტა.

– რატომ დამეკარგეთ? – საყვედურით მიმართა მოღიმარ კაცს და თვითონაც გაუღიმა.

– მინდოდა, ჩემზე გეფიქრა და მოგნატრებოდი, – უთხრა კაცმა და დაუფარავი ინტერესით შეათვალიერა, – მაგრად გამოიყურები, ჩასაყლაპად... სად წავიდეთ?

– რა ვიცი, სადაც იტყვით, ისევ თქვენს გემოვნებას ვენდობი.

კაცმა მოწონებით დაუქნია თავი.

– სწორადაც იქცევი. თუ ასე განაგრძობ, მე და შენ საერთო ენას გამოვნახავთ. ოღონდ, „თქვენობით“ ნუ მელაპარაკები.

– კარგი, აღარ დაგელაპარაკები... შეიძლება, რაღაც გკითხო?

– გააჩნია შეკითხვას...

– ცოლი გყავს? – მოურიდებლად ჰკითხა ირინკამ.

– ჰა, ჰა, ჰა! რატომ მეკითხები, შეგაშინეს ცოლებმა? ჩემს შემთხვევაში, შეგიძლია, მშვიდად იყო, პრობლემას არავინ შეგიქმნის.

– ანუ, გყავს თუ არა? – არ მოეშვა ირინკა.

კაცი მოილუშა:

– საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, როცა ქალი ასეთ შეკითხვას სვამს, მას ორი მიზანი აქვს: ან გეგმავს, ცოლად გამოგყვეს, ან დაიღალა ცოლიან კაცებთან ურთიერთობით და თავს იზღვევს. შენს შემთხვევაში რომელი ვარიანტია რეალობასთან ახლოს?

– არცერთი, – გადაიკისკისა ირინკამ.

– ვითომ?

– ასეა. თუმცა, შენმა პასუხმა მეც გამიჩინა ვერსიები: როცა კაცი სრულიად უწყინარ კითხვაზე იძაბება და კონტრშეკითხვით გპასუხობს, ორი მიზეზია: ან გამოუსწორებელი მექალთანეა, ან ცოლი ჰყავს, რომლისაც ძალიან ეშინია, თუმცა, შანსებსაც ებღაუჭება...

– ჰა, ჰა, ჰა... – გულიანად გაიცინა კაცმა, – კარგად იცნობ კაცების ფსიქოლოგიას, მომწონს. მეტისმეტად შტერ ქალებს ვერ ვიტან...

– ანუ, შტერ ქალებთანაც გქონია ურთიერთობა?

– მხოლოდ ერთჯერადი... აი, შენისთანასთან კი ხანგრძლივი ურთიერთობაც შემიძლია. თავისუფალი კაცი ვარ, ვისთანაც მინდა, იმასთან ვიქნები, თანაც, რამდენ ხანსაც მინდა. მზად ხარ, ჩემისთანა არაორდინარული და არაპროგნოზირებადი კაცის მეგობარი იყო?

– მოფიქრების დრო მაქვს? – გაეცინა ირინკას.

– რა თქმა უნდა. მე სხვის თავისუფლებასაც პატივს ვცემ, აბა, როგორ?

– და, თუ დავთანხმდები, რას მივიღებ? – ეშმაკურად ჩაიღიმა ირინკამ.

– ბევრ ბედნიერ დღესა და ნეტარების წუთებს... და, კიდევ ბევრ კარგ რაღაცას, ოღონდ, ეგ უკვე შენზე იქნება დამოკიდებული.

– ანუ? – ჩაეკითხა ირინკა.

– ანუ, არ უნდა გამაბრაზო.

– ახლავე მეტყვი, რა არ უნდა გავაკეთო?

კაცმა თვალები მოჭუტა:

– პრინციპში, რატომაც არა?! კარგია, თუ თავიდანვე „გავაიასნებთ“ ურთიერთობის ნიუანსებს. მოკლედ, ტვინი არ უნდა გამიბურღო; ზედმეტი შეკითხვები არ უნდა დამისვა; არ უნდა შეეცადო შენი გავლენის არეალში ჩემს მოქცევას... თუმცა, ამას ვერც შეძლებ... ერთი სიტყვით, ვისუნთქებთ ღრმად, თავისუფლად და ბედნიერები ვიქნებით.

ირინკამ თვალები მოჭუტა:

– მივხვდი. ცოლი გყავდა... შეიძლება, რამდენიმე წლის განმვლობაშიც კი იყავი ოჯახის უღელში და ახლა ბოლომდე ეძლევი თავისუფლებით მიღებულ ნეტარებას.

– არა, ცოლი არ მყოლია, თუმცა, მსგავსი ურთიერთობა მქონდა და ძალიანაც დამღალა. ქალებს ერთი ცუდი თვისება გაქვთ – არ შეგიძლიათ რეალობის ისე მიღება, როგორიც არის. არადა, თავიდანვე ყველაფერი იცით... მერე წვალობთ, ცდილობთ, შეცვალოთ ის, რისი შეცვლაც შეუძლებელია და ნერვიულობთ, არაფერი რომ არ გამოგდით.

– მე არ მივეკუთვნები ასეთი ქალების კატეგორიას, თუმცა მოსაფიქრებლად დროს მაინც გამოვიყენებ.

***

ანამ წვენით სავსე ჭიქა გვერდზე გასწია და სიგარეტს მოუკიდა.

– რა სახე გაქვს, ან, კაფეში რატომ მოინდომე შეხვედრა? – ჰკითხა ლაშამ, საფერფლე მიუჩოჩა და თვითონაც მოუკიდა სიგარეტს.

– ხომ გითხარი, სალაპარაკო მაქვს-მეთქი.

– მერე, საწოლში ვერ ვილაპარაკებდით? – გაუცინა ლაშამ და ლოყაზე ალერსით მოუსვა ხელი.

– არ გინდა, – შეუბღვირა ანამ, – ჯერ მათქმევინე, თუმცა, შეიძლება, ძალიან არ მოგეწონოს, რასაც ახლა გეტყვი: არ მეგონა, ასეთი უპასუხისმგებლო თუ იქნებოდი.

– დაიწყო! – გაიცინა ლაშამ და ამოიოხრა, – ანა, რა მოგდის, იმ ორი კვირის რეზიუმე გააკეთე და გადაწყვიტე, რომ მაყრიონით უნდა მოგდგომოდი კარზე?

– ეგ რა შუაშია?! – წარბი შეიკრა ანამ.

– აბა, რა არის შუაში, რატომ მებღვირები? ისეთი რა მოხდა ჩვენ შორის, რომ ეჭვიანი ცოლივით როჟას მიკრავ? დავაშავე, რომ არ დაგირეკე? შენ დაგერეკა, ანუ, გამოდის, რომ შენც დამნაშავე ხარ.

ანა გაშრა. არ ელოდა, კაცი ასე თუ მიაწვებოდა. თვალები აუცრემლდა და ტუჩი აუკანკალდა:

– იქით მეჩხუბები? და მეუბნები, რომ ჩვენ შორის განსაკუთრებული არაფერი მომხდარა?

– მოხდა, როგორ არ მოხდა.... ძალიან კარგი რაღაც მოხდა. მინდა, რომ კიდევ მოხდეს და ვიცი, რომ ეს შენც გინდა...

– მე ასე არ შემიძლია... ვერ ვიქნები შენი საყვარელი.

– მერე, მე გითხარი, ჩემი საყვარელი იყავი-მეთქი? არც გამოვა ეგ ამბავი: შენ ქმარი არ გყავს, მე – ცოლი და საყვარლები რანაირად ვიქნებით?

ანამ გაოცებით შეხედა:

– მაშინ საერთოდ ვერაფერი გავიგე... გიყვარვარ?

– სულელური შეკითხვაა. როგორ ფიქრობ, არასაყვარელ ქალთან ორი კვირა გავძლებდი? როგორ ტყუილად იშლი ნერვებს და მეც მაწვალებ. ჩემო პატარა სულელო, ეს ცხოვრება იმად არ ღირს, რაღაცას ნერვები მოაშლევინო... მომენდე და დამიჯერე: ბევრ ლამაზ წუთს გაჩუქებ და, სიხარულსაც.

– მერე? რა იქნება მერე? – ანა მაინც ყოყმანობდა.

– ამაზე ფიქრით თავს ნუ დაიღლი, იმიტომ რომ, ვერავინ გეტყვის, რა იქნება მერე. ვინც გეტყვის, აუცილებლად მოგატყუებს. ხომ არ გინდა, რომ მოგატყუო?

– არა, – თავი გადააქნია ანამ. კაცის რბილი, ხავერდოვანი ტემბრი აბრუებდა და წინააღმდეგობის გაწევის სურვილს უკარგავდა... როგორც იქ, ეგვიპტეში, ახლაც დაუბინდა გონება ტკბილმა ბურანმა და საღად განსჯის უნარი დაუკარგა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# იცურავე და გახდი!

ბევრს ჰგონია, რომ ზღვაზე ყოფნისას, ყოველდღე წყალში ჩასვლითა და 10 წუთი ფართხალით უამრავ კალორიას დაწვავს, სახლში გამხდარი დაბრუნდება და თავისი მშვენიერი სპორტული სხეულით ფურორს მოახდენს სამსახურშიც და მეგობართა წრეშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. პირველ ყოვლისა, უნდა გახსოვდეთ, რომ შვებულების დღეების იმედად ყოფნა (გახდომის თვალსაზრისით) დიდი შეცდომაა, თუკი ამ დღეების ყოველ საათს გონივრულად არ გამოიყენებთ. გონივრულობაში კი იგულისხმება არა შეზლონგზე ნებივრობა, წიგნის კითხვა ან „ჯოკერის“ თამაში, არამედ, აქტიური დასვენება: სწრაფი ცურვა, პლაჟის ხელბურთი (ან ნებისმიერი სხვა სპორტული თამაში), დილა-საღამოს (ცურვის პარალელურად) ფეხით ან ველოსიპედით სეირნობა; კარგი შედეგი აქვს, ასევე, წყლის ველოსიპედსა და ნიჩბებიან ნავს – მოკლედ, არჩევანი თქვენზეა, მაგრამ ამ ჩამონათვალში უმთავრესი მაინც ცურვაა, ოღონდ, უნდა იცოდეთ, ცურვის რომელი სტილი კონკრეტულად რაში დაგეხმარებათ.



მათ, ვინც ცურვით გადაწყვიტეთ გახდომა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ერთი მთავარი პირობა: უნდა ცვალოთ ცურვის სტილი და ინტენსიურობა – ეს დაეხმარება ორგანიზმს, კუნთები ცხიმების დაწვის რეჟიმში ამყოფოს.

გასახდომად ყველაზე შედეგიანად ითვლება ცურვის სახეობა – **ბატერფლაი**, მაგრამ, ამასთან, ეს ყველაზე რთული სტილია და, შესაბამისად, სპეციალურ მომზადებასაც საჭიროებს.

**კროლიც** ასევე ყველაზე ეფექტურ სტილად ითვლება გასახდომად, რადგან ეს ცურვის ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური სახეობაა.

**ბრასი** ყველაზე „დინჯია“ ცურვის სახეობებს შორის, მაგრამ, სამაგიეროდ, შეგიძლიათ, დიდხანს იცუროთ.

**ზურგზე ცურვა** საუკეთესო გამოსავალია იმისათვის, რომ თან დაისვენოთ და ცურვაც არ შეწყვიტოთ.

მითითება: ბატერფლაით ცურვისას ავარჯიშებთ პრესისა და თეძოების კუნთებს; კროლი ააქტიურებს ზურგის კუნთებს; ბრასი ზედმეტ ცხიმებს მოგაშორებთ ფეხებსა და ბარძაყების შიდა მხარეზე, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ ყოველ ბიძგს ფეხებით გააკეთებთ მაქსიმალურად ძლიერად.

რჩევა: იცურავეთ „ლასტებით“ – ასე გაცილებით მეტ კალორიას დაწვავთ.

თუ ნამდვილად გსურთ გახდომა, უნდა დაიცვათ 2 წესი:

1. იცურავეთ რეგულარულად, დაახლოებით ერთსა და იმავე დროს. მართალია, ეს ცოტა მოსაბეზრებელია, მაგრამ, სასურველ აღნაგობას სხვაგვარად ვერ „მიაღწევთ“. თუ ნებისყოფა გეყოფათ საამისოდ, რომ 6 თვის განმავლობაში მაინც იცუროთ კვირაში მინიმუმ 3-ჯერ, შედეგით ისეთი აღფრთოვანებული დარჩებით, რომ 6 თვეს უკვე ძალიან ადვილად გადაიყვანთ განუსაზღვრელ ხანგრძლივობაში.

2. ესაა ვარჯიშის ხანგრძლივობა. ცნობილია, რომ ცხიმების „მარაგი“ წვას იწყებს აერობიკის ვარჯიშის დაწყებიდან 20 წუთის შემდეგ. ამიტომ, შედეგის მისაღწევად უნდა იცუროთ მინიმუმ 30 წუთი. საშუალოდ კი, პაუზების გარეშე უნდა გაცუროთ 600-800 მეტრი (დამწყებებმა – 100-დან 300 მეტრამდე).

მითითება: რატომღაც, ითვლება, რომ გრილ წყალში ცურვით უფრო ადვილად ვიკლებთ წონაში, მაგრამ მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ 24 გრადუსზე ნაკლები ტემპერატურის მქონე წყალი ხელს უწყობს კანქვეშა ცხიმების დაგროვებას, ამიტომ, გრილ წყალში დიდხანს ბანაობა ამ მხრივ სასურველი არ არის. მეცნიერთა აზრით, კალორიების დასაწვავად წყლის იდეალური ტემპერატურაა 24-დან 28 გრადუსამდე.

მათ კი, ვინც ცურვისას ვერ გრძნობს თავს „როგორც თევზი წყალში“, ანუ არ არის დახელოვნებული მოცურავე, ვთავაზობთ ვარჯიშების კომპლექსს, რომელიც ადვილად მოგაშორებთ ზედმეტ კილოგრამებს (თითოეული ვარჯიში გაიმეორეთ 10-ჯერ):

1. „მაკრატელა“ – შედით წყალში წელამდე. ახტით და, სანამ უკან დაეშვებით, ერთი ფეხი წინ გასწიეთ, მეორე – უკან (თანაბარი მანძილით). ტანი და ფეხები გეჭიროთ სწორად. ფსკერზე დაშვებისას ფეხები ოდნავ მოხარეთ.

2. „შპაგატი“ – გაიმეორეთ პირველი ვარჯიში, ოღონდ ფეხები მაქსიმალურად გაშალეთ სიგანეზე. შეეცადეთ, ზურგი სწორად გეჭიროთ.

ორივე ვარჯიშის დროს გააქტიურებულია ბარძაყის წინა და უკანა მხარეები, პრესისა და დუნდულების კუნთები.

3. მარცხნივ და მარჯვნივ „გადაგორება“ – თუ ღრმა წყალში არ ხართ, „დაწექით“ მარცხენა გვერდზე და მუხლები მკერდზე მიიზიდეთ. შემდეგ ფეხები გამართეთ, „გადაგორდით“ მარჯვენა გვერდზე და მუხლები ისევ მიიზიდეთ მკერდზე.

ამ დროს აქტიურდება თეძოების, ზურგისა და მუცლის (ირიბი) კუნთები.

რაც შეეხება კვებას, შეიძლება, ცოტა გაგიჭირდეთ „გემრიელობებისა“ და სასუსნავებისგან თავის შეკავება, მაგრამ, როგორც კი ხელი წაგიცდებათ რამე კალორიულ საკვებზე, მაშინვე წარმოიდგინეთ, რომ სახლში დაბრუნებული, დგახართ თქვენს სარკესთან, რომელშიც ველარ ეტევით და მაშინვე გადაიფიქრებთ ზედმეტი ლუკმის პირში ჩადებას. თუ მაინც მოხდა ისე, რომ თავი ვერ შეიკავეთ, იმ დღეს ორმაგად იაქტიურეთ: იცურავეთ, ირბინეთ, იარეთ ფეხით და სანაცვლოდ, მეორე დღეს მიირთვით ნაკლები. ზოგადად კი, სასურველია, თუ სალათებს „დაუმეგობრდებით,“ ისიც, მხოლოდ 19 საათამდე.

არ დაგავიწყდეთ, რომ ცურვის (და ნებისმიერი სხვა ვარჯიშის) შემდეგ, 1,5 საათის განმავლობაში არ შეიძლება ჭამა. უფლება გაქვთ, დალიოთ მხოლოდ ჩვეულებრივი სასმელი წყალი, არაუმეტეს 200 მილილიტრისა, პატარა ყლუპებით.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ყოველთვის, როცა ტუჩის საცხს ვისვამ, არათანაბარი ფენა გამომდის. როგორ უნდა წავისვა სწორად?**

**პასუხი**: ტუჩის საცხის წასმა შეიძლება ორი მეთოდით: სპეციალური პატარა ფუნჯით ან თითით. ჩვენ ამ ხერხებს გასწავლით, ორივე მოსინჯეთ და, რომელიც უფრო მოგეწონებათ, ის გამოიყენეთ ხოლმე.

1) ფუნჯით: პომადის წასმა დაიწყეთ ზედა ტუჩის შუიდან კუთხისკენ. ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე კუთხისკენ (სულ 2 გასმა უნდა იმყოფინოთ); ქვედა ტუჩზე კი საცხი წაისვით ერთ გასმაზე, მარცხნიდან მარჯვნივ. ამის შემდეგ ზედმეტი პომადა შეიშრეთ ქაღალდის ხელსახოცით (ქაღალდი მოიქციეთ ტუჩებს შორის და ოდნავ მოუჭირეთ) და გადაისვით საცხის მეორე ფენა.

2) თითით: პომადა წაისვით ტუჩებზე თხელ ფენად (თუ ზედმეტი მოგივიდათ, აიშრეთ ქაღალდის ხელსახოცით) და თითით გადაანაწილეთ ორივე კუთხისკენ, ოღონდ, აქცენტი გააკეთეთ ტუჩის შუა ნაწილზე. თუ მშრალი ტუჩები გაქვთ და გექერცლებათ, პომადის წასმამდე 15-20 წუთით ადრე დაიტენიანეთ სპეციალური ბალზამით.

**კითხვა: როგორ უნდა შევახამო ერთმანეთთან ფრჩხილების ლაკისა და პომადის ფერები?**



**პასუხი**: ეს სულაც არ არის რთული. თუ გსურთ, რომ ამით თქვენს დახვეწილ გემოვნებას გაუსვათ ხაზი, ფრჩხილების ლაკი უნდა იყოს ტუჩის საცხზე ნახევარი ან ერთი ტონით მუქი და არა საერთოდ სხვა ფერის.

**კითხვა: ახლახან გავიგე მშრალი შამპუნის არსებობის შესახებ. თუ შეიძლება, მოკლედ მიამბეთ მის შესახებ.**

**პასუხი**: 1971 წელს საფრანგეთის ქალაქ კარლში მცხოვრებმა აფთიაქარმა პიერ ფაბრმა გამოიგონა შამპუნი, რომელსაც ჰქონდა უნიკალური თვისება – წყლის გარეშე ასუფთავებდა თმას. ეს იყო მცენარეული წარმოშობის სპრეი, რომლის მიკრონაწილაკები, თმის ძირებში მოხვედრისას, „ითქავდნენ“ ზედმეტ ცხიმს და, ამასთან, აბსოლუტურად არ აზიანებდნენ კანს. ეს შამპუნი მისწრება იყო მათთვის, ვისაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ეკრძალებოდა თავის დაბანა ტრადიციული მეთოდით (ჩვეულებრივი შამპუნით ან საპნით) „მშრალი შამპუნი“ ფაბრის ამ გამოგონებას 10 წლის შემდეგ შეარქვეს. 80-იან წლებში კი ის ისეთი მოდური გახდა, რომ მთელი მსოფლიოს ლამაზმანები მის გარეშე ველარ ძლებდნენ.

დაბანის გარდა, მისით შესაძლებელია ნებისმიერი ვარცხნილობის გაკეთებაც.

„მშრალ შამპუნს“ დღესაც უშვებს ბევრი ცნობილი ბიუტი-ბრენდი.

მოამზადა
თამრიკო ზამთარაძემ

# ინტიმური საუბრები

## დედამ მე და ჩემი და ერთმანეთს დაგვაშორა

რატომ ხდება ცხოვრებაში ისე, რომ მშობლები შვილებს ერთმანეთისგან განასხვავებენ, ანუ, ერთი უფრო უყვართ, ვიდრე მეორე (ან დანარჩენები)?! რა ხდება ამ დროს მშობლის გულში, ტვინში და, საერთოდ, ფსიქიკაში?

როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამას უმრავლეს შემთხვევაში, დედები სჩადიან. თუმცა, მაინც ვერ დავადგინე, სჩადიან თუ ემართებათ, როგორც რაღაც მოურჩენელი ავადმყოფობა, სახადი.

ჩემდა სამწუხაროდ, ასეთი დედა ბევრი აღმოჩნდა ჩემ გარშემო, დაწყებული ბებიაჩემით, დედაჩემითა და დეიდაჩემით დამთავრებული. მართალია, ვერცერთს ვერ დავაბრალებ, იმ ერთი რჩეულის გარდა, დანარჩენ შვილებს ვერ იტანდა-მეთქი, მაგრამ, მხოლოდ ბიოლოგიური სიყვარული და ზოგადად, იმის სურვილი, რომ ცუდი არაფერი დაემართოს იმ გულს გარეთ დატოვებულ შვილს, დამეთანხმებით, კარგ დედობაზე სულაც არ მეტყველებს.

ბებიაჩემი ვახსენე და, მინდა გითხრათ, რომ ოჯახზე დიდად ნამაგარი ქალი იყო. მამაჩემსაც და ბიძაჩემსაც კარგი განათლება მისცა, მაგრამ ბიძაჩემს, რომ იტყვიან, ბოლომდე თან გადაჰყვა – ფიზიკურადაც და მატერიალურადაც. ყველაფერს უმაღლეს დონეზე უკეთებდა, ყველაფერი მისთვის ემეტებოდა; იმ დონეზე, რომ, როცა დედაჩემი მამაჩემს ფეხსაცმელს ან ტანსაცმელს უყიდდა, ბებიაჩემი მაშინვე თავის უფროს შვილს დაიბარებდა, ისიც მაშინვე ჩვენთან გაჩნდებოდა ხოლმე (იცოდა, რომ რაღაც მუქთად გამოსარჩენი ელოდა). დედამისიც, არც კი მოერიდებოდა თავისი რძლისა და უმცროსი შვილის, (ანუ ჩემი მშობლების), მაშინვე უკითხავად გამოუტანდა დედაჩემის მიერ მამაჩემისთვის ნაყიდ ტანსაცმელს ან ფეხსაცმელს და ეუბნებოდა, მოისინჯე და, თუ კარგად მოგივა, შენი იყოსო. ისიც იცვამდა, თითქმის ყოველთვის კარგად მოსდიოდა და უცერემონიოდ მიჰქონდა. დედა ისე ბრაზობდა, ლამის მამაჩემი მოეკლა – ამდენს როგორ უნდა გიბედავდნენო, მაგრამ, თვითონაც ზუსტად ისე მექცევა, როგორც ბებია ექცეოდა მამაჩემს. მისთვის მეორეხარისხოვანი ადამიანი ვარ და ჩემს ამქვეყნიურ დანიშნულებას მხოლოდ იმაში ხედავს, რომ მშობლები ვარჩინო კიდეც და ფიზიკურადაც მოვუარო, მიუხედავად იმისა, რომ, რაც რამე გააჩნდა ღირებული (ფულზე აღარაფერს ვამბობ), ყველაფერი ჩემს უფროს დას დაუტოვა. მას კი, ისედაც თავზე გადასდის ყველაფერი, რადგან დედისერთა მილიონერი ქმარი ჰყავს და სამი მოსამსახურე დაუდის სამსართულიან სასახლეში. თან, ჯვარი სწერია და, არც ჯანმრთელობა აწუხებს. მე კი, თუ რამე არსებობს, ყველაფერი მჭირს, თან ახლახან ფეხი მოვიტეხე და ექიმთანაც კი ვერ მივედი უფულობის გამო. დედაჩემმა კი თავისი საკმაოდ სოლიდური დანაზოგი და ძვირფასი, ძველებური საათი, ჩემს დას აჩუქა დაბადების დღეზე (ჩემთვის მხოლოდ ცხვირსახოცის ან ჩაის ტილოს დონის საჩუქრებს იმეტებს). რაც მთავარია, თვითონაც ზუსტად ისევე მოგვიხსენიებს მე და ჩემს დას, როგორც ბებია მოიხსენიებდა მამაჩემსა და ბიძაჩემს (რაზეც დედა საშინლად ბრაზდებოდა ხოლმე) – ბებია ამბობდა: „ჩემი შვილი და შოთიკო", სადაც „ჩემი შვილი" – ბიძაჩემი იყო, შოთიკო კი – მამაჩემი. დედა კი ამბობს: „ჩემი გოგო და თიკო", სადაც „ჩემი გოგო" – ჩემი დაა, თიკო კი მე ვარ. ძალიან მწყინს ეს ყველაფერი, რადგან ასეთი მოპყრობა ნამდვილად არ დამიმსახურებია. თუმცა, ეს, ერთმანეთისგან გამორჩევა, ბავშვობიდან მახსოვს: დედაჩემი ჩემს დას ყველა საგნის მასწავლებელთან ატარებდა. მარტო ინგლისურში სამი მასწავლებელი აუყვანა (სკოლის გაკვეთილებისთვის, წერა-კითხვისა და მეტყველებისთვის), მე კი ერთი მასწავლებელიც არ მალირსა – თვითონ იმეცადინე, არაფერი მოგივაო. გარდა ამისა, როცა სადმე „გასაპრანჭავ" საზოგადოებაში მიდიოდნენ სტუმრად, ჩემი და მიჰყავდათ, მე კი მხოლოდ ძალიან მოხუც და ღარიბ ნათესავებთან მიშვებდნენ, სადაც თავის გამოჩენა არ სჭირდებოდათ. მოკლედ, უამრავი ასეთი მაგალითის გახსენება შემიძლია, მაგრამ, აღარ მინდა, თავი მოგაბეზროთ. უბრალოდ, იმაზე მწყდება გული, რომ დედაჩემმა შვილების ასეთი გამორჩევით, მე და ჩემი და ერთმანეთს დაგვაშორა, რასაც მთლიანად მე მაბრალებს, თავის დანაშაულს კი ვერ ხვდება.

**თიკო, 34 წლის**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

## თვითკმაყოფილი თუ თავდაჯერებული?!

*ძალიან სასარგებლო ტესტია. თვითკმაყოფილება არცთუ დადებითი თვისებაა, თავდაჯერებულობა კი კარგია. როგორ ფიქრობთ: სწორად ახერხებთ მათ გამიჯვნას? ხშირად გრძნობთ უხერხულობას საკუთარის აქციელის გამო? სინდისი ხშირად გქენჯნით? ახლობლებს თვალსაც ხშირად არიდებთ? შეამოწმეთ, ხართ თუ არა დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში და ხომ არ გიშლით ხელს თავდაჯერებულობა წინსვლაში.*

შეკითხვებზე უპასუხეთ: „ჰო" ან „არა" და ნახეთ შედეგი, რომელმაც შესაძლოა, გაგაოცოთ.

1. **ძალიან ბევრი რამ არ მყოფნის, რომ ცხოვრებაში თუნდაც ელემენტარული სურვილები შევისრულო;**
2. **კარგი იქნება, თუ ჩემი ფიქრების უკეთესად გაკონტროლებას შევძლებ;**
3. **ზედმეტად სერიოზულად აღვიქვამ სულელურ და უაზრო სიტუაციებს;**
4. **სულ მაქვს სურვილი, ჩემი საქმე უკეთ გავაკეთო, ბევრად უკეთ;**
5. **ფაქტობრივად, მომავლისთვის ვცხოვრობ და არა დღევანდელი დღით;**
6. **ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შემეძლოს, ყველაფერს სხვანაირად გავაკეთებდი;**
7. **ძალიან ხშირად ვარ საკუთარი ბედით უკმაყოფილო;**
8. **სულ მეშინია, რომ სხვა ადამიანები დამცინებენ;**
9. **ჩემი ცხოვრება საკუთარ თავთან ჭიდილი და ბრძოლაა;**
10. **კარგი იქნებოდა, თუკი საკუთარ თავს უკეთესად გავუგებდი.**



**ტესტის შედეგები:**

*ყოველი უარყოფითი პასუხისთვის დაიწერეთ ორი ქულა, დადებითი პასუხები შეაფასეთ 0 ქულით. დაითვალეთ და ნახეთ, რა გამოვიდა.*

*თუ 11 ქულაზე მეტი დააგროვეთ, ეს ნიშნავს, რომ ჰარმონიული პიროვნება ბრძანდებით. საკუთარ თავში დარწმუნებულიც ხართ და პასუხისმგებლობის გრძნობაც არ გაკლიათ. პასუხს აგებთ თქვენს თითოეულ ნაბიჯზე. მყარი ნერვები და რკინისებური ნებისყოფა გაქვთ. ბევრს მიაღწევთ.*

*12 ქულაზე ნაკლები: თვითგანადგურებისკენ გაქვთ მიდრეკილება. მეტისმეტ მორიდებულობას და უაზრო სირცხვილის განცდას უმოქმედობამდე მიჰყავხართ. უპრინციპო და გადაუწყვეტელი ხართ. საკუთარი შესაძლებლობები დაინახეთ და დააფასეთ. უკვე დროა, რაღაც ღირებული შექმნათ ცხოვრებაში.*

**ელენე წულუკიძე**

# მძარცველთა საგანძური

**გაგრძელება. დასაწყისი**
**იხ. „თბილისელები“ №22-31(762)**

სლავკა ფეხზე ადგა და მოტოციკლისკენ შებრუნდა. დიმკამ კი მას უკანალში წიხლი ჰკრა და მიაყოლა:

– ჩქარა, აქაურობას მოშორდი, შე ნაბოზ-არო ქათამო!

მოძალადემ უხმოდ დაქოქა მოტოციკლი,



ადგილიდან დაძრა და დიმკას დაუყვირა:

– შენი დედაც... ჩამივარდები ხელში და, ნახე, რა გიქნა!

დიმკამ მხოლოდ გადააფურთხა გაქცეული მოძალადის მიმართულებით, რომელიც რაკეტასავით გავარდა პლაჟიდან. დიმკა კი ტანსაცმელშემოხეულ გოგონას მიუბრუნდა და ჰკითხა:

– როგორ ხართ?

– ახლა უკვე კარგად. დიდი მადლობა, რომ გადამარჩინეთ.

– ჩვენთან წამოდით, აი, იქ ვართ დაბანაკებულები, – დიმკამ მარჯვენივ გაიშვირა ხელი.

გოგონა დიმკას წაჰყვა. მანქანასთან რომ მივიდნენ, პოპოვმა ბიჭს ჰკითხა:

– ყველაფერი რიგზეა?

– კი. მოტოციკლით გაიქცა ის ქათამი, – მიუგო დიმკამ.

პოპოვმა ახალმოსული გოგონა შეათვალიერა და ჰკითხა:

– რა გქვია, შვილო?

– გალია, – მიუგო გოგონამ.

– გალოჩკა, ვინ იყო ის ბიჭი და შენგან რა უნდოდა? – დაინტერესდა გენერალი.

– იმ ნაძირალას სლავა ჰქვია. იმ ბინის მფლობელის შვილია, სადაც მე ოთახს ვქირაობ. მთხოვა, რომ დისკოტეკაზე გავყოლოდი, შემდეგ პლაჟზე წამომიყვანა, დანარჩენი კი თქვენც იცით, – თქვა გალიამ.

– რამდენი წლის ხარ?

– ოცის.

– სად ქირაობ ბინას?

– დაბა ლაზარევსკაიაში.

– თვითონ საიდან ხარ?

– სვერდლოვსკიდან. არდადეგებზე ჩამოვედი ზღვაზე დასასვენებლად, ხვალ კი უკან მივემგზავრები მატარებლით... – მიუგო გოგონამ და დაამატა, – გმადლობთ. ახლა კი წავალ.

– სად წახვალ? – ჰკითხა პოპოვმა.

– ლაზარევსკაიაში. ნივთები, ბილეთი და საბუთები იქ მაქვს.

– რით აპირებ გამგზავრებას?

– იქით მიმავალ მანქანას ან მატარებელს გავყვები, სულ რაღაც ნახევარიოდე საათია საჭირო.

პოპოვს ჩაეცინა და გოგონას უთხრა:

– გალოჩკა, როგორ ფიქრობ, სწორი საქციელი იქნება, რომ ახლა შენ მარტოდმარტო, ღამით, ლაზარევსკაიაში გაემგზავრო? ხომ ნახე, ამ ცოტა ხნის წინ რას გადაურჩი, ისევ შარში გინდა გაყო თავი?

– აბა, რა ვქნა?

– ამაღამ ჩვენთან დარჩი, დილით კი ლაზარევსკაიაში მიგიყვანთ. რომელ საათზე გადის შენი მატარებელი?

– სოჭიდან დილის ცხრაზე გამოდის.

– მატარებელშიც ჩაგსვამთ და მშვიდობიანადაც გაგამგზავრებთ. თანაც, იმ ნაძირალა სლავასაც შევახურებთ, – უთხრა გენერალმა გოგონას და დაამატა: – შენ და ნუცა მანქანაში გაათევთ ღამეს, მე და ჩემი შვილი კი ამ პლედებზე დავწვებით.

– კარგი, დავრჩები, გმადლობთ, – თქვა გოგონამ და პოპოვს ჰკითხა: – თქვენ ერთი ოჯახი ხართ?

– ვალერკა ჩემი შვილია, ნუცა კი ჩვენი თბილისელი სტუმარი. ლენინგრადში ვცხოვრობთ და სახლში ვბრუნდებით, – მიუგო გოგონას პოპოვმა. ნუცამ კი გალიას უთხრა:

– კაბა სულ დაგხევია. აი, ჩემი ჩაიცვი, მე მგონი, მოგერგება.

გალიამ ნუცას კაბა ჩაიცვა და მადლობა გადაუხადა, პოპოვმა კი თქვა:

– პირველს გადასცილდა. აბა, დავიძინოთ.

განძის მაძიებლები და მათი ღამის სტუმარი ერთი საათის ჩაძინებულები იყვნენ, როდესაც ძრავების გუგუნის ხმა გაისმა. დიმკას და გენერალს ერთდროულად გაეღვიძათ. თავები ასწიეს და ათიოდე მოტოციკლის ანთებულ ფარს მოჰკრეს თვალი, რომლებიც პლაჟზე ერთ მწკრივად, ნელი სვლით მოდიოდნენ.

– მე მგონი, პრობლემა გვაქვს, შვილიკო, – უთხრა გენერალმა დიმკას.

– როგორც ჩანს, ის ქათამი დაბრუნდა თავის ძმაკაცებთან ერთად და ჩვენ გვეძებენ, – თქვა დიმკამ. ქვებზე წამოჯდა და „პარაბელუმს“ დასწვდა.

– ეგ შეინახე. აი, ჩემი „ტეტე“, მაგრამ სროლა არ ატეხო. იარაღს რომ დაინახავენ, მოკურცხლავენ, – უთხრა დიმკას პოპოვმა და პისტოლეტი მისცა.

დიმკამ „პარაბელუმი“ ზურგჩანთაში შეინახა, „ტეტე“ კი ქამარში გაირჭო და ფეხზე წამოდგა. სულ რაღაც ათიოდე წამის შემდეგ კი პლაჟზე დაბანაკებულები ათი მოტოციკლისტის ალყაში მოექცნენ. თითოეულზე ორ-ორი კუნთმაგარი, ფოლადის ჯაჭვებითა და ბეისბოლის ჯოხებით შეიარაღებული ახალგაზრდა იჯდა. მათ ფარები ანთებული დატოვეს და მოტოციკლებიდან ერთდროულად გადმოვიდნენ. დიმკამ მოძალადე თვალით მოძებნა და დამცინავად უთხრა:

– დაბრუნდი, შე ქათამო?

ძმაბიჭების გარემოცვაში მყოფ მოძალადეს გული მიეცა, ნახევარი ნაბიჯით გამოეყო წრეს და ჯაჭვის ტრიალით მიუგო დიმკას:

– ახლა ვნახავთ, ვინაა ქათამი.

– შენ! – მიაგება დიმკამ, – შენი პირით არ მითხარი ეს?

– ვნახოთ, შენ რას გვეტყვი ახლა, – კბილებში გამოსცრა სლავამ და ოცივე ახალგაზრდა, ჯაჭვებ და ჯოხებმომარჯვებულები, ერთდროულად, ნელი სვლით დაიძრნენ წრის შესაკრავად. დიმკამ კი პისტოლეტი ამოაცურა და მშვიდად თქვა:

– აბა, რომელი გაბედავს და პირველი შეუშვერს ტყვიას შუბლს?

წრე ადგილზე გაქვავდა, დიმკამ კი ახალგაზრდებს უბრძანა:

– ჯაჭვები და ბიტები დაყარეთ!

ახალგაზრდებმა უმალვე შეასრულეს ბრძანება.

– ახლა ეს ქათამი გამოვიდეს ორი ნაბიჯით წინ. დაიჩოქოს და ხმამაღლა გაიმეოროს თავისი სახელი! – დიმკამ სლავასკენ პისტოლეტი მიმართა, – აბა, ჩქარა!

მოძალადე ორი ნაბიჯით გამოეყო წრეს, დაიჩოქა და ხმამაღლა თქვა:

– მე ვარ ბოზი და ქათამი... – შემდეგ პაუზა გააკეთა და დიმკას ჰკითხა: – გავიმეორო?

– არაა საჭირო, – მიუგო დიმკამ, – ახლა გალოჩკას მოუხდი ბოდიშს მიყენებული შეურაცხყოფის გამო.

დიმკამ გალია მანქანიდან გამოიხმო და სლავას უხმოდ ანიშნა, დაიწყეო.

– ბოდიშს გიხდი, გალია, რომ ასე ცუდად მოვიქეცი და გაწყენინე. მეტს აღარ ვიზამ, – ამოილუღლუღა სლავამ.

– იზამ და მიიღებ შუბლში ტყვიას, – ჩაეცინა დიმკას და დანარჩენებს მიმართა: – აბა, ყოჩაღებო, მოახტით ახლა თქვენს რკინის ცხენებს და აქედან გაქუსლეთ. თან, ტვინში ჩაიბეჭდეთ, რომ ასე ქათმურად არასდროს არავის აღარ მოექცეთ. ყველა ჩემნაირი ლმობიერი კი არ შეგხვდებათ, დაგაჭედებენ შუბლში ტყვიას!

მოტოციკლისტებმა უმალვე შეასრულეს ბრძანება – მოტოციკლებს მოასხდნენ. მხოლოდ სლავა დარჩა მოტოციკლის გარეშე, რადგან მის მოტოციკლზე სხვა დაჯდა. მას კი ხელი ჰკრა და უთხრა:

– ბოზებმა ფეხით იარონ. შენს მოტოციკლს კი სახლთან დაგიტოვებ.

– გაქრით ახლა! – უღრიალა დიმკამ ახალგაზრდებს და ყველამ თვალის დახამხამებაში დატოვა პლაჟი.

სლავაც შეტრიალდა და ლასლასით გაუყვა პლაჟს. პოპოვმა კი მას დაუძახა:

– ახალგაზრდავ, გაჩერდი და მომისმინე!

სლავა გაჩერდა და გენერლისკენ შეტრიალდა. პოპოვმა კი უთხრა:

– ხვალ დილით სახლში გამოგივლით გალიას ნივთების წასაღებად და, იცოდე, არაფერი აკლდეს, გასაგებია?

– გასაგებია, – ამოილუღლუღა სლავამ.

– და, კიდევ ერთი: ბოროტმოქმედები არ გეგონოთ, მილიციელები ვართ. მე მილიციის გენერალი ვარ და, მადლობელი იყავი, ასე იოლად რომ გამოძვერი ამ ამბიდან. წესით, მილიციაში უნდა გაბარებდე – იქ სისხლის სამართლის საქმეს აღძრავდნენ შენი ქმედების გამო, მოგისჯიდნენ და ციხეში ჩაგსვამდნენ. ამ მუხლით გასამართლებულ პატიმრებს კი რას უშვრებიან, ალბათ, კარგად მოგეხსენება.

– დიახ, საქათმეში სვამენ, – თქვა სლავამ.

– ჰოდა, ჩათვალე, რომ ამას ასცდი. ახლა კი წადი და კარგად გაიაზრე შენი საქციელი, – უთხრა პოპოვმა ბიჭს და გაჩუმდა.

სლავა ჩქარი ნაბიჯით გაშორდა იქაურობას, გალიამ კი პოპოვს ჰკითხა:

– მართლა მილიციელი ხართ?

– მართლა. რატომ გიკვირს? – გაეცინა პოპოვს.

– არ მიკვირს. მამაჩემიც მილიციელია, – უთხრა გალიამ პოპოვს, – პოდპოლკოვნიკია, თანაც, თანამდებობის პირი.

– აბა, ერთი მითხარი, რა თანამდებობაზეა მამაშენი?

– სვერდლოვსკში ლენინის რაიონის სამძებროს უფროსია.

– ძალიან კარგი. რა გვარი ხარ, გალოჩკა?

– მასლოვა, – მიუგო გოგონამ.

– მასლოვა?

– დიახ.

– მამაშენს ოლეგი ხომ არ ჰქვია?

– დიახ.

– მარჯვენა ლოყაზე იარა აქვს? – პოპოვმა თითი ჩამოისვა მარჯვენა ლოყაზე.

– დიახ, თქვენ რა იცით?

– ოი, შე მამაძაღლო, შენა... – პოპოვი თავზე მოეფერა გოგონას, – კბილა ჩემი საუკეთესო ოპერი იყო ლენინგრადში.

– დიახ, მამას მთელი ქალაქი „კბილას" ეძახის. რა თქმა უნდა, ზურგსუკან, თორემ, პირში ამის თქმას ვინ გაუბედავს.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... „კბილა" კი სწორედ მე შევარქვი მამაშენს იმ ორი ქვედა ეშვის გამო, რომლებიც მას მგლის სახეს აძლევს, – გაეცინა პოპოვს და დაამატა: – ოლეგი, ოლეგი... ეგ მგელკაცა ეგა... ერთხელ ორ ბანდიტს ერთად შეება შიშველი ხელებით, რადგან ურთიერთსროლისას თვითონ ტყვიები გამოელია. იარაც მაშინ მიილო – ერთ-ერთმა მას ფინური დანა მოუქნია და ლოყაში დაჭრა. მახსოვს, ის ორი ბანდიტი ერთმანეთზე ხელბორკილებით გადაბმული მომითრია სამმართველოში. ცალი ხელით მათ მოათრევდა, მეორეთი კი მოთქრიალე სისხლიან ლოყაზე ცხვირსახოცს იდებდა.

– თქვენ კი, ალბათ, ვასილი ანდრეევიჩ პოპოვი ხართ, ხომ?

– დიახ, – მიუგო გენერალმა, – მახსენებს ხოლმე?

– დღე არ გავა, თქვენ რომ არ გაგიხსენოთ და რამე ისტორია არ მოყვეს.

– ეეჰ, შვილო, მოსაყოლის მეტი რა აქვს. ათი წელი ვიმუშავეთ ერთად და, დღე არ გავიდოდა ისე, რომ რამე „ჩეპე" არ მომხდარიყო. კბილა კი ყოველთვის წინა ხაზზე იმყოფებოდა და თავს არ ზოგავდა, – თქვა პოპოვმა, – მახსოვს, ერთხელ ინფორმაცია მივიღეთ, რომ ერთი, განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედი, რომელსაც ორი მკვლელობისთვის ეძებდნენ, ერთ-ერთ მისამართზე იმალებოდა. სასწრაფოდ ჩამოვაყალიბე ოპერჯგუფი და მის ასაყვანად გავემართეთ. ოლეგიც, რა თქმა უნდა, ჩვენთან ერთად იყო.

– კბილა, იცოდე, შენებურად ტყვიებს არ შეუშვირო შუბლი. ფრთხილად ვმოქმედებთ: მივდივართ, ალყაში ვაქცევთ, შევდივართ და გამოგვყავს. ხოლო, თუ წინააღმდეგობას გაგვიწევს, იქვე ვადუღებთ. გასაგებია? – ვუთხარი მამაშენს.

– გასაგებია, ვასილ ანდრეევიჩ, – მომიგო ოლეგმა და ოპერაციაზე წავედით.

ძებნილის ადგილსამყოფელს რომ მივუახლოვდით, მანქანები მოყუჩებულში გავაჩერეთ და ფეხით გავაგრძელეთ გზა. მაგრამ, რად გინდა? ჩვენდა სამწუხაროდ, ის ძებნილი უბნის ინსპექტორს დაუფრთხია, რომელიც სრულიად სხვა საქმეზე მისულა იმ ბინაში. ძებნილს კი, ფორმიანი რომ დაუნახავს, უფიქრია, დამადგნენო, კარის მეორე მხრიდან აუტეხავს სროლა და ინსპექტორი მუცელში დაუჭრია. ერთი სიტყვით, იმ საცოდავმა სულ რაღაც ხუთი წუთით მიგვასწრო.

– მილიციელი დაიღუპა? – ჰკითხა გენერალს გალიამ.

– არა. საბედნიეროდ გადარჩა. ჰოდა, რომ მივედით, იქ, იმ საცხოვრებელ სახლთან უკვე უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი. ძებნილი კი ფანჯრიდან იყურებოდა. ცალ ხელში სამი წლის მომტირალი, შეშინებული გოგონა ეჭირა. მეორეში კი ხელყუმბარა და აფეთქებით იმუქრებოდა, თუკი მას მიმალვის საშუალებას არ მივცემდით.

მე მეგაფონი მოვიმარჯვე და ბავშვის გათავისუფლების სანაცვლოდ, მანქანასა და თავისუფალ დერეფანს შევპირდი.

– ჯანდაბას თქვენი თავი, ბავშვს გავუშვებ, მაგრამ დედამისს დავიტოვებ. საჭესთან კი შენი ძაღლი უნდა დაჯდეს. გაფრთხილებ, რამე რომ დააპიროს, დაუფიქრებლად ავაფეთქებ „ლიმონკას" და მათაც თან გავიყოლებ. მე მაინც არაფერი მაქვს დასაკარგი, – ლაკონურად ჩამომიყალიბა იმ ნაძირალამ.

– მოსულა. საჭეს მე მივუჯდები, – მივუგე მე.

– არა. კბილა დასვი საჭესთან. მაგის ჟინი მჭირს და რამე რომ იყოს, სიამოვნებით გავიყოლებ საიქიოში, – გადმომძახა იმ მკვლელმა.

მამაშენს გაუხარდა და თვალები აენთო. მე კი ვუთხარი:

– იცოდე, არაფერი დააპირო. შენი თავი თუ არ გეცოდება, იმ ქალმა რა დაგიშავა?

– ხომ მიცნობთ, ვასილი ანდრეევიჩ, ყველაფერს ხუთიანზე შევასრულებ, – მომიგო კბილამ.

– რომ გიცნობ, სწორედ ამიტომაც გაფრთხილებ. იცოდე, თავგადასავლების გარეშე. გასაგებია? ჯანდაბამდეც გზა ჰქონია. წავიდეს. მაინც დავიჭერთ. შენ კი, თუ რამე იკისრე, იცოდე, ცოცხალი ვერ გადამირჩები-მეთქი, – ვუთხარი მამაშენს.

შემდეგ, ერთ-ერთი ჩვენი მანქანა სახლის წინ მოაგორა კბილამ და ძებნილს ჩამოსვლა შევთავაზეთ.

– კბილა მარტო ტრუსებში დარჩეს და ისე მიუჯდეს საჭეს. უნდა დავრწმუნდე, რომ იარაღი არ უდევს, – გადმოგვძახა ძებნილმა.

ქუჩაში ათი გრადუსი ყინვა იყო. ოლეგმა მანქანის წინ გაიძრო სამოსი და ტრუსებით მიუჯდა საჭეს. ცოტა ხნის შემდეგ ის ნაძირალაც გამოჩნდა. ცალ ხელში გახსნილი ხელყუმბარა ეკავა, მეორე ხელი ქალისთვის ყელზე ჰქონდა მოხვეული. მას იყო ამოფარებული და ფრთხილად მიიწევდა მანქანისკენ. შემდეგ უკანა სავარძელზე მოთავსდა მძევლიანად და კბილას უბრძანა:

– წავედით!

– საით მიბრძანებთ, ბატონო ძებნილო? – ჰკითხა კბილამ. მან კი კბილებში გამოსცრა:

– თუ საიქიოში არ გინდა გამგზავრება, ჩქარა დაძარი!

– გასაგებია. ახლავე, მაგრამ, ნუ ცხარობ. ხელყუმბარას მაგრად მოუჭირე ხელი, რომ არ გაგივარდეს და არ აფეთქდეს, – უთხრა მამაშენმა ბროტმოქმედს. შემდეგ ისეთი მოძრაობა გააკეთა, ვითომ მანქანას ქოქავდა, მაგრამ მკვეთრად შეტრიალდა უკან და იმ ნაძირალას თავისი უზარმაზარი ხელი „ლიმონკიან" ხელში ჩაავლო და მაგრად მოუჭირა,


## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

რომ დეტონაცია არ მომხდარიყო. შემდეგ მეორე ხელიც მიაყოლა. ავაზასავით გადაძვრა უკანა სავარძელზე. ბოროტმოქმედს ცხვირ-პირში თავი ატკაკა და ადგილზე მითიშა.

შემდეგ ფრთხილად გამოართვა ხელიდან „ლიმონკა“ და ცალ ხელში მაგრად დაიჭირა. გაოგნებულ მძევალ ქალს ფოლადის თმის სამაგრი გამოართვა. დეტონატორს გაუყარა და გააუვნებელყო. შემდეგ თავი მოახრახნა. ასაფეთქებლები მანქანის წინა სავარძელზე დააწყო. იმ ნაძირალას ხელბორკილები დაადო და გადმოათრია. შემდეგ ქალს მიუბრუნდა, რომელიც გაოგნებული ადგილიდან არ იძროდა და უთხრა.

– ყველაფერი დასრულდა. წადით, თქვენს გოგონას მიხედეთ.

მძევალი რომ გამორკვა, ატირებული ჩაეხუტა კბილას. კისერზე ჩამოეკიდა და ხელს არ უშვებდა. მამაშენმა კი ქალი ხელში აიყვანა, მანქანიდან გადმოიყვანა და ატირებულ გოგონასთან მიიყვანა, რომელიც მხოლოდ მაშინ გაჩერდა, როდესაც დედიკოს ჩაეხუტა.

ჩემმა ბიჭებმა ის მკვლელი მანქანაში შეაგდეს და მილიციის სამმართველოში წაიყვანეს. მე კი მამაშენთან მივიჭერი და განრისხებულმა ვუთხარი:

– ხომ გაგაფრთხილე, იმპროვიზაცია არ გაბედო-მეთქი. რომ არ გამოგსვლოდა და უბედურება მომხდარიყო, მაშინ რას შვრებოდი, შე ურჩო?

– ხომ გამომივიდა, – მშვიდად მომიგო მამაშენმა. მე კი ისე ვიყავი გაცეცხლებული, რომ მივახალე:

– ერთკვირიან ჰაუპტვახტს გიცხადებ! ახლავე მანქანაში ჩაჯექი, ჩემი ხელით მიგიყვან იქ.

– ვასილ ანდრეევიჩ, ტანსაცმლის ჩაცმის უფლება მაინც მომეცით, თორემ ერთი კვირა ტრუსისამარა რა გაძლებს ჰაუპტვახტში? – მითხრა კბილამ და მაშინღა გამახსენდა, რომ ის ათგრადუსიან ყინვაში თითქმის დედიშობილა იდგა.

აი, ასეთი რამ მოხდა მრავალი წლის წინ და საამაყო, გმირი და პროფესიონალი მამა გყავს, – უთხრა პოპოვმა გოგონას.

– ვასილ ანდრეევიჩ, ჰაუპტვახტში აღარ ჩასვეს მამა?

– რას ამბობ, შვილო, კბილას ჰაუპტვახტისთვის მოვაცდენდი? თანაც, ლუდაჩკასთან პაემანი ჰქონდა იმ საღამოს. მაშინ ჯერ კიდევ შეყვარებულები იყვნენ და ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, – უთხრა გენერალმა გოგონას, – ჰო, მართლა, როგორაა დედაშენი? მახსოვს, რომ გავიცანი, სულ იღიმებოდა და ძალიან უხდებოდა ღიმილი. ალბათ, ისევ ისეთი ლამაზი და კეთილია, ხომ?

– დედა გარდაიცვალა, – თქვა გალიამ.

– რაო? – შეიცხადა გენერალმა.

– კიბო ჰქონდა. შარშან გარდაიცვალა და ერთი თვის წინ წლისთავი გადავუხადეთ.

– რას მელაპარაკები, შვილო. საცოდავი... რა კარგი გოგო იყო. ღმერთმა განანათლოს მისი სული, – თქვა პოპოვმა და თვალები აუცრემლდა.

– არ უწვალია. ისე დალია სული. აი, მამა კი კარგა ხანს დეპრესიაში იყო. სმაც კი დაიწყო და სამსახურიდან წამოსვლას აპირებდა. თუმცა, მაინც მოახერხა თავის მოთოკვა.

– საცოდავი ოლეგი. დედაშენი ძალიან უყვარდა.

– ვიცი. ხელის გულზე ატარებდა. სხვა ქალს არასდროს გაკარებია და ახლაც მარტოა.

– ჰო. ძალიან ერთგული მამა გყავს, – თქვა პოპოვმა და ჩაფიქრდა, – შვილო, ერთი რაღაც უნდა გითხრა და არ გეწყინოს.

– ბრძანეთ, ვასილ ანდრეევიჩ.

– სიმართლე მითხარი, აქ მამამ გამოგიშვა მარტო?

– არა. მოვატყუე. მას ჰგონია, რომ კურსელებთან ერთად ყამირზე ვარ წასული სამუშაოდ.

– რატომ მოატყუე?

– საკუთარი თავის გამოცდაც მინდოდა მარტოობაში და ზღვაზე დასვენებაც.

– გასაგებია, მაგრამ ხომ ხედავ, რა მოჰყვება ხოლმე ტყუილს? ჩვენ რომ არ შევხვედროდით, ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა.

– მართალს ბრძანებთ. გამიმართლა. აღარ მოვიტყუები. აი, დავბრუნდები ორ დღეში სახლში და მამას ყველაფერს მოვუყვები. თქვენზეც ვეტყვი.

– არავითარი ორ დღეში. ხვალვე სახლში იქნები, – მტკიცედ თქვა პოპოვმა.

– ხვალვე, როგორ? მატარებლის სვერდლოვსკში ჩასვლას ორი დღე სჭირდება.

– თვითმფრინავით გაგიშვებთ. როგორც კი გათენდება, ადლერში გავემგზავრებით. ბილეთს აგილებ და გაგიშვებ.

– მეც თვითმფრინავით მინდოდა გამგზავრება, მაგრამ ბილეთები არ იყო. მატარებელზეც ძლივს ვიშოვე.

– დარდი ნუ გაქვს. მე ვიშოვი. გენერალი ვარ და ჯავშანი მეკუთვნის.

– უხერხულია, ვასილ ანდრეევიჩ. არაფერი მიჭირს, მატარებლით წავალ.

– მეტი აღარ შემომედავო. მიფრინავ! ჯერ ლაზარევსკაიადან წამოვიღოთ შენი ნივთები, შემდეგ კი ადლერიდან გაგამგზავრებთ.

– ვასილ ანდრეევიჩ, ტყუილად რატომ უნდა დავკარგოთ ამდენი დრო. თქვენ ხომ ლენინგრადში მიემგზავრებით და უკან, ადლერში რატომ უნდა დაბრუნდეთ?

– ხომ გაგეცი უკვე ამაზე პასუხი? მოდი, მეტს ნულარაფერს მეტყვი. ახლა კი დავიძინოთ. თითქმის გათენდა და უთენია ვართ ასადგომები.

***

მამაიკის ველურ პლაჟზე დაბანაკებულებმა უთენია გაიღვიძეს. ახალგაზრდებმა ზღვაში იბანავეს. შემდეგ ოთხივემ ისაუზმა. ცოტა დაისვენეს და ლაზარევსკაიაში გაემართნენ გალიას ნივთებისა და საბუთების წამოსაღებად.

– მიემგზავრები გალიჩკა? – მლიქვნელურად ჰკითხა გოგონას ბინის მეპატრონე ქალმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ წინა ღამით ველურ პლაჟზე მომხდარი ამბების საქმის კურსში იყო.

– დიახ, – მშრალად მიუგო გოგონამ და გამოუმშვიდობებლად ჩაჯდა მანქანაში. პოპოვმა კი ვერ მოითმინა და ქალს უთხრა:

– მადლობელი იყავით, რომ ასე იოლად გადარჩით. თქვენი ნაძირალა სლავა კი ჭკუას თუ არ ისწავლის, იცოდეთ, ან ვინმე თავს მოაჭრის, ან ციხეში მოხვდება. იქ მოხვედრას კი მისი სულის არსებას, ისევ სიკვდილი ერჩივნოს.

ქალს არაფერი უთქვამს გენერლისთვის და კოპებშეკრული შებრუნდა სახლში. პოპოვმა მისი მისამართით გადააფურთხა და თქვა:

– არც ეგ ქალი ჩანს წმიდა სულის. როგორც ეტყობა, ეგ სლავა დედამისს ჰგავს. ხომ გაგიგონიათ, – ვაშლი, ვაშლის ხისგან შორს არ ვარდებაო. წავედით, ნუციკო. შორს ამ უწმინდურებისგან.

ოთხეული რომ ადლერის აეროპორტში მივიდა, დილის რვა საათი იყო. გენერალი დიმკას დახმარებით მივიდა სალაროსთან, სადაც დაჯაჯღნილ ბილეთებს ყიდდნენ და დააკაკუნა. მძინარე მოლარე ქალმა კარგა ხნის მერე გაალო სალარო და პოპოვს მთქნარებით უთხრა:

– რა კაკუნი ატეხე, რა გინდა?

– ერთი ბილეთი სვერდლოვსკამდე. დილის პირველივე რეისზე, ანუ ათის ნახევარზე, – მშვიდად მიუგო პოპოვმა.

– სამოთახიანი ბინაც ხომ არ გინდა მოსკოვის ცენტრში, – დამცინავად უპასუხა ქალმა გენერალს და ისეთი მზერა ესროლა, თითქოს მათხოვარი იდგა მის წინაშე.

– არა. მხოლოდ ბილეთი, – მშვიდად გაუმეორა პოპოვმა.

გენერლის სიმშვიდემ ყვითელთმიანი შუახნის მოლარე ქალი უკიდურესად გაალიზიანა და პოპოვს აუყვირდა.

– შენ, კაცო, კითხვა არ იცი? ვერ ხედავ, რომ ჯავშნიანი ბილეთების სალაროა და არა მათხოვრების. წადი და სხვაგან მოიკითხე ბილეთი, – ქალმა სალარო მიხურა და ფარდა ჩამოაფარა.

პოპოვმა უკიდურესად დამცირებულად იგრძნო თავი. განსაკუთრებით კი ის ეწყინა, რომ ქალმა მას მათხოვარი უწოდა და მზად იყო, უზრდელი მოლარე შუაზე გაეგლიჯა. თუმცა, ემოციები შეიკავა და დიმკას გადაულაპარაკა:

– რამხელა კონტრასტია, არა, აქაურ და იქაურ სტუმართმოყვარეობას შორის?

იქაურში გენერალი თბილისსა და საქართველოს გულისხმობდა. დიმკამ ღიმილით მიუგო:

– ეტყობა, ამ ქალს არასოდეს უჭამია ტკბილი და მხოლოდ წინაკით იკვებება.

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

– წინაკას ვუჩვენებ ახლა, – თქვა გენერალმა და ფანჯარაზე მონეტით დააკაკუნა.

ქალმა სალაროს ფანჯარა გააღო და აბეზარ მგზავრს უღრიალა, თან მთელი თავისი სიძულვილი და მრისხანება ჩააქსოვა:

– შენ რა, გიჟი ხარ, კაცო? გაეთრიე აქედან, შე მათხოვარო, თორემ ახლავე მილიციას დავუძახებ!

პოპოვმა მილიციის გენერლის წითელი წიგნაკი სალაროს ფანჯარას ააფარა და კბილებში გამოსცრა:

– შორს წასვლა არ გინდა. აქ ვარ, წაიკითხე.

მოლარე წიგნაკს ჩააშტერდა და რომ გაიაზრა, ვისთან ჰქონდა საქმე, გაფითრდა, ტუჩები კი გაულურჯდა. შემდეგ აკანკალებული ხელით წყალი მოსვა და პოპოვს ენის ბორძიკით უთხრა:

– ბოდიში, ამხანაგო გენერალო, ვერ შეგიცანით.

– ახლა ამხანაგი გენერალი ვარ. წეღან კი მათხოვარი ვიყავი, ხომ?

– ბოდიშს გიხდით. გამოუფხიზლებელი ვიყავი, – თავი იმართლა ქალმა.

– ზრდილობას რა გამოფხიზლება უნდა. ზრდილობა და მეტი არაფერი...

– დიახ. მართალს ბრძანებთ.

– ხომ ხარ ახლა ღირსი, რომ მაგ ადგილიდან მოგაშორო?

– ნუ იზამთ ამას. ოჯახი მყავს და ულუკმაპუროდ დამრჩებიან, – დაიღრიჯა მოლარე.

– მით უმეტეს, წესიერად უნდა მოიქცე, რომ ისინი არ დაალალატო, – აღარ გაამწვავა პოპოვმა და მოლარეს გალიას პასპორტი მიაწოდა, თან უთხრა, – ერთი ბილეთი გამოწერე სვერდლოვსკის ათისნახევრიან რეისზე.

მოლარემ სასწრაფოდ გამოწერა ბილეთი. შემდეგ პასპორტში ჩადო და პოპოვს გაუწოდა, თან ორი მანეთი ხურდაც დაუბრუნა და უთხრა:

– ხურდაც ინებეთ, ამხანაგო გენერალო.

პოპოვმა ფული არ აიღო. მოლარეს შეხედა და ღიმილით უთხრა:

– მისასალმებელია, რომ ასე მალე გამოსწორდი. ასე გააგრძელე. ხურდა კი მაინც დაიტოვე. ძველი მეთოდებით ხარ მიჩვეული მუშაობას და არ დაითრგუნო. აბა, წარმატებულ დღეს გისურვებ.

– გმადლობთ, – თქვა მოლარემ და პოპოვს მლიქვნელურად დაეღრიჯა, ხოლო გენერალი რომ წავიდა, ხურდას ხელი დასტაცა. ფანჯარა მიხურა და ფარდა ჩამოაფარა.

გენერალი გალიასა და ნუცას მიუახლოვდა, რომლებიც მოსაცდელი დარბაზის კუთხეში იდგნენ. გალიას პასპორტი და ბილეთი გაუწოდა და უთხრა:

– აი, გამომართვი და რეგისტრაცია გაიარე. ჩვენ აქ დაგელოდებით.

– გმადლობთ, ვასილ ანდრეევიჩ, – გაეღიმა გოგონას. შემდეგ, ჩანთიდან საფულე ამოიღო, რომ ბილეთის ფული გადაუხადა. მაგრამ პოპოვმა უკან ჩაადებინა და უთხრა:

– სასწრაფოდ შეინახე და რეგისტრაცია გაიარე. აქ გელოდებით.

– გმადლობთ, – თქვა გალიამ და სარეგისტრაციოდ გაემართა. პოპოვმა კი თავი გააქნია და დიმკასა და ნუცას უთხრა:

– ჩამოსხმული დედამისია. ცხონებული ლუდაჩკაც ასეთი ტანწერწეტა და ლამაზი იყო. ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

გალია ათ წუთში დაბრუნდა და სანამ სვერდლოვსკის რეისზე ჩასხდომას გამოაცხადებდნენ, ნახევარიოდე საათი განძის მაძიებლებთან გაჩერდა. ბოლოს კი ყველა გადაკოცნა, მადლობა გადაუხადა და წასვლა დააპირა. პოპოვმა ის გააჩერა და უთხრა:

– გალოჩკა, შვილო, აეროპორტში აუცილებლად დაგხვდებიან. მამაშენი თუ არა, ვინმე მაინც.

– საიდან გაიგებენ, რომ მივფრინავ?

– მე დავურეკავ.

გოგონა შეიშმუშნა და მიუგო:

– კარგი.

– გალოჩკა, შვილო, გინდა გეწყინოს, მაგრამ ოლეგს ყველაფერი უნდა მოვუყვე. ასეთი რამის დამალვა არ შეიძლება. მაპატიე, მაგრამ ასე რომ არ გავაკეთო, მართალი არ ვიქნები. იმედია, გამიგებ.

– დიახ.

– და კიდევ ერთ რამეს გთხოვ, შვილო, აღარასოდეს მოატყუო მამა. დაუჯერე და გვერდით ამოუდექი. მას შენ მეტი არავინ ჰყავს და გამხნევება სჭირდება.

– კარგი. ასე ვიზამ. ყველაფრისთვის მადლობელი ვარ. ნახვამდის, – გალიამ განძის მაძიებლებს გაუღიმა. ხელი დაუქნია და წავიდა.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ თვითმფრინავი ჰაერში აიჭრა. პოპოვს ნაღვლიანად გაეღიმა და თვალახვეულ დიმკას უთხრა:

– ერთი, მილიციის ოთახამდე მისვლაში დამეხმარეთ.

– იქ რა გინდა?

– სვერდლოვსკში უნდა დავრეკო და კბილას დაველაპარაკო.

– ფოსტიდან არ ჯობია? – უთხრა დიმკამ.

– სპეცკავშირით დავურეკავ, – მიუგო გენერალმა. შემდეგ დიმკას დაეყრდნო და ადლერის აეროპორტის მილიციის უფროსის ოთახისკენ გაემართა.

ოთახში რომ შევიდა, მაიორის სამხრეებიან შუახნის მამაკაცს ჰკითხა:

– უფროსი თქვენ ხართ?

– დიახ. რით გემსახუროთ?

– თადარიგის გენერალი – ვასილი პოპოვი, – გენერალმა წითელი წიგნაკი გაუწოდა მაიორს და უთხრა:

– წარმომიდგექით.

– მაიორი ივან მალცევი, – მილიციის უფროსი მხედრულად გამოეჯგიმა გენერალს.

– სასწრაფო ინფორმაცია მაქვს გადასაცემი და სპეცკავშირის ტელეფონით უნდა ვისარგებლო, – უთხრა გენერალმა მაიორს.

– ისარგებლეთ, – მალცევმა წითელი ტელეფონისკენ გაიშვირა ხელი, რომელიც განცალკევებით იდგა.

– ბოდიში, მაგრამ, მარტო უნდა დამტოვოთ, მალცევ.

– რა თქმა უნდა, – მიუგო მაიორმა და გარეთ გავიდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ვ | ■ | ა | ■ | ■ |
| | | | | | ე | რ | დ | ა | ვ |
| | | | | | რ | ■ | ნ | ფ | ■ |
| | | | | | ძ | მ | ა | რ | ი |
| ვ | ე | ფ | ხ | ვ | ი | ■ | ვ | ი | ე |
| ა | ■ | ე | ■ | ა | ■ | ა | ■ | კ | ტ |
| შ | ■ | ი | ლ | კ | ა | ნ | ჩ | ა | ი |
| ი | ა | ხ | ტ | ა | ■ | დ | ■ | ■ | ■ |
| ნ | ■ | ო | ა | ნ | ტ | ა | ლ | ი | ა |
| გ | ე | ა | ■ | ს | ა | მ | ა | რ | ა |
| ტ | ნ | ■ | ■ | ი | ■ | ა | დ | უ | ვ |
| ო | ზ | ი | ვ | ა | ს | ტ | ა | მ | ი |
| ნ | ი | რ | ■ | ■ | ■ | ი | ■ | ა | ■ |
| ი | მ | პ | ა | ლ | ა | ■ | რ | რ | ა |
| ■ | ი | ე | ნ | დ | ი | ■ | ი | ტ | ნ |
| ■ | ■ | ნ | ჟ | ■ | მ | ე | დ | ი | ე |
| ბ | რ | ი | უ | ლ | ო | ვ | ი | ■ | ვ |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 6 | 9 | 7 | 4 | 1 | 3 | 2 |
| 3 | 1 | 2 | 6 | 8 | 5 | 7 | 9 | 4 |
| 7 | 9 | 4 | 1 | 3 | 2 | 6 | 5 | 8 |
| 4 | 6 | 1 | 8 | 9 | 3 | 2 | 7 | 5 |
| 2 | 3 | 7 | 4 | 5 | 6 | 8 | 1 | 9 |
| 9 | 8 | 5 | 2 | 1 | 7 | 3 | 4 | 6 |
| 6 | 2 | 3 | 5 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 5 | 7 | 8 | 3 | 6 | 9 | 4 | 2 | 1 |
| 1 | 4 | 9 | 7 | 2 | 8 | 5 | 6 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 1 | 8 | 2 | 7 | 3 | 9 | 6 |
| 8 | 9 | 3 | 5 | 4 | 6 | 2 | 7 | 1 |
| 2 | 6 | 7 | 1 | 3 | 9 | 4 | 8 | 5 |
| 6 | 8 | 5 | 2 | 7 | 1 | 9 | 3 | 4 |
| 1 | 3 | 2 | 9 | 6 | 4 | 8 | 5 | 7 |
| 7 | 4 | 9 | 3 | 8 | 5 | 6 | 1 | 2 |
| 9 | 2 | 4 | 7 | 5 | 8 | 1 | 6 | 3 |
| 5 | 1 | 6 | 4 | 9 | 3 | 7 | 2 | 8 |
| 3 | 7 | 8 | 6 | 1 | 2 | 5 | 4 | 9 |

„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: **1. ფეხსაცმლის ქუსლების. 2. ავტომობილი „ნივა". 3. არ აუშენებია, დარგო მცენარეები, რომლებმაც წლების შემდეგ მიიღო ტაძრის ფორმა. 4. სამეცნიერო ანატომიას. 5. მითრიდატე პონტოელს, რომელიც შხამს მცირე დოზებით იღებდა, რომ საწამლავი მის ორგანიზმს არ მოეწამლა. 6. სელფის ჯოხი. 7. თვალნათლივ გაახსენა ათენელებს ეს ტრაგედია. 8. ლათინურად მოლაპარაკე თუთიყუში. 9. ამომრჩეველთა ხმების. 10. მუშახელის.**

# როგორ იშოვეს 1 მილიონ მანეთზე მეტი შუა აზიაში ქართველმა თაღლითმა და მისმა მეწყვილემ



### „ჭიჭი“

1975 წლის 29 მარტს ლენინგრადის ცნობილ საპყრობილე „კრესტებიდან“ 32 წლის ჭიჭიკო ესაბუა, მეტსახელად „ჭიჭი“ გათავისუფლდა. პატიმარი პირადად ციხის უფროსმა გამოაცილა კარამდე. მაგრად ჩამოართვა ხელი და უთხრა:

– აბა, ჭიჭი, შენ იცი. მშვიდობით და მეტი აღარ შევხვედროდეთ ერთმანეთს.

– შევხვედროდეთ, რატომაც არა, – გაუღიმა ციხის უფროსს ჭიჭიმ, – ოღონდ აქ არა, სვაბოდაზე.

– სვაბოდაზე კი შენზე უკეთეს მთხრობელსა და ხუმარას სად ვიპოვი. აბა, კარგად, – გამოემშვიდობა პატიმარს კრესტების უფროსი და უკან შებრუნდა.

ჭიჭი ჯერ ფეხით გაუყვა ქუჩას. ორიოდე კილომეტრი გაიარა, შემდეგ ტაქსი გააჩერა და მძღოლს უთხრა:

– შეფ, შეგიძლია, მთელი დღე დამითმო?

– გააჩნია, რა გსურს და რამდენს გადაიხდი, – მიუგო ტაქსისტმა.

– პარტნიორს ვეძებ დროსტარებისთვის. აი, ეს კი შენი სუფთა მოგება იქნება, – ჭიჭიმ ასმანეთიანი დაანახვა მძღოლს, – გაწყობს?

– სულელი ვარ, არ მაწყობდეს? – ტაქსისტმა ასმანეთიანი ჯიბისკენ გააქანა და თქვა – დაჯექი და ბრძანე, სად წავიდეთ.

– „ასტორიაში“. მახსოვს, იქ კარგ სადილს ამზადებდნენ ამ რვა წლის წინ და არც გრძელფეხება, მკერდსავსე გოგოების ნაკლებობა იყო, – მიუგო მძღოლს ჭიჭიმ და გააბოლა.

ჭიჭიკო ესებუა თაღლითი იყო და ექვსწლიანი პატიმრობა ჰქონდა მოხდილი ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარის გაბითურებისთვის. ჭიჭიმ მას 25 ათასი მანეთი გამოსძალა. სანაცვლოდ კი, ვითომ კოლმეურნეობისთვის ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სათადარიგო ნაწილები უნდა ჩამოეტანა. თავმჯდომარეს მან ყალბი საბუთები გადასცა. ქრთამად 25 ათასი გამოართვა და აორთქლდა... აფერისტი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დააპატიმრეს იალტაში. ის შემთხვევით იცნო „გადაგდებული“ კოლმეურნეობის მთავარმა ბუღალტერმა, რომელიც ყირიმში ისვენებდა. ესებუა რესტორანში ნახა ლამაზმანთა კომპანიაში...

ჭიჭი ქალაქ სენაკში იყო დაბადებული. მხოლოდ 8 კლასის განათლება ჰქონდა და ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო, როდესაც თბილისში ჩამოვიდა და თაღლითობას მიჰყო ხელი. საქართველოს დედაქალაქში 15 წლის ყმაწვილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულ ტურისტებს აბითურებდა. ჭიჭი მათზე ფალსიფიცირებულ ჩეხურ ლუდს, სხვადასხვა უცხოურ სასმელსა და სიგარეტებს ყიდდა. ესებუა გადაგდებულ ბოთლებსა და სიგარეტის კოლოფებს აგროვებდა. საბჭოთა ლუდსა და იაფფასიან სასმელებს ასხამდა ბოთლებში, კოლოფებში კი საბჭოთა სიგარეტებს აწყობდა. შემდეგ ამ ყველაფერს ოსტატურად ფუთავდა და ყიდდა... ორი წლის განმავლობაში, ნორჩმა თაღლითმა ამ გზით 11 ათასი მანეთი დააგროვა, რაც იმ დროისთვის, თანაც ასეთი პატარა ბიჭისთვის, კოლოსალური თანხა იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჭიჭი თავის ნათესავთან ცხოვრობდა და ყველას ატყუებდა, რომ თითქოს შემდუღებლის პროფესიას ეუფლებოდა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში... სრულწლოვანი რომ გახდა და პასპორტი აიღო, ჭიჭიკო ესებუა მოსკოვს გაემგზავრა, ვითომდა სწავლის გასაგრძელებლად. სინამდვილეში კი, ყმაწვილს უფრო ფართო ასპარეზი უნდოდა თავისი თაღლითური საქმიანობისთვის. საბჭოთა კავშირის დედაქალაქი კი ამ მხრივ ძალიან მიმზიდველი იყო და ჭიჭიმ მოსკოვში ფრთები გაშალა. შემდეგ ლენინგრადში გადაინაცვლა და რომ არა კოლმეურნეობის ბუღალტერთან საბედისწერო შეხვედრა იალტის რესტორანში, მისი „დამსახურებების“ ნუსხა ბევრად უფრო შთამბეჭდავი და მრავალფეროვანი იქნებოდა.

### გრანდიოზული კომპლექსი

„კრესტებიდან“ გათავისუფლებული ჭიჭიკო ესებუა მხოლოდ ორი თვე გაჩერდა ლენინგრადში. დროსტარების ჟინი რომ მოიჯამა და შავი დღისთვის გადანახული დანაზოგიც ამოენურა, გადაწყვიტა, ჩვეულ საქმიანობას დაბრუნებოდა. თავის ახლად შეძენილ მეგობარს, 30 წლის მარტოხელა ტაქსისტს, პავლე შკირინს სამსახურისთვის თავი დაანებებინა და მასთან ერთად შუა აზიურ „ტურნეში“ დაემგზავრა.

> **შკირინი იმდენად თავბრუდახვეული იყო წარმატებებისგან, რომ ჭიჭის ახალ საქმეზე წასვლას სთხოვდა**

– პავლიკ, ძმაო, მერწმუნე, მოგეწონება ეს ვოიაჟი, ხოლო, თუ ჭკუაში აღარ დაგიჯდება, შეგიძლია, უკანვე დაბრუნდე და კვლავ საჭე ატრიალო, – ასეთი სიტყვებით დაითანხმა ჭიჭიმ შკირინი და ტანდემი შუა აზიაში გაემგზავრა.

თავდაპირველად, ჭიჭი და პავლე უზბეკეთის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში ჩავიდნენ. რამდენიმე დღე ვითარების გაცნობას მოანდომეს. შემდეგ კი, სოლიდურად გამოწყობილი ჭიჭიკო ესებუა სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს კაბინეტში ესტუმრა. თავი გააცნო საკავშირო კავშირგაბმულობის სამინისტროს მაღალჩინოსნად. შეჰპირდა, რომ ამ მიყრუებულ სოფელში, სადაც მეცხვარეობით იყვნენ დაკავებულები და რვაასი ოჯახი ცხოვრობდა, ყველა ოჯახს ტელეფონს დაუდგამდა. ამის შედეგად, თაღლითმა ქრთამის სახით 40 ათასი მანეთი მიიღო. თავმჯდომარეს შეჰპირდა, რომ ერთ კვირაში სპეციალისტებთან ერთად დაბრუნდებოდა სატელეფონო კვანძის გასამართავად და თავის მეწყვილესთან ერთად გაუჩინარდა.

– რას იტყვი, პავლიკ, დასაწყისისთვის 40 ათასი მანეთი ცუდი არაა, ხომ? – უთხრა ჭიჭიმ შკირინს, მან კი მიუგო:

– თავი ზღაპარში მგონია. ამდენი ფული სიზმარშიც კი არ მინახავს...

მეგობრებმა ერთი თვე კარგად გაატარეს დრო. შემდეგ ტაჯიკეთის ერთ-ერთი რაიონის ნახევრად უდაბნო სოფელს ეწვივნენ. იქაურ ხელმძღვანელობას წყლის გაყვანას შეჰპირდნენ. ქრთამად 60 ათასი მანეთი გამოართვეს და გაუჩინარდნენ.

მომდევნო ორი თვის განმავლობაში თაღლითურმა წყვილმა ყაზახეთსა და თურქმენეთში გადაინაცვლა. ისევ და ისევ მიყრუებულ სოფლებში ჩავიდნენ და მინის ტარის ქარხნის მშენებლობისა და პატარა აეროდრომის ასაშენებლად, ადგილობრივ დოყლაპიებს 70 და 80 ათასი მანეთი გამოართვეს და აორთქლდნენ.

წარმატებებისგან შკირინი ისე იყო თავბრუდახვეული, რომ ჭიჭის მორიგ საქმეზე წასვლას სთხოვდა. ესებუა კი გამოცდილი თაღლითი გახლდათ და არ ჩქარობდა.

– პავლიკ, ძმაო, ახლა ჩვენ ერთი წლით მაინც ფსკერზე უნდა დავწვევთ და შევირგოთ ეს ფული. თანაც, შუა აზიიდან ავახვიოთ. ალბათ, უკვე გამწარებით გვეძებს მილიცია და თუ დაგვიჭირეს, კარგი დღე არ დაგვადგება, – უთხრა ჭიჭიმ პარტნიორს და წყვილი ციმბირში გაემგზავრა. ერთი წელი იქ გაატარეს და კვლავ შუა აზიაში, ამჟამად ყირგიზეთში დაბრუნდნენ.

ერთ-ერთი დაბის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ, ტანდემი რაიონის ხელმძღვანელობას ეახლა. მათ თავი მოსკოვიდან ჩამოსულ მაღალჩინოსნებად გააცნეს, რომლებიც რესპუბლიკაში უზარმაზარი სპორტკომპლექსის მშენებლობისთვის ადგილს არჩევდნენ.

– მოსკოვის ოლიმპიადა ახლოვდება. შეჯიბრებების ნაწილი თქვენს რესპუბლიკაში უნდა ჩატარდეს და ამისთვის უზარმაზარი თანხებია გამოყოფილი, – შეაპარა ჭიჭიმ ყურებდაცქვეტილ პარტიულ ფუნქციონერს და დაამატა, – თქვენი დაბა ზედგამოჭრილია ამისთვის, მაგრამ, სანამ სხვა ადგილებსაც არ დავათვალიერებთ, თქვენთან მშენებლობის რეკომენდაციებზე თავს შევიკავებ.

ჭიჭიმ პარტიულ ფუნქციონერს „მომავალი ოლიმპიური ობიექტის“ პროექტიც ანახვა და უთხრა:

– თუკი ეს კომპლექსი აქ აშენდება, ანგარიშზე ასი მილიონი გადმოგერიცხებათ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პარტიულმა ფუნქციონერმა, ობიექტის მშენებლობის ნებართვის სანაცვლოდ, თაღლითს ერთი მილიონი მანეთი შესთავაზა ქრთამად, რაზეც ჭიჭი დიდი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა. ერთი კვირის მერე კი თანხა მიიღო და შკირინთან ერთად სამუდამოდ გაუჩინარდა.

როდესაც ყველაფერი გაირკვა და პარტიული ფუნქციონერი მიხვდა, რომ გაცურეს, მან მილიციაში განაცხადა და აფერისტებზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა.

ჭიჭი და პავლე შკირინი თითქმის ხუთი წლის განმავლობაში მოუხელთებლები იყვნენ. ისინი, მხოლოდ 1980 წლის ივლისში, მოსკოვის ოლიმპიადის დაწყების წინ, ქალაქ ტალინში დააკავეს და გაასამართლეს. ჭიჭის 15 წლით პავლე შკირინს კი 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ორივე თაღლითმა ბოლომდე მოიხადა სასჯელი და მათი ბედი გათავისუფლების შემდეგ უცნობია.

**ნიკა ლაშაური**

# მამაკაცმა ყოფილი ცოლი ცეცხლსასროლი იარაღით საყვარლის თვალწინ მოკლა



52 წლის ვახტანგ ხ-ძე სამართლადამცველებმა მეუღლის მკვლელობის ფაქტზე დააკავეს. მამაკაცმა, რომელიც წარსულში ორჯერ იყო ნასამართლევი, ყოფილ მეუღლეს ცეცხლსასროლი იარაღიდან ორი ჭრილობა მიაყენა – მან დანაშაული ჩაიდინა მცირეწლოვანი ბავშვის  თვალწინ, ბინაში, სადაც მისვლა აკრძალული ჰქონდა.

რა გახდა ყოფილ ცოლ-ქმარს შორის დაპირისპირებისა და  დანაშაულის მიზეზი, სამართალდამცველებისთვის გარდაცვლილის ახლობლებისგან გახდა ცნობილი.  მანანა ჭ-შვილის ჩვენების მიხედვით, ვახტანგ ხ-ძე მოკვლით არაერთხელ დაემქურა  ყოფილ ცოლს. თუმცა, მან ეს დანაშაული მას შემდეგ ჩაიდინა, რაც 15 წლის შვილის  თვითმკვლელობის მცდელობის შესახებ შეიტყო. ამონაწერი მანანა ჭ-შვილის ჩვენებიდან: „ვახტანგი და ნონა ერთმანეთს შვიდი წლის წინ დაშორდნენ. მას შემდეგ ნონა კიდევ გათხოვდა, თუმცა იმ ქმარსაც დაშორდა. მათ ქორწინებიდან ჰყავდათ  ერთი შვილი, 15 წლის გოგონა. ნონას მეორე ქორწინებიდან კი ოთხი წლის ბიჭი ჰყავს. ამის შემდეგ ის კიდევ სამჯერ გათხოვდა.  ნონა რამდენიმე წელი თურქეთშიც ცხოვრობდა, საიდანაც ის მეგობარ მამაკაცთან ერთად დაბრუნდა, რომელიც მის სახლში ბოლო დღეებამდე, ქალის გარდაცვალებამდე,  ცხოვრობდა. ვახტანგსა და ნონას შორის კონფლიქტები  მათი დაშორების შემდეგ მალევე დაიწყო. ყოფილმა ქმარმა ქალს შვილი ორჯერ გასტაცა სახლიდან, თუმცა პოლიციის ჩარევის შემდეგ, მცირეწლოვანი გოგონა სახლში დააბრუნეს. მერე ბავშვი თვითონ გაიქცა სახლიდან. ოჯახურ დავაში პოლიცია იყო ჩარეული. ყოფილი ცოლ-ქმარი შვილს ვერ „იყოფდნენ". ვახო მოითხოვდა, ბავშვი მასთან ყოფილიყო – ნონა  უწესოდ ცხოვრობს, საყვარლები მიჰყავს სახლში და ბავშვს ცხოვრებას უნგრევსო. ნონა მას აბრალებდა – შვილს ნარკომანების წრეში ზრდის და მასთან ერთი დღეც არ უნდა გაატაროსო. მე თვითონ ვარ მოწმე, რამდენჯერ მოუვარდა ვახო სახლში ნონას. ორჯერ სასტიკად სცემა და ამის გამო პოლიციაშიც მოხვდა, მაგრამ, მალე გაათავისუფლეს. ვახოს ხელწერილი ჩამოართვეს, რომ  ყოფილი ცოლის სახლში (თუმცა, მასთან ოფიციალურად არ იყო გაშორებული) არ მისულიყო. ის ჩვენ თვალწინ ემუქრებოდა ხოლმე ნონას, ხეზე უნდა ჩამოგკიდოო. ერთ დღეს, მეზობელი რომ არ შესწრებოდა, ვახოს ნონა ხეზე ჰყავდა მიბმული და დანით ხორცებს აჭრიდა. ყველა იმას ამბობდა, ეს კაცი ისეა გამწარებული, ამ ქალს აუცილებლად მოკლავსო. თვითონ  ნონა ამ საფრთხეს ვერ ხედავდა. მკვლელობამდე ორი დღით ადრე, ნონას 15 წლის გოგონამ თვითმკვლელობა სცადა – მან ვენები გადაიჭრა. ბავშვმა წერილი დაწერა, სადაც წერდა, რომ თავს დედის აუტანელი საქციელის გამო იკლავდა. ისიც გახმაურდა, რომ თვითმკველობამდე ცოტა ხნით ადრე, ბავშვი მამასთან მივიდა და სთხოვა, დედას საქციელს ველარ ვუძლებ და თავიდან მომაშორეო. გოგონა  ურთულეს მდგომარეობაში იყო,  ექიმებმა ძლივს გადაარჩინეს. ამის შემდეგ ყველა ვფიქრობდით, რომ ვახო ნონას ამას აღარ აპატიებდა."

გამოძიების მასალების მიხედვით,  მამაკაცმა  შვილის თვითმკვლელობის შესახებ ნათესავისგან შეიტყო. მოგვიანებით, ამის შესახებ თავად დანაშაულში ბრალდებულმა განაცხადა გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში: „მეორე დღეს გავიგე, რომ  ანამ თვითმკვლელობა  სცადა, მაშინვე დავურეკე ნონას.  ჩემს ზარს არ უპასუხა.  როცა საავადმყოფოში მივედი და ანა ვნახე უმძიმეს მდგომარეობაში, მაშინვე ნონას სახლში წავედი. ძალიან ვიყავი აღელვებული. რამდენიმე დღით ადრე ანა იყო ჩემთან მოსული და მითხრა, რომ დედასთან მისი ცხოვრების წესის გამო ურთიერთობა დაეძაბა.

**შვილმა თვითმკვლობის წინ მამას სთხოვა, რომ დედა თავიდან მოეშორებინა**

მთხოვა, დედას უთხარი, ის თურქი კაცი სახლიდან გააგდოს, მისი დანახვაც არ შემიძლიაო. რაიონში მივდიოდი აუცილებელ საქმეზე და ამ პრობლემის მოგვარება ორი დღით გადავდე. ზუსტად იმ ორ დღეში ჩაიდინა ანამ ეს.  ისე ვიყავი გამწარებული, სახლში მივედი, სადაც ცეცხლსასროლ იარაღს ვინახავდი. როცა ნონასთან მივედი, საღამო იყო, ჭიშკარი დაკეტილი დამხვდა. სახლს მაღალი ღობე აქვს და ღობიდან გადავძვერი. ეზო დიდია და ეზოს ბოლოში „ბესედკაა." იქიდან შემომესმა ხმაური. მივუახლოვდი და რა დავინახე? ნონა, მისი თურქი ქმარი თუ მეგობარი და კიდევ ერთი უცხო ქალი არაყს სვამენ. ბავშვი საავადმყოფოში იწვა და ისინი მხიარულობდნენ. იქვე  თამაშობდა ნონას მეორე შვილი. ამის  დანახვაზე ისე  გავმწარდი, რომ იარაღი ამოვიღე და ნონას ახლო მანძილიდან ორჯერ ვესროლე. მისი მეგობრები გაიქცნენ, მათთან არც ვაპირებდი ანგარიშსწორებას, თუმცა ეზოდან გამოსვლისას, იარაღის ტარი ორჯერ ჩავარტყი თავში ნონას მეგობარ მამაკაცს, რომელმაც როგორც მერე გავიგე, თავის არეში დაზიანება  მიიღო."

44 წლის ნონა მ-ძე გულ-მკერდის არეში მიყენებული დაზიანებით  საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ვახტანგ  ხ-ძე საკუთარ აგარაკზე დააკავეს. მან ჩადენილი დანაშაული აღიარა. ვახტანგ ხ-ძის განცხადებით, მისი ცხოვრება, ისევე როგორც მათი 15 წლის შვილის, ქალის აღვირახსნილ  საქციელს შეეწირა.  სასამართლომ ვახტანგ ხ-ძე დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში. გარდაცვლილის მხარე  სასამართლოსგან დამნაშავის უფრო მკაცრად დასჯას მოითხოვდა და ამტკიცებდა, რომ ის ცოლს სადისტურად ექცეოდა. ამის დასადასტურებლად მოჰყავდათ ინციდენტი, რომლის მიხედვითაც მამაკაცს მკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე ქალი ეზოში  ხეზე ჰყავდა დაბმული და დანით აწამებდა. სასამართლომ ვერ დაკითხა მოწმე, მისი გაუჩინარების გამო. ის უცხოეთში სამუშაოდ იყო გადასული არალეგალურად.  სასამართლომ არ გაითვალისწინა ეს  ინციდენტი და  ვახტანგ ხ-ძეს  11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და  ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად

1. დაიწყეთ ხატვა ორი ოვალით

2. დაუმატეთ ორი წერტილი

3. მიახატეთ წარბები და ყური

3. შემდეგ – ცხვირი და პირი



6. ტანიც არ დაგავიწყდეთ

7. ბოლოს კი – ფეხები

8. გაასხიულეთ ნახატი



თამუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ 10 განსხვავება





## დაეხმარეთ გზის გაკვლევაში



## რიცხვრებუსი

10,, ,,,,13, 10,, ,,3

## ჩაწერეთ სწორი ნიშანი



# „მხიარული ზღარბი“



თუ თქვენს ბავშვს ხილი არ უყვარს, ამ საკვები-სათამაშოთი პრობლემას გადაჭრით. აუცილებლად მოუნდება, ჯერ გააკეთოს ზღარბი, მერე კი მიირთვას მის „ეკლებზე“ წამოცმული ხილი. საკმაოდ მარტივია. მოგრძო ფორმის მსხალი გათალეთ სანახევროდ, ყუნძის მხრიდან. მსხვილ ნაწილში ჩაარჭვეთ ხის კბილის ჩხირები. „ეკლები“ ხშირი უნდა იყოს. მერე სათითაოდ წამოაცვით მათზე ყურძნის მარცვლები, მარწყვი, ზეთისხილი ან დაჭრილი კივი... ბალიც შეიძლება. ერთი სიტყვით, თავად გადაწყვიტეთ. ზღარბს მიხაკის ორი მარცვლით ან შავი, მრგვალი პილპილით თვალებიც გაუკეთეთ. ცხვირზე კი გაჭრილი ზეთისხილი წამოაცვით. სანამ საქმეს შეუდგებოდეთ, ნახეთ სურათები.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| სასწავლებელი / ავეჯი | | სამი ... კონკიასთვის / შეიარაღებული ბრძოლა | | ცხოველთა მეფე |
| | | | | |
| ცეცხლის ნაწილი | | | | მუსიკალური ბგერა |



მსახიობი ჟულიეტ ...

მზის სისტემის პლანეტა

სხივი, ნათელი, ანუ...

ლოგარითმების გამომგონებელი

ჭმუნვა, წუხილი

... პორტმანი

ზარალის ანაზღაურება საერთაშორისო სამართალში

ქრისტიანთა სახოტბო შეძახილი

მზის სისტემის პლანეტა

ქალაქი გერმანიაში

სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში

ქალაქი საფრანგეთში

უბანი თბილისში

დაბალფეხებიანი მაგიდა

წალკოტი უდაბნოში

გერასიმეს ძაღლი

ფრანგი მწერალი

მომრგვალებული ფორმის ნახატი

კონცხი ყირიმში

წამლის ტაბლეტი

კლავიშებიანი ინსტრუმენტი

იაპონური ავტომობილი

აზროვნების ორგანო

... ხოფერია

შესავსები კითხვარი

„მობი დიკის" პერსონაჟი

პაპის ცოლი

ძვ. ქართული სიგრძის საზომი ერთეული

ჯეკ ლონდონი – „მარტინ ..."

ნარნარი ფრენა

ფაშისტური გერმანიის სამხედრო რაკეტა

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 2 | 1 | | 1 | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | 11 | 6 | 4 | 1 | 4 | 2 | 12 | 12 | 13 | | | | | | | | | |
| | | | | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 11 | 2 | 2 | 2 | | | | | | | | | |
| | | | | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 13 | | | | | | | | |
| 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 20 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 |

| | | |
|---|---|---|
| | 10 | 14 |
| | 9 | 13 |
| | 8 | 12 |
| | 8 | 12 |
| | 8 | 12 |
| | 9 | 13 |
| | 10 | 14 |
| | 10 | 14 |
| | 10 | 14 |
| | | 25 |
| | 9 | 13 |
| | 7 | 13 |
| 7 | 1 | 10 |
| 7 | 1 | 8 |
| 7 | 2 | 8 |
| | 7 | 16 |
| | 9 | 11 |
| | 7 | 9 |
| | 7 | 9 |
| | 7 | 9 |
| | 7 | 9 |
| | 7 | 9 |
| | 7 | 9 |
| | 7 | 9 |
| | 7 | 9 |
| | 7 | 9 |
| | 7 | 9 |
| | 7 | 9 |
| | 7 | 9 |
| | 7 | 9 |
| 7 | 5 | 9 |
| | 9 | 11 |
| | 7 | 9 |
| | 9 | 11 |
| | | 25 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 4 | | 6 | | 2 | | 3 |
| | | 1 | 4 | | 5 | 7 | 8 | |
| 3 | | | 7 | | | 4 | 5 | 6 |
| 1 | 3 | 8 | | | | | 2 | 4 |
| | 4 | | 2 | 1 | 3 | 6 | | |
| 2 | | 6 | | | 4 | | 3 | 1 |
| | 6 | | 3 | 9 | | 1 | 4 | 5 |
| 4 | | 3 | 6 | 5 | 2 | | | 7 |
| 5 | 9 | 7 | | | 8 | 3 | 6 | |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 9 | 2 | | | | | |
| | 8 | | | | | 6 | 2 | |
| 2 | | | | 7 | | | | 9 |
| | 9 | | 1 | | 7 | | 6 | |
| 8 | | | | | 2 | | 1 | |
| | 2 | 4 | | | | 9 | | 5 |
| 3 | | 8 | 7 | | 9 | | | |
| 9 | | | | | | 3 | 8 | 6 |
| | 6 | | | 8 | 3 | | | |

**ბალერინობა დედას სურვილით, საკმაოდ გვიან – 9 წლის ასაკში დაიწყო; თუმცა, ბალეტზე შევლის პირველივე დღეს მიხვდა, რომ ეს ის პროფესია იყო, რომელსაც სრულყოფილად უნდა დაუფლებოდა. 14 წლის ასაკში სწვალა რუსეთის ქორეოგრაფიულ აკადემიაში განარძო, უკვე 15 წლისამ კი დიდი თეატრის სცენაზე იცეკვა. საუბარია ანა ტურაზაშვილზე, რომელიც უკვე ექვსი წელია, დიდი თეატრის სცენაზე ცეკვავს. ის მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ჟურნალში Dance Magazine-ში, 25 საუკეთესო ბალერინას შორის მოხვდა. ანა თბილისში დასასვენებლად ჩამოვიდა და ძალიან პოზიტიური, ხალისიანი, გულწრფელი ინტერვიუ მოგვცა.**

# როგორ მოხვდა ანა ტურაზაშვილი მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ჟურნალში 25 საუკეთესო ბალერინას შორის და როგორ გახდა ის მოსკოვის დიდი თეატრის ბალერინა

**ანა ტურაზაშვილი**: ბალეტზე დედას სურვილით დავიწყე სიარული. ძალიან უყვარდა ცეკვა და მეც მქონდა ინტერესი, განსაკუთრებით – საბალეტო კოსტიუმების მიმართ ***(იცინის).*** ბავშვობაში ძალიან მორცხვი ვიყავი და ვერც კი წარმოვიდგენდი, ვინმე თუ შეხედავდა ჩემს ცეკვას. უფრო მეტიც, ცეკვა შემეძლო მაშინ, როცა მარტო ვიყავი და არავინ მიყურებდა. დედას კაბებს ჩავიცვამდი ხოლმე, გამოვიპრანჭებოდი და ცეკვასაც ვიწყებდი. ალბათ, ეს შენიშნა დედამაც და შემომთავაზა ბალეტზე სიარული, მეც დავთანხმდი. თან, ასაკით უკვე საკმაოდ დიდი ვიყავი – 9 წლის. მოკლედ, მაკა მახარაძის საბალეტო სტუდიაში წავედით. ძალიან მრცხვენოდა იქ მისვლა, ვნერვიულობდი. კარგად მახსოვს ეს დღე: რომ შევედით, რაღაც პატარა ცეკვა ჰქონდათ დადგმული. მაკამ მითხრა, უყურე და, რასაც დაიმახსოვრებ, მერე გვაჩვენეო. კარგი-მეთქი, არადა, ისე ვნერვიულობდი, ხელისგულები სულ ოფლიანი მქონდა. ამ დროს მოხდა ჩემში გარდატეხა: მივხვდი, რომ არავის მოვეწონებოდი სცენაზე მორცხვი, ამიტომ, მოვიკრიბე მთელი ენერგია, სიმორცხვეც გვერდზე გადავდე და, რაც მახსოვდა თამამად გავიმეორე ***(იცინის).*** ძალიან შემაქეს, ისიც კი მითხრეს, ამდენი როგორ დაიმახსოვრეო. იმ დღის შემდეგ ბალეტიდან აღარ გამოვსულვარ. მაშინ მივხვდი, რომ ამ მიმართულებით უნდა მევლო. ორი თვე დავდიოდი ამ სტუდიაში. შემდეგ მაკა მასწავლებელმა მირჩია, რომ აუცილებლად შევსულიყავი ჭაბუკიანის სასწავლებელში, თან, ასაკიც ხელს მიწყობდა – იქ 10 წლიდან იღებენ ბავშვებს და მეც მალე ვხდებოდი 10 წლის. მოკლედ, ჩავაბარე გამოცდები და მიმიღეს. 14 წლის ვიყავი, მოსკოვში რომ წავედი და ქორეოგრაფიულ აკადემიაში ჩავირიცხე, სადაც სამი წელი დავყავი. თუმცა, იმის გამო, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიყავი, ვერ შევძელი იქაურ თეატრებში მოხვედრა და თბილისში დავბრუნდი. ორი წლის განმავლობაში ქალბატონ ნინო ანანიაშვილთან ვცეკვავდი.

**– დიდი თეატრის დასის ბალერინა როგორ გახდი?**

– ბავშვობიდან მინდოდა დიდ თეატრში ცეკვა, თუმცა პირველ ცდაზე არ გამომივიდა და ძალიან დამწყდა გული. წითელ დიპლომზე მქონდა სასწავლებელი დამთავრებული და, ვისაც წითელი დიპლომი აქვს, რაღაც პერიოდის შემდეგ მოქალაქეობას ანიჭებენ. მეც, როდესაც მოქალაქეობა მივიღე, ისევ წავედი მოსკოვში, თავიდან გავიარე ქასთინგი და ამიყვანეს. ყველას ვახსოვდი, ანიჩკას მეძახდნენ. უკვე მეექვსე წელია, რაც დიდი თეატრის ბალერინა ვარ. თუმცა, პირველად რომ გამოვედი დიდ თეატრის სცენაზე, აკადემიაში ვსწვლობდი და 15 წლის ვიყავი. მაშინ ძველი სცენა იყო, შემდეგ განაახლეს და, მოხარული ვარ, რომ არქაულ სცენაზეც მომიწია ცეკვა. თუმცა, სიხარულისგან და ემოციებისგან, იმდენად ვღელავდი, კარგად არ მახსოვს ეს დღე.

**– Dance Magazine-მ 25 მოცეკვავის ფოტო გამოაქვეყნა, რომელთა შორის შენც იყავი. როგორ მოხვდი მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ჟურნალის ფურცლებზე?**

– ეს ჩემთვისაც ძალიან დიდი სიურპრიზი იყო. შარშან თეატრიდან სამი კვირით ვიყავი წასული გასტროლებზე ნიუ-იორკში და სოლო პარტიებს ვცეკვავდი „დონ კიხოტსა" და „გედის ტბაში". მაშინ ბევრი სტატია დაიწერა და უცებ გაშუქდა ჩვენი იქ ყოფნა, თუმცა ამას ნამდვილად არ მოველოდი. ზამთარში, როდესაც Dance Magazine-ს წლის შემაჯამებელი ვერსია გამოვიდა, შემთხვევით მომწერეს: ანა, ნახე, 25 ბალერინას შორის მოხვდიო. ძალიან გამიკვირდა, უფრო იმიტომ, რომ წამყვან პარტიებს არ ვცეკვავდი, მხოლოდ სოლო ვარიაცები მქონდა. თურმე, ერთ-ერთ ბალეტის კრიტიკოს ჟურნალისტს შევუმჩნევივარ და მან მომახვედრა. ყველაზე სასიამოვნო კი ხალხის რეაქცია



დიდ თეატრში სეზონზე დაახლოებით 220 სპექტაკლი გვაქვს და ყველაში ვიღებ მონაწილეობას

იყო – ეს ფოტოები „ფეისბუქზე" დავდე და დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ნაცნობი იყო თუ უცნობი, ყველა მილოცავდა.

**– მოსკოვში მარტო წახვედი? არ გაგიჭირდა თავიდან უცხო ქალაქთან და ხალხთან შეგუება?**

– მოსკოვში დედა გამომყვა და საერთოდ, ბალეტის გზის დასაწყისიდან დღემდე ჩემ გვერდითაა. მან დიდი მსხვერპლი გაიღო: ოჯახი, ჩემი ძმა, სამსახური – ყველა და ყველაფერი დატოვა და მე წამომყვა. ასევე, მამაც სულ გვერდით მიდგას, მისგანაც დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდი ყოველთვის. ქართული მენტალიტეტის მიუხედავად, არასდროს უთქვამს, ბალეტისთვის თავი დამენებებინა, პირიქით, მასაც ძალიან უყვარს ხელოვნება. სიმართლე გითხრა, დიდიად არ მინდოდა წასვლა, მხოლოდ დიდი თეატრის ხათრით წავედი. თბილისში მყავს ყველა – ნათესავები, მეგობრები, ახლობლები და გამიჭირდა მათი დატოვება. თავიდან, რომ ჩავედი, ენის ბარიერიც მქონდა. მართალია, რუსული ვიცოდი, მაგრამ, რუსთან გამართულად ვერ ვსაუბრობდი. ამ კუთხით სკოლაშიც ძალიან მეხმარებოდნენ როგორც ბავშვები, ასევე მასწავლებლებიც. სკოლაში ყოველ დილით მეტროთი მივდიოდი და მორალურად ვემზადებოდი ***(იცინის).*** ბავშვები მეუბნებოდნენ, როგორც შეგიძლია ისე ილაპარაკე, ჩვენ გვესმისო. პედაგოგოები ნახევარი წლის განმავლობაში არაფერს მეკითხებოდნენ, უბრალოდ, მივდიოდი და გაკვეთილებს ვესწრებოდი. მერე ნელ-ნელა აქტიურადაც ჩავები სასწავლო პროცესში. ჩემთვის რთული აღმოჩნდა ასევე, ტერიტორიებთან შეგუებაც. თბილისში ყველაფერი ორ ნაბიჯზეა, 15-20 წუთში, სადაც გინდა, იქ ხარ. მოსკოვში კი, სახლიდან სკოლამდე საათ-ნახევარი მჭირდებოდა, რადგან, სამ ტრანსპორტს ვიცვლიდი: ტრამვაის, მეტროს და ტროლეიბუსს. რობოტის რეჟიმით დავდიოდი ***(იცინის).*** ახლა ძალიან მივეჩვიე იქაურობას და თბილისში დასასვენებლად ჩამოვდივარ ხოლმე.

**– როგორი რეჟიმი გაქვს?**

– ბალერინას ცხოვრება ძალიან დატვირთულია. 11 საათიდან შევდივარ სარეპეტიციო დარბაზში და საღამოს სპექტაკლით ვამთავრებ. დიდ თეატრში სეზონზე დაახლოებით 220 სპექტაკლი გავქვს და ყველაში ვიღებ მონაწილეობას. თუ, თავისუფალი დრო გამომიჩნდება, მაშინაც კოსტიუმების მოზომვაზე გავრბივარ – ბოლომდე ჩემს პროფესიაში ვარ. ბავშვობიდან გოგოური და ქალური რაღაცეები მიყვარდა, პრანჭია ვიყავი ***(იცინის).***

**– გართობისთვის, მეგობრებისთვის როდის ახერხებ დროის გამონახვას?**

– ორშაბათს გვაქვს დასვენება და კვირა საღამოობით გავდივართ ხოლმე სადმე. გასტროლებზეც ხშირად დავდივართ და უფრო იქ ვიწყობთ განტვირთვის დღეებს. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, ბალეტის კოსტიუმებით მოგვიწყვია ფართი სასტუმროს ნომერში. დერეფნებში სულ გაოცებული გვიყურებს ხოლმე ხალხი – ესენი ვინ არიანო ***(იცინის).***

**– პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

– დაოჯახება კარიერას აფერხებს და ამ ეტაპზე ნამდვილად არ ვფიქრობ ოჯახის შექმნას. თაყვანისმცემლები ბალეტის მხრიდანაც და ისედაც მყავს. მაგრამ, პირადად მე, სერიოზულად არავის ვუყურებ. თავის მოწონების ყველაზე მიღებული მეთოდია ყვავილების გამოგზავნა სცენაზე. ჩვენთან აკრძალულია, რომ მაყურებელმა ამოგიტანოს თაიგული. ამისთვის არიან სპეციალური ადამიანები, მათ უნდა გადასცენ ყვავილები წერილითურთ და, ასე, სხვისი შუამავლობით შეუძლიათ, მოგაწოდონ სცენაზე. იყო ერთი ყმაწვილი, რომელმაც დიდი წითელი ვარდების თაიგული თავისი ფეხით ამომიტანა სპექტაკლის დასრულების შემდეგ ***(იცინის).*** დღემდე არ ვიცი, ეს როგორ მოახერხა; რომ დავინახე, გავოცდი. ყველა ეკითხებოდა, ეს როგორ შეძელიო. დიდ ყვავილებსა და ვარდებს კალათებით მიგზავნიან, ოთახში მაქვს ხოლმე დაწყობილი. კალათა იმდენად მოუხერებელი და მძიმეა წასაღებად, ბოლოს ვთხოვე კიდეც, კალათები მაინც აღარ მომიტანოთ-მეთქი. სხვათა შორის, გაითვალისწინეს. იმდენად რთულია ჩემი პროფესია, მართლა არაფრისთვის აღარ მრჩება დრო, ბოლომდე ჩემს საქმეში – ბალეტში ვარ ჩართული. ბალერინობა დიდ შრომას მოითხოვს.

**ეთო ხურციძე**

**ვერიკო ტურაშვილმა ახლახან ახალი სიმღერა ჩაწერა და ვიდეორგოლიც გადაიღო. როგორც თავად ამბობს, კლიპის გადაღება რეკორდულ დროში – ორ დღეში მოხდა. გასულ წელს მომღერალი მეორედ გახდა დედა. პირველი ქალიშვილი, ლიზა, მალე 12 წლის გახდება, ნატაშკა კი ჯერ ერთი წლისაც არაა. მიუხედავად იმისა, რომ ვერიკო ძალიან დაკავებულია და არაერთ ახალ სიმღერაზე მუშაობს, პატარას ძიძის გარეშე ზრდის.**

# როდის „ისროდა ქვებს" ვერიკო ტურაშვილი და რის მიზეზს ვერ ხსნის ის

**ვერიკო ტურაშვილი:** ახალი სიმღერის ჩაწერაზე ერთი თვე ვფიქრობდი. კლიპის გადაღება მხოლოდ ორ დღეს გაგრძელდა. ძალიან მალე დამონტაჟდა ყველაფერი, რეალურად, რეკორდულ დროში შევძელით ვიდეორგოლის მომზადება. სიმღერა ეკუთვნით მაიკო კაჭკაჭიშვილსა და ბორი გოშხაძს. კლიპის რეჟისორია გიორგი გოგიჩაიშვილი. ახლა დამეწყო სწორედ ისეთი პერიოდი, როგორიც მქონდა ლიზას დაბადებისას – მაშინაც აქტიური ეტაპი მქონდა კარიერული თვალსაზრისით. ლიზაზე ფეხმძიმედ რომ ვიყავი, მთლიანი ალბომი ჩავწერე და ამ ყველაფრის შედეგები მერე გაგრძელდა, როცა დაიბადა. ნატაშკას შემთხვევაშიც ასე დავიწყე: კლიპი გადავიღე, ახალი სიმღერები ჩავწერე და, შეიძლება ითქვას, ისევ გავაქტიურდი. ლიზას დაბადებას დაემთხვა ჩემი ბევრი პოპულარული სიმღერა, მათ შორის – „წვიმა მოგონებებს ასველებს", ბევრი წლის განმავლობაში იყო ამ სიმღერის გავლენა ჩემს კარიერაში. ახლა ვნახოთ, რა იქნება, ჯერ მეც ველოდები შედეგს.

**–ნატაშკა პატრაა. როგორ შეუთავსე მუშაობა, მის გრაფიკს?**

– მარტივი არ ყოფილა, თუმცა, შეუძლებელიც არ აღმოჩნდა. თან, არ მყავს ძიძა და მარტო მიწევს ყველაფრის კეთება. მართალია, ოჯახის წევრები მეხმარებიან, მაგრამ, გარკვეული სირთულეები ახლავს ამ ყოველივეს. ლიზას ბებო, ჩემი ყოფილი დედამთილი, მეხმარება ძალიან. ახლახან ოთხი დღით ბათუმში მომიწია წასვლა საქმეების გამო და მასთან მყავდა დატოვებული.

**– ნატაშკაც ჭკვიანი გოგო იქნება, დედის გარეშე რომ ჩერდება.**

– კი, ძალიან ჭკვიანია და ამაში გამიმართლა – მშვიდი და წყნარი ბავშვია. ლიზა უფრო ემოციური იყო. ერთი ან ორი საათით რომ გავიდოდი სადმე, მთელმა უბანმა იცოდა, რომ სახლში არ ვიყავი – ატირებული მხვდებოდა ხოლმე. ხასიათით, მგონი, მე მგავს *(იცინის)*. ჩემი მშობლები მეუბნებიან, შენც ასეთი უწყინარი და კომუნიკაბელური იყავიო. ფიზიკურად კი მამის ასლია.

**– ამბობენ, მეორე შვილზე უფრო გრძნობ დედობას, ვიდრე პირველზეო. შენს შემთხვევაში როგორაა?**

– გეთანხმები, ჩემს შემთხვევაშიც ასეა. 20 წლის ვიყავი, ლიზა რომ გავაჩინე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკმაოდ დიდი მეგონა თავი. 16 წლისაც დიდი გოგო ვიყავი – ზუსტად ვიცოდი, რა მინდოდა და რა უნდა გამეკეთებინა. ჩემი ბავშვობა დამთავრდა მაშინ, როცა ლიზა გავაჩინე. აბსოლუტურად სხვა რეჟიმიდან გადავერთე ოჯახურ ამბებზე. ლიზაც ჩემი გაზრდილია – ძიძა მაშინაც არ მყოლია და ყველაფერში თავად მივიღე მონაწილეობა, მაგრამ, განსხვავება მაშინდელ განცდებსა და ახლანდელს შორის მაინც დიდია. ახლა უფრო სხვა შეგრძნება მაქვს – ეტყობა, წლები რომ გავიდა, სულ სხვა თვალით შევხედე დედობასაც.

**– ლიზას რა რეაქცია ჰქონდა, ფეხმძიმობის შესახებ რომ გაიგო?**

– ლიზა ჩემ მიმართ ძალიან ეგოისტურადაა განწყობილი. სულ უნდა, რომ მის გვერდით ვიყო. თუმცა, ღმერთის წყალობით, ნატაშკასთან მიმართებაში, ეჭვიანობა და მსგავსი რამ არ გამოუვლენია. მას ცოტა მოგვიანებით ვუთხარი ჩემი ფეხმძიმობის შესახებ, დაახლოებით 3-4 თვის რომ ვიყავი. ძალიან ვნერვიულობდი, არ ვიცოდი, როგორ მეთქვა და, არც ის ვიცოდი, როგორ მიიღებდა. ამ საკითხში, შეიძლება ითქვას, გამიმართლა კიდეც. ჩემი მეგობრის შვილი მეგობრობს ლიზასთან. ზუსტად იმ პეროდში, ის ჩემი მეგობარი გათხოვდა და



პირველად თქვა ეს სიტყვები: „მეც მინდა". უცებ შევცბი, ბევრი არც მიფიქრია და ვუთხარი, შენც გეყოლება-მეთქი

დაორსულდა. ერთი თვის სხვაობით გავაჩინეთ ბავშვები. ერთ დღესაც, ლიზა მოდის სახლში და მეუბნება: „დედა, ნატოს შვილი ეყოლება, იცი? ნუცა ძალიან გახარებულია და მეც მინდა," – პირველად თქვა ეს სიტყვები „მეც მინდა". უცებ შევცბი, ბევრი არც მიფიქრია და ვუთხარი, შენც გეყოლება-მეთქი, ოღონდ, ხუმრობით ვუთხარი, მისი რეაქცია რომ გამეგო. ძალიან რომ გაუხარდა, დამალვას უკვე აზრი აღარ ჰქონდა და ყველაფერი მოვუყევი.

**–გეხმარება ნატაშკას მოვლაში?**

– ლიზა არის ნატაშკას მეორე დედა. მიუხედავად იმისა, რომ მაქსიმალურად ვცდილობ, არ დავტვირთო, მაინც სულ ცდილობს, დის გვერდით ყოფნას. მიმაჩნია, ბავშვს უნდა ჰქონდეს ბავშვობა და თავისი შვილები გაზარდოს, როცა გააჩენს, მაგრამ, ლიზას თვითონ უნდა, ნატაშკას მოვლაში მიიღოს მონაწილეობა. ძალიან მეხმარება და საერთოდ არ მეშინია, როდესაც მას უჭირავს ნატაშკა.

**– რატომ დასრულდა შენი და ლაშას ურთიერთობა?**

– უამრავი მიზეზი იყო. ის უთანხმებები, რაც მანამდე გვქონდა ჩემი ფეხმძიმობის პერიოდში – უფრო გამოიკვეთა. ყოველივე ეს ორსულობის პერიოდში უფრო მძაფრად გავაანალიზე და ამ შედეგამდეც მივედით. თუმცა, მხოლოდ ორსულობასა და ჩემს თავს ვერ დავაბრალებ, რაც მოხდა. რეალურად იდგა ჩვენს შორის ისეთი საკითხები, რომლებსაც ვერ ვაგვარებდით. არ გამჭირვებია გადაწყვეტილების მიღება, უფრო მეტიც, დღეს ძალიან ბედნიერი ვარ. ახლა ერთად რომ ვყოფილიყავით, უფრო რთული პერიოდი მექნებოდა, ეს გაუთავებელი უთანხმოება არ დამთავრდებოდა.

**– შერიგების მცდელობა არ ყოფილა?**

– არა, ამაზე უკვე ლაპარაკი ზედმეტია. უკვე ერთი წელია, ყველაფერს მოვრჩით. შევეცადეთ, ნორმალური ურთიერთობა შეგვენარჩუნებინა, თუმცა, ესეც არ გამოგვივიდა. ახლა არც მეგობრები ვართ და სურვილიც არ მაქვს ამის. აღარ მინდა ამ თემაზე ვრცლად საუბარი, მას თავისი ცხოვრება აქვს, მე – ჩემი. დიდი მცდელობა მქონდა, რომ ნორმალური ურთიერთობა გვქონოდა, თუნდაც ჩვენი შვილის გამო, მაგრამ, ვერ შევძელით.

**– შენი გადმოსახედიდან, როგორი მამაა?**

– ჩემი გადმოსახედიდან, მეტი შეიძლებოდა გაეკეთებინა... დაუგეგმავად გადაწყდა ბავშვის ამბავი. თუმცა, დღეს ყველაზე ბედნიერი ვარ და ძალიან მიხარია, რომ ღმერთმა ასეთი საჩუქარი გამიკეთა.

**– ხშირად ნახულობს ნატაშკას? სოციალურ ქსელში დებს ხოლმე ბავშვის ფოტოებსა და ვიდეოებს.**

– არ ნახულობს ხშირად და აქ ჩვენი უთანხმოება არაფერ შუაშია. შეუძლია, დღეში ხუთჯერ ინახულოს. ისე, არანაირი კონფლიქტი არ გვქონია, რომ ეს აფერხებდეს. როგორც ვიცი, არც ისე დაკავებულია და, ალბათ, თავისი სურვილიდან გამომდინარე იქცევა ასე. რამდენჯერაც დადო ფოტო სოციალურ ქსელში, იმდენჯერ ჰყავს ნანახი ბავშვი.

**– რთულმა პერიოდმა გაიარა ლაშასთან დაკავშირებით?**

– რა თქმა უნდა, რთული პერიოდი მქონდა, მით უმეტეს, ფეხმძიმობა დაემთხვა ამ ყოველივეს. მაგრამ, ნატაშკას დაბადებამ დამაწყნარა და აბსოლუტურად შემცვალა. ვიდრე ნატაშკა დაიბადებოდა, ბოლო თვეებში ცოტა „ქვებს ვისვროდი" *(იცინის)*. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი ასე მოხდა. გულწრფელად ვამბობ, ძალიან კარგად ვარ.

**– ნატაშკას სახელი თავად შეურჩიე?**

– კი, ჩემი გადაწყვეტილება იყო, რომ ნატაშკა დამერქმია. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ძალიან მომწონს ეს სახელი, თან, სასიამოვნოდ დაემთხვა ლიზას ბებოს სახელს და ამით გამოვხატე ჩემი დიდი პატივისცემა ნატას მიმართ.

**– მამის გარეშე ბავშვების გაზრდა, ალბათ, რთულია.**

– კი, ძალიან რთულია. პირველად მოხდა ტრაგიკული შემთხვევა – ჩემი მეუღლე გარდაიცვალა და ლიზა დამრჩა მხოლოდ მე. თუმცა, ამ მხრივ იმუნიტეტი გამომუშავებული მაქვს და ნატაშკასთან მიმართებაში არ მიჭირს. უბრალოდ, რთულია ის, რომ დედაც შენ ხარ, მამაც, შენ მუშაობ და პარალელურად, ბავშვთანაც შენ უნდა იყო.

**ეთო ხურციძე**

# ვის გაურბოდა შეშინებული ჯალალედინი და როგორ სამარცხვინოდ მოკლეს ის, უპატრონო ძაღლივით მარტოდ დარჩენილი

ჯალალედინმა სულ ორიოდეჯერ შეძლო მონღოლებთან ბრძოლაში წარმატების მიღწევა, ისიც, მხოლოდ მონღოლების არმიის მცირე ნაწილებთან. მაგალითად, ფარვანის ბრძოლაში მოახერხა, 80 000-იანი ჯარით დაემარცხებინა მონღოლთა მხოლოდ ერთ-ერთი, 30 000-კაციანი შენაერთი, ისიც, ვიწრო ხეობაში შეიტყუა, სადაც გარემოს კარგად იცნობდა, მონღოლები კი არ იცნობდნენ.

სამაგიეროდ, გაბრაზებულმა ჩინგიზ ყაენმა მდინარე ინდთან გაჟუჟა ჯალალედინის არმიის უდიდესი ნაწილი, მხოლოდ 4 000 მეომრით მოასწრო მდინარეზე გადასვლა ხორეზმის ყოფილმა შაჰმა... თავისი ჰარამხანა მდინარეს გაატანა, ოჯახის წევრები კი მონღოლებს შეატოვა გასაწყვეტად.



1227 წელს გარდაიცვალა ჩინგიზ ყაენი. იმპერიას 1229 წლამდე განაგებდა მისი უმცროსი ვაჟი პირველი ცოლისგან – თული. მონღოლური კანონებით, მამის იურტის (კარვის) მემკვიდრედ უმცროსი შვილი ითვლებოდა.

ამ დროისთვის მონღოლთა ჯარების ახალი ნაკადი კვლავ განაგრძობდა დაპყრობებს და მიუახლოვდა ქალაქ ნიშაბურს ჩრდილოეთ ირანში. რამდენიმე წლით ადრე, ჩინგიზ ყაენის შვილმა, თულიმ, ნიშაბური და სხვა ქალაქები მიწასთან გაასწორა და დახოცა ჯალალედინის 12 000 მეომარი. მონღოლთა დროინდელი უცნობი ქართველი ჟამთაალმწერლის თქმით, პირველ ჯერზე 300 000 ნიშაბურელს მოჰკვეთეს თავი, მეორე ჯერზე 100 000 კაცი დახოცეს, ხოლო მესამედ – 32 000. ჟამთაალმწერელი ამბობს: იქნებ, არ დაიჯეროთ, მაგრამ, მონღოლი ჩინოვნიკის, დიდი სიბმდივნის, ხოჯა შამშადინის ძმა, რომელიც შეესწრო ამ ამბებს, გადმოგვცემს ასეო. უფლისწული თული ერაყისკენ დაიძრა.

ამ დროს ჯალალედინი თბილისში იყო, აიყარა დედაწულით და ადარბადაგანისკენ გაემართა, თან წერილები აფრინა ხლათის სულთანთან, ბაღდადის ხალიფასთან და ერაყის მბრძანებლებთან, დამეხმარეთ და ამით თქვენ თავს დაეხმარეთო.

სამშობლოდან გამოძევებული ხვარაზმ-შაჰი წერდა: „თუ პირადად არ გსურთ თათრების წინააღმდეგ ბრძოლა, ჯარი მომაშველეთ, რადგან, ვიცი მათი ტაქტიკა. თუ არ დამიჯერებთ, თუ მე არ შევებრძოლები, თქვენ ვერ შეძლებთ, წინააღმდეგობა გაუწიოთო“.

ჯალალედინს თავისი არაადეკვატური ქმედებებით ისე ჰქონდა სახელი გატეხილი, რომ არავინ დაუჯერა, მეტიც, რეგიონის სახელმწიფოებმა მისი მოშორება გადაწყვიტეს.

უფლისწული თული ყაზვინამდე მივიდა და ისევ მონღოლეთში გაბრუნდა, რადგან, იმპერიის მართვის საქმეები იყო გადასაწყვეტი, რითაც ისარგებლა დევნილმა სულთანმა.

ამ დროს ქართველები, ხლათელები, იკონიელები და სხვები, შეწუხებულნი ჯალალედინის სისასტიკით არა მარტო ქრისტიანების, არამედ მუსლიმანების მიმართაც შეითქვნენ და ერთად გალაშქრება დაგეგმეს ველური სულთნის წინააღმდეგ.

რუსუდან მეფემ გასცა ბრძანება და შეიყარა საქართველოს ჯარი ავაგ ამირსპასალარის, შანშე მანდატურთუხუცესის, ვარამ მსახურთუხუცესის, ცოტნე დადიანის ხელმძღვანელობით. გახსნეს დარიალის კარი და გადმოიყვანეს დაქირავებული ოსები, დურძუკები და სხვა მთიელები. 40 000 კაცი შეიკრიბა ნაჭარმაგევში.

ჯალალედინს აცნობეს ამის შესახებ. მან გადაწყვიტა, დაესწრო მოწინააღმდეგეებისთვის და ცალ-ცალკე გაენადგურებინა. ამიტომ, იჩქარა და ტფილისზე წამოვიდა.

ქართველები მარტონი აღმოჩნდნენ ჯალალის ჯარის წინაშე ბოლნისთან და იძულებული გახდნენ, მოკავშირეთა გარეშე გაემართათ ბრძოლა მათზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვან მტერთან. ეს მოხდა 1228 წელს. ჯალალედინს უკან არ წაესვლებოდა, წინ ქართველები იდგნენ, ადრე მის მიერ უკვე დამარცხებულნი. მალე ქართველების მოკავშირეთა ჯარები შეიძლებოდა მოსულიყვნენ. ამიტომ, უბრძანა თავის მეომრებს და დაიწყო ომი.

სულთნის ჯარმა გაიმარჯვა. ქართველებმა დიდი ზარალი განიცადეს. საკუთარი ქვეყნიდან გამოდევნილმა ჯალალედინმა ისევ დაიკავა თბილისი და არბევდა ქართლს...

შემდეგ, 1230 წლის 10 აგვისტოს, იკონიის, დამასკოსა და ახლო აღმოსავლეთის სხვა მბრძანებლებმა სასტიკად დაამარცხეს ჯალალედინი.

1231 წლის დასაწყისში ჯალალედინს აუჯანყდნენ განძელი მოქალაქეები. იქაც ისე გაამწარა უბრალო ადამიანები (მუსლიმანები), რომ ხელოსნებმა იკისრეს აჯანყების ხელმძღვანელობა. მართალია, ქრისტიანებისა და ერთმორწმუნე მუსლიმანების დაუძინებელმა მტერმა აჯანყება სასტიკად ჩაახშო, მაგრამ დიდი ზარალიც განიცადა.

მანამდე, 1229 წელს, ჩინგიზ ყაენის ანდერძის მიხედვით, დიდ ყაენად აირჩიეს მისი მესამე შვილი – უგედეი.

უგედეი ყაენის ბრძანებით, მონღოლთა ცენტრალური ურდოდან წინა აზიის დასაკავებლად გამოემგზავრა ოთხი ნოინი: ჩორმაღანი – ჩინგიზ ყაენის ყოფილი აბჯრისმტვირთველი და განთქმული სარდალი; ჩაღატა, იოსური და ბიჩო. თითოეულს ათ-ათი ათასი მეომარი ჰყავდა, თავისი დედაწულით. ამ ჯარსვე დაევალა ჯალალედინის სრული განადგურება.

**თავისი ჰარამხანა მდინარეს გაატანა, ოჯახის წევრები კი მონღოლებს შეატოვა გასაწყვეტად**

გზად ნოინებმა გამოიარეს ჯეონი (ამუდარია), ხორასანი, ჩრდილოეთ ირანი. მოვიდნენ ჩვენს რეგიონში და დაიწყეს მისი დაკავება.

შევიდნენ ადარბადაგანში. ფსიქოპათი ჯალალედინის მიერ გამწარებული თავრიზის მოსახლეობა (ასევე, ქალაქ არდაველის მოსახლეობაც) დიდი ძღვენით დახვდა თათრებს. მათ გადმოიარეს მდინარე არაქსი და მოვიდნენ ჩვენს მეზობლად, განძაში. განძელები სამი დღე არ დამორჩილდნენ ახალ დამპყრობლებს, მაგრამ მონღოლებმა მაინც დაიკავეს განძა, ააოხრეს და მრავალი ადამიანი დახოცეს, რადგან ეზიზღებოდათ მაჰმადიანების რჯული იმდროინდელ მონღოლებს.

ჩორმაღანის 40 000 ჯარისკაცმა დაიფრინა ჯალალედინის გულგახეთქილი ხვარეზმელები და მასთან მიმხრობილი სხვა ხალხთა მელიქების მთელი არმია თუ ბრბო. ჯალალედინი ძალიან შეშინდა და დასავლეთისკენ გაიქცა. დაფრთხნენ მისი მეომრებიც. საქართველოს საზღვართან, ბასიანში, მონღოლები უკვე ეწეოდნენ ხვარაზმელებს.

ნაშაჰარ-ნასულთარი ჯალალედინი ქურთისტანის მთებში გადავიდა.

შიშით შეძრწუნებული ხვარაზმელი მეომრები – თბილისის, განძის, ხლათისა და სხვა ქალაქების გადამბუგველები და ამაოხრებლები, უდანაშაულო მოსახლეობის მჟლეტავები – მგლის დანახვაზე დამფრთხალი ცხვრის ფარასავით დაიფანტნენ და მარტო დატოვეს თავიანთი ფსიქოპათი სულთანი.

პატივმოყვარე სულთანი სულ მთლად მარტო დარჩა – არც ახლობელი, არც დაცვა, არც ერთი ჯარისკაცი მის გვერდით არ გაჩერდა – მის გვერდით ყოფნა სიკვდილს ნიშნავდა. ხვარაზმელთა უმეტესობა ახალ მბრძანებელს ეძებდა და ახალ ძარცვებზე ოცნებობდა. ვისღა აინტერესებდა უსუსური ნასულთნარის ბედი, როცა ხვარაზმელი და სხვა ქვეყნების ყაჩაღები საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას ცდილობდნენ – ზოგმა იარაღი გადაყარა და ვაჭრის ტანსაცმელი გადაიცვა, ზოგი ტყეებს შეეფარა, ზოგი გულგახეთქილი აწყდებოდა უცნობ მთებს...

ოდესღაც დიდი ხვარაზმის შაჰის მემკვიდრე, ოდესღაც მრავალრიცხოვანი ბრბოს სულთანი, ოდესღაც გუმბათმორღვეული სიონის ტაძრის თავზე აღმართულ ტახტზე მჯდარი პირსისხლიანი სულთანი, რომელიც ათასობით ტფილისელის თავის მოკვეთას უყურებდა და სადისტური სიამოვნებით ტკბებოდა, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, სიკვდილამდე შეშინებული (ერთი არაბული გადმოცემით, ღატაკის დაგლეჯილ ტანსაცმელში გადაცმული).

ცხენიც დაეღალა, მუხლებში კანკალმაც უმატა ჯალალედინ მანქბურნის, ასევე დევნილი მუჰამედ შაჰის მემკვიდრეს...

ბოლოს, დაღლილი მიწვა ერთ-ერთი სოფლის მახლობლად ხის ძირში, თავქვეშ ძვირფასი თვლებით მოოჭვილი უნაგირი ამოიდო და ჩაეძინა.

იმ სოფელში მცხოვრებმა ღატაკმა ქურთმა დაინახა ხის ძირში მწოლიარე ადამიანი. მივიდა ახლოს და თვალი მოსჭრა ძვირფასმა უნაგირმა, კაპარჭმა და ქამარმა... იმ არემარეში უკვე იცოდნენ, რომ ხვარაზმელთა ყოფილ შაჰსა და მის გარემოცვას ეძებდნენ.

მივიდა ახლოს მწყემსი, სძლია სიხარბემ, ამოიღო ხანჯალი და ღორივით დაკლა ჯალალედინი. ერთ-ერთი მუსლიმანური ვერსიით, ქურთმა ჯალალედინი მოკლა შურისძიების გამო, რადგან ხვარაზმელებს მისი ძმა მოეკლათ.

არის მცირედ განსხვავებული გადმოცემებიც, თუმცა, ყველგან ჩანს, როგორი სამარცხვინო სიკვდილი ხვდა წილად მონღოლთაგან გაქცეულ ჯალალედინს, უპატრონო ძაღლივით მარტოდ დარჩენილს.

**გიორგი მახობეშვილი**

**ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით, გარემოს დაბინძურება გარკვეული ჯარიმებით შემოიფარგლება. ბოლო პერიოდში დანაგვიანების პრობლემა საკმაოდ აქტუალური გახდა. კანონის შემოღების შემდეგ ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ მზესუმზირის ნარჩენების გამოც კი დაუჯარიმებიათ პიროვნება. ხშირად გამიგონია სიტყვები: „დაბლა არ დააგდო, დაგაჯარიმებენ”. სამწუხაროა, მაგრამ, ფაქტია, რომ ნარჩენების ქუჩაში დაყრის შემაკავებელი პირობა ჩვენთვის არა კულტურა, არამედ ჯარიმა აღმოჩნდა. რა ვითარებაა დღეს ნარჩენებით გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით და გაამართლა თუ არა კანონმა, ამ თემაზე გარემოს დაცვითი ზედამხედველობის ინსპექციის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორს, ქალბატონ ნელი კორკოტაძეს ვესაუბრეთ.**

# რა შემთხვევაში ჯარიმდება შინაური ცხოველის პატრონი და რამდენი ლარით დაჯარიმდებით, თუ მზესუმზირის ნარჩენებით დაანაგვიანებთ ქუჩას

**– გაამართლა თუ არა გარემოს დანაგვიანებაზე ჯარიმების დაწესებამ?**

– ნარჩენების მართვის კოდექსმა ნამდვილად გაამართლა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ კანონმა დაძრა მთელი რიგი პროცედურები გარემოს დაბინძურების საკითხთან დაკავშირებით. ვალდებულებები გაუჩნდათ როგორც ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქეებს, ასევე, იურიდიულ პირებს, კომპანიებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებასაც. ეს ძალიან კარგია, ვინაიდან, კანონი არასრულყოფილია, როდესაც მხოლოდ მოქალაქეებისკენაა მიმართული. 2016 წლის დასაწყისიდან, თვითმმართველი ორგანოები სრულად უზრუნველყოფენ ნარჩენების სერვისს. უფრო კონკრეტულად, მათ დაევალათ ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სისტემების ჩამოყალიბება. მიღებულმა კანონმა მკაფიო დეფინიციები შემოიტანა ნარჩენების განსაზღვრაში. სახელწოდებები ძალიან არეული იყო, გვიჭირდა მათი გარჩევა, რაც საქმეს ართულებდა. ჩვენ ოდესმე ისეთ მართვის სისტემაზე უნდა გადავიდეთ, როგორც ევროპაშია – ისე უნდა „ვმართოთ” ნარჩენები, როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაშია მიღებული.

**– სტატისიტიკის მიხედვით, მუნიციპალური ნარჩენებზე ჯარიმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რომელია?**

– დღეისათვის, სტატისტიკის მიხედვით, მაქსიმალურია 80-ლარიანი ჯარიმა, რომელიც გულისხმობს 2 კილოგრამამდე მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებას. შემდეგია სამშენებლო და ინერტული ნარჩენების განთავსება დაუშვებელ ტერიტორიებზე. თბილისში სამშენებლო ნარჩენები უსისტემოდ იყრებოდა ხევებში, მდინარეების ნაპირებზე, გარეუბნებში და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღესაც გრძელდება და მისი კონტროლი ამ ეტაპზე ვერ ხერხდება. თუმცა, მუნიციპალიტეტთან ერთად, ჩვენც ვმუშაობთ ამ თემაზე. როდესაც მსგავს სიტაუციას ვაწყდებით, მაგრამ არ გვყავს სამართალდამრღვევი პირი, ამ შემთხვევაში ინფორმაციას ვუგზავნით მუნიციპალიტეტს და ისინი ასუფთავებენ დანაგვიანებულ ტერიტორიას, თუმცა, თუ ფაქტზე მოხერხდება პიროვენების დაჭერა, მას ეწერება ჯარიმა, რომელიც 200 ლარს შეადგენს. დღევანდელი მონაცემების მიხედვით, 2 კილოგრამამდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დაბინძურების 127 შემთხვევაა დაფიქსირებული, ხოლო სამშენებლო ან ინერტული ნარჩენებით დანაგიანების 32 შემთხვევაა ცნობილი.

**– ხშირად, მზესუმზირის ნარჩენებით დანაგვიანების გამოც დაუჯარიმებიათ.... კიდევ რა შემთხვევებთან გვაქვს საქმე?**

– დიახ, მსგავსი შემთხვევებიც დასტურდება. მზესუმზირის ნარჩენებით ქუჩების დაბინძურება, 2 კილოგრამამდე ნარჩენებით დანაგვიანებაში ითვლება და პირი 80 ლარით ჯარიმდება. რა მნიშვნელობა აქვს, ქაღალდს დავაგდებთ ქუჩაში თუ მზესუმზირის ნარჩენებს – ესეც დასჯადი ქმედებაა! როდესაც მსგავს ქმედებებს თბილისში სჩადიან, განსაკუთრებით მაქვს პროტესტის შეგრძნება, ვინაიდან, დედაქალაქი მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია ურნებით – თითქმის ყველა გაჩერებასთან დგას ურნა. ქუჩა რომ არ უნდა დაანაგვიანო, ეს ელემენტარული კულტურაა. ყოფილა შემთხვევა და მე პირადადაც ბევრჯერ დამინახავს, როდესაც პირდაპირ მანქანიდან გადმოუყრიათ ნარჩენები, მათ შორის მინის ბოთლებიც. ეს ქმედება არა მხოლოდ აბინძურებს გარემოს, არამედ, საავარიო სიტუაციასაც ქმნის. მონაცემების მიხედვით, დაუჯარიმებიათ მოქალაქეები, რომლებსაც სახლის პირობებში, ღია წესით დაუწვავთ ნარჩენები. ცნობილი ფაქტია, რომ მოსახლეობა აგროვებს მუნიციპალურ ნარჩენებს და ერთიანად წვავენ. მსგავს შემთხვევაში პიროვნება 200 ლარით ჯარიმდება, მაგრამ, თუ საქმე გვაქვს რეზინის ან საბურავების დაწვასთან, მაშინ ჯარიმა 500 ლარია. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ქუჩების დანაგვიანების ერთ-ერთი შემაკავებელი საშუალება ჯარიმა აღმოჩნდა, თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ ამ კუთხით საქართველო არ არის გამონაკლისი – თითქმის ყველა ქვეყანაში ჯარიმა უზრუნველყოფს წესრიგის დამყარებას.



**ქუჩების დანაგვიანების ერთ-ერთი შემაკავებელი საშუალება ჯარიმა აღმოჩნდა. ჯარიმების საერთო რაოდენობა დაახლოებით 300 000 000 ლარს შეადგენდა**

**როდესაც პიროვნება არ იხდის ჯარიმას, ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ბიურო ერთვება საქმეში**

**– მაქსიმალური ჯარიმა 5 000 ლარია. რა შემთხვევაში ჯარიმდება ამ თანხით მოქალაქე და ვინ აკონტროლებს მსგავს სიტუაციებს?**

– თბილისის ტერიტორიაზე კონტროლს ახორიცელებს როგორც გარემოს დაცვის დეპარტამენტი, ასევე მერიის შესაბამისი სამსახური და საპატრულო პოლიცია. 5 000-ლარიანი ჯარიმა იწერება იმ შემთხვევაში, როდესაც არასწორად მოხდება ნაგავსაყრელი ადგილის შერჩევა და უფლებამოსილ პირს საჭირო პროცედურის ჩატარებაში ხელს შეუშლიან. როდესაც მოქალაქე არ გემორჩილება და ხელს გიშლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, ის კანონით ისჯება.

**– თუ ჰქონია პროტესტი დაჯარიმებულ პირს?**

– პროტესტს ხშირად გამოხატავენ ხოლმე. არავის უყვარს, როდესაც საკუთარ ჯიბეს სანქცია არტყამს. ჩვენ ვადგენთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და მასალები იგზავნება სასამართლოში, ანუ, ჩვენ ჯარიმას კი არ ვწერთ, უბრალოდ, ვაფიქსირებთ სამართალდამრღვევ აქტს და ვგზავნით სასამართლოში. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს, პროტესტი გამოთქვას და განაცხადოს, რომ მას არ დაუყრია ნარჩენები კონკრეტულ ტერიტორაზე, მაგრამ ამის დასაბუთება უნდა მოხდეს. ამ ეტაპისთვის არ ყოფილა შემთხვევა, რომ დაემტკიცებინათ საკუთარი მოსაზრება. როდესაც პიროვნება არ იხდის ჯარიმას, აღმასრულებელი ბიურო ერთვება საქმეში.

**– დღევანდელი მონაცემებით, სულ რამდენი ადამიანია დაჯარიმებული და რა თანხაა შესული ბიუჯეტში ჯარიმების გადახდის შედეგად?**

– მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების გამო 263 ადამიანია დაჯარიმებული. კოდექსში, თითოეულ დარღვევაზე სხვადასხვა ჯარიმაა განსაზღვრული, მათ შორის შედის ხე-ტყის რესურსის არაკანონიერად გამოყენება და სხვა. გარემოსთვის მიყენებული ზიანი საკმაოდ მაღალია და ჯარიმებიც შესაბამისად იწერება. შარშანდელი მონაცემებით, ჯარიმების საერთო რაოდენობა დაახლოებით 300 000 000 ლარს შეადგენდა.

**– ამბობენ, სამომავლოდ, შინაური ცხოველების გასეირნებაც გარკვეული ჯარიმით დაისჯება.**

– ეს სიმართლეს არ შეესაბამება, მსგავსი რამ არ დაგვიგეგმავს. მთავარია, ცხოველთა ექსკრემენტებმა არ დაანაგვიანოს კონკრეტული ტერიტორია. თუ დაფიქსირდა, რომ თქვენი ძაღლი ან კატა გარემოს აბინძურებს და თქვენ არ ცდილობთ იმ ადგილის დასუფთავებას, 50-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოგიწევთ. თუ პატრონი თავად აიღებს ცხოველის მიერ გამოყოფილ ფეკალიებს, მაშინ არანაირი ჯარიმა არ გემუქრებათ. შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით, ჩვენ ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს მოვუწოდებთ, რომ მოახდინოდნ ტერიტორიების იდენტიფიცირება. მათ უნდა გამოყონ სპეციალური ადგილი, სადაც იქნება ცხოველების გადარეკვის შესაძლებლობა – ამ შემთხვევაში საქმე ფერმერებსა და გლეხებს ეხებათ, რადგან, მათაც უნდა იცოდნენ, რომ ცხოველის ყველგან გადარეკვა არ შეიძლება.

**ეთო ხურციძე**

**ენერგიული, ხალისიანი, მომხიბლავი ჟურნალისტი მაიკო ჭაფოძე უკვე შვიდი წელია, ყოველ დილით, „რუსთავი 2-ზე“ გადაცემიდან – „დილა მშვიდობისა, საქართველო“, მაყურებელს საინტერესო, „კულტურულ“ ინფორმაციებს აწვდის და სასიამოვნო განწყობაზე აყენებს.**

# რამ ასწავლა ადამიანების ამოცნობა მაიკო ჭაფოძეს და რატომ ვერ მოახერხა მან შვიდი წლის განმავლობაში მამასთან შეხვედრა

**მაიკო ჭაფოძე:** შვიდი წელია, „რუსთავი 2-ის“ დილის გადაცემაში ვმუშაობ და, არ მახსოვს, რომელიმე წელი დატვირთული არ ყოფილიყოს. ყოველ წელს ახლავს პლუსები და მინუსები, წლევანდელი წელი ძალიან წარმატებული იყო როგორც ჩემთვის, ასევე მთელი გუნდისთვის: მოვიპოვეთ ბევრი ექსკლუზივი; გვყავდა ისეთი სტუმრებიც, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციებსა და სიახლეებს პირველად სწორედ ჩვენთან აჟღერებდნენ. უკვე ისე მივეჩვიე ამ სამსახურს, რომ, სხვა სამსახურში კი არა, სხვა გადაცემაშიც კი ვერ წარმომიდგენია საკუთარი თავი. სულ ვამბობ, ოღონდ, ბრჭყალებში: მე „კულტურული“ გოგო ვარ, მე დილის გადაცემის ჟურნალისტი ვარ-მეთქი. დილის 5 საათზე გაღვიძება ან დილის 4 საათამდე მონტაჟი უკვე ჩემი ცხოვრების ჩვეულებრივი ტემპია. მინდა, დიდხანს მქონდეს ბევრი ენერგია, რომ არ დავიღალო თუნდაც დილით ადრე ადგომით და წასვლით. რაც მთავარია, დროის სწორად გადანაწილება მასწავლა ამ პროფესიამ.

**– კიდევ რა თვისებები შეგძინა ჟურნალისტობამ?**

– მასწავლა ადამიანების ამოცნობა – ზუსტად ვიცი, ვის რისი თქმა შეუძლია. წინასწარ ვგრძნობ ხოლმე, ვისთან ჯობია ინტერვიუს ჩაწერა; ზუსტად ვხვდები, ვინ რას მეტყვის. ალბათ, ინტუიცია, ჟურნალისტური გრძნობა ირთვება, როცა შეხედავ ზუსტად იცი, გეტყვის თუ არა იმას, რაც ძალიან გამოგადგება. შეიძლება, ეს პროფესიული ზრდაც არის.



**ახლა, რაც გადავწყვიტე წასვლა და დავიწყე ამაზე ფიქრი, ცოტას ვღელავ: რომ ვერ მიცნოს? უკვე დიდი გოგო ვარ**

**– არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ არაჩვეულებრივად გამოიყურები, საოცარ ფორმაში ხარ.**

– ბოლო დროს განსაკუთრებულად შემიყვარდა თავის მოვლა. შეიძლება, ერთ ხელფასზე საკუთარ თავს სიურპრიზი მოვუწყო და მასაჟი გავიკეთო; მეორე ხელფასზე კი გავგიჟდე – წავიდე და რაღაც პროცედურები ჩავიტარო. თავის მოვლა ბოლო დროს ერთგვარი გატაცება გახდა ჩემთვის. თუმცა, როდესაც საქმე ეხება სხეულს, თმას ან ჩაცმას, ექსპერიმენტები არ მიყვარს. ასევე, არ მიყვარს ცოტა ჰიპური ჩაცმულობა – ვერასდროს გავრისკავ ასე ჩაცმას, თუნდაც მოსაზომად. მირჩევნია, უფრო კლასიკური, ცოტა დახვეწილი ტანსაცმელი მეცვას. რაც შეეხება სახესა და თმას, ზედმეტს არასდროს არაფერს ვიკეთებ – ძალიან მეშინია.

**– როგორი დასვენება გიყვარს?**

– აუცილებლად აქტიური. მიუხედავად იმისა, რომ გურიაში ძალიან ლამაზი სოფელი მაქვს, წლებია, იქ არ ვყოფილვარ, რადგან, არ მიყვარს წყნარი დასვენება. ერთი კვირით მეგობრებთან ერთად მივდივარ ბორჯომში, სადაც კარგად ვერთობით და ვგიჟობთ. ძალიან მიყვარს მზე და, უკვე ბედნიერი ვარ, როცა მაქვს ზღვა და მზე. წელს შეიძლება საფრანგეთში მომიწიოს მამასთან წასვლა, ბოლო დეტალებიღა დარჩა გასარკვევი. თუ წავალ, ძალიან ბედნიერი ვიქნები, რადგან, შვიდი წელია, არ მინახავს.

**– როგორც ვიცი, მამაშენი ჯერ ძალიან ცნობილი და წარმატებული ცხენოსანი იყო, შემდეგ კი – მწვრთნელი. ახლა ის საფრანგეთში მუშაობს თავისი პროფესიით. მომიყევი მის შესახებ.**

– პირველ კურსზე ვიყავი, როდესაც მამა წავიდა. მანამდე იპოდრომზე მუშაობდა, საკმაოდ წარმატებული ცხენოსანი იყო. მთელი ცხოვრება ცხენებს შეალია. რაღაც ეტაპზე მწვრთნელადაც მუშაობდა, უფრო მაღალ პოზიციებზეც იყო. ის თავისი საქმის პროფესიონალია, როცა თბილისში იპოდრომზე მუშაობდა, ბევრ ავადმყოფ ბავშვს დაეხმარა, ესწავლათ სიარული – დაუნის სინდრომს და ასევე სხვა დაავადებებს ცხენი რომ კარგად შველის, ეს არავისთვის არის უცხო. მამას, ამ მხრივ, თავისი მეთოდი ჰქონდა და ბევრი მოურჩენია. მაგალითად, ერთ-ერთი ქვეყნის ელჩის შვილი დაჰყავდათ მამასთან. ის ბავშვი ექვსი წლის განმავლობაში ნაბიჯს ვერ დგამდა, ჩატარებული ერთწლიანი სამკურნალო კურსის შემდეგ გაიარა. მამა 12 წლიდან ცხენზე ზის და ამ საქმის ნამდვილი პროფესიონალია. არაერთხელ გამხდარა როგორც საქართველოს, ასევე ამიერკავკასიის ჩემპიონი. მთელი საბჭოთა კავშირი აქვს მოვლილი, სახლში გვაქვს მისი სიგელები. ასეთი ჩვევა ჰქონდა: რომელი ქვეყნიდანაც ჩამოდიოდა, ჩამოჰქონდა ჭურჭელი, რომელზეც აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოსახული ცხენი.

**– რა გახსოვს ამ პერიოდიდან?**

– 1988 წელს მამა საქართველოს ჩემპიონი გახდა, მერამდენედ – აღარ მახსოვს, მაგრამ, დაბრკოლებების გადალახვისას ცხენიდან გადმოვარდა. არსებობს უნიკალური ფოტო – როგორ ვარდება მამა, ზემოდან კი ცხენი ეცემა. ერთხელ მითხრა, ეს იმ წელს მოხდა, შენ რომ დაიბადეო და მას მერე ისე ჩამყვა გულში, რამდენჯერაც იმ ფოტოს შევხედავ, იმდენჯერ საკუთარ თავს ვადანაშაულებ – მე რომ არ დავბადებულიყავი, არ დაემართებოდა-მეთქი. მეშინია ამ ფოტოსი და, როდესაც ვხედავ, არასასიამოვნო განცდა მაქვს.

მერე საქართველოდან წასვლა მოუწია. ეს პერიოდი ცოტა რთულად მახსენდება, რადგან ჩემი ბევრი ლამაზი წელი, მთელი ბავშვობა, სწორედ მამასთან ასოცირდება. თუნდაც ცხენზე ჯდომა, სოფელში სოკოს მოგროვება – ყველაფერი ეს მამასთან ერთად მახსენდება. შეიძლება, სოფელშიც სწორედ იმიტომ არ ჩავდივარ, რომ მამას აღარ ჩავყავარ. რაც თავი მახსოვს, მამასთან ერთად ვისვენებდი, ერთად ვაგროვებდით თხილს, მსხალს. მესამე კლასში ვიქნებოდი, როდესაც მამამ ბეთანიაში, იპოდრომის რანჩოზე ყოფნისას, ცხენზე დამსვა. მახსოვს ის შეგრძნება, როგორ შემეშინდა, როდესაც გაჭენდა, მაგრამ მერე მომეწონა. მას შემდეგ სულ ვცდილობდი, იპოდრომზე მევლო და ცხენით მეჯირითა. მამა თავიდან სამუშაოდ წავიდა საფრანგეთში – ხან იპოდრომზე მუშაობდა, ხან სხვადასხვა რანჩოზე. ახლა კი ქალაქ ლიონშია, ერთ-ერთ რანჩოზე მუშაობს, ცხენებს უვლის და ხედნის კიდეც, დაუმორჩილებელ ცხენებსაც იმორჩილებს. სხვათა შორის, როდესაც იპოდრომზე მივდივარ, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ზოგჯერ, ცხენს რომ ჩაუვლია და შემშინებია, იქ მომუშავე ადამიანებს გადმოუხედავთ – მამაშენის შვილი ამას უნდა კადრულობდესო.

**– აქამდე რატომ არ მოინახულე მამა?**

– არასდროს გამჩენია წასვლის სურვილი, მაგრამ, წელს აჟიტირებული ვარ და, იმედია, გამომივა. ზოგადად, მოგზაურობა მიყვარს, მაგრამ, გზა და სიშორე – არა. ადრე ფრენის შიშიც მქონდა, მაგრამ მერე გადავლახე.

**– როგორ?**

– მივლინებით მივდიოდი ეგვიპტეში. მთელი ამბები იყო: მეშინია, მეშინია-მეთქი, გავიძახოდი. ნინო არაზაშვილმა მითხრა, სანამ თვითფრინავში ახვალ 100 გრამი კონიაკი გადაკარიო. გადავკარი, მშვენივრად ჩავფრინდი და, მას შემდეგ ამ წესს მივმართავ.

**– მამასთან შეხვედრა, ალბათ, არაერთხელ წარმოგიდგენია.**

– ახლა, რაც გადავწყვიტე წასვლა, დავიწყე ამაზე ფიქრი და ცოტას ვღელავ: რომ ვერ მიცნოს? უკვე დიდი გოგო ვარ. შეიძლება, რაღაც არ მოეწონოს, შეიძლება მითხრას: გასუქდი, გახდი, შეიცვალე, დაბერდიო... მართლა არ ვიცი და ამაზე უფრო ვღელავ, თორემ, თვითონ ისევ ისეთია, ერთადერთი, გაჭაღარავდა და მის ჭაღარას უკვე შეგუებული ვარ. უფრო ჩემზე ვღელავ: მოვეწონები, არ მოვეწონები, რას მეტყვის...

**– ახლა მითხარი, რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– საინტერესო რაღაცეები ხდება. არსებობს ადამიანი, რომელსაც ჩემს დროსა და ყურადღებას ვუთმობ. ვნახოთ, რა იქნება. ჯერჯერობით ურთიერთობის დასაწყისია და მომწონს ამ ეტაპზე ეს ურთიერთობა. ვფიქრობ, ურთიერთობა ყველაზე ლამაზი მაშინაა, როდესაც იწყება, როდესაც უნდა გაიცნო ადამიანი, როცა გინდა, რომ მას შენი ყველა დადებითი მხარე დაანახვო. ანუ, ჯერ ეს ეტაპი გვაქვს, მოგვწონს ერთმანეთი და, მერე ვნახოთ, რა იქნება.

**ნათია უტიაშვილი**

# სად გადაურჩა რამდენჯერმე სიკვდილს ნუგზარ ჩიქოვანი და რა სირთულეების გადალახვა უწევდა მას მილიონერად გახდომამდე

*ცოტა ხნის წინ, ყველასთვის საყვარელმა მსახიობმა ნუგზარ ჩიქოვანმა „ლოტოს“ გათამაშებაში გაიმარჯვა, ჯეკპოტი მოიგო და მილიონერიც გახდა.*

**ნუგზარ ჩიქოვანი**: ისევ ისე ვცხოვრობ, როგორც მანამდე ვცხოვრობდი. ისევ ისე დავდივარ სამსახურში, როგორც მანამდე დავდიოდი და ისევ ისე ვბრუნდები სახლში, როგორც ადრე ვბრუნდებოდი. რაღაცეები, ბუნებრივია, შეიცვალა – აღარ ფიქრობ იმაზე, ამ თვის დანახარჯი მომავალ თვეს როგორ შეავსო. როგორც ცხოვრობს საქართველოში ადამიანების დიდი ნაწილი, ისე ვცხოვრობდი მეც – ეს, ალბათ, შეიცვლება. უფრო სწორედ უკვე შეიცვალა – ხელფასს ვალს რომ ვახვედრებდი, ახლა ასე აღარ არის. უბრალოდ, უფრო მეტად თამამი ვარ რაღაცეებში. მეგობრები, ყველა ერთად რაღაცაზე რომ ვიკავებდით თავს თანხის გამო, ახლა აღარ ვიკავებთ.

**– მოგების შემდეგ პირველი რა გააკეთეთ?**

– გავისტუმრე ვალები ჩემი, ჩემიანების. ყველას ვალი ჰქონდა – ოჯახის წევრებს, ჩემს ახლო ნათესავებს. თანხის გარკვეული ნაწილი საქმეში ჩაიდო. დამრჩა იმდენი, რომ ვალები გამესტუმრებინა, რაღაცეები გამეკეთებინა, მეტი არც დარჩა.

**– ასეთ დროს ბევრი „ახლობელი“ ჩნდება ხოლმე.**

– ბევრი „კეთილმოსურნე“ გამოჩნდა, საკმაოდ ბევრი. 33 წელი თეატრში მსახიობად ვიმუშავე, თხოვნისა და მოთხოვნის ათასნაირი ფორმა ვიცი სპექტაკლებიდან, ან წაკითხული მაქვს. ასეთი ფორმები კი, რასაც ახლა ვხედავ, არ შემხვედრია. ეს ვინმეს რომ ეთქვა, არ დავიჯერებდი, მაგრამ, თურმე, ხდება.

**– წარმოიდგენდით, რომ ამდენ ფულს მოიგებდით?**

– წარმოვიდგენდი. რწმენა ყველაზე ძლიერი რამ არის ამქვეყანად. ამაზე დიდი ძალა არ არსებობს. პირველი პირობაა – არავისი შეგშურდეს, ოცნებით კი იოცნებე – ვინ გიშლის. ეს იყო ჩემთვის ერთ-ერთი ლამაზი ოცნება, რომელსაც ძილის წინ მივმართავდი. იმედი ყოველთვის უნდა გქონდეს. პატარა ბიჭი არ ვარ, ცხოვრებაში რაღაცეები გამივლია, გამომიცდია და იმედი არასდროს დამიკარგავს.

**– როგორი იყო ოჯახის წევრების რეაქცია?**

– ყოველი სამშაბათისა და პარასკევისთვის სულ მქონდა 2 ბილეთი. თუ ზოგჯერ ჯიბე მაძლევდა საშუალებას, ხუთიც მქონია და ათიც. ჯერ 4 ბურთულა დაემთხვა, მერე – ხუთი და დამეწყო ნერვიულობა... ერთი სული მქონდა, ავმხტარიყავი სიხარულისგან, რადგან ვიცოდი 5 რიცხვის დამთხვევა სოლიდური თანხის მოგებას ნიშნავდა. მეექვსეც, რომ ჩემი აღმოჩნდა, იქ დაწყნარდა ყველაფერი, მთელი ემოცია გაქრა. რამდენჯერმე გადავამოწმე. მერე ვიფიქრე, როგორ ვუთხრა ოჯახის წევრებს, შემეშინდა, დადებითი ემოციებისგან, რამე არ დამართნოდან. ნელ-ნელა შევაპარე ყველას, 4 საათი ვჭიმე. ტელევიზორში რომ მაჩვენეს, მერე მომილოცეს ჩემებმა. ცოცხლად ადამიანს არ მენდნენ.

**– არ გაუკეთეთ მეუღლეს საჩუქარი?**

– მეუღლისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი მე ვარ, დიდი და კარგი საჩუქარი. ჯერ ვლაგდებით და რასაც ისურვებს, რა თქმა უნდა, შევუსრულებ.

**– როგორი რეაქცია ჰქონდა თქვენს ნორვეგიელ სიძეს?**

– ძალიან გაუხარდა. ჩემი სიძე დედისერთაა, ახლა ოსლოში ცხოვრობს, მაგრამ სხვა ქალაქშია დაბადებული. იმისთვის, რომ მშობლები შვილისა და რძლის გვერდით ყოფილიყვნენ, გაყიდეს სახლი და ოსლოში თითქმის იგივე თანხად, რაც მე მოვიგე, იყიდეს სახლი. ანუ, ეს თანხა მათთვის, თუ მუშაობ მთელი ცხოვრება, დანაზოგივით არის. ჩემი მოყვრები უფრო ემოციურები არიან და უფრო მეტად გამოხატეს სიხარული.



33 წელი თეატრში მსახიობად ვიმუშავე. თხოვნისა და მოთხოვნის ათასნაირი ფორმა ვიცი სპექტაკლებიდან, ან წაკითხული მაქვს. ასეთი ფორმები კი, რასაც ახლა ვხედავ, არ შემხვედრია

**– როგორ შეეგუეთ შვილის ნორვეგიაში გათხოვებას?**

– არავის ვურჩევ, რომ მისი შვილი უცხოეთში გათხოვდეს. მაგრამ, ვერ ავუკრძალავდი, ეგოისტურად გამომივიდოდა და ნებისმიერ შემთხვევაში, თავს დამნაშავედ ვიგრძნობდი. წელიწადში 4-ჯერ ჩამოდიან საქართველოში, თან, ყოველდღე სკაიპში ვართ და ერთად ვაკეთებთ საჭმელებს. რაც მთავარია, ჩემი სიძე ძალიან კარგი ადამიანია და ბედნიერი ვარ ამით.

**– თქვენ მიერ ჯეკ-პოტის მოგებას, გარკვეული ჭორებიც მოჰყვა – ჩააწყო, „რუსთავი 2-ის“ თანამშრომელია, მოაგებინესო და ასე შემდეგ.**

– ეს ჩვეულებრივი ამბავია. მეტ-ნაკლებად საინტერესო ამბავსაც მოჰყვება ჭორები. ბევრია ურწმუნო თომა. ჩემს მეგობრებს, ტელევიზიაში რომ აქვთ ჭიპი მოჭრილი, იქ არ დაბადებულა, თორემ სულ იქ მუშაობენ, მათაც კი არ სჯეროდათ. უბრალოდ, რომ მიცნობენ და იციან, მე რისი ჩამწყობი ვარ, ჩანთაში პროდუქტს ვერ ვაწყობ, გამყიდველი მიწყობს, დაიჯერეს. მე შეგნებულად არ მაქვს „ფეისბუქი“, თუმცა ლატარიის კომპანიას აქვს თავისი გვერდი და იქ უნდა ნახოთ, რა წერია: რომ მე ვარ კრიმანალური დაჯგუფების წევრი; რომ მანამდე მქონდა მილიონი და ეს მეორე მილიონი რაღაში მჭირდება; რომ მე ვარ 55 წლის, არ მჭირდება ეს ფული და ვინმე ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს. ახალგაზრდა შვილები არ მყავს მე? ათასი რამე. ერთი სასაცილო კომენტრიც იყო – „ძლივს არ გიპოვე, მამა“. ასეთი კომენტარები იყო მეცხრე, მეათე, დანარჩენები კი გულით მილოცავდნენ. ამიტომ, ნერვიც არ შემტოკებია, უბრალოდ, ვიფიქრე: „რატომ?“

**– რა იყო მოგებამდე, თქვენს ცხოვრებაში ყველაზე დიდი სირთულე?**

– როგორც ყველა მსახიობისთვის, ჩემთვისაც – ფინანსები. საქართველოში ბევრი კარგი მსახიობია. აქ უკვე ბედის ამბავია. ალალად გებუნებით: ჩემზე ნიჭიერი ადამიანები არიან უმუშევრები, მე გამიმართლა. გადამიღეს ტელესერიალში, ფილმში, ტელესივრცე პოპულარობას უწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, გამიღიმა ბედმა. რაც შეეხება სირთულეს, მსახიობთა პრობლემა არის ის, რომ უწევთ ტიტანური შრომა – ფიზიკური, გონებრივი და ემოციური დატვირთვა, უძილო ღამეები და ძალიან დაბალი ანაზღაურება. ამას ანაზღაურებასაც ვერ დაარქმევ. მე თეატრიდან წამოვედი 7-8 თვეა. ახლა ტელევიზიაში ვმუშაობ – ვახმოვანებ ფილმებს, სერიალებს, მულტფილმებს, და არც ვაპირებ თავის დანებებას.

**– როგორ ახერხებდით რთული პერიოდების გადალახვას?**

– როგორც ყველა – ზოგჯერ როგორ, ზოგჯერ როგორ. თანხის პრობლემა ხშირად იყო. მეხმარებოდნენ ჩემი ახლო ნათესავები, მეგობრები და მათი წყალობით. ადამიანი ადამიანით არის – მარტო კაცი ძალიან ცოდოა.

**– საკუთარ თავს, ალბათ, იღბლიანად მიიჩნევთ.**

– იღბლიანი ნამდვილდ ვარ. ჯერ ერთი, შესანიშნავი ოჯახი მაქვს, კარგი შვილები მყავს და ბედნიერი ვარ. სოხუმში ომის პერიოდში აღმოვჩნდი და იქ ვიყავი წელიწად-ნახევრის განმავლობაში. მიმყავდა საინფორმაცია გამოშვება ქართულ ენაზე. ყოველ საღამოს, 7 საათზე ჩემი სახით აფხაზები ხედავდნენ მტერს, რომელიც მათ მთლად კარგი სიტყვებით არ მოიხსენიებდა. გადავრჩი. მერე ტანკმა გადაგვიარა. მანქანაში ვისხედით მეგობრებთან ერთად. მძღოლის გვერდით უნდა ვმჯდარიყავი, მაგრამ არ ვიცი, რა მოხდა და როგორ აღმოვჩნდი უკანა სავარძელზე. ტანკმა გადაგვიარა და სადაც მე უნდა ვმჯდარიყავი, იქ იჯდა ჩვენი უფროსი მეგობარი, შესანიშნავი ადამიანი, ოპერატორი, ავთანდილ ადანაია, რომელიც იქვე დაიღუპა. გადამირჩა ოჯახის წევრები. ჩემი მეუღლე სოხუმელია, სახლი ჰქონდა სოხუმში, რომელსაც ჭურვი დაეცა და ნახევარი სახლი განადგურდა. ზუსტად იმ დროს უნდა ვყოფილიყავი იქ, მეგობრის მამამ გადამარჩინა. კარგი სიგარეტი მქონდა სახლში, უნდა წამომელო და არ გამიშვა. რატომ დავუჯერე მაშინ, ახლაც არ ვიცი. რამდენიმე წუთში ბიჭები მოვარდნენ – შენს სახლს ჭურვი დაეცაო. ბედი, იღბალი არ არის ეს? მერე იყო რაღაცეები, უბრალოდ ყველაფრის გახსენება შორს წაგვიყვანს.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**ლაროშფუკო:** კაცს ხშირად ჰგონია, რომ თავისი თავის ბატონ-პატრონია, მაშინ, როდესაც სულ სხვა რამეა მისი ბატონ-პატრონი; და ვიდრე გონებით ერთ მიზანს მიელტვის, გული შეუმჩნევლად მიაქცევს მეორის მიმართ.

**ადისონი**: მოურიდებელი კაცი ბოროტზე უარესია, რადგან ბოროტი მხოლოდ თავის მტრებს ესხმის თავს, მოურიდებელი კი ზიანს აყენებს მტრებსაც და მეგობრებსაც.

**ზოლა**: ცხოვრების მთელი აზრი მდგომარეობს უცნობლობის უსასრულო დაუფლებაში, მარადიულ მისწრაფებაში, რომ მეტი ვიცოდეთ.

**გოეთე**: დროის დაკარგვა ყველაზე მძიმეა იმისათვის, ვინც ყველაზე მეტი იცის.

**ფრანკლინი**: ერთი დღე – ორი ხვალინდელის ფასია.

**პლუტარქე**: უდიდესია უპირატესობანი, რომლებითაც ადამიანის ბუნებაა დაჯილდოებული – ესაა გონება და მეტყველების ნიჭი.

**რუსო**: ბუნება ნამდვილად სჯის ადამიანს, როცა აიძულებს, აიტანოს ყველაფერი, რისი ატანაც ასე ეძნელება.

**ბუასტი**: გონების ერთ-ერთი ავადმყოფობა, რომელიც ხელს უშლის ბედნიერებას, ეჭვიანობაა.

**გამსახურდია**: ყველაფერს ზომა აქვს. ადამიანების ურთიერთობაში ზომაა საჭირო.

**პლუტარქე**: მე არ მინდა ისეთი მეგობარი, რომელიც ყველაფერზე მეთანხმება, ყველაფერზე თავს მიქნევს – ამას ხომ ჩემი ჩრდილიც აკეთებს.

**ვინდელბანდი**: კულტურული ადამიანი ფლობს არა მარტო ზნეობრივ, არამედ ლოგიკურ და ესთეტიკურ სინდისს.

**კონფუცი**: ის, ვინც აზროვნების გარეშე სწავლობს, შეცდომებში ვარდება; ის, ვინც აზროვნებს და სწავლა არ სურს – წინააღმდეგობებში.

**ვაშინგტონი**: წარმატება უნდა გავზომოთ არა იმდენად იმით, თუ რა მდგომარეობას მიაღწია ადამიანმა ამ ცხოვრებაში, არამედ იმ წინააღმდეგობებით, რაც მან გადალახა ამ წარმატების მიღწევისას.

**ადლერი**: სოციალური პროგრესის ისტორია ბრძოლის ისტორიაა; ის გვიჩვენებს, თუ როგორ ცდილობდა ადამიანი უქონლობისა და წარუმატებლობის დაძლევას.

**რუსო**: სათნოების უდიდესი გმირობანი ჩადენილი იყო სამშობლოსადმი სიყვარულით.

**გოეცი**: ქალის სიყვარული შეიძლება დაკარგო როგორც ნდობით, ასევე უნდობლობით; როგორც დათმობით, ასევე ტირანული ქცევით; ზედმეტი და ნაკლები სინაზით; ყველაფრით და არაფრით.

**უაილდი**: ქალი შთაგვაგონებს, შევქმნათ შედევრები, მაგრამ ხელს უშლის ამ შთაგონების რეალიზებას.

# თუ გამოიცნობთ

1. ამერიკაში ორკესტრში მიღებისას, სქესობრივი დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით, კანდიდატის ინსტრუმენტზე შესრულებას გამომცდელები ფარდის უკან მსხდომნი უსმენდნენ. თუმცა, ეს ხშირად ნაკლებეფექტური იყო, რადგან მაინც ისმოდა ხმა, რომელიც აშკარად უსვამდა ხაზს შემსრულებლის სქესს. **რისი ხმა?**

2. მას 1980 წელს ოქროს მედალი მიანიჭეს ჩრდილოეთ პოლუსის დალაშქვრისა და 5 726 მეტრის სიმაღლეზე ასვლისთვის – თუმცა არა ოლიმპიურ თამაშებზე, არამედ პოზნანის საერთაშორისო ბაზრობაზე. ის პირველად 1977 წელს გამოუშვეს და კარგა ხანს ლიდერობდა კიდეც საბჭოთა კავშირში. **რა?**

3. 2001 წელს ჯულიანო მაურიმ განახორციელა თავისი სურვილი – აეგო ტაძარი, თუმცა ტაძარი, ისეთი ფორმის, როგორც მას ჰქონდა ჩაფიქრებული, მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გახდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფილმ „ციური სამსჯავროს" ჯოჯოხეთის სცენები სწორედ იქ არის გადაღებული. **როგორ შექმნა მაურიმ ტაძარი?**

4. მეთექვსმეტე საუკუნის ცნობილი იტალიელი ანდრეას ვეზალი წერდა: „სამწუხაროდ, პარიზის უნივერსიტეტში სწავლის დროს, დანას ჩემი მასწავლებლის ხელში მხოლოდ ჭამის დროს ვხედავდი". **რა სამეცნიერო მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი ვეზალიმ?**

5. თევზი-ჯამბაზები შხამიან აქტინიას საცეცებს უსუფთავებენ, ყლაპავენ საკვების ნარჩენებს და საცეცების შხამიან უჯრედებსაც კი. **რომელ მონარქს ადარებენ მეცნიერები მას?**

6. ეს მოწყობილობა გათვლილია მათზე, ვისაც არ უნდა დატოვოს შთაბეჭდილება, რომ მარტოა. ამიტომ უწოდეს მის ერთ-ერთ მოდერნიზაციას „მეგობრის ხელი". სხვათა შორის, წელს ინგლისის პრემიერ-ლიგის სტადიონების უმეტესობაზე მისი გამოყენება აიკრძალა, რის გამოც ხუმრობენ კიდეც, რომ აჟიტირებულ ინგლისელ ფანებს შეუძლიათ, ისინი სხვა მიზნით გამოიყენონ. **რა?**

7. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეში სპარსეთის ჯარებმა გაანადგურეს ათენის მეგობარი ქალაქი მილეტი. რამდენიმე ხნის შემდეგ ათენელმა პოეტმა ფრინიხმა სცენაზე დადგა ტრაგედია „მილეტის აღება", თუმცა შექების ნაცვლად ის დიდი თანხით დააჯარიმეს. **რატომ?**

8. ოქტავიანე ავგუსტუსის დროს რომში ინდოელი ელჩები ჩამოვიდნენ, რომლებმაც ჩამოიყვანეს თუთიყუშები. რომში მოდაში შემოვიდა თუთიყუშის ყოლა, განსაკუთრებით მოლაპარაკე თუთიყუშის. **რომელი თუთიყუში მიიჩნეოდა ყველაზე მოდურად და თავმოსაწონებლად?**

9. პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ ინდოეთში ტრასების გაკეთება გაცილებით ძნელია, ვიდრე ჩინეთში, რადგან ინდოეთში, მაგალითად, მუმბაიში, ამის გასაკეთებლად უამრავი „ბარაკის" აღებაა საჭირო, რომელთა ერთობლიობასაც „ბანკს" ეძახიან. **რისი „ბანკია" ეს დასახლებები დემოკრატიულ ინდოეთში, თუ ამის პრობლემა კომუნისტურ ჩინეთში არ დგას?**

10. 1964 წელს პორტუგალიელ არმანდო როდრიგეს დე სას, როგორც მემილიონე „გასტარბაიტერს", კოლნის ვაგზალზე ოფიციალური დელეგაცია შეხვდა და საჩუქრად მოტორელი გადასცა. პროგრამა, რომელიც 1973 წელს შეწყდა, გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ენერგეტიკული და წარმოების კრიზისის გამო დაიწყო. **რისი დანაკლისი შეავსეს გასტარბაიტერებმა?**

***პასუხები იხილეთ 47-ე გვერდზე***

# რა მოხდა ამ დღეს

**10 აგვისტო**

1500 – პორტუგალიელმა ზღვაოსანმა დიოგუ დიაშმა აღმოაჩინა კუნძული მადაგასკარი.

1539 – საფრანგეთის მეფემ, ფრანსუა პირველმა, ფრანგული ენა საფრანგეთის ოფიციალურ ენად გამოაცხადა. მანამდე ოფიციალურ დოკუმენტებს ლათინურად ადგენდნენ.

**11 აგვისტო**

1877 – ამერიკელმა ასტრონომმა, ასტაფ ჰოლმა, აღმოაჩინა მარსის ორი თანამგზავრი – ფობოსი და დეიმოსი.

1934 – ფუნქციონირება დაიწყო ალკატრასის ფედერალურმა ციხემ (ამერიკის შეერთებული შტატები, კალიფორნია).

**12 აგვისტო**

1121 – დიდგორის ბრძოლა – ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვება თურქ-სელჩუკებზე.

1851 – ამერიკელმა ისააკ მარიეტ ზინგერმა დააპატენტა საკერავი მანქანა.

1865 – ამერიკელმა ქირურგმა ჯოზეფ ლისტერმა პირველად გამოიყენა დეზინფექცია ოპერაციისას – ამან სიკვდილიანობა 4-ჯერ შეამცირა.

**13 აგვისტო**

1521 – ესპანელმა კონკისტადორმა ერნან კორტესმა აიღო აცტეკთა დედაქალაქი ტენოჩტიტლანი (დღევანდელი მეხიკო).

1624 – საფრანგეთის კარდინალი არმან რიშელიე დიუ-პლესი გახდა ქვეყნის პირველი მინისტრი.

**14 აგვისტო**

1893 – საფრანგეთში პირველად მსოფლიოში შემოიღეს ავტომობილის მართვის მოწმობის გაცემა.

1992 – დაიწყო „აფხაზეთის ომი".

**15 აგვისტო**

1248 – დაიწყო ლიოლნის კათედრალური ტაძრის მშენებლობა (რომელიც მხოლოდ 1880 წელს დასრულდა).

1848 – უოლდო ჰატჩეტმა (ოჰაიო) დააპატენტა „სტომატოლოგიური სკამი".

1914 – ოფიციალურად გაიხსნა პანამის არხი.

**16 აგვისტრო**

1804 – საფრანგეთში ბულონის სამხედრო ბანაკში შედგა „საპატიო ლეგიონის ორდენებით" დაჯილდოების პირველი ცერემონიალი. იმპერატორმა ნაპოლეონმა 2 400 ადამიანს პირადად დააბნია გულზე საპატიო ჯილდო.

1941 – საბჭოთა კავშირში გამოიცა ბრძანება №270, რომლის მიხედვითაც სამშობლოს მოღალატედ ცხადდებოდა ყველა ტყვედ ჩაბარებული ჯარისკაცი.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. კd6. მbF6. 2. კe7. მbe6#**

**1. კd7. მbe6+. 2. მფc8. მbd6#.**

**შეადგინა იოსებ კრიხელმა**



**რომა რცხილაძის ანეგდოტები**

ტიპი ციხეში ჩასვეს. მთელს ტანზე ხარისთავებიანი ტატუები აქვს ამოსვირინგებული. ქუთაისელმა პატიმარმა, უყურაუყურა და ბოლოს გაბედა კითხვა:

– ქურდი ხარ, სიმონ შენ?

– არა.

– აბა, ყასაბი?

– არა.

– ტორეადორი ხარ?

– არა.

– აბა, რაია სიმონ, „ტუშონკა" ხარ?

***

ჯვრისწერაზე, სიძე ეკითხება მღვდელს:

– რამდენი გადავიხადო, მამაო?

– რამდენიც ეს პატარძალი ღირს, იმდენი.

სიძემ ჯიბეში გააქანა ხელი, რკინის ლარიანი ამოიღო და მამაოს გაუწოდა. მამაომ დახედა ფულს, მივიდა პატარძალთან, აწია ფატა და სახეზე კარგად დააკვირდა. ჩაიყო ჯიბეში ხელი და სიძეს 50 თეთრი ხურდა უკან დაუბრუნა.

**გიორგი გურგულიას ანეკდოტები**

სოლიდურად ჩაცმული ახალგაზრდა, მინდვრის პირას მდგომ გლეხს ეუბნება:

– უკაცრავად, 6 საათსა და 45 წუთზე მიმავალ მატარებელზე მაგვიანდება და შეიძლება, გზა მოვჭრა და სადგურზე თქვენი მინდვრის გავლით მივიდე?

– კი ბატონო, ოღონდ, თუ ჩემმა ბუღამ დაგინახათ, შეიძლება 6 საათსა და 15 წუთზე მიმავალ მატარებელსაც მიასწროთ!

***

მიმდინარეობს ოპოზიციის მიტინგი. უცბად, ცაზე ცისარტყელა გადაიჭიმა. მომიტინგეები აღელდნენ:

– ხედავთ, ხალხნო, რაში ხარჯავენ ფულს?

***

– რა მეშველება.. რა მეშველებაა, – მოსთქვამს სვანის ცოლი.

– რა იყო, შე ქალო?

– რაღა რა იყო, ჩემი ქმარი მოკვდა.

– რას იზამ, ეგრეა... ხან ცოლი კვდება ადრე და ხან – ქმარი...

– ეგ არ მადარდებს!

– აბა?

– წვერი როგორ მოვუშვაა?!

***

ცოლი გამთენიისას დაბრუნდა სახლში – მაგარი ნასვამია, გაწეწილი, ტანსაცმელი შემოხეული აქვს, სიგარეტით ხელში.

ქმარი:

– აი, ახლა იარაღი რომ მქონდეს, დაგახლიდი შუბლში!

ცოლი:

– შენც ადექი და მირქინე.

***

გურული ექიმი გამოიძახეს ბინაზე, მივიდა, გასინჯა პაციენტი და თავი გადააქნია.

– ჰა, ექიმო, რა წამალი მოვუტანოთ, რომ ვუშველოთ? ჩქარა გვითხარით.

– წამალი კი არა, ძლიერი „ლამპოჩკა" მეიტანეთ ელანძე.

– ეგ უშველის?

– ამას აღარაფერი ეშველება და, ქე მაინც წინასწარ შევაჩვიოთ გვირაბის ბოლოს რომ შუქია, ე, იმას!

***

ორი ნაცნობი საუბრობს:



– ვოცნებობ, მამაჩემივით, თვეში 10 ათასი დოლარი მქონდეს შემოსავალი.

– მამაშენი თქვეში 10 ათასი დოლარს შოულობს?

– არა, ისიც ჩემსავით ოცნებობს.

***

– წერეთელი უფრო მოგწონს თუ ჭავჭავაძე?

– რა თქმა უნდა, ჭავჭავაძე!

– კახელი ხარ, ალბათ.

– არა, იმერელი.

– მაშინ წერეთელს, რატომ გირჩევნია ჭავჭავაძე?

– ჭავჭავაძე მაინც ვაკეა რა...

## როგორ გაუნადგურა 3 მილიონი მარკის ღირებულების დეკორაციები საბჭოთა ტანკისტმა გერმანელ კინემატოგრაფისტებს

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ქალაქ დრეზდენის სატანკო ნაწილში ვმსახურობდი. ბევრი სამუშაო არ გვქონდა. ჩვენი მოვალეობა გახლდათ, ტანკები მწყობრში ყოფილიყო. ეს იყო და ეს. ჩვენთან ერთი უზბეკი, ვინმე საიდ ყულიევი მსახურობდა. ის დღენიადაგ ანაშას აბოლებდა და ომის დაწყებას ნატრობდა, რომ თავისი ტანკით ბრძოლაში ჩაბმულიყო. ბოლომდე დალაგებული არ იყო და ხშირად დავცინოდით. თუმცა, ის ვერაფერს ხვდებოდა. ყულიევი განსაკუთრებულად აგდებული ჰყავდა პეტროს აბრამიანს, რომელიც საიდს სხვადასხვა ოინს უწყობდა ხოლმე. ერთხელ „კაპტიორკაში" ვსხედვართ და ვსვამთ. ყულიევი კი ანაშით ბოლდება. ამ დროს აბრამიანი მოვიდა და ყულიევს ეუბნება:



– საიდ, ოცნება აგიხდა!

– რა ოცნება?

– ომი დაიწყო. ფაშისტებმა შემოგვიტიეს და რომ ტრაბახობდი, მტერს გავანადგურებო, აბა, გვიჩვენე შენი ვაჟკაცობა.

საიდი აღეგზნო და პეტროსს ჰკითხა:

– სად არიან ფაშისტები?

– ჩვენგან სამხრეთით ორ კილომეტრში, – მიუგო აბრამიანმა.

საიდი წამოხტა და გარეთ გავარდა. ხოლო რაც შემდეგ მოხდა, მტერსა და ავს... ჩვენგან სამხრეთით ორ კილომეტრში კინოსტუდია „დეფას" გადასაღები მოედანი იყო, სადაც ომზე იღებდნენ ფილმს და 3 მილიონი მარკის ღირებულების დეკორაციებით იყო გაწყობილი. ყულიევი იქ ტანკით შეიჭრა და ყველაფერი გაანადგურა... საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, რადგან ყველანი დაიმალნენ.

ყულიევი და აბრამიანი საველე ტრიბუნალმა გაასამართლა და ორივე ციხეში ჩასვეს.

**თემურ კირთაძის მონათხრობის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**

## ჩაის მოყვარული

„ნინაგის" ერთი არაქართველი სტუმარი ნამეტანი ბევრ ჩაის სვამდა, თანაც მდუღარეს. შეწუხდა ნოდარ დუმბაძე:

– ე, ბიჭო, მაგას რომ შარდის ბუშტი გაუსკდეს, საცოდავი ნამდვილად ფეხებს დაიმდუღრავს.

**ბაქოში, პირველ ევროპულ ოლიმპიურ თამაშებზე, ქართველმა ტანმოვარჯიშემ, 17 წლის სალომე ფაჟავამ, რაჭულ მელოდიაზე შესრულებული ნომრით ნამდვილი ფურორი მოახდინა – მიუხედავად უძლიერესი კონკურენციისა, სპორტულ ტანვარჯიშში, სპორტის ამ ურთულეს სახეობაში, ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. მისი გამოსვლის ვიდეომ სოციალური ქსელი დაიპყრო და საგზურიც მოიპოვა რიო-დე-ჟანეიროში სასპარეზოდ.**

# როგორ გახდა სალომე ფაჟავა პოპულარული გოგონა ერთ დღეში და რატომ ცეკვავენ უცხოელი მსაჯები ხალიჩაზე მისი გამოსვლის დროს

**სალომე ფაჟავა**: ათი წელია, მხატვრულ ტანვარჯიშზე დავდივარ. ამ სპორტისთვის საკმაოდ გვიან, 7 წლიდან დავიწყე ვარჯიში. თან, არ მქონდა მონაცემები, არ ვიყავი „რბილი", რაც ამ სპორტს სჭირდება. უბრალოდ, ვიყავი ცელქი და სპორტული. მოზღვავებული ენერგია რომ დამეხარჯა, ტანვარჯიშზე შემიყვანეს და, ვერავინ წარმოიდგენდა, ამხელა წარმატებებს თუ მივაღწევდი. მაშინ რუსეთში ვცხოვრობდით და, დედაჩემის მეგობარმა რომ მნახა, როგორი ცელქი ვიყავი, დედას უთხრა, ეს ბავშვი ისეთ სპორტზე შეიყვანეთ, რომ ვარჯიშით დაღალონ და ენერგიაგამოცლილმა სახლში მაინც დაგასვენოთო ***(იცინის).*** თუმცა, პირველივე დღეს მივხვდი, რომ მხატვრული ტანვარჯიში ჩემია და მომინდა ყველაფრის ათვისება და კეთება. უნდა გენახათ, როგორ ვიწელებოდი, „შპაგატში" რომ ჩავმჯდარიყავი ***(იცინის)***. რაც შეეხება სახლში დაწყნარებას, პირიქით, სულ გადავირიე – იმავეს ვაკეთებდი, რასაც დარბაზში: ვვარჯიშობდი, ვხტუნავდი, მალაყებზე გადავდიოდი.

**–მწვრთნელები თუ წინასწარმეტყველებდნენ მომავალში შენს ასეთ წარმატებებს? მათ თუ ჰქონდათ იმედი, რომ ცელქი, პატარა, მოუსვენარი გოგონა, ერთ დღესაც, ხალიჩაზე „გიურზებით," ბურთითა და ლენტით ხელში სასწაულებს მოახდენდა?**

– მწვრთნელებს ძალიან მოვწონდი, ჩემი მოუსვენრობის და აქტიურობის გამო. დედაჩემი კი მეუბნებოდა, არ გაქვს მონაცემები, რად გინდა, ტყუილად კარგავ დროს, ამ სპორტს მაინც არ გაჰყვებიო, მაგრამ, ბებიას დავყავდი ჩუმად. მეც, უბრალოდ, ვვარჯიშობდი და ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ეს სპორტი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდებოდა. ეს მოსკოვში ხდებოდა, მე იქ ვარ დაბადებული და გაზრდილი. 2008 წელს კი, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ჩემი ოჯახი თბილისში დაბრუნდა და აქ განვაგრძე ვარჯიში. 11 წლის ვიყავი, საქართველოს ჩემპიონატზე რომ გამოვედი, მაშინ შემამჩნიეს და ამიყვანეს საქართველოს ნაკრებში. მართალია, რუსეთშიც გამოვდიოდი, მაგრამ, საერთაშორისო ტურნირებზე არ გავსულვარ. საქართველოს ნაკრებში მოხვედრამ კი უდიდესი სტიმული მომცა – დავიწყე სერიოზული, ყოველდღიური მზადება გაცდენების გარეშე და პირველივე შეჯიბრებაზე ბულგარეთში მეორე ადგილი ავიღე. ეს პირველი სერიოზული წარმატება გახლდათ. მიმაჩნია, რომ მხატვრული ტანვარჯიში ლამაზი სპორტია, გოგოს უხდება, თუმცა, კოლოსალურ შრომას მოითხოვს. საყურებლად ლამაზია, მაგრამ ვარჯიშის დროს ყველა კუნთი იჭიმება და გაუსაძლისი ტკივილები იცის. მე თვითონ სამი წელია, ტრავმა მაქვს, „დაღლილობის მოტეხილობას" ეძახიან – ეს დაავადება დამიდგინეს.

**– ანუ, როცა ბაქოში გამოხვედი ხალიჩაზე ევროპულ ოლიმპიურ თამაშებზე და, ცეკვა-ცეკვით, რაჭულის ჰანგებზე ასრულებდი სპორტულ ილეთებს, მაშინაც ტრავმა გქონდა?**

– დიახ, მაგრამ, გამაყუჩებლები მქონდა გაკეთებული. ბაქოში რომ ჩავედი, ტურნირის წინა დღეს, ვარჯიშის დროს, მარცხენა ტერფი დამეჭიმა და ტკივილი დამეწყო; არ მივაქციე ყურადღება, ვიფიქრე, გამივლის-მეთქი და გავაგრძელე ვარჯიში, მეორე დღეს ისეთი გაუსაძლისი ტკივილი მქონდა, რუსეთის გუნდის ექიმს ვთხოვე დახამრება. მან გამაყუჩებელი გამიკეთა და მითხრა, ეცადე, ფრთხილად იმოძრაოო. მწვრთნელებმაც მითხრეს, მხოლოდ რამდენიმე ილეთი გააკეთე, არ დაძაბო კუნთები და გამოეთიშე შეჯიბრებასო. მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ, ხალიჩაზე რომ დავდექი და მუსიკა ჩაირთო, ტკივილი საერთოდ აღარ მახსოვდა. არ დავნებდი და ბოლ-





ომდე, ფინალამდე გავედი. რაჭულ მელოდიაზე „გიურზებით" გამოსვლამ ბაქოში დიდი წარმატება – მესამე ადგილი და სახელი მომიტანა. მერე კი ვეუბნებოდი მწვრთნელებს: აი, რომ ვამბობდი, ყველაფრის მიუხედავად გავიმარჯვებდი, არ გჯეროდათ, მაგრამ, ხომ დავამარცხე ტკივილი-მეთქი ***(იცინის).***

**– ვინ შეგირჩია გამოსვლისთვის რაჭული მელოდია და, სოციალურ ქსელში შენი გამოსვლის გაზიარებები რომ ნახე, რა რეაქცია გქონდა?**

> **მოზღვავებული ენერგია რომ დამეხარჯა, ტანვარჯიშზე შემიყვანეს. ვერავინ წარმოიდგენდა, ამხელა წარმატებებს თუ მივაღწევდი**

– თავიდან, მწვრთნელებმა რომ მითხრეს, რაჭულზე უნდა გამოხვიდეო, ვიფიქრე, ეს როგორ უნდა შევძლო-მეთქი, მაგრამ, ხალხს მოსწონს ქართული ელემენტები – ცეკვა და კულტურა, თუნდაც სპორტში. ვუყურებდი „სუხიშვილების" გამოსვლებს, იქიდან ვიღებდი ილეთებს და დღე დაღამე რაჭულს ვცეკვავდი, საწოლშიც კი ***(იცინის).*** საერთოდ, ძალიან სწრაფი ვარ, რაც მხატვრულ ტანვარჯიშში აუცილებელია და ძალიან იგებს. ვხუმრობ ხოლმე, ჩემი მეგრული ჯიში ხალიჩაზე მადგება-მეთქი ***(იცინის).*** მოკლედ, იმდენს ვვარჯიშობდი, კუნთები მტკიოდა.სოციალური ქსელი რომ გავხსენი და ჩემი გამოსვლის ნახვები ვნახე, უამრავი გაზიარება და კომენტარი წავიკითხე. იმდენი თბილი სიტყვა და მილოცვა დამხვდა, თვალებს არ დავუჯერე. ვიფიქრე, აქამდეც გამოვდიოდი და ნეტავი, ახლა რა მოხდა-მეთქი. ჩვენთან მხატვრული ტანვარჯიში ძალიან დაკარგული სპორტული სახეობაა და, მივხვდი, რომ ბაქოში გამოსვლამ ჩემს ქვეყანაში, ერთ დღეში მაქცია პოპულარულ გოგონად. ბიჭები მწერდნენ, რა მაგარი გოგო ხარ; რომ ჩამოხვალ, შეგვხვდი; გვითხარი, როდის მოდიხარ და აეროპორტში დაგხვდებითო ***(იცინის).*** უნდა აღვნიშნო, რომ ბაქოში გამოსვლას დაემთხვა 13 ივნისის ტრაგედია, რამაც ძალიან იმოქმედა ჩემზე, მაგრამ, უფრო მომემატა ძალა და ეს გამოსვლა ჩემს ქვეყანას მივუძღვენი – მე მეტით ვერაფრით დავუდგებოდი გვერდით. ძალიან რთულია სამეულში მოხვედრა და, რუს, ებრაელ, ბელორუს და უკრაინელ კონკურენტებთან შეჯიბრება, მაგრამ მე ეს შევძელი. ასე რომ, ბაქოში წარმატება 13 ივნისის ტრაგედიას მივუძღვენი და ეს განცდა ჩემს გამოსვლაშიც იგრძნობოდა. დავრწმუნდი, ხალიჩა ჩემი მთელი ცხოვრებაა და მის გარეშე სუნთქვა არ შემიძლია. 2016 წელს ოლმპიური თამაშები რიო-დე-ჟანეიროში ტარდება და ახლა მთლიანად იმაზე ვარ გადართული. სხვათა შორის, იმდენად მოსწონთ „რაჭული", რომ, შეიძლება, იქაც ეს წავიღო. უნდა ნახოთ, მე რომ ხალიჩაზე გამოვდივარ, უცხოელი ჟიურის წევრები ადგილზე ცეკვავენ ***(იცინის).*** ერთი პერიოდი შევცვალე და „ხანჯლურით" ჩავანაცვლე, მაგრამ, მწვრთნელებმა მთხოვეს, ჩვენი „რაჭული" დაგვიბრუნე, შენთან ერთად ცეკვა გვინდაო ***(იცინის).*** ქართული მელოდიებით როცა გამოვდივარ, დიდი დოზით ივვიძებს ჩემში გენეტიკა და ტემპერამენტი. მინდა, სპორტის ამ სახეობაში ვიყო პირველი ქართველი გოგონა, რომელსაც მსოფლიო გაიცნობს. მსოფლიოს საუკეთესო ათეულში თუ მოვხვდი, მაშინ ვიტყვი, მაგარი ვარ მეთქი.

**– იმაზე არ გიფიქრია, რომ ყველაზე ახალგაზრდა პენსიონერი იქნები?**

– ***(იცინის)*** ვხუმრობ ხოლმე, 25 წლის ასაკში უკვე მოხუცი ვიქნები-მეთქი. ამ სპორტში, წლოვანების მხრივ, რეკორდს ხსნის კაროლინა როდრიგესი, რომელიც 28 წლისაა და ჯერ კიდევ ასპარეზობს. ზოგადად კი, მხატვრულ ტანვარჯიშში მაქსიმუმ 25 წლამდე შეიძლება ხალიჩაზე გამოსვლა. ასე რომ, მგონი, ერთადერთი ახალგაზრდა პენსიონერი ვიქნები საქართველოში, რადგან ერთ წელიწადში შვიდი წელი მემატება ***(იცინის).***

**ნონა დათეშიძე**

# რატომ არის უროლოგიის ეროვნული ცენტრი დარგის ლიდერი და რატომ ირჩევენ მანაგაძეები უროლოგიას

**უროლოგიის სამეცნიერო ცენტრი – ამ ერთ-ერთი უძველესი სამედიცინო დარგის ლიდერია. ბატონი ლაურ მანაგაძე ამ ინსტიტუტის სათავეებთან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანებიდან დგას, თუმცა დღეს უკვე ახალგაზრდა თაობა უმშვენებს მხარს: მისივე ვაჟიშვილი – გიორგი მანაგაძე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და ევროპაში განსწავლული კადრები. როგორც ბატონი ლაურ მანაგაძე ჩვენთან საუბრისას აცხადებს, მისი შვილიშვილიც გეგმავს, რომ უროლოგი გახდეს, რაც კიდევ უფრო უძლიერებს იმედს, რომ ქართული უროლოგია ევროპული ოჯახის ისეთივე სრულფასოვანი წევრი იქნება, როგორიც ის ბოლო წლების განმავლობაში იყო.**

**ლაურ მანაგაძე** ***(აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორი კლინიკურ დარგში, ევროპის უროლოგთა ასოციაციის საპატიო წევრი):*** უროლოგიის ეროვნული ცენტრი მთელი ჩემი ცხოვრებაა. 1985 წლის თებერვალში მაშინდელ უროლოგიის ინსტიტუტში მოვედი დირექტორად და, იმ დღიდან მოყოლებული, ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი თავის პერსონიფიკაცია არ მომხდინა ამ ინსტიტუტთან. გადავწყვიტე, ჩემ გვერდით დამეყენებინა ახალგაზრდები – ისინი უნდა „აფეთქებულიყვნენ" ამ სივრცეში, შეეძინათ ძველი სამედიცინო უნარჩვევები და ახლით გაემდიდრებინათ. სამწუხაროდ, ადრე არსებული ქართული სამედიცინო მოცემულობისთვის დამახასიათებელი იყო მედიცინის ცალკეულ გიგანტებთან ასოცირება, რომელთა გარდაცვალების შემდგომ, მათთან ერთად კვდებოდნენ ეს სამეცნიერო ინსტიტუტები. ეს რომ არ მომხდარიყო, მე ახალგაზრდები დავიყენე გვერდით: ნოდარ უჯმაჯურიძე, გია ხვადაგიანი, თემურ ჩიგოგიძე, რომლებიც ჩემ თვალწინ გაიზარდნენ და შესანიშნავ უროლოგებად ჩამოყალიბდნენ. ურულოგია სწარაფად განვითარებადი დარგია, ძალიან ბევრი რამ შეიცვალა ელვის სისწრაფით. მაგალითად, შარდკენჭოვანი დაავადების ოპერაციისას ქირურგიული დანა ჩაანაცვლა ენდოსკოპიამ. ამიტომაც, ჩვენც ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ავყოლოდით მედიცინის განვითარებას და ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდები ევროპაში გაგვეშვა გადასამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ჩვენ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ერთ-ერთი პირველები შევედით ევროპული უროლოგიის ოჯახში, ამიტომაც, ამ ევროპულ კლინიკებში გავგზავნეთ ქართველი ახალგაზრდები. ისინი საუკეთესო ევროპულ კლინიკებში გაიზარდნენ და სეგმენტურად უროლოგიის სხვადასხვა მიმართულებით მიიღეს უმაღლესი კლასის განათლება და პრაქტიკა; ამიტომაც, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს კლინიკაში დღეს მუშაობენ ახალგაზრდა ნიჭიერი კადრები – საქართველოს ყველაზე ძლიერი უროლოგები: 35 წლის დავით ნიკოლეიშვილი, რომელიც ლაპარასკოპიული მიმართულებით დღეს შეუდარებელია; ასევე, ევროპის წამყვან კლინიკებში ჩვენგან წასული სპეციალისტებისგან მივიღეთ კლასიკური ლაპარასკოპიული ქირურგიის სერიოზული კადრები; 28 წლის გახლავთ გიორგი ხვადაგიანი, რომელიც ერთ-ერთი პერსპექტიული და წარმატებული ქირურგია. მიმდინარეობს სხვა ნიჭიერი ახალგაზრდების გადამზადებაც. დღეს ჩვენ შეგვიძლია, პაციენტების წინაშე ავიღოთ პასუხისმგებლობა, რომ ჩვენს კლინიკაში მათ დახვდებიან უმაღლესი დონის უროლოგები და ქირურგები, რომლებიც გაუწევენ მაღალკვალიფიციურ მომსახურებას. უროლოგია – მთელი ჩემი ცხოვრებაა; ჩემმა ვაჟიშვილმაც ეს მიმართულება აირჩია, ჩემს შვილიშვილსაც უროლოგობა სურს და ეს ბუნებრივი პროცესია – მათ ბავშვობიდან ესმოდათ საუბრები ამ თემაზე. ჩემი სტუმრების, ჩვენი ოჯახური საუბრების შინაარსიც ხშირად ამ თემას ეხებოდა. შემიძლია, ვიამაყო, რომ ამ ქვეყნიდან მშვიდად წავალ, რადგან ახალ, შესანიშნავ პლეადას ვუტოვებ საქართველოს უროლოგიის ეროვნულ ცენტრს.



ლაურ მანაგაძე

**გიორგი მანაგაძე** ***(უროლოგიის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, პროფესორი):*** დღეისთვის უროლოგის ცენტრი ვითარდება და ჩვენს კლინიკაში ეტაპობრივად მიმდინარეობს შენობის რეკონსტრუქცია, სარემონტო სამუშაოები და, ასევე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. მაგალითად, სულ ახლახან დავიწყეთ ლაზერული ქირურგიის გამოყენება, რომელიც სრულიად ახალი სიტყვაა ამიერკავკასიის მასშტაბით. ასევე, ჩვენს კლინიკაში ტარდება პროსტატის ლაზერული ვაპორიზაცია, რომლის დასანერგად ჩვენ სერიოზული ინვესტიცია განვახორციელეთ. რამდენიმე წელიწადია, წარმატებით ხორციელდება ლაპარასკოპიული პროსტატექტომიები და სხვა სახის ოპერაციები: ლაპარასკოპიული პლასტიკები, სიმსივნის მოშორება, შარდკენჭოვანი დაავადებების დროს ლაპარასკოპიული გზით კენჭის ამოღება, შარდის ბუშტის ამოღება ლაპარაკოსპიული მეთოდით და ასე შემდეგ. ჩვენთან წარმატებულად ხორციელდება თირკმლის გადანერგვა, რაც დღეისთვის უკვე აღარაა ლიმიტირებული და ამ მიმართულებას ხელმძღვანელობს არჩილ ჩხოტუა. ვაპირებთ დიალიზის განყოფილების გაფართოებასა და სერვისის განახლებას. ასევე, მინდა აღვნიშნო შარდკენჭოვანი დაავადებების განყოფილება, რომელსაც ბატონი ნოდარი და ახლა მისი შვილი – სანდრო უჯმაჯურიძე უძღვებიან; ბატონი ზაზა მეზვრიშვილი უდგას სათავეში უროლოგიური სიმსივნის მიმართულებას; მაღალკვალიფიციური ონკოქირურგია ამბროსი პერტია, პედიატრიულ განყოფილებას კი წარმატებით უძღვება ბატონი ზაზა ჭანტურაია. ლითოტრიპსიის პიონერები ჩვენ ვართ – ლევან ვარშანიძე და კახა თევზაძე უდგანან სათავეში ამ სეგმენტს. ჩვენთან წარმატებით ჩაიარა ქალთა უროლოგიის, შარდის შეუკავებლობის ოპერაციებმა. მას ხელმძღვანელობს ალეკო ხელაია, რომელმაც ევროპაში მიიღო კვალიფიკაცია. უროლოგიის ეროვნული ცენტრი არ ღალატობს ღირსეულ ტრადიციებს და განვითარების უწყვეტ ციკლს მიჰყვება, რაც გულისხმობს მაღალკვალიფიციურ ტექნოლოგიურ ბაზასა და პროფესიონალ კადრებს. აქ ყველაფერი პაციენტზეა ორიენტირებული."



გიორგი მანაგაძე

**ანა თაბაგარი**



გვ. 14

რა ხელშეკრულებებს ადებინებს სახლში დაბრუნებულ ბიზნესმენ ქმარს ნინო წიკლაური და რატომ არის მის ცხოვრებაში სამი მნიშვნელოვანი მამაკაცი



გვ. 59

სად გადაურჩა რამდენჯერმე სიკვდილს ნუგზარ ჩიქოვანი და რა სირთულეების გადალახვა უწევდა მას მილიონერად გახდომამდე



რამ ასწავლა ადამიანების ამოცნობა მაიკო ჭაფოძეს და რატომ ვერ მოახერხა მან შვიდი წლის განმავლობაში მამასთან შეხვედრა

გვ. 58


საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო … ში

# თბილი…®

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №32(763) … * 10 – 16 აგვისტო * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge